მანანა ხოფერია

ესპანური ენის ლექსიკოლოგია

თბილისი
2022

რეცენზენტი: **ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ციური ახვლედიანი**

ტექნიკური რედაქტორი: **ნინო ბურდული**

გარეკანის დიზაინი: **ირაკლი ხუციშვილი**

ISBN 978-9941-9786-2-3

© მანანა ხოფერია

წინასიტყვაობა

სახელმძღვანელო განკუთვნილია ესპანური ენის შემსწავლელ საბაკალავრო საფეხურის სტუდენტთა, მაგისტრანტთა, დოქტორანტ-ესპანისტებისა და აგრეთვე ესპანისტ პროფესორ-მასწავლებელთათვის, რომლებმაც სახელმძღვანელოში შემავალი მასალა შეიძლება გამოიყენონ სხვადასხვა მხატვრული, სამეცნიერო და სხვა სახის ტექსტების განხილვისას.

როგორი პარადოქსულიც უნდა იყოს, ფაქტია, რომ საღზღვარგარეთის ესპანისტიკაში არ გამოქვეყნებულა ლექსიკოლოგიის არც ერთი სრული კურსი.

ესპანური ენის ლექსიკოლოგია ქართული აუდიტორიისათვის განკუთვნილი პირველი ნაშრომია ესპანურენოვან სივრცეში, სადაც ყველა თეორიულ დებულებას, კლასიფიკაციასა და პრაქტიკულ რეკომენდაციას თან ახლავს მაგალითები, რომელთა რაოდენობა ზოგჯერ შეგნებულად არის გაზრდილი, ვინაიდან ამგვარი ლექსიკური მასალის შერჩევა ენის შესწავლისას უკავშირდება სირთულეებს ჩვენს ქვეყანაში ესპანური ლექსიკოლოგიის ცნობარების არარსებობის გამო.

სიტყვა – ესაა ენის, როგორც ადამიანთა ურთიერთობის ძირითადი ერთეული. იგი, ისევე როგორც ენა, სოციალური მოვლენაა და დროსა და სივრცეში არსებობას. ამ დებულებებმა განსაზღვრა წიგნის აგებულება ესპანეთში. გამოყენებულია ესპანური ენის და ქართული ლექსიკოლოგიური ფაქტების შეპირისპირება, რაც ხელს უწყობს საგნის უკეთ შეთვისებას და იძლევა ესპანური ენის ეროვნული სპეციფიკის უფრო თვალსაჩინოდ გამოვლენის შესაძლებლობას.

ამ წიგნში გაშუქებულია ლექსიკოლოგიის ძირითადი პრობლემები, ცნებები და კატეგორიები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად შეეფარდებიან პრაქტიკულად მის ყველა განყოფილებასა და განშტოებას. ესპანური ენის მასალაზე განხილულია სიტყვის როგორც ენის ძირითადი ერთეულის არსობრივი მახასიათებლები და სოციალური, პროფესიული, ასაკობრივი, ისტორიული, დროითი, ემოციურ-ექსპრესიული და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით წარმოქმნილი კანონზომიერებანი ლექსიკური მნიშვნელობებისა და ლექსიკური შრეების ტიპების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში.

თავი I

სიტყვა და მისი მრავალგანზომილებიანი განფენილობა

1. ლექსიკოლოგიის საგანი

ლექსიკოლოგია, როგორც მეცნიერება ენების ლექსიკური სიტემებისა და სიტყვების, როგორც ამ სისტემის ელემენტების შესახებ, მიზნად ისახავს ლექსიკოლოგიური მოვლენების განხილვას მათ დინამიკასა და ურთიერთკავშირში, ესპანური ენის ლექსიკის სისტემური ხასიათის გახსნას, მისი გამდიდრების წყაროებისა და ევოლუციის გამოვლენას, სიტყვებისა და ფრაზეოლოგიზმების აზრობრივი შინაარსის შესწავლას, მათი გამოყენების სფეროსა და ექსპრესიულ-სტილისტურ მახასიათებლებს, მათ ისტორიასა და ადგილს ენის ლექსიკურ სისტემაში, ვინაიდან ლექსიკა – ეს არის არა მარტო სიტყვათა ნაკრები, არამედ კონკრეტული ენის ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული სისტემა. ესპანური ენის ლექსიკოლოგია მიზნად ისახავს ლექსიკური შედგენილობის განვითარების კანონზომიერებისა და ტენდენციების, ენისა და მეტყველების, სისტემისა და ნორმის ურთიერთმიმართების, სიტყვის, როგორც მრავალწახნაგოვანი და მრავალფუნქციური ერთეულის ახლებურად გაშუქების პრობლემას.

2. სიტყვის დეფინიცია

სიტყვა აზროვნებასთან განუყოფლად დაკავშირებული ერთეულია. ჩვენი გრძნობათა ორგანოები – სმენა და მხედველობა აღიქვამენ სიტყვის მატერიალურ გარსს, მის რეალურ არსებულ ნივთიერ ფორმას, მის ფონეტიკურ და გრაფიკულ

სტრუქტურას. მაგრამ სიტყვაში არის რაღაც იდეალურიც. მასში მატერიალიზებულია – „განივთებულია", როგორც ნესი, ცნება, რომელიც სამყაროს ასახვის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. სიტყვის შინაარსში, მის სემანტიკურ სტრუქტურაში დამაგრებულია აგრეთვე ადამიანის შეგრძნებათა, აღქმათა და წარმოდგენათა განზოგადებული გამოცდილება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიტყვაში მატერიალიზდება ადამიანის ცნობიერების მუშაობის შედეგები ზოგადად, მათ შორის, აზროვნებისაც, როგორც ტვინის, ამ განსაკუთრებული სახის ორგანიზებული მატერიის მოქმედების უმაღლესი პროდუქტისა. სიტყვებში ინახება კაცობრიობის მიერ მოპოვებული ინფორმაცია ყოველივე არსებულის შესახებ.

სიტყვის რაობასთან დაკავშირებული თეორიული საკითხები არ არის ერთგვაროვანი, არსებობს ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული თეორიები. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი ის უნდა იყოს, რომ სიტყვა რთული მონაცემია, მას სხვადასხვა განზომილება აქვს (ბგერითი მხარე, მნიშვნელობა, სტრუქტურა), რაც აძნელებს მასში არსებითი, კონკრეტული ნიშნების გამოყოფას.

მიუხედავად ყოველივე ამისა, „სიტყვა სიტყვაა". ყველა ადამიანს, ვისაც მეტყველება შეუძლია, ამ ნათქვამში ერთსა და იმავე აზრს დებს სხვადასხვა ენაზე, მაგრამ ენათმეცნიერებამ, რომელიც ამ მოვლენას შეისწავლის, იცის, რომ მოცემულ სიტყვას სხვადასხვა ვითარებაში, გამონათქვამში განსხვავებული მნიშვნელობა შეუძლია გაუჩნდეს. რა მექანიზმით იქმნება ეს განსხვავება? ამაზე ამახვილებს განსაკუთრებულ ყურადღებას დღევანდელი ენათმეცნიერება – კომუნიკაციური ლინგვისტიკა.

ბენვენისტის აზრით „სიტყვა არის მინიატურული ენა. არ არსებობს სიტყვაზე უფრო მაღალი ძალა და ადამიანის ყოვლისშემძლეობა და სიდიადე არსებითად მომდინარეობს არამატერიალური და სუვერენული ოდენობისაგან – სიტყვისაგან" (ბენვენისტი, 1965).

„ცნობიერება აისახება სიტყვაში, როგორც მზე წყლის პატარა წვეთში. სიტყვა ეკუთვნის ცნობიერებას, როგორც პატარა სამყარო დიდს, როგორ ცოცხალი უჯრედი ორგანიზმს, როგორც ატომი კოსმოსს. სწორედ სიტყვაა ცნობიერების პატარა სამყარო, მნიშვნელობის მქონე სიტყვა ადამიანის ცნობიერების მიკროკოსმოსია" (ვიგოტსკი, 1982).

„სიტყვა არის ენის უმცირესი ერთეული, რომელიც დამოუკიდებელია თავისი მნიშვნელობითა და ფორმით" (ჟირმუნსკი, 1964).

„მოცემულ ენაზე ყველა ნორმალურ მოლაპარაკეს შეუძლია ყოველგვარი თეორიული მსჯელოიბსა და მომზადების გარეშე, ინტუიციის რაღაც თანდაყოლილი ცოდნის შემწეობით უშეცდომოდ გამოაცალკევოს სამეტყველო ნაკადში სიტყვა. იგი ერთადერთი ენობრივი ერთეულია, რომელიც იცის და რომელსაც ინტუიციურად ზუსტად ამოიცნობს ყოველი მოლაპარაკე" (სტერნინი, 1985).

„სიტყვა არის სემასიოლოგიური ერთეული, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე მორფემისაგან. სიტყვას ჩვენ ვუწოდებთ წინადადების ნაწილს, რომელიც მნიშვნელობის შეუცვლელად შეგვიძლია გამოვიყენოთ დამოუკიდებლად, ესე იგი, როგორც ცალკე წინადადება" (შჩერბა, 1962).

„სიტყვა არის დამოუკიდებელი ერთეული" (ბენვენისტი, 1965).

„სიტყვა არის ნიშანი – ენის გარეთ მყოფი საგნების, მოვლენების, პროცესების, თვისებებისა და სხვათა პირობითი დასახელება (სოსრური, 2002).

„სიტყვა წარმოადგენს მინიმალურ, თავისუფალ ფორმას" (ბლიუმფილდი, 1968).

„რთული სიტყვის ცალკეული კომპონენტებიც შეიძლება სიტყვებად ჩაითვალოს (ნიდა, 1996).

„სიტყვა არის ერთ-ერთი უმცირესი; სრულიად დამოუკიდებელი ნაწილი იზოლირებული აზრისა, რომელზეც დაიყვანება წინადადება" (სეპირი, 1954).

„სიტყვა წარმოადგენს ენის მინიმალურ, თავისუფალ ფორმას" (ბლუმფილდი, 1968).

„მეტყველების პირველი ელემენტი, რომელსაც ჩვენ აღმოვაჩენთ და რომლის შესახებაც შეიძლება ითქვას, რომ ის ნამდვილად არსებობს, არის სიტყვა" (სეპირი, 1954).

„სიტყვა განეკუთვნება როგორც ენის, ასევე მეტყველების სფეროს. სიტყვა თავისი ზოგადი მნიშვნელობით ენის სფეროს კუთვნილებაა, კერძო მნიშვნელობით კი – მეტყველების იმისდა მიხედვით, განვიხილავთ მას ცალკე თუ ფრაზაში ფონემის მსგავსად, რომელიც აბსტრაქციას წარმოადგენს ბგერასთან მიმართებაში. ეს უკანასკნელი კი სხვა არაფერია, თუ არა ფონემის კონკრეტული მანიფესტაცია და მისი რეალიზაცია მეტყველებაში" (ზაიდელი, 1984).

„სიტყვა არის პირველი ერთეული ენობრივი იერარქიის სისტემაში, რომელიც თავის თავში აერთიანებს ყველა სახის ენობრივ ფორმაციას – სემანტიკურსა და ფორმალურს. იგი არის დასრულებული ერთეული, რომელსაც აქვს ცალკე გამოყოფილი არსებობა" (შენგელია, 2000).

„სიტყვა დამოუკიდებელი ელემენტია ენობრივ სისტემაში, სიტყვა სხვა ლინგვისტური ერთეულების მსგავსად გარკვეული სიმრავლის წევრია – ესა თუ ის მეტყველების ნაწილია, მაგრამ ამავე დროს ცალკე ერთეულიც არის იმის გამო, რომ სემანტიკურად უპირისპირდება ყველა სხვა სიტყვა" (შენგელია, 2002).

ეკ. ონიანი. სიტყვის ცნება ლინგვისტურ ლიტერატურაში. საენათმეცნიერო ძიებანი. XXIX

Palabra – "conjunto de letras o Sonidos que forman la menor unidad de lenguaje con significado" (Moliner M. Diccionario de uso del español, p.608).

„La palabra es una unidad fónica de expresión intercambiable, que comprende una idea correspondente a un ser" (Alonso M. Gramática del español contemporáneo, p. 213).

Palabra „Es cada una de las partes que integran la frase, que resultan ser a la vez categorías con un sentido y una función gramatical especiales" (Ibid. p.214).

Palabra – "Sonido o conjunto de sonidos articulados que expresan una idea" (Diccionario de la lengua española. Real Academia Española. p. 960).

„Se llama palabra... la silaba o conjunto de silabas que tienen existencia independinte para expresas una idea (Martinez Amador E. M. Diccionario gramatical y de dudas del idioma. P. 497).

Palabra – „unidad linguística formada por uno o más monemas (unidades mínimas dotadas de significado), ya sean estos en secuencia lineal" (Diccionario de Linguística. P. 221).

ტრადიციულისაგან განსხვავებით, საჭიროდ მივიჩნიეთ შემოვიტანოთ სიტყვით დეფინიციის თანამედროვე ვერსია, წარმოდგენილი ლინგვოკულტუროლოგიურ სივრცეში: ენის ერთეული – სიტყვა წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ სიგნალს (მინიშნებას), რომლის ფუნქციაა გააღვიძოს ადამიანის ცნობიერება, შეეხოს განსაზღვრულ კონცეპტებს, რომლებიც მზად არიან გამოეხმაურონ ამ სიგნალს.[1]

სიტყვა, წარმოადგენს რა ენის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს, თავის თავში შეიცავს ელემენტებსა და მნიშვნელობებს, რომლებიც განსაზღვრავენ სიტყვის ფუნქციებსა და სპეციფიკას ენასა და მეტყველებაში და სიტყვის ურთიერთობათა ხასიათს ენის დანარჩენ ელემენტებთან. სიტყვის გრამატიკულ სტრუქტურაში დამაგრებულია ფორმები, რომლებიც მას მეტყველებაში სხვა სიტყვებთან ურთიერთქმედებისა და სხვადასხვაგვარი კატეგორიული, დროითი, შეფასებითი, ემოციური და სხვა მნიშვნელობების გამოხატვის საშუალებას აძლევს. სიტყვაში, მის აფიქსებში აისახება აგრეთვე თვით სიტყვების, სიტყვათა შეერთებებისა და წინა-

1 В. А. Маслова, Лингвокультурология. М., 2001, с. 112

დადების წარმოქმნის წესებისა და ხერხების განმსაზღვრელი ენობრივი ნორმები და კატეგორიები.

სიტყვა წარმოადგენს ფორმისა და შინაარსის ერთობლიობას, ან, როგორც სხვაგვარად ამბობენ, ერთობლიობას გამოხატვისა და შინაარსის თვალსაზრისით. იგი გაშუალებულია ადამიანის ცნობიერებით, დაკავშირებულია სინამდვილესთან და შედის კონკრეტული ენის სისტემაში, როგორც მისი ძირითადი ნიშნობრივი ერთეული. სინამდვილე, ცნება, სიტყვა, ენა ქმნიან დამოკიდებულებათა ერთგვარ სისტემას, რომელშიც ურთიერთქმედებენ ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები.

სიტყვას, ცნებასა და საგანს შორის სემანტიკური ურთიერთობების ილუსტრირებას ჩვეულებრივ ახდენენ ოგდენისა და რიჩარდსის ეგრეთ წოდებული სამკუთხედის სახით, რომელიც გამოსახულია მათ ცნობილ წიგნში „მნიშვნელობის მნიშვნელობა":[2]

ცნება. Concepto
სიტყვა. Palabra
საგანი. Cosa

დენოტატი არა მარტო შეესაბამება რეფერენტის ან საგნის ცნებას, არამედ ასახელებს კიდეც მნიშვნელობის ცნებით ბირთვს, „ექსტენსიონალის ელემენტს" (ანუ სიმრავლეს იმ ობიექტებისა, რომლებიც შეიძლება იწოდებოდნენ მოცემულ ენობრივ ერთეულად) და ცნების მოცულობას. ტერმინი „კონცეპტი" (concepto) ასევე იძენს სხვაგვარ მნიშვნელობას. იგი უკვე აღარ შეესაბამება ტერმინს – „ცნება" და გამოხატავს კონკრეტული ლექსიკური ერთეულის

2 Ogden C. K., Richards J. A., Meaning of Meaning, p. 11. თუმცა ზოგადად ეს სამკუთხედი მომდინარეობს სიშნის არისტოტელესეული გაგებიდან. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი ვარაუდობდა, რომ სიტყვები არსებითად არის ცნებათა ნიშნები, ხოლო ცნებები წარმოადგენს ნივთებს. ამგვარად იქმნება ჯაჭვი: nomen – conceptus – res.

თითქოსდა თანმდევი წარმოდგენების და ასოციაციების ჯამს.[3]

სავსებით ცხადია, რომ მიმართებებს ცნებასა და მის გამომხატველ სიტყვას შორის საკუთრივ ლინგვისტური, შიდაენობრივი ხასიათი აქვს და მათ შეიძლება სიგნიფიკატური მიმართებები ეწოდოს.

უფრო რთულია კავშირები ცნებასა და საგანს შორის. ამ ურთიერთობებს ზოგჯერ განსაზღვრავენ, როგორც დენოტატურს. აზროვნების საგანი განეკუთვნება ექსტრალინგვისტურ სფეროს. იგი ნაწილია რეალური ან ირეალური, ადამიანთა აზროვნების შექმნილი ობიექტური სინამდვილისა. ის არის მატერიალური, სოციალური ან სულიერი სამყაროს ნაწილაკი. ხარმოდგენა ამ საგნის შესახებ ყალიბდება და მოტივირდება საზოგადოებრივი ყოფიერების პროცესში, აქტიური ადამიანური შემეცნებისა და გრძნობითი გამოცდილების შედეგად. სიტყვა შეესატყვისება საგანს მხოლოდ თვით სიტყვაში მატერიალიზებული ცნებების საშუალებით.

სიტყვაში მატერიალიზებულია ცნება. მაგრამ ცნება წმინდა ლინგვისტური კი არა, არამედ ენასთან დაკავშირებული ფილოსოფიური და ლოგიკური კატეგორიაა. ენათმეცნიერები სიტყვაში გამოყოფენ მეორე, საკუთრივ ლინგვისტურ კატეგორიას – ლექსიკურ მნიშვნელობას, რომელიც თავის თავში ასახავს როგორც ცნებით შინაარსს, ისე ემოციურსა და შეფასებითსაც.

სიტყვის, როგორც ლექსიკური ერთეულის განსაზღვრისას, გარდა ზემოთ ნახსენები მახასიათებლებისა, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მისი განსხვავებანი მორ-

---

3 ამგვარ ახსნას კონცეპტი იძენს თანამედროვე ენათმეცნიერების ახალ მიმართულებებში – კოგნიტივისტიკისა და ლინგვოკულტუროლოშიაში. კონცეპტები არაერთგვაროვანია და მათ რთული სტრუქტურა აქვთ. ზოგიერთი კონცეპტი უაღრესად მნიშვნელოვანია სიტყვათა და გამოთქმათა ნაციონალური კულტურული სპეციფიკის გამოხატვის, სამყაროს ენობრივი სურათის ეროვნული თავისებურებებისა და ეროვნული მენტალიტეტის განსაზღვრისათვის.

ფემისაგან, რომელიც ასევე წარმოადგენს მნიშვნელობის მქონე ერთეულს, თუმცა კი სხვა დონისას. ლექსიკურ მნიშვნელობებში ასახულია რეალური სამყაროს მატერიალური და სოციალური ობიექტები და კაცობრიობის ცოდნათა მთელი კონტინუუმი. მორფემათა შინაარსს წარმოადგენს გრამატიკული კატეგორიები და სხვადასხვა რაოდენობრივი, დროითი, ნიშან-თვისებითი, მოდალური და სხვა მსგავსი აბსტრაქცია. მორფემას არ გააჩნია ავტონომიურობა, იგი, ჩვეულებრივ, სიტყვის შედგენილი ნაწილია.

არალექსიკური მორფემები საერთოდ არ შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან ყოველგვარი ერთეული (იგულისხმება მორფოლოგიური) არის რომელიმე სიტყვის რეალური შემადგენელი ნაწილი. ამიტომ ის მორფემებიც კი, რომლებსაც გრამატიკული მნიშვნელობა აქვს, არიან არა გრამატიკული, არამედ ლექსიკურ-გრამატიკული, ანუ თავის თავში აერთიანებენ ლექსიკურ და გრამატიკულ მომენტებს. სიტყვა კი – ენის ავტონომიური დამოუკიდებელი ერთეულია, თუმცა ავტონომიურობა შეიძლება შემოიფარგლოს მისი სხვა სიტყვებთან შეთავსების კანონზომიერებით.

სიტყვა ყოველთვის წარმოადგენს სიტყვათა კონკრეტულ ლექსიკურ-გრამატიკულ კლასთან თავსებად გრამატიკულად გაფორმებულ ლექსიკურ ერთეულს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი ყოველთვის მეტყველების განსაზღვრული ნაწილია. როგორც მეტყველების ნაწილს, სიტყვას აქვს გრამატიკული კატეგორიებისა და მათი შესაბამისი ცვალებადი ან სტაბილური ფორმების საკუთარი ნაკრები და იგი სიტყვათშეთავსების წესებს ექვემდებარება. მისი ლექსიკური შინაარსი თითქოსდა „იკეტება" გარკვეულ გრამატიკულ ჩარჩოებში, ურო ხშირად სიტყვის, როგორც მეტყველების ნაწილის, „გამფორმებლებს" მორფემები წარმოადგენს.

სიტყვა სრულად გაფორმებული ნიშანია, მას შესიტყვებისაგან განასხვავებს. გაფორმების სისრულე წარმოიქმნება მისი აზრობრივი მთლიანობისა და მეტყველების გარკვეული

ნაწილისადმი მისი კუთვნილების, სიტყვის შინაგანი მორფოლოგიური ერთიანობისა და მის სიტყვათშეერთებათა სიტყვებად დაყოფის მსგავსად ორ ან მეტ თანაბარ ნაწილად დანაწევრების შეუძლებლობის წყალობით. თუკი limpiadientes (კბილის ჯაგრისი) ანდა guardacabras (თხების მწყემსი) დავწერთ შესაბამისად, როგორც limpia dientes ანდა guarda cabras, მაშინ ესენი უკვე არსებითი სახელები კი არ იქნებიან, არამედ შემდეგი მნიშვნელობის მქონე ფრაზები: „ის იწმენდს კბილებს" და „ის მწყემსავს თხებს". სიტყვები ამ შეხამებაში შეიძლება იცვლიდნენ თავიანთ ფორმებს (limpiana, limpiaron, limpiaban, ha limpiado, etc. dientes; guarda una carba, guardan carbas, habia guardado carbas, guardarán carbas და სხვ.)

მაგრამ მეტყველებაში სიტყვა უკავშირდება სხვა სიტყვებთან და დროით, რაოდენობრივ, მოდალურ და სხვა გრამატიკულ ინფორმაციას გადმოგვცემს. ესპანურ ენაში ის ჩვეულებრივ გადმოიცემა სიტყვათა დაბოლოებების ან მათი დამამთავრებელი ფორმატების დახმარებით. ასე წამოიჭრება სიტყვის იდენტურობის პრობლემა, ანუ პრობლემა ერთი და იმავე სიტყვის უცვლელობისა მისი ფორმის ცვალებადობისას სხვადასხვა შემთხვევაში.

სიტყვის იდენტურობა – ესაა მისი კვლავწარმოქმნის, განმეორების შესაძლებლობა ყველა მისი ფორმით მეტყველების უთვალავ აქტში ენის მატარებელთა ცნობიერებაში მტკიცედ დამკვიდრებული შინაარსის დაუკარგავად.[4]

ტერმინი ლექსემა, რომელიც აქტიურად გამოიყენება ლინგვისტურ ნაშრომებში, აღნიშნავს სიტყვას, რომელიც განიხილება როგორც ენის ლექსიკური შედგენილობის ერთეული მისი კონკრეტული გრამატიკული ფორმებისა და მათი გამომხატველი ფლექსიების, ასევე, შესაძლო აზრობრივი ვარიანტების ერთობლიობაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფლექსიურ ენებში ლექსემას წარმოადგენს სიტყვაფორმების მთელი სისტემა, სიტყვის გრამატიკული პარადიგმის ყველა

4 В. С. Виноградов. Лексикология испанского языка. М., 2003, с. 14

რეალიზაცია. ასეთ შემთხვევაში წინდებული en ან კავშირი pero წარმოადგენენ სიტყვებს და არა ლექსემებს, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ არავითარი სხვა ფორმები, არა აქვთ პარადიგმა. Trabajo და trabajas – ეს არის ორი სიტყვა, მაგრამ ერთი ლექსემა. Mujer და მოფერებითი mujercita – აგრეთვე ერთი ლექსემაა ორი სიტყვისა. მყარი შესიტყვება – niño mimado (ნებიერა, ყველასათვის საყვარელი) წარმოადგენს ორი სიტყვისაგან, უფრო ზუსტად კი ორივე ლექსემისაგან ნაწარმოებ ერთ ლექსემას, ვინაიდან ამ გამოთქმის ორივე კომპონენტი ინარჩუნებს მრავლობითში ხმარების შესაძლებლობას: niños mimados.

ტერმინი „ლექსემა" სხვაგვარადაც შეიძლება იქნეს გაგებული. ასე, მაგალითად, ფრანგი ფილოლოგის, მარტინეს ლინგვისტური შეხედულებების მიმდევრები ლექსემას უპირისპირებენ მორფემას, პრაქტიკულად აიგივებენ სიტყვის ძირის ცნებასთან და მთელ სიტყვაწარმომქმნელ ბუდედ მიიჩნევენ. სტრუქტურულ ლინგვისტიკაში ლექსემა შედის ისეთი ტერმინების ცნებით ნაერთში, როგორიცაა: გრამემა – gramema (გრამატიკული კატეგორიის ერთ-ერთი კომპონენტი) სემა – sema (მინიმალური ერთეული შინაარსობრივი თვალსაზრისით, სემემას კომპონენტი), სემემა – semema (სიტყვის ელემენტარული მნიშვნელობა; სხვანაირად: სიტყვის ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტი), ლექსია – lexía (ნებისმიერი კვლავწარმოებადი და არაორგანიზებადი ლექსიკური ერთეული მეტყველებაში) და ა. შ.

ესპანური ენის ტერიტორიულმა ვარიაციულობამ ხელი შეუწყო სიტყვის ფონეტიკური ვარიანტების წარმოქმნას. ლათინური ამერიკის ესპანურენოვან ქვეყნებში გავრცელებული მოვლენაა seseo, რომელიც პრაქტიკულად ფონეტიკურ „პანამერიკანიზმად" იქცა. მისი არსი მდგომარეობს წინაენისმიერი კბილთაშუა ნაპრალოვანი თანხმოვნის [θ] შეცვლაში წინაენისმიერი ალვეოლური ნაპრალოვანი თანხმოვნით [s]. ამ მოვლენამ ზოგადესპანურ

ენობრივ დონეზე წარმოშვა სიტყვათა ისეთი ვარიანტები, რომლებიც მხოლოდ ერთი ბგერის წარმოთქმით განირჩევიან: cero – [θero]/[sero], cerveza – [θerβeθa]/[serβesa], zumo – [θumo]/[sumo] და სხვ.

მეორე ფონეტიკურმა მოვლენამ yeísmo (შუაენისმიერი გვერდითი სონანტი [λ] – ასოითი გამოხატულებით ee – შუაენისმიერი ნაპრალოვანი სონანტით [Y] გავლენა მოახდინა სიტყვის ისეთი ფონეტიკური ვარიანტების წარმოქმნაზე, როგორიცაა llamar – [λamar]/ [yamar], caballo – [kaβaλo]/ [kaβayo], calle – [kaλe]/ [kaye], batalla – [bataλa]/ [bataya] და სხვ.

არგენტინის, ურუგვაისა და ზოგიერთი სხვა რეგიონისთვის დამახასიათებელია žeísmo – სიტყვებში გვერდითი შუაენისმიერი სონანტის [λ] ნაცვლად მჟღერი ნაპრალოვანი წინაენისმიერი ბგერის წარმოქმნა llamar – [žlamar]/ [yamar], caballo – [kaβaλo]/ [kaβayo], calle – [kaλe]/ [kaye] ect.

ესპანურ ენაში არის სიტყვები, რომლებიც ორი ფონეტიკურ-ორთოგრაფიული ვარიანტით არსებობენ და მხოლოდ მახვილით განსხვავდებიან. ესპანეთის აკადემია მათ ნორმის შესატყვისებად მიიჩნევს, თუმცა კი უპირატესობას იმ სიტყვებს ანიჭებს, რომლებიც ქვემოთ მოყვანილ მოკლე ჩამონათვალში მეორე რიგშია მითითებული:

Aloe – áloe
Alveólo – alveolo
Ambrisoa – ambrosía
Aerostato – aeróstato
Armoníaco – armoniaco
Atmosféra – atmósfera
Aureóla – aureola
Austríaco – austriaco
Beisbol – béisbol
Berber – bérber
Cardiáco – cardiaco
Celtibero – celtíbero
ciclope – cíclope
Chofer – Chófer
Maníaco – maniaco

პრინციპულად შესაძლებელია გამოიყოს წმინდა ორთოგრაფიული ვარიანტები, რომლებიც ჩვეულებრივ, ჩნდება ნასესხები სიტყვების დაწერისას. ასე, მაგალითად, ლათინური ანბანის ბოლო ასოს დასახელება შეიძლება დაიწეროს როგორც ceta, zeta და zeda; სიტყვა „ზენიტი" იწერება როგორც cenit და zenit; არსებობს სიტყვა „ბიფშტექსის" წერის სამი ვარიანტი: biftek, bifstek, beefsteak „სნობი" იწერება ორგვარად: როგორც snob, ისე esnob; „ვისკი" – wisky, qüisky.

სიტყვის მორფოლოგიური ვარიანტები წარმოიქმნება გრამატიკული ფორმების განსხვავებებით მათ მიერ ერთიანი გრამატიკული მნიშვნელობის შენარჩუნებისას. ასე მაგალითად, ზოგიერთ ლათინოამერიკულ რეგიონში გაჩნდა არსებითი სახელების გრამატიკული სქესის მიხედვით საპირისპირო ვარიანტები: columpio (საქანელა) – columpia, vuelta (ხურდა) – vuelto, porción (ნაწილი) – porción(m), sartén (ტაფა) – sartén(m), bombilla (ელექტრონათურა) – bombillo და სხვა.

მხოლობითი რიცხვის ლათინოამერიკული ვარიანტები გაუჩნდა guardacostas (სადარაჯო გემი) ტიპის რთულ სიტყვებს დამაბოლოებელი s-ის გაქრობის შედეგად: (el) paraguas – (el) paragua (საწვიმარი ქოლგა), (el) sacacorchos – (el) sacacorcho (საძრობელა, კორპსაძრობი); sacaclavos – el sacaclavo (ლურსმნის საძრობი) და ა. შ.

როგორც ჩანს, მორფოლოგიურ ვარიანტებს შეიძლება მივაკუთვნოთ არგენტინაში, ურუგვაიში, პარაგვაის უმეტეს ნაწილში გვატემალაში, ჰონდურასსა და სხვა ზონებში გავრცელებული ეგრეთ წოდებული voseo-ს (ნაცვალსახელი vos-ის გამოყენება tú-ს ნაცვლად). ზეგავლენით წარმოქმნილი ზმნების მხოლობითი რიცხვის მე-2 პირის ერთგვაროვანი ფორმები ვარიანტულ ფორმებად იქცნენ: cantás, – cantas, comes – comés, vives – vivís, cantes – cantés, comas – comàs, vivas – vivàs და ა. შ.

ყველაფერი ეს სიტყვის შემდეგი სამუშაო განსაზღვრის შეთავაზების საშუალებას იძლევა:

სიტყვა – ეს არის ენის ძირითადი დამოუკიდებელი ერთეული, რომელიც შეიცავს მასზე ტრადიციულად მიმაგრებული ლექსიკური მნიშვნელობების ნაკრებს და რომელიც გამოიყენება სინამდვილის ობიექტების ნომინაციის, აზრის ჩამოყალიბებისა და წინადადების შედგენილობაში შეტყობინებათა გადასაცემად.

3. ლექსიკური მნიშვნელობა და ცნება

ლექსიკურ მნიშვნელობას ხშირად აიგივებენ სიტყვის აზრობრივ შინაარსთან. ცხადია, ასეთი განსაზღვრა ძალიან ზოგადია, თუმცა კი პრინციპულად სწორი. ამ შინაარსის ბირთვს ცნება წარმოადგენს. ფილოსოფოსები და ლოგიკოსები ცნებას განმარტავენ, როგორც აზროვნების კატეგორიას, ობიექტური სინამდვილის საგანთა და მოვლენათა არსებითი ნიშან-თვისების განზოგადებაზე დაფუძნებულ სამყაროს ასახვის ფორმას. ცნება წარმოადგენს ცოდნის ერთეულს, აზრობრივი ინფორმაციის ერთეულს. მაგრამ ცნების მატერიალიზება და დამაგრება ხდება ენობრივ ფორმებში და, პირველ ყოვლისა, სიტყვათა მნიშვნელობებში. მისი შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ ენობრივი გამოხატვის საშუალებით.

ცნებასთან შედარებით სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა თავისი მოცულობით, ანუ შეფარდებითობით რეალური სინამდვილის ობიექტებთან, როგორც წესი, უფრო ვიწროა, შინაარსით კი – უფრო ფართო. აქედან გამომდინარეობს, რომ რამდენიმე სიტყვის მნიშვნელობებში შეიძლება დაფიქსირდეს ერთი და იგივე ცნება, ოღონდ ამ მნიშვნელობათაგან თითოეულს შეიძლება ჰქონდეს დამატებითი აზრობრივი და სტილისტური შეფერილობა. მაგალითად, სიტყვები mentira, embuste, falsedad araña, embeleco, paparrucha შეიცავენ ცნებას „ჭეშმარიტების შეგნებული დამახინჯება". მაგრამ თითოეული მოყვანილი ერთეულის ლექსიკურ მნიშვნელობას

თავისი დამატებითი სემანტიკური და ექსპრესიული ელფერი გააჩნია. თუკი mentira აღნიშნავს ჭეშმარიტების შეგნებულად დამახინჯებას, embuste – მხოლოდ სიცრუის თქმას, ტყუილების ლაპარაკს კი არ გამოხატავს, არამედ შესაცდენად გამიზნულ ქმედებასა და ქცევასაც; falsedad – ყველაფერს, რაც სიმართლეს, უტყუარობას მოკლებულია, ამასთან, ამ სიტყვას მწიგნობრული ელფერიც დაჰკრავს; arána ნიშნავს სიცრუეს, მოტყუებას რაიმე თაღლითობის ჩასადენად, embeleco – მზაკვრობას, უფრო ეშმაკობას, გაიძვერობას; დაბოლოს, paparrucha – ესაა უხეში, აშკარა ტყუილი, მხოლოდ დოყლაპიებისთვის რომ გამოდგება, ამასთან, თვითონ ეს სიტყვა უპირატესად სალაპარაკოა, თითქმის მდაბიურია (შდრ. ქართულ ენაში: სიცრუე, ტყუილი, ცრუპენტელობა და ა. შ.). ამგვარად, ცნება „ჭეშმარიტების შეგნებული დამახინჯება" სიტყვების – mentira, embuste, falsedad და ა. შ. საშუალებით შეესაბამება რეალური სამყაროს კონკრეტული ფაქტების, მოვლენების, ქმედებების უამრავ რაოდენობას, თითოეული ამ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა კი – ასეთი ფაქტებისა და მოვლენების ბევრად უფრო შეზღუდულ რაოდენობას. სამაგიეროდ, ლექსიკური მნიშვნელობის შინაარსი გაცილებით მოცულობითია, ვინაიდან მასში ცნების გარდა, დაფიქსირებულია დამატებითი ინფორმაცია, რომელიც აკონკრეტებს გამოსახატავ ცნებას და სიტყვის სტილისტურ, ემოციურ, სტილურ და სხვა მსგავს მახასიათებლებს გადმოსცემს. ეს დაზუსტებანი რა შედის თვით ცნებაში, თუმცა მნიშვნელობის საგრძნობლად დიდ ნაწილს შეადგენს. ამიტომაც ამბობენ, რომ სიტყვის მნიშვნელობა თავისი შინაარსით ფართოა ცნებაზე, მოცულობით კი – უფრო ვიწრო.

ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოება. მაგალითად, ისეთი სიტყვები, როგორებიცაა cara, faz, jeta (სახე, სიფათი) ადამიანის მიმართ ერთსა და იმავე ცნებას – თავის წინა მხარეს აღნიშნავენ, მაგრამ სიტყვა faz-ის მნიშვნელობა შეიცავს აგრეთვე ზეიმურობის ემოციურ-ექსპრესიულ, ხოლო jeta –

უგულებელყოფისა და ერთგვარი ვულგარულობისას. თვით ისეთ ჩვეულებრივ სიტყვებსაც კი, როგორებიცაა casa და edificio (სახლი, შენობა), რომლებიც აღნიშნავენ ცნებას „შენობა ცხოვრებისა და მუშაობისათვის", საკუთარი აზრობრივი შეფერილობა გააჩნიათ. Casa უპირატესად საცხოვრებელს, ხოლო edificio – საწარმოებს, დაწესებულებებს აღნიშნავს. როგორც ვხედავთ, ცნებები ნივთების, ქმედებების, თვისებებისა და მოვლენების მხოლოდ არსებით ნიშან-თვისებებს ასახავენ, მხოლოდ იმას, რაც მათ არსსა და ერთიანობას შეადგენს. ცნების ამოსავალი ნიშან-თვისებები შენარჩუნებულია ლექსიკურ მნიშვნელობებშიც, მაგრამ შეჯსებულია ნაკლებად არსებითი, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი, ადამიანის ცნობიერებით ჩამოყალიბებული და მის გრძნობებსა და ენასთან დაკავშირებული ნიშან-თვისებები.

ლექსიკური მნიშვნელობით აღნიშნული იქმნება იმ ცნების საფუძველზე ჩამოყალიბებული სიტყვის ინფორმაციული (აზრობრივი) შინაარსი, რომელიც ენის მატარებელთა ცნობიერებაში განზოგადებულად ასახავს გარკვეული კლასისა და განსხვავებული ემოციურ-ექსპრესიული, შეფასებითი და სხვა სემენტიკური შეფერილობის (კონოტაციების) მქონე ობიექტებს.

ლექსიკური მნიშვნელობა შეიძლება იყოს მოტივირებულიც და არამოტივირებულიც. ეს დამოკიდებულია სიტყვის ე. წ. შინაგან ფორმაზე, რომელსაც ჯერ კიდევ ვ. ჰუმბოლდტი განმარტავდა როგორც სიტყვის მნიშვნელობის წარდგენის ხერხს, ა. პოტებნია კი მას მნიშვნელობის ნიშანს უწოდებდა. გრამატიკული ფორმები და ურთიერთობები ენობრივი სისტემის ელემენტებს შორის განსაზღრავს იმ ზღვარს, რომელიც გამოყოფს, ერთი შეხედვით, თავისუფალ, ენობრივი ნიშნებით არამოტივირებულ სიტყვებს ისეთი სიტყვებისგან, რომელთა მნიშვნელობები მეტ-ნაკლებად მოტივირებულია.

ასე, მაგალითად, სიტყვები – mesa, sol, azul, oir, bosque და სხვ. არამოტივირებული ჩანან, ვინაიდან მათი ჟღერადობისა

და დაწერილობიდან გამომდინარე, არ შეიძლება აიხსნას, თუ რატომ არის mesa – მაგიდა, bosque კი – ტყე. ენის ისტორიული განვითარების პროცესში მათი „სემანტიკური დასაბუთება", რომელიც, როგორც ჩანს, ამ სიტყვების შექმნის მომენტში გასაგები იყო, დაიკარგა. სხვა საქმეა ისეთი სიტყვები, როგორიცაა meseta (ზეგანი), sobremesa (სუფრა), solar (მზიანი), azular (გალილავება, ლილაში ამოვლება), azulear (გაცისფრება, გალურჯება), oyente (მსმენელი), boscaje (უღრანი, ხშირი ტყე), boscajear (ტყის დახატვა), guardabosque (მეტყევე), gallina (მშიშარა), mosca (აბეზარა, წუწუნა), hazmerreír (ყველას სასაცილო, ტაკიმასხარა, სიტყვა-სიტყვით – „მაიძულე – მე ვიცინო"), correveidile (ჭორიკანა, ენატანია, დამსმენი; სიტყვა-სიტყვით – „გაიქეცი – ნახე და უთხარი – მას") და ა. შ. ყველა ამ სიტყვაში შენარჩუნებულია წარმოდგენა ნარმოქმნილი ცნების საფუძვლად გამოყენებული პირველადი ნიშან თვისების შესახებ. სიტყვათა ფუძეები, სუფიქსები და პრეფიქსები „მოლაპარაკეები" ხდებიან. მათ მიერ გადმოცემული აზრი ან სახე თითქოს განმარტავს, ნათელს ჰფენს სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას. ცხადია, ურთიერთობა შინაგან ფორმასა და ლექსიკურ მნიშვნელობას შორს არ იძლევა ამ უკანასკნელის ზუსტ ახსნას, შინაგან ფორმაში შენარჩუნებულია მხოლოდ გადაკრული მითითება (ხან გაუგებარი, ხანაც უფრო გასაგები) სიტყვის მნიშვნელობაზე.

სიტყვათა შინაგანი ფორმა ასახავს ენის ეროვნულ თავისებურებას. ეს ადვილი შესამჩნევია, თუკი შევადარებთ რამდენიმე სემანტიკურად ეკვივალენტურ ესპანურ და ქართულ სიტყვას, რომელთა წარმოშობისას ნომინაციის საფუძვლად აღებული იყო სხვადასხვა ნიშან-თვისება: avión (სიტყვიდან ave – ფრინველი) – თვითმფრინავი; invernadero (invierno – ზამთარი) – სათბური; gatallo (gata – კატა) – პატარა ძაღლი; tinta (tinta – საღებავი) – მელანი; girasol (girar და sol – ბრუნვა, ტრიალი და მზე) – მზესუმზირა; atasco – (atasco – დაბინძურება, დაცობა), embotellamiento (botella – ბოთლი) – საცობი (საავტო-

მობილო); vapor (vapor – ორთქლი) – ორთქმავალი და ა. შ. ხმაბაძვის საფუძველზე წარმოქმნილ სიტყვებში და თვით ხმაბაძვით სიტყვებშიც (onomatopeias) შინაგანი ფორმა ჩვეულებრივ არ თანხვდება: mugir – ღმუილი, gruñir – ღრუტუნი, maullar – კნავილი, graznar – ჩხავილი, balar – კიკინი, pit-pit (pita-pita, tita-tita) – ნიპ-ნიპ! ნია-ნია quiquiriqui, mis-mis – ფის-ფის და ა. შ.

სიტყვის „შინაგანი ფორმა", სიტყვის მნიშვნელობის ან ხმარების საფუძვლად აღებული ხატი შეიძლება გაირკვეს მხოლოდ იმ მატერიალური და სულიერი კულტურის, ენის იმ სისტემის ფონზე, რომლის კონტექსტშიც წარმოიქმნა და გარდაიქმნა მოცემული სიტყვა ან სიტყვათა შეხამება.

ხალხურ მეტყველებაში არის შემთხვევები სიტყვის არამოტივირებული შინაგანი ფორმის მცდარი გააზრებისა. ასეთი მოტივაციები სიტყვის ისტორიული განვითარების გაუთვალისწინებლად ფონეტიკური კანონების, გრამატიკულ კანონზომიერებათა და მნიშვნელობათა შეცვლის ხერხების არცოდნის გამო ხდება. ამ მოვლენას ხალხური ეტიმოლოგია (etimología popular) ეწოდება. ასე, მაგალითად, ენის ზოგიერთი მატარებლისათვის sandalias (სანდლები) გადაიქცა „andalias"-ად (სიტყვიდან andar – სიარული), სიტყვა lagartija (ხვლიკი) მოტივირებულია როგორც „largatija" (largo – გრძელი), melancolïa (მელანქოლია) აღიქმება როგორც melanconía (mal – ავადმყოფობა და encono – ბრაზი, ღვარძლი, ბოღმა), vagabundo (მაწანწალა, უსაქმური) გაიაზრებოდა როგორც „vagamundo" (vagar – ხეტიალი, წანწალი, უსაქმურობა და mundo – სამყარო, მიწა), ამასთან, vagamundo დროთა განმავლობაში შევიდა საერთო-სახალხო ენაში და vagabundo-ს სინონიმი გახდა. მწერლები ხშირად იყენებენ ხალხურ ეტიმოლოგიას, როგორც მხატვრული სიტყვაწარმოების ხერხს. მანუელ სეკო ხალხურ გარემოში ან საავტორო მეტყველებაში გავრცელებულ ყველა ამგვარ ეტიმოლოგიას განიხილავს, როგორც თანასწორს, თანაბარუფლებიანს. თუმცა ფორმალური ნიშნების მხრივ ის განასხვავებს ხალხური ეტიმოლოგიის ორ ტიპს:

შინაგანს და გარეგანს, პირველი მას ესმის, როგორც მოსაუბრისათვის გაუგებარი ფორმისა და მნიშვნელობის მქონე სიტყვების ისეთი ცვლილებები, რომლებსაც განაპირობებს აზრობრივი ასოციაციები იმავე ძირის სიტყვასთან, ანდა ისეთ სიტყვასთან, რომელიც იმავე აზრობრივ რიგს განეკუთვნება, მაგალითად, anticuario უფრო გასაგები antiguo-ს ზეგავლენით გადაიქცა antiguario-დ, la-trocinio კი ladrón-ის ზემოქმედებით გაიაზრება როგორც ladronicio. Manutención გახდა manutención სიტყვა mantener-ის გავლენით.

ხალხური ეტიმოლოგიის შინაგანი ტიპი წარმოიქმნება ეტიმოლოგიზებადი სიტყვის აზრობრივი შედარების გზით ნებისმიერ სხვა ფონეტიკურად მსგავს ლექსიკურ ერთეულთან, რომელიც ოკაზიონალურად შექმნილი სიტყვის შინაგანი ფორმის საფუძვლად იქცევა. მაგალითად, mercería შეეთანხმება merced-ს და იბადება mercedería. Meditabundo – mundo = meditamundo. Necrópolis – negro = néegrópolis.

ვითვალისწინებთ რა, რომ ენათმეცნიერებაში მიღებულია **ენის გაგება**, როგორც საზოგადოების ბუნებრივი საკომუნიკაციო სისტემისა, ხოლო **მეტყველება** გაიგივებულია ენის ფუნქციონირებასთან, **კომუნიკაციის პროცესთან**, საჭიროა განვასხვავოთ სიტყვის **ლექსიკური მნიშვნელობა** და სამეტყველო აქტისას გაჩენილი **სიტყვის აზრი**. მეტყველებაში სიტყვა ახდენს თავისი მნიშვნელობის კონკრეტიზებას, ავიწროებს მასში ჩადებულ ინფორმაციას კომუნიკაციას კომუნიკაციურ მინიმუმამდე. ჩვეულებრივ ეს მინიმუმი შეადგენს ერთ ლექსიკურ მნიშვნელობას და ერთ გრამატიკულ მნიშვნელობას. ამ სიტყვისთვის ნიშანდობლივია თითოეული გრამატიკული კატეგორია (მაგალითად, ზმნის პირიანი ფორმის რეალიზაციისას მითითებულია ერთი პირი, ერთი დრო, ერთი კილო, ერთი გვარი და ა. შ.). მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ინდივიდუალურ მეტყველებაში სიტყვას შეუძლია შეცვალოს მისთვის ენაში მიმაგრებული მნიშვნელობა და გადმოსცეს ინდივიდის მიერ გამოხატული

ახალი ინფორმაციული შეფერილობები, ვინაიდან სიტყვა ერთდროულად არის მოსაუბრის აზრის ნიშანი და ასევე იმ ყველა სხვა ფსიქიკური განცდის ნიშანიც, რომლებიც ურთიერთობის ამოცანასა და განზრახვას შეადგენენ.[5] ესაა სიტყვის გამოყენების სფერო – მნიშვნელობა მდგრადია და ათვისებულია ენის მატარებლების მიერ. ის ლექსიკოლოგიურ ცნებას წარმოადგენს. აზრი, რომელიც სიტყვამ შეიძლება შეიძინოს მეტყველებაში, სტილისტიკური ცნებაა.

4. პოლისემია და ლექსიკურ მნიშვნელობათა ტიპები

სიტყვაში ახალი აზრის გაჩენის მიზეზი ჩვეულებრივ ენობრივ სისტემაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ ექსტრალინგვისტური იმპულსში, მოსაუბრეთა მოთხოვნილებაში – სახელი დაარქვან ახალ ობიექტს ან აზრის თავისებურ შეფერილობას. თუმცა სიტყვის ახალი მნიშვნელობა არ შეიძლება წარმოიშვას სიტყვის უკვე არსებული მნიშვნელობათაგან ერთ-ერთზე დაყრდნობის გარეშე. იგი ჩნდება მისი განვითარების, სახეცვლილების შედეგად. ეს, როგორც წესი, ერთჯერადი აქტი კი არა, პროცესია და ზოგჯერ საკმაოდ ხანგრძლივიც.

პოლისემიის წარმოქმნაში არსებით როლს ასრულებს ადამიანის წარმოსახვა, ვინაიდან ახალი მნიშვნელობა იქმნება ძველის, უკვე არსებულის ხელახალი გააზრების, მეტაფორიზაციის გზით. სახელწოდება სინამდვილის ერთი ობიექტისა, რომელიც სახელდებას მოითხოვს, ამ უკანასკნელზე გადადის. ამგვარი გადატანითი ხმარება აღიბეჭდება სამეტყველო აქტებში, მასობრივ ხასიათს იძენს და საბოლოოდ ეგუება ენის ლექსიკურ-გრამატიკულ სისტემას. მეტყველების სფეროდან ხმარება გადადის ენის სფეროში და განიხილება როგორც ნე-

5 Manuel Seco. Arniches y el habla de Madrid. - p. p. 69-73.

ოლოგიზმი, თანდათანობითი სიახლის შეგრძნება ქრება და სიტყვის ეს მნიშვნელობა აღიქმება, როგორც ჩვეულებრივი.

მნიშვნელობათა სიმრავლე სიტყვებში წარმოიქმნა ისეთი ტროპების დახმარებით, როგორიცაა:

მეტაფორა (metáfora). როდესაც დასახელების გადატანა აზრის ერთი ობიექტიდან მეორეზე ხდება ამ ობიექტებს შორის რაიმე მსგავსების საფუძველზე. მსგავსება შეიძლება სრულიად განსხვავებული ხასიათის იყოს. ისინი იმდენად სხვადასხვაგვარია, რომ მათი სისტემატიზაცია დიდ სირთულეს წარმოადგენს. შეიძლება წარმოვადგინოთ მათი ყველაზე უფრო ზოგადი დაყოფა:

ნიშან-თვისებათა მსგავსება. ხატოვანი ასოციაციები, რომლებიც ახალი ნომინაციის საფუძველს ქმნიან, წარმოიქმნება შესადარებელი არსებების ფორმების, საგნებისა და მოვლენების, მათი გარეგანი მახასიათებლების, მათ მიერ დატოვებული შთაბეჭდილებების, მათი ადგილმდებარეობის, ჟღერადობისა და ა. შ. მსგავსების წყალობით. ასეთსავე ხატოვან საფუძველზე ხდება არაცოცხალი ბუნების სახელწოდებათა გადატანა ცოცხალი არსებების ხარისხზე, თვისებებსა და მოქმედებებზე და პირიქით. ამგვარი ასოციაციების დახმარებით წარმოიქმნა მნიშვნელობათა უამრავი რაოდენობა. ასე, მაგალითად, არსებით სახელს ala (ფრინველის ფრთა) გაუჩნდა მნიშვნელობები: ფარდული (შენობა), ფარფლი (შლაპის), ფრთა (თვითმფრინავის); pala-ს (ნიჩაბი) – ჩოგნის მნიშვნელობა; mesa-ს (მაგიდა) – პლატო, ზეგანი: sol-ს (მზე) – მზიანი მხარე და მზეთუნახავი; ზმნას poner (დადება) გაუჩნდა მნიშვნელობები: ჩართვა (რადიოსი და ა. შ.), ჩვენება, დადგმა (სპექტაკლებისა და ფილმებისა); empolvarse-ს (დამტვერიანება, მტვრით დაფარვა) – პუდრის წასმის მნიშვნელობა; meter-ს (ჩადება, მოთავსება) – ჩაჭედვა, ჩახრახნა (ლურსმნისა, ჭანჭიკისა და ა. შ.), მოთავსება. ჩადება (ფულისა), მოწყობა (სამსახურში); ზედსართავს claro (ნათელი, ღია ფერისა) – იშვიათი, მეჩხერი (ტყის შესახებ),

სუსტი, თხიერი წყალ-წყალა (სასმელი), ხოლო verde-ს (მწვანე) – მოუმწიფებელი, უმწიფარი, ნორჩი, გამოუცდელი, ნედლი (შეშა, მერქანი) და ა. შ.

ემოციური ხასიათის მსგავსება. ამგვარი სემანტიკური თანხვედრები ეფუძნება ემოციურ რეაქციებსა და შესადარებელი საგნებისა და მოვლენების ექსპრესიულ შეფასებას. ემოციურ-შეფასებითი წარმოდგენები თან სდევდა შაკიკსა და კოჭრის მნიშვნელობათა გაჩენას სიტყვაში clavo (ლურსმანი); გასწორება, გამართვა (ხელნაწერისა) არსებით სახელში castigo (სასჯელი, წვალება), ყოვლისმცოდნე – licenciado-ში (ლიცენციატი); ავადმყოფი, უბედური ზედსართავში cautivo (ტყვე); დიდებული, საუცხოო – formidable-ში (საშინელი, შემზარავი); პლაგირება, ზმნაში fusilar (დახვრეტა) და სხვ.

ფუნქციათა მსგავსება. ამ მსგავსების საფუძველზე განვითარდა მნიშვნელობები: „ხორთუმი" არსებითი სახელისა mano (ხელი); „ჩამოსაწევი" (ცეცხლსასროლი იარაღის დეტალი) disparador-ისა (მსროლელი); „ფეხი" (ავეჯისა) სიტყვისა pata (თათი, ცხოველის ფეხი); „თანამგზავრი" (პლანეტისა) – luna-სი (მთვარე); „დღის სინათლის ნათურა" sol-ისა; „ხელმძღვანელი, მეთაური, უფროსი" – cabe/a-სი (თავი); „დირიჟორობა" dirigir (ხელმძღვანელობა, მართვა); „მფარველობა" ayudar-ისა (დახმარება); „გაჩანაგება" – destruir-ისა (განადგურება, დანგრევა); მიღება (სხვისი იდეებისა და ა. შ.) – prohijar-ისა (შვილად აყვანა) და სხვ.

მეტონიმია (metonimia), როდესაც სახელწოდების გადატანა ხდება მომიჯნავეობის, მოსაზღვრეობის საფუძველზე, ანუ სივრცობრივი, დროითი, მიზეზ-შედეგობრივი ან რაიმე სხვა ხასიათის კავშირის საფუძველზე შესადარებელ ობიექტებს შორის. იგი შეიძლება ეფუძნებოდეს ფორმისა და შინაარსის, მასალისა და მისგან დამზადებული ნაკეთობის, მოქმედებისა და მისი შედეგის, შემოქმედისა და მისი ნაწარმოების, ნაწილისა და მთელის, მთელისა და ნაწილის კავშირს, მნიშვნე-

ლოაბთა შევიწროებასა და გაფართოებას და ა. შ. ამასთან, მთელისა და ნაწილისა და პირიქით კავშირზე დაფუძნებულ მეტონიმიას აქვს საკუთარი სახელწოდება **სინეკდოხა** (sinécdoque). მეტონიმიური გადატანის გზით სიტყვას café (ყავის ხის მარცვლები) გაუჩნდა მნიშვნელობები – „სასმელი" და „კაფე"; არსებით სახელს mate (პარაგვაიული ჩაი) – მნიშვნელობები: „ამ სახეობის ჩაის დასაყენებელი მასალა" და „მატეს დასალევი ჭურჭელი" compra-ს (ყიდვა, შეძენა, როგორც პროცესი) – „შენაძენი, როგორც ნაყიდი ნივთი", lienzo-ს (ტილო) – „სურათის" მნიშვნელობა; canto-ს (მღერა) – „სიმღერისა"; casa-ს (სახლი) – „კერის, ოჯახისა"; cabeza-ს (თავი) – „პირუტყვის სულადობის, თავის" მნიშვნელობა; ზმნას comer (ჭამა) – „სადილობის" მნიშვნელობა და ა. შ.

პოლისემია ენის დონეზე არსებობს, სიტყვას უკავშირდება მნიშვნელობათა ის ნაკრები, რომელიც ამა თუ იმ მოცულობით ფიქსირდება ენის მატარებელთა მეხსიერებაში. მეტყველებაში კი ჩვეულებრივ რეალიზდება მოსაუბრის აზრის გამოსახატად აუცილებელი სიტყვის მხოლოდ ერთი მნიშვნელობა. **პოლისემიას ანეიტრალებს კონტექსტი და სიტუაცია.** მრავალმნიშვნელოვანი სიტყვა ერთმნიშვნელოვანი ხდება, რაც უზრუნველყოფს მოსაუბრეთა ურთიერთგაგებას.

საჭიროა განვასხვავოთ პოლისემიის მოვლენა **ევრისემიისაგან**, ანუ სიტყვების, პირველყოვლისა, არსებითი სახელების ისეთი მნიშვნელობების არსებობა, რომლებიც სემანტიკური რეფერენციის განსაკუთრებული სიფართოვით, სხვა სიტყვებით – აზრის სრულიად განსხვავებულ ობიექტებთან მიმართების უნარით გამორჩეულ ცნებებს გამოხატავენ. ფართო მნიშვნელობები ხასიათდება ცნებითი მოცულობის ტევადობითა და კონკრეტული შინაარსის სივიწროვით, შეზღუდულობით. საუბარია ისეთ სიტყვებზე, როგორიცაა cosa, caso, chisme, cacharro, trasto და სხვა. მათ გააჩნიათ ფართო მნიშვნელობები (შესაბამისად – ნივ-

თი, შემთხვევა, ხარახურა, ძველმანი, ნაყარნუყარი), რომლებიც ენობრივ დონეზე ვერ იძლევიან ობიექტის ზუსტ დასახელებას. მაგრამ მეტყველებაში ის სიტყვები, რომლებიც ამ ნიშვნელობების რეალიზაციას ახდგენენ, ავიწროებენ თავინთი ცნებით „ყოვლისმომცველობას" და მიუთითებენ კონკრეტულ საგანზე, მოვლენაზე, ფაქტზე. ისინი ქმნიან შუალედურ სფეროს ნომინაციურ და დეიქტურ ნიშნებს შორის. თუკი ზოგადი მნიშვნელობის მქონე სიტყვები შეეფარდება ერთი სახეობის, სქესის ან კლასის საგნებს (árbol – abedul, pino, sauce, roble, abeto, serbal, manzano, naranjo, peral, limonero და ა. შ.), ფართო მნიშვნელობის მქონე მქონე სიტყვები მეტყველებაში მიუთითებენ სინამდვილის სრულიად განსხვავებულ ისეთ ობიექტებზე, რომლებიც სხვადასხვა ცნებით კლასებსა და ტიპებს მიეკუთვნებიან. ამაში მჟღავნდება მათი დეიქტური ბუნება, რომელიც უმეტეს შემთხვევაში უპირატესია. მაგალითად, არსებითი სახელი cosa შეიძლება აღნიშნავდეს პრაქტიკულად ნებისმიერ საგანს ან მოვლენას. ფრაზაში Pon cada cosa en su sitio (M. Moliner) კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად სიტყვა cosa შეიძლება შეეფარდებოდეს წიგნს, მაგიდას, ფანქარს, პერანგს, ჩაქუჩს და ა. შ. წინადადებაში Eso es una cosa de la que no quiero acordarme (M.Moliner) სიტყვა cosa შეიძლება წარმოადგენდეს ნებისმიერი მოვლენის: ჭექა-ქუხილის, ქორწილის, ომის, ტყვეობის, მფრინავი თეფშის, გამოცდების, მოხსენების, შეხვედრის, ნაცნობობისა და ა. შ. რეფერენტს. შდრ.: Este vestido negro es una cosa para ti (A. Liaglesia); Burlarse del adversario es cosa fea (R. Ferlosio Sánche).

სიტყვა caso მეტყველებაში შეიძლება აღნიშნავდეს პრაქტიკულად ნებისმიერ სიტუაციას, ნებისმიერ გარემოებას: puedes obrar en cada caso como te parezca más conveniente (M. Moliner En ciertos casos lo mejor es callarse (M.Moliner). მოყვანილ მაგალითებში შეუძლებელია ყველა იმ რეალური შემთხვევის, სიტუაციის, გარემოების ჩამოთვლა, რომელთა კონკრეტიზე-

ბაც შესაძლებელი იქნებოდა სიტყვით caso. შდრ.: ...el caso es que estoy casado (M. Delibes); Aunque vengas tarde el caso es que vengas (D. Delibes).[6]

ისეთი ლექსიკური ერთეულების ფართო მნიშვნელობებს, როგორიცაა casa ან caso არ გააჩნია ექსპრესიული კონოტაციები, ისინი ნეიტრალურები არიან. თუმცა ფართო მნიშვნელობის მქონე სიტყვათა უმეტესობა სტილისტიკურად შეფერილია და დამახასიათებელი სალაპარაკო ენისათვის. ისინი არა მარტო მიუთითებენ ამა თუ იმ საგანსა ან მოვლენაზე, არამედ გარკვეულწილად აფასებენ კიდეც მათ. მაგალითად, არსებითი სახელი chisme ჩვეულებრივ ცვლის მცირე მოცულობის საგნების, საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებისა და ა. შ. სახელწოდებებს და იმავდროულად გამოხატავს ამ ობიექტების სახუმარო-ირონიულ შეფასებას მოსაუბრის მიერ (ქართული „რამერუმეს" მსგავსად), ასეთივე მოდალური ელფერი აქვს სიტყვას chirimbolo, რომელიც აღნიშნავს რაიმე ვეებას, რთულად მოწყობილს, ანდა cacharro-ს, რომელიც ნებისმიერი ცუდად მომუშავე მექანიზმის, შეუსაბამო ნაგებობის, გადაადგილების მოძველებული საშუალების აღსანიშნავად გამოიყენება (შდრ. ქართ. ბეხრეკი, ძველმანი...), ირონიული შეფერილობა აქვთ სიტყვებს: jaleo, bulla, რომლებიც უაზრო, აბსურდულ სიტუაციებსა და ყოველგვარ საჯახირო, უაზრო მოქმედებების აღსანიშნავად გამოიყენება (ქართულში მათ შეიძლება შეესაბამებოდეს ისეთი ერთეულები, როგორიცაა: „გაუგებრობა", „ალიაქოთი", აყალმაყალი" და სხვ.).

პოლისემანტიკურ სიტყვაში ყველა მნიშვნელობა რომ ერთგვაროვანი და ერთი ტიპისა. მათ საკუთარი ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებები, დროითა და ხასიათით განსხვავებული წარმოშობის გზები, თავიანთი სპეციფიკა გააჩნიათ ენის მატარებელთა მიერ მათი შეთვისებისას.

---

6 Ларионова М. В. К вопросу функционировании существительных cosa, caso – История и современное состояние Иберо-романских языков. с. 3-11.

არსებობს ლექსიკური მნიშვნელობების რამდენიმე ტიპი, რომლებიც კლასიფიკაციის სხვადასხვა პრინციპების საფუძველზე განისაზღვრა.

თავისუფალი და ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობები. ამასთან პირველთა ფუნქციონირება, პირველ ყოვლისა, განპირობებულია სამყაროში საგნებს „მოვლენებს", ქმედებებსა და ა. შ. შორის არსებული რეალური ურთიერთობებით. ამგვარ მნიშვნელობათა კავშირებს მეტყველებაში ზღუდავს თვითონ სინამდვილე. ამ მნიშვნელობათა გამოყენების წრე თითქმის ყოველთვის შეესაბამება თვით ნამდვილი სამყაროს საგანთა, პროცესთა და მოვლენათა კავშირებსა და ურთიერთობებს. მაგალითად, თავისი ძირითადი მნიშვნელობით ზმნა andar (სიარული, სვლა) გამოხატავს სიარულის უნარის მქონე ნებისმიერი არსებისათვის დამახასიათებელ ქმედებას. ამიტომ პრედიკატის – andar შემთხვევაში სუბიექტად შეიძლება გამოვიდეს როგორც hormiga (ჭიანჭველა), ისე hombre (ადამიანი), grajo (ჭილყვავი), caballo (ცხენი), oso (დათვი), pavo real (ფარშავანგი) და ა. შ. ზედსართავმა სახელმა verde (მწვანე) კი, მაგალითად, შეიძლება განსაზღვროს ნებისმიერი არსებითი სახელი, რომელიც აღნიშნავს მწვანე შეფერილობის ობიექტს. მოკლედ თუ ვიტყვით, ზმნის andar და ზედსართავის verde სამეტყველო კავშირების ძირითადი შემზღუდველი მათი თავისუფალი მნიშვნელობების ენის საზღვრებს გარეთ მოიაზრება. სწორედ ამიტომ ეწოდათ ასეთ მნიშვნელობებს თავისუფალი. ბუნებრივია, რომ მათ რეალიზება, როგორც წესი, უხდებათ თავისუფალ (ცვლად) შესიტყვებებში, რა თქმა უნდა, შესიტყვებადობის ყველა იმ წესის დაცვით, რომლებიც თვით ენის მიერ არის დადგენილი.

თუმცა სიტყვებს გააჩნიათ ისეთი მნიშვნელობებიც, რომელთა სემანტიკური შეწყობის საზღვრებს ადგენს თვით ენა და არა რეალური სინამდვილე. მხედველობაში გვაქვს ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობები. მათ

მთავარ თავისებურებას წარმოადგენს მეტყველებაში ენობრივი ტრადიციებით გამაგრებულ გარკვეულ სიტყვებთან შეხამების უნარი, მათთან ერთად აზრობრივად მჭიდროდ შეკრული ისეთი გამოთქმა წარმოქმნისას, რომელიც ერთიან, თუმცა კი დანაწევრებად ცნებას გამოხატავს. მნიშვნელობათა ასეთი ტიპი სინამდვილეს ასახავს უკვე გაშუალებულად, ე. ი. სიტყვათა ისტორიულად დამკვიდრებულ ჯგუფებთან კავშირის გზით. ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობა – ესაა სიტყვის აზრობრივი და ფუნქციური მნიშვნელობა, რომელიც შეიძლება ვლინდებოდეს და გამოიყენებოდეს ურთიერთობის მიზნით ტრადიციულ, ისტორიულად დადგენილ კონტექსტებში, ანუ გარკვეულ სიტყვათა შეერთების პირობით. ასეთ კონტექსტებს ფრაზეოლოგიური შესიტყვებები ეწოდება. მაგალითად, ზმნის dar (რაიმე გრძნობის ჩანერგვა, გამოწვევა) ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობა რეალიზდება შესიტყვებებში dar miedo, espanto, susto და სხვ.

Andaba por las calles con su espada y rodela antigua y daba miedo de verle (B, Pérez Galdós)	ის დადიოდა ქუჩებში მახვილითა და ძველებური ფარით, შიში გიპყრობდათ მისი დანახვისას.
Pues si Doña Perfecta no se atreve a ordenar que se den sustos al ingeniero, yo tampoco (B. Pérez Galdós)	რა თქმა უნდა, თუკი დონა პერფექტა ვერ გადაწყვეტს უბრძანოს, რომ ინჟინერს შიში აჭამონ, მაშინ მეც ვერ გავბედავ.

Otros. se escaparon y andaban riendo por los claustros riendo, bailando y haciendo mil gestos que daban espanto (B. Pérez Galdós)

სხვებმა გადარჩენა შეძლეს და ისინი მიუყვებოდნენ დერეფანს სიცილ-კისკისით, ცეკვა-ცეკვით, მათი მანჭვა-გრეხა შიშის ზარს სცემდა ყველას.

ზმნას poner აქვს ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობა „რაიმე მდგომარეობაში ჩაყენება" შეხამებაში poner en olvido (დავიწყება), poner en duda (ეჭვქვეშ დაყენება, დაეჭვება), poner en práctica (განხორციელება), poner en marcha (მსვლელობის მიცემა), poner en libertad (გათავისუფლება) და სხვ.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, „ფრაზეოლოგიურად დაკავშირებულ მნიშვნელობას არ გააჩნია ღრმა და მდგრადი ცნებითი ცენტრი. საერთო საგნობრივ-ლოგიკური ბირთვი. მასში არ ვლინდება ისე რელიეფურად, როგორც თავისუფალი მნიშვნელობისას. იგი (მნიშვნელობა) არ გამომდინარეობს ამ სიტყვის მიმართებიდან რეალურ სინამდვილესთან. ამგვარი მნიშვნელობა „გაფანტულია". ის მიდრეკილია ცალკეულ ფრაზეოლოგიურ შესატყვისებთან დაკავშირებულ მთელ რიგ შეფერილობებად დანაწევრებისაკენ.[7]

ფრაზეოლოგიურად დაკავშირებულ მნიშვნელობას შეიძლება დაემატოს კონსტრუქციული განპირობებულობა, ანუ მისი რეალიზება ხდებოდეს მხოლოდ გარკვეულ სინტაქსურ კონსტრუქციებში. მაგალითად, ზმნები echar და romper ახდენენ ფრაზეოლოგიურად დაკავშირებულ მნიშვნელობების აქტუალიზაციას: „უეცრად, მოულოდნელად რაიმე მოქმედების დაწყება" არა მარტო ინფინიტივების შეზღუდული რაოდენობისას, არამედ მოცემულ ზმნურ კონსტრუქციაშიც

7 Виноградов В. В. Основные типы лексических знаний слова// Вопросы языкознания. 1953, №5, с. 12.

„echar, romper + a + inf.". კონსტრუქციული განპირობებულობა, რომელიც უპირატესად ზმნებს ეხება, მათ ფრაზეოლოგიურად დაკავშირებულ მნიშვნელობებს გრამატიკალიზების ნიშანს სძენს. ასეთი მნიშვნელობები უახლოვდება ნახევრადდამხმარე ზმნების მნიშვნელობებს. კონსტრუქციული განპირობებულობა შეიძლება ახასიათებდეს სხვა სახის მნიშვნელობებსაც. ეს განსაკუთრებული მოვლენაა, რომელიც სპეციალურ ანალიზს მოითხოვს.

პირდაპირი ან ძირითადი ნომინაციური მნიშვნელობები და მეორადი, ანუ გადატანითი მნიშვნელობები ჩვეულებრივ გამოიყოფა ლექსიკური მნიშვნელობების დაყოფისას მათი დამოკიდებულების მიხედვით სინამდვილის აღმნიშვნელი ობიექტებისა და პოლისემანტიკური სიტყვის შიგნით ურთიერთკავშირების მიმართ.

პირდაპირი მნიშვნელობები თითქოსდა უშუალოდაა მიმართული სინამდვილის კონკრეტულ ფაქტებზე, ნომინაციის ობიექტზე.

სიტყვის ძირითადი ნომინაციური მნიშვნელობა, აკადემიკოს ვ. ვ. ვინოგრადოვის განსაზღვრებით, – ესაა „საყრდენი და საზოგადოებრივად გაცნობიერებული ფუნდამენტი მისი ყველა სხვა მნიშვნელობებისა და გამოყენებისათვის".[8]

გადატანითი მნიშვნელობები მეორადია. ისინი მომდინარეობს უშუალოდ ძირითადი მნიშვნელობებიდან, ისინი უფრო სპეციალიზებული და ვიწროა, ვიდრე ძირითადი მნიშვნელობა. ზემოთ მოყვანილი ესპანური სიტყვების წარმოებული მნიშვნელობები იქნება:

mesa – საკვები, კვება; პრეზიდიუმი; პლატო, ზეგანი და სხვ.

rayo – ელვა; ჩხირი (ბორბალში); გაქნილი, გაიძვერა, კვაჭი; მწვავე ტკივილი და სხვ.

rojo – წითური (თმის ფერი); ქერა, მემარცხენე (პოლიტიკური შეხედულებების მხრივ) და სხვ.

---

8 Виноградов В. В. Указ. соч , с. 24

aquí – აქეთ; მაშინ (აქ); aquí no se pudo decir nada – აქ მან უკვე ვეღარაფრის თქმა ვერ შეძლო; aquí está la dificultad – არის მთელი სირთულე.

გადატანითი მნიშვნელობები გამოხატავს ურთიერთკავშირთა რეალურ სიმდიდრეს ჩვენი სამყაროს შემადგენელი მატერიის უმრავალფეროვანეს ფორმებს შორის. მოვლენათა, პროცესთა, საგანთა, მათ თვისებათა და თავისებურებათა მსგავსება, ასევე მიზანშეწონილი სწრაფვა არსებული ენობრივი მასალით დაკმაყოფილებისაკენ, ანუ ძველი ფორმით ახალი შინაარსის გადმოცემისაკენ – ყველაფერი ეს სიტყვების გადატანითი მნიშვნელობებით გამოყენებისა და ამის საფუძველზე წარმოებული მნიშვნელობების შექმნის საშუალებას იძლევა.

კონკრეტული, აბსტრაქტული, ექსპრესიულ-ემოციური და ტერმინოლოგიური (მეცნიერული მნიშვნელობები)

კონკრეტული მნიშვნელობები შეეფარდება მატერიალური სამყაროს რეალურად არსებული ცალკეული ნივთებისა და მოვლენების მრავალფეროვნებას. Hombre, cosa, árbol, pino, perro, azul, rojo, nadar, gritar, etc. – ეს ის სიტყვებია, რომელთა ძირითადი ნომინაციური მნიშვნელობები კონკრეტულია. მათ შეიძლება ნივთობრივებიც ეწოდოს, თუკი ნივთი გაგებული იქნება როგორც ნებისმიერი მატერიალური ხარისხობრივად განსაზღვრული და შედარებით დამოუკიდებელი მთლიანობა, იქნება ეს კონკრეტული საგანი, მოვლენა, თვისება, მოქმედება თუ მდგომარეობა.

აბსტრაქტული მნიშვნელობები გამოხატავს სინამდვილის იდეალურ (ანუ აზრობრივ, სულიერ, ფსიქოლოგიურ) ობიექტებთან შეფარდებულ განყენებულ ცნებებს. ასეთი მნიშვნელობის მქონე სიტყვები ახდენენ აზროვნების „პროდუქტთა" სახელდებას, სახელს არქმევენ შემეცნების შედეგებს, რომლებიც ადამიანის ცნობიერების აბსტრაჰირებადი საქმიანობის წყალობით არის მიღებული. აბსტრაქტულებია, მაგალითად, პირდაპირი ნომინაციური მნიშვნე-

ლობები სიტყვებისა: hermosura, bondad, astucia, catcgoría, mentalidad, malicioso, constante, lógico, natural, curiosear, generalizar, existir, ser, ocasionar, etc.

ექსპრესიულ-ემოციური მნიშვნელობები დაკავშირებულია ადამიანის გრძნობებისა და განცდების სფეროსთან და გამოხატავს სხვადასხვა ობიექტისა და მოვლენის ემოციურად შეფერილ ცნებებსა და ემოციურ ელფერს. უფრო ხშირად ემოციურ-ექსპრესიული მნიშვნელობები, თუკი მათ წინა კლასიფიკაციებს შევუდარებთ, წარმოებულ და ფრაზეოლოგიურად დაკავშირებულ მნიშვნელობათა ტიპს განეკუთვნებიან. შდრ. მაგალითად:

rayo – გაიძვერა, გაქნილი, კვაჭი ← ელვა;

ratonera – ხუხულა, პატარა ოთახი ← სათაგური, ხაფანგი;

pirata – ბოროტმოქმედი, ყაჩაღი ← პირატი;

pastel – დომხალი, არეულობა ← ღვეზელი, ნამცხვარი;

espichar – ჩაძაღლება, გადაჭრძობა ← გახვრეტა, გაფატვრა;

zampar – ჩახეთქვა, შესანსვლა ← სასწრაფოდ დამალვა, მიჩქმალვა, ჩატენა;

raspar – მოპარვა, აწაპნა ← გამოფხეკა, გამოწმენდა;

doblar – მოღუნვა, გატეხა სასოწარკვეთით, დარდით ← მოღუნვა მოდრეკა, მოხრა;

tragar – მოთმენა, ჩაყლაპვა, წყენის გადატანა ← ყლაპვა, ჩაყლაპვა;

bestial – საშინელი, საზარელი ← ცხოველური, მხეცური;

formidable – შესანიშნავი, საუცხოო ← საშინელი, საზარელი და ა. შ.

ადრე განხილული მნიშვნელობები ისეთი სიტყვისა, როგორიცაა pavo (დონდლო, ზოზინა), canela (ლამაზმანი) ანდა topo (დოყლაპია, უნდილი) ასევე უნდა მივაკუთვნოთ ემოციურ-ექსპრესიულს და თან შევნიშნოთ, რომ ამგვარ დასახელებებში უმეტეს შემთხვევაში შეიმჩნევა შეფასებითი ასიმეტრია უარყოფითი შეფასების მიმართულებით.

თუმცა ყველა ექსპრესიულ-ემოციური მნიშვნელობა არ არის წარმოებული და არ განეკუთვნება პოლისემანტიკური სიტყვების ჯგუფს. არსებობს სიტყვები, რომელთათვისაც ეს მნიშვნელობები მთავარია, და შესაძლოა, ერთადერთიც. მაგალითად, ზმნას jamar მხოლოდ ერთი მნიშვნელობა აქვს – ხეთქა – „ჭამის" მნიშვნელობით, ხოლო არსებით სახელს mamarón – დაუპატიჟებელი სტუმარი, ზმნისათვის palmar წამყვანი მნიშვნელობაა მოღუნვა, მოკაკვა ანუ „ჩაკვდომა", „სიკვდილი".

ტერმინოლოგიური (მეცნიერული) ლექსიკური მნიშვნელობები დამახასიათებელია ტერმინებისათვის, ანუ ისეთი სიტყვებისათვის, რომლებიც ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების კანონზომიერებათა შესახებ ცოდნის სპეციალურ სფეროებს განეკუთვნებიან. თითოეულს ამ სფეროთაგან ტერმინთა ისეთი საკუთარი, ჩამოყალიბებული სისტემა აქვს, რომელთა გააზრება მხოლოდ ამავე სისტემაშია შესაძლებელი.

ტერმინოლოგიური შეიძლება ძირითადი ნომინაციური მნიშვნელობები იყოს, როდესაც ტერმინი ჩნდება როგორც ახალი სპეციალურად შექმნილი სიტყვა. მაგალითისათვის ავიღოთ რამდენიმე გეოფიზიკური ტერმინი, რომელიც ტერმინოლოგიურ ბუდეებს ქმნის: espectroscopia (სპექტროსკოპია), espectroscópico (სპექტროსკოპური), espectrometría (სპექტრომეტრია), espectrofotometría (სპექტროფოტომეტრია), espectrofotometrico (სპექტროფოტომეტრული), espectrografía (სპექტროგრაფია), espectrgráfico (სპექტროგრაფიული) და სხვ. ამავე ბუდეს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე ე. წ. ნომენკლატურული დასახელებები, რომლებიც, „სამეცნიერო ცნებებისა და კატეგორიების აღმნიშვნელი „წმინდა" ტერმინებისაგან განსხვავებით, მოცემული მეცნიერების, ხელსაწყოების, ინსტრუმენტების და სხვა სპეციალური საგნების მატერიალური ობიექტების სახელწოდებებს წარმოადგენენ: espectrograma (სპექტროგრამა), espectroheliógrafo (სპექტროჰელიოგრაფი),

espectrohelioscopio (სპექტროჰელიოსკოპი), espectrobolómeto (სპექტრობოლომეტრი) და სხვ. კიდევ მაგალითი: absorbencia, absorción (აბსორბცია, შეწოვა), absorbente (შემწოვი), absorbible (აბსორბირებადი, შეწოვადი), absorber (აბსორბირება, შეწოვა), absorbedor (აბსორმენტი, შთანმთქმელი) და სხვ. თანამედროვე ენაში, მაგალითად, ზმნა absorber „შეწოვის"; „შთანთქმის" მნიშვნელობით ჩვეულებრივ მეტყველებაშიც გვხვდება. ეს ადასტურებს იმას, რომ ტერმინოლოგიური მნიშვნელობები გამარტივებისას შეიძლება გასცდნენ თავის ტერმინოსფეროს და წერილობითი და ზეპირი ურთიერთობის ლექსიკონი შეავსოს.

ტერმინოლოგიური მნიშვნელობა შეიძლება იყოს აგრეთვე ჩვეულებრივ პოლისემანტიკური სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობა. მაგალითად, rebeldía – სასამართლოში გამოცხადებისათვის თავის არიდება (იურ.), acción – სარჩელის უფლება (იურ.), aire – რიტმი, ტემპი (მუს.), campo – ველი (ფიზ.), capacidad – 1. ტევადობა (ელექტრ.), 2. უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა (იურ.), aspecto – ასპექტი, სახეობა (ლინგვ.), difusivo, difuso – დიფუზიური (ფიზ.), aceptar – აქცეპტაცია, გადასახდელად მიღება (კომ.), centellar – სცინტიდაცია, ციმციმი (ასტრონომ.) და სხვ.

5. საკუთარ სახელთა ადგილი ონომასტიკურ არეალში

საკუთარი სახელი არ გამოხატავს აზროვნების საგანთა რომელიმე კლასის ნიშან-თვისებებსა და მახასიათებლებს, ის მხოლოდ მიუთითებს ინდივიდუალურ ობიექტზე. ამასთან, საკუთარი სახელის ერთ-ერთ მთავარ თვისებას წარმოადგენს მისი ფუნქცია, რომლის არსი ინდივიდუალური ობიექტის მარკირებაა.[9]

9 Суперанская А. В. Общая теория имсни собственного. М., 1973, с. 324

აზრთა სხვადასხვაობასა და კამათს იწვევს საკუთარ სახელთა ცნებითი შინაარსის საკითხი. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ საკუთარი სახელები არავითარ ცნებას არ გამოხატავენ და ისინი სემანტიკურად დაცლილები არიან. სხვები მიიჩნევენ, რომ საკუთარი სახელი ვანოს ან ხუანის ტიპისა შეეფარდება ცნებათა განსაკუთრებულ სახეობას, რომელთაც იმთავითვე არ გააჩნიათ შინაარსის საკმარისი მოცულობა და ამიტომ მოითხოვენ აუცილებელ დაკონკრეტებას მეტყველებაში. მართლაც, თუკი მე უბრალოდ წარმოვთქვამ სიტყვებს – „ვანო" ან „ხუან", ვერავინ მიხვდება, თუ რომელ კონკრეტულ ვანოზე ან ხუანზეა ლაპარაკი, მაგრამ ყველა გაიგებს, რომ ეს არის ორი საკუთარი სახელი, ქართული და ესპანური, თანაც მამაკაცის სახელები და არა ქალისა. ასეთი სახელები აღნიშნავენ ობიექტთა ძალიან დიდი მასის მხოლოდ და მხოლოდ ყველაზე ზოგად ნიშნებს. ისინი დაცულები არიან ენაში სპეციალური დანიშნულების მზა ნომინაციური ერთეულების სახით. ამგვარად, უკვე ენის დონეზე Juan, Pedro, María, Mariínez, González და ა. შ. ტიპის სახელებს გააჩნიათ ამ სახელებისა და მათი ეროვნული კუთვნილების ფუნქციით ჩამოყალიბებული თავიანთი განზოგადებული ცნებითი მნიშვნელობა, ხოლო როდესაც პირის სახელწოდება მიემაგრება გარკვეულ ინდივიდს, მაშინ ის აფართოებს სემანტიკურ ინფორმაციას მათ მიერ დასახელებული პირის შინაარსისა და მახასიათებლების ხარჯზე. ამიტომ ლოგიკური თვალსაზრისით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ საკუთარ სახელებს გამოსახატავი ცნების მოცულობა უფრო ფართო აქვთ ენის დონეზე და გაცილებით ვიწრო – მეტყველების დონეზე, სადაც ის ერთი ინდივიდის დონემდეა დაყვანილი, ხოლო ცნების შინაარსი უფრო ფართოა მეტყველების დონეზე და გაცილებით ვიწრო – ენის დონეზე.

სხვა საკითხია საკუთარი სახელები: Mar negro, Sierra Nevada, Buenos Aires, La Paz (ბოლივიის დედაქალაქი), Asunción (პარაგვაის დედაქალაქი) და ა. შ. ეს სახელწოდებები არ არის

აღებული სიტყვათა იმ განსაკუთრებული რეესტრიდან, რომელსაც საკუთარი სახელები განეკუთვნება. ისინი არ არსებობდნენ ენაში, როგორც საკუთარი სახელები მათი შექმნის მომენტამდე, ყალიბდებოდნენ ჩვეულებრივი საზოგადო სიტყვებიდან. ამიტომ ამგვარ საკუთარ სახელთა ცნებით შინაარსს მთლიანად განსაზღვრავს ის ინდივიდუალური ობიექტი, რომელსაც ისინი ასახელებენ.

საკუთარი სახელი ყოველთვის რეალიაა, ვინაიდან შეეფარდება კონკრეტულ ინდივიდუალურ ობიექტს და თითქოსდა ახდენს მის ინვენტარიზაციას, ამაგრებს მასზე პირობით იარლიყს. იგი ახდენს თავისთავად ერთადერთი და განუმეორებელი ობიექტების სახელდებას და საკუთარ თავში შეიცავს ინფორმაციას მის მიერ აღნიშნული ობიექტის ლოკალური და ეროვნული კუთვნილების შესახებ.

ონომასტიკაში სრულიად განსხვავებული მეთოდების საშუალებით განიხილება საკუთარი სახელების ტიპები და სახეები, მათი გრამატიკული სტრუქტურა და სემანტიკა, სოციალური და იურიდიული სტატუსი, ონომასტიკური სივრცე, ეტიმოლოგია, ექსპრესიული შესაძლებლობები, გამოყენებითი ონომასტიკური პრობლემა და ა. შ. ონომასტიკა დაკავშირებულია მრავალ მეცნიერულ დისციპლინასთან – ისტორიასთან, არქეოლოგიასთან, ეთნოგრაფიასთან, გეოგრაფიასთან, ლიტერატურისმცოდნეობასთან, ქვეყანათმცოდნეობასთან და სხვ.

თავიანთი ფუნქციური და სიტყვანარმოებითი თავისებურებების მიხედვით საკუთარი სახელები მეტად მრავალფეროვანი და მრავალგვარია. პირველ ყოვლისა გამოირჩევა საკუთარი სახელების ორი ტიპი: ცოცხალ არსებათა სახელები და უსულო საგანთა სახელწოდებები.

ცოცხალ არსებათა სახელების ძირითადი ჯგუფია ანთროპონიმები (antropónimos), სახელები, გვარები, მამის სახელები, ფსევდონიმები და მეტსახელები (თიკუნები). მეორე ჯგუფს შეადგენენ ზოონიმები (zoónimos), ცხოველებისა და

ფრინველების სახელები და ა. შ. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მითონიმებს (mitónimos) – ღმერთების, მითოლოგიური არსებების, ალეგორიული ფიგურებისა და ა. შ. სახელებს, ანუ ადამიანის ფანტაზიით გასულიერებულ ობიექტებს.

ქართული ენისაგან განსხვავებით ესპანურ ანთპროპონიმიკაში არ არის მამის სახელები. სრული ესპანური ანთროპონიმი შედგება სახელისა (ან ორი სახელისაგან) და ორი გვარისაგან, მეორე ელემენტები ასრულებენ დამატებით მაინდივიდუალიზებელ ფუნქციებს, პირველი გვარი სრულ ანთროპონიმში შეესაბამება მამის გვარს, მეორე კი – დედისას. თუ მამის გვარია López Salinas, ხოლო დედისა – García Pavón, მათი შვილების გვარი იქნება López García, სრულად სახელი და გვარი გამოიყენება ოფიციალურ მეტყველებასა და იურიდიულ დოკუმენტებში, ჩვეულებრივ გარემოში საკმარისია პირველი გვარის წარმოთქმა. არსებობს აგრეთვე რთული და შედგენილი გვარები. რთული გვარი, ჩვეულებრივ ჩნდება მაშინ, როდესაც ესპანელი მშობლების პირველ ორ გვარს უმატებენ მამის მეორე გვარს, ზოგჯერ დედისასაც. ჩვენ მიერ მითითებული გვარი López García შეიძლება გახდეს López Salinas. ასეთი რამ ხდება ოჯახური ტრადიციებისა და საკუთარი გვარის წარჩინებულობის ხაზგასმის სურვილით. თანამედროვე ესპანეთში ასეთი გვარების ოფიციალური რეგისტრირება არ ხდება. გათხოვილი ქალი არ იცვლის თავის გვარს, მაგრამ შეუძლია თავის პირველ გვარს მიუმატოს ქმრის პირველი გვარი წინდებულით de. ჩვენს მაგალითში სენიორა García Pavón შეიძლება იწოდებოდეს, როგორც García de López. ესეც არაოფიციალური, არადოკუმენტური გვარი იქნება.

შედგენილი გვარები უფრო ხშირად ნაშვილებ ბავშვებს აქვთ. თუკი, მაგალითად, Suárez Aranda იშვილა წყვილმა – Juan Velázquez Salinas-მა და María Rodrigez Azuela-მ, Suárez Aranda Rodríguez ანდა Suárez-Velázquez Aranda Rodrígez. ამგვარ გვარებში გამოიყენება დეფისი ღვიძლი მამის და მამობილის

პირველ გვარებსა და ღვიძლი დედისა და დედობილის პირველ გვარებს შორის.

მამაკაცისა და ქალის სახელები განსხვავდება: გრამატიკული სქესით: Juan – Juana, Paulo – Paula, Ramón – Ramona, Valentin – Valentina, Alejandro – Alejandra, Benedicto – Benedicta, Carmelo – Carmela, Claudio – Claudia, Manuel – Manuela, Adrían— Adriana, Florián – Floriana, Inocente – Inocentea, León – Leona, Melchor – Melchora, etc., Hugo, Rolando, Santiago, Virgilio, Ortebio, Lucano, Guido, Gustavo და სხვ. მამაკაცის სახელებია; Elsa, Ana, Cora, Aurora, Rita, Estela, Sofía, Olga, Olema, Dalia და სხვ. – ქალის სახელები.

არსებობს რიგი გვარებისა, რომელთა სქესის გრამატიკული მაჩვენებელი საპირისპიროა სახელდებული პირის ბიოლოგიური სქესისა: Agripa, Agrícola, Alba, Aguila, Bachila, Fonsa, Tugla, Galba, Numa, Sica და სხვ. – მამაკაცის სახელებია; Consuelo, Safo, Teano, Clío – ქალთა სახელები.

ზოგიერთი საკუთარი სახელი შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც მამაკაცს, ისე ქალსაც: Dulce, Flor, Pilar, Nieves, Sacramento, Ventura და სხვ.

ყველა ეს სახელი მარტივია.

მამაკაცის რთული ანთროპონიმები შეიძლება სხვადასხვა სახისა იყოს: Juan Carlos, Juan Manuel, José Antonio, Pedro Pablo, Carlos Manuel, Francisco José (მათ შეიძლება რთული ორმაგი სახელები ეწოდოს); Antonia María, Alejandro María, Jesús María, Juan María, Juan Marta, José Ana, José del Carmen, José de la Merced და სხვ. (ისინი შეიძლება ჩაითვალოს რთულ ჰიბრიდულ საკუთარ სახელებად, ვინაიდან მათში მამაკაცის სახელი გაერთიანებულია ქალის სახელთან, ხოლო მთლიანად კონსტრუქცია არსებითად მამაკაცის სახელს წარმოადგენს).

ქალებთან უპირატესობა ენიჭება მდედრობითი სქესის ორი სახელისაგან შემდგარ რთულ ანთროპონიმებს: Cándida María, Cándida Rosa, Ana Luisa, María Dolores, María Elena, María

Josefa და სხვ. თუმცა გვხვდება ჰიბრიდული წარმონაქმნებიც: Isabel de Jesús, María de los Santos, María de Jesús და სხვ.

ესპანურში, ისევე როგორც სხვა ევროპულ ენებში, საკუთარ სახელებს შეიძლება ჰქონდეს სრული და შემოკლებული ფორმები, რომლებიც ხშირად საკმაოდ განსხვავდებიან ჟღერადობითა და დაწერილობით. ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი მოკლე სახელის (hipocorísticos) ჩამონათვალი:

Pepe = José; Lola = Folores; Paco, Pancho, Cosco = Francisco; Cris, Cristi = Cristina; Cefe = Ceferino; Susi = Susans; Reme = Remedios; Nuri = Nuria; Merche = Mercedes; Isa = Isabel; Pili = Pilar; Montse = Montserrat; Bartolo = bartolomé; Casi = Casimiro; Teo = Teófilo; Lina = Adelina; Chelo = Consuelo; Lupe = Guadalupe; Tono, Toni = Antonio; Lali = Eulalia; Nacho = Ignacio; Moncho = Ramón და სხვ.

უსულო საგანთა სახელწოდებებს შორის, პირველ ყოვლისა, გამოირჩევა გეოგრაფიული სახელწოდებები, ანუ **ტოპონიმები (tóponimos)**. ა. ვ. სუპერანსკაია ამტკიცებს, რომ მიუხედავად ტოპონიმთა უამრავი რაოდენობისა, „მთელი მათი მრავალფეროვნების დაყვანა შეიძლება ტიპების შედარებით მცირე რიცხვამდე". მთებისა და ზეგნების დასახელებები გაერთიანებულია **ორონიმების (orónimos)** ჯგუფში. მდინარეების, ტბების, ზღვების, ოკეანეებისა და სხვა აკვატორიების სახელწოდებები მიეკუთვნება **ჰიდრონიმებს (hidrónimos)**, რომელთა დეტალიზება ხდება მათი დანაწილებით **ჰელაგონიმებად (pelagónimos)**, ანუ ოკეანეებისა და ზღვების დასახელება; **ლიმნონიმებად (limnónimos)** – ტბების სახელწოდებები; **პოტამონიმები (potamónimos)** – მდინარეთა სახელწოდებები; **ჰელონიმები (helónimos)** – ჭაობებისა და ჭანჭრობების სახელები; გამოიყოფა სახელწოდებათა ზოგიერთი სხვა ჯგუფიც.

ლანდშაფტის ბუნებრივი ფორმების გარდა, არსებობს ადამიანის საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალი გეოობიექტი, მაგალითად, დასახლებული პუნქტები. მათი სა-

ხელწოდებები გაერთიანებულია **ოიკონიმების (oicónimos)** კლასში, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება დანაწევრდეს შედარებით უფრო შეზღუდულ ჯგუფებად: **ასტიონიმებად (astiónimos)** – ქალაქების, **ხორიონიმებად** ან **კომონიმებად (jorónimos o comónimos)** – სასოფლო დაბებისა და ოლქების სახელწოდებები.

ონომასტიკის სხვა ნაწილები შეისწავლის **ფიტონიმებს (fitónimos)**, ანუ მცენარეთა სახელწოდებებს; **ასტროტოპონიმებს (astrotopónimos)** – სხვა სიტყვებით, ციურ სხეულთა სახელწოდებებს.

როგორც ვხედავთ, ონომასტიკა წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის სახელთა უზარმაზარი მოცულობის ერთობლიობას, რომელიც ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს უკავშირდება. ყველგან, სადაც საჭიროა იდენტიფიკაციის ანდა ინდივიდუალიზაციის გამოყოფა, ადამიანი იყენებს საკუთარ სახელებს, როგორც ობიექტის გამორჩევის ყველაზე მოსახერხებელ საშუალებას... საკუთარი სახელების გამოყენება ზოგადად უნივერსალურია.[10]

ესპანურენოვანი არეალის ტოპონიმიკა უაღრესად მდიდარია, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს **ლათინოამერიკული ტოპონიმიკური კომპლექსი**. მასში შედის ინდიელთა სხვადასხვა ენიდან ნასესხები დასახელებების მნიშვნელოვანი რაოდენობა; სწორედ მას გამოვიყენებთ მაგალითების წყაროდ ტოპონიმთა ძირითადი თავისებურებების ილუსტრაციისთვის.

ტოპონიმებს არ გააჩნიათ სპეციალური ლექსიკური შრე. ნებისმიერი ტოპონიმიკური დასახელება ნაწარმოებია საზოგადო არსებითი სახელისაგან ანდა ნასესხებია საკუთარი სახელებისაგან. ეს ჩვეულებრივ არის წმინდანთა, ისტორიულ პიროვნებათა, საზოგადო მოღვაწეთა სახელები და სხვა რეგიონებში ადრე უკვე გამოყენებული გეოგრაფიული სახელწოდებები.

---

10 Суперанская А. В. Общая теория имени собственного. Указ. соч., с. 324

რაც შეეხება ტოპონიმთა საფუძვლად აღებულ საზოგადო სახელებს, მათ შორის, პირველ ყოვლისა, გამოირჩევა გეოგრაფიული მნიშვნელობის მქონე სიტყვები. „სიტყვათა ამ კატეგორიას ტოპონიმიკურ ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, უწოდებენ გეოგრაფიულ ტერმინებს, ზოგჯერ ადგილობრივ გეოგრაფიულ ტერმინებს, ადრე უწოდებდნენ ნომენკლატურულ ტერმინებს, ახლა კი უფრო ხშირად – ნომენებს. ეს სიტყვები, ჩვეულებრივ, გამოირჩევა დანარჩენი ტოპონიმიკური ლექსიკიდან, ანუ მათ ტოპონიმიკურ სისტემას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. თავისი სემანტიკური თავისებურებების გამო საზოგადო ლექსიკის ეს კატეგორია ტოპონიმიკურ სახელთა ამოუწურავ არსენალს წარმოადგენს".[11]

ი. პ. ლიტვინი, რომელმაც დეტალურად გამოიკვლია ლათინური ამერიკის ტოპონიმიკური ლექსიკა, წერს იმის შესახებ, რომ აურაცხელია Cerro de Pasco-ს, Montelíbano-ს, Barrancabermeja-ს, Santa Cruz de la Sierra-ს, Río de Janeiro-ს ტიპის დასახლებული პუნქტების სახელწოდებები, სადაც cerro, monte, barranca, sierra, río არსებითად გეოგრაფიული ტერმინებია, რომლებიც ტოპონიმების ნაწილად იქცნენ. ასეთი მოვლენა გვხვდება ბუნებრივი ობიექტების სახელწოდებებშიც: Lagunas sin Fondo (არგენტინაში), Hermoso Campo (დაბლობი არგენტინაში), Bierra de Valle Féstil de Gádiz (ქედი არგენტინაში). მათში გეოგრაფიული ტერმინები laguna, campo, valle საკუთარი სახელის საფუძველს ან ელემენტს წარმოადგენენ.

გეოგრაფილი ტერმინები „ტოპონიმიაში გამოიყენება მათი პირდაპირი დანიშნულებითაც. ისინი ერთვიან ბუნებრივი ობიექტების დასახელებებს და მიუთითებენ დასახელებული ობიექტის სქესზე ან სახეობაზე, ანუ ტოპონიმების მიმართებაზე რეალური სამყაროს გარკვეულ რეფერენტებთან. ისინი „აბამენ" სახელწოდებას ამა თუ იმ ობიექტს

11 Литвин И. П. Словарь топонимической лексики Латинской Америки. М., 1983, с. 5

და, ამასთან, ფორმალურად არ შედიან საკუთარი სახელის შედგენილობაში". მაგალითად, bahía de Buenavista, cayo de Buenavista, cerro de Buenavista, salto Nucuima, salto de Soroa, río Paraná და სხვ.

ტოპონიმების შემქმნელი მეორე შრის ლექსიკა უაღრესად მრავალფეროვანია:

– ლექსიკა, რომელიც გამოხატავს ობიექტების ხარისხობრივ, ემოციურ და რაოდენობრივ შეფასებას ან მათ ადგილმდებარეობას: ibahia Inútil, isla Redonda, punta Gorda, lago Agrio, laguna Superior, cordillera Frontal, punta del Este, chaco Boreal, islas Trece, río Segundo, cerro de la Gorra de Nieve;

– ლექსიკა, დაკავშირებული რელიგიასა და საეკლესიო ატრიბუტიკასთან: Santa Fe, Santa Cruz, La Virgen, El Ave María, La Santísima Trinidad, Asunción, Ascención (ქალაქების სახელწოდებებია).

– ლექსიკა, რომელიც ასახავს ლათინოამერიკელ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას: La Libertad, Independencia, Constitución, Fraternidad, Democracia, Nueva Constitución, Victoria და სხვ. (ქალაქთა სახელწოდებებია);

– ლექსიკა, რომელიც ადამიანის გრძნობებსა და სულიერ მდგომარეობას გამოხატავს: Tristeza, Soledad, Delicias, Socorro, Destino, Alegría, Buenaventura, Tranquilidad და სხვ. (ესენიც დასახლებული პუნქტების სახელწოდებებია).

ცხადია, ეს ცნებითი ჯგუფები არ ამოწურავენ ტოპონიმიკურ სახელთა შედგენილობაში შემავალ ლექსიკას. აუცილებელია ამ ჩამონათვალის შევსება ინდიელთა ლექსიკაზე მითითებით, რომელიც ლათინოამერიკულ ტოპონიმიკას განსაკუთრებულ თავისებურებას სძენს. „ინდიელთა ენების ლექსიკა ტოპონიმთა წარმოებაში არანაკლებად და, შესაძლოა, უფრო მეტადაც პროდუქტიულია, ვიდრე ესპანურ-პორტუგალიური; საზოგადო სახელთა ეს ჯგუფი ტოპონიმთა უზარმაზარი რაოდენობის შედგენილობაში შედის. აბორიგენული გეოგრაფიული ტოპონიმების

უმეტესობამ ვერ შეინარჩუნა თავისი აპელაციური გამოყენება და ამჟამად გამოიყოფა მხოლოდ როგორც საკუთარ სახელთა ელემენტი".[12]

ი. პ. ლიტვინი ასეთი ლექსიკის რამდენიმე სემანტიკურ ჯგუფს გამოყოფს:

– ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, ესაა შემფასებელი ლექსიკა.

ტოპონიმების შედგენილობაში შედის ზედსართავები Cajá (კეჩუა – ცივი), Challa (აიმარა – ქვიშიანი), Quiac (კიჩე – წითელი), Quimsa (კეჩუა, აიმარა – სამი), Pisca (კეჩუა – მეხუთე), Guaçu (ტუპი – გუარანი – დიდი) და ა. შ. მაგალითად, Cerro Cajá (გვატემალაში), río Challasuyu (ბოლივიაში), río Iguazú (არგენტინაში) და ა. შ.

– ფლორისა და ფაუნის სახეობათა სახელწოდებები, რომლებიც აღნიშნავენ, მაგალითად, დასახლებულ პუნქტებს Amatepec (Haya – ხის სახეობა), Abancay (კეჩუა – შროშანი), Bejucal (მაია – ლიანები), Curitiba (ტუპი – გუარანი – ფიჭვი), Jacaré, Jacaretinga (ტუპი – ნიანმი), Tehuantepec (ნაუა – გარეულ ცხოველთა საერთო სახელწოდება) და სხვ.

– რელიგიურ რწმენებსა და საკულტო წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული სახელწოდებები. მაგალითებად ისევ იოკონიმები გამოდგება: Coatepec (სიტყვიდან – coa – ფრთოსანი გველი, რომლის კულტი დამახასიათებელია მექსიკისა და ცენტრალური ამერიკის ინდიელებისათვის), Teotzacoalco (სიტყვიდან teotl – ღმერთი, ღვთაება ნაუას ენაზე), Quetzaltenango (სიტყვიდან quetzal – წმინდა ფრინველი ცენტრალური ამერიკის ინდიელებისა), Ayahauaca, Humahuaca (სიტყვიდან huaca, huanca – აკლდამა, წმინდა ქვა, ტოტემი ინკებთან), Quellupacheta (სიტყვიდან apacheta – ქვების რიტუალური გროვა), Apurímac (კეჩუანურიდან apu – კეთილი სულების სახელწოდება) და. ა. შ.

---

12 აქ და შემდეგ მაგალითები მოყვანილია დასახელებული ლექსიკონიდან. გვ. 13

– ეთნიკური ჯგუფებისა და ტომების სახელწოდებები მრავალი ტოპონიმის საფუძვლად იქცა, მათ შორის ისეთი ოიკონიმებისათვის, როგორებიცაა: xochimilco, zacatecas, siboney, nahuatlán, el quiche, choluteca, guajira, caracas, el tupí და სხვ.

– ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ამსახველი ლექსიკა. მის საფუძველზე აღმოცენდა, მაგალითად, სახელწოდებები დასახლებული პუნქტებისა – Sicabé, Texolbé (სიტყვიდან be – გზა კიჩეს ენაზე), Chimaltenango (სიტყვიდან chimal; ფარი ნაუას ენაზე), Michoacán (michi – თევზი ნაუას ენაზე), Las Chacritas (chacra – დამუშავებული მიწა კეჩუას ენაზე), Las Pircas (pilca, pirca – ქვის ღობე კეჩუას ენაზე), Rucanelo (სიტყვიდან ruca – სახლი, საცხოვრებელი არაუკანურ ენაზე) და ა. შ.

ცხადია, ამ შემთხვევაში მითითებულია აბორიგენთა ენებიდან ნასესხები მხოლოდ ყველაზე გავრცელებული ტოპოფუძეები. საკუთრივ ესპანური და ინდიელთა ენების ტოპოფუძეთა შედარებისას ადვილად შესამჩნევია, რომ მათ არაერთი სემანტიკური თანხვედრა აქვთ, თუმცა არის ერთი არსებითი განსხვავებაც: ბევრი ესპანური ტოპოფუძე გამოხატავს აბსტრაქტულ და მემორიალურ ცნებებს, ხოლო აბორიგენული სახელწოდებები უპირატესად საგნობრივი მნიშვნელობის სიტყვებთან არიან დაკავშირებული.

განხილული ტოპონიმები ადასტურებენ, რომ მათი წარმოქმნის ძირითად წყაროს საზოგადო სახელები წარმოადგენენ. მეორე მხრივ, არაერთი საზოგადო სახელი უნდა უმადლოდეს თავის წარმოშობას საკუთარ სახელებს. ტოპონიმებიდან წარმოიქმნა სიტყვები avellana (ტყის თხილი) – იტალიის პროვინცია Campania-ში მდებარე თავისი თხილნარებით განთქმული დაბის – abella-ს დასახელებიდან; campana (ზარი) – აღნიშნული იტალიური პროვინციის დასახელებიდან, სადაც მაღალი ხარისხის ბრინჯაოს აწარმოებდნენ; corbata (ჰალსტუხი) სიტყვიდან Croacia (ხორვატია), – ხორვატი კავალერისტები აბრეშუმის ყელსახვევებს ატარებდნენ, cobre

(სპილენძი) – ბერძნულიდან Kýpros – კუნძულ კვიპროსის სახელწოდებიდან, სადაც სპილენძის დიდი საბადოები იყო; faro (შუქურა) – თავისი შუქურით განთქმული კუნძულის Pharos-ის სახელწოდებიდან; palacio (სასახლე) – რომში არსებული ბორცვის Monle Palatio de Roma-ს სახელწოდებიდან, სადაც მდებარეობდა კეისართა მდიდრული სასახლე; academia (აკადემია, სკოლა, კურსები) – სიტყვა მომდინარეობს ბერძნული Akad meia-დან – იმ ბაღის სახელწოდებიდან, სადაც პლატონი სწავლობდა; cheviot (შევიოტი) – იმ შოტლანდიური დაბის სახელწოდებიდან, სადაც ამ სახის შალის ქსოვილს აწარმოებდნენ და ა. შ.

საკუთარი სახელები ისეთი საზოგადო სახელების ფუძეებად იქცა, როგორიცაა cereal (მარცვლეულისა, პურისა) – მიწათმოქმედთა მფარველი ქალღმერთი Ceres-ის სახელიდან მომდინარე ზედსართავი; magnolia (მაგნოლია) – ფრანგი ბოტანიკოსის მანოლის პატივსაცემად; batista (ბატისტი) – სიტყვიდან Baptiste, ამ ქსოვილის დამამზადებელი პირველი ფაბრიკანტის სახელიდან; pánico – ტყის სულის – პანის სახელიდან; níquél – გერმანულიდან Nikel – მთის ღვთაების სახელი სკანდინავიის ქვეყნებში და სხვ.

ესპანურ ენაში არის სიტყვები, რომლებიც მომდინარეობს ესპანელი მოქალაქეების სახელებიდან: ჰალვის, შერბეთის ან ნუგას მსგავს ცნობილ ესპანურ საშობაო ტკბილეულს ეწოდება turrone (იტალიელი კონდიტერის ტურონის (Turrón) სახელის მიხედვით). „პენსნეს" ესპანურად ეწოდება quevedos სახელგანთქმული Quevedo-ს სახელის გამო, რომელიც ასეთ სათვალეს ატარებდა. ესპანელმა გენერალმა Antonio Ros de Olano-მ „გამოიგონა" თავსამკაული „კივერი", „კასკეტი", რომელსაც ros-ს უწოდებენ, ხოლო სიტყვა simón (ნაქირავები ეტლი, ფიაკრი, მეეტლე) მომდინარეობს მეეტლე სიმონ გონსალესის (Simón González) სახელიდან, რომელმაც ჯერ კიდევ XVII საუკუნეში მიიღო მეფისაგან ეტლებისა და ცხენების გაქირავების უფლება.

ურთიერთგადასვლები საკუთარი სახელებისა საზოგადოში და პირიქით ფართოდაა გავრცელებული ყველა ენაში.

6. ლექსიკის იდეოგრაფიული დაყოფა და სისტემატიზაცია ესპანურ ენაში

აზრობრივი ლექსიკური ურთიერთკავშირების შესასწავლად ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს სემანტიკური ან ლექსიკური ველის ცნებას.[13]

სემანტიკური ველი აღნიშნავს საერთო ინვარიანტული ცნებით (მნიშვნელობით) გაერთიანებული კონკრეტული ენის ლექსიკური ერთეულების ერთობლიობას.

ასეთ ველში აისახება ჩვენი სამყაროს გარკვეული „მონაკვეთი" და საკმაოდ რელიეფურად წარმოჩნდება ლექსიკური ერთეულების აზრობრივი თავისებურებები. განმაზოგადებელ ცნებას (სემანტიკურ უნიფიკატორს) ანდა ველის სახელწოდებას მკვლევრები განსაზღვრავენ პრაგმატული და მეცნიერული მიზნების მიხედვით. ისევ დგება საკითხი ტერმინოლოგიის შესახებ. თანამედროვე ლინგვისტიკაში იხმარება რამდენიმე სინონიმური ტერმინი: ასოციაციური, ლექსიკური, ცნებითი და სემანტიკური ველები. მათ შორის აღინიშნება ერთგვარი აზრობრივი სხვაობები. დამხმარე სახელმძღვანელოში ბოლო სამი ტერმინი იხმარება პრაქტიკულად როგორც სინონიმები. ველს სხვა სახელსაც უწოდებენ: არქილექსემა, საკვანძო სიტყვა, ველის ცნებითი ბირთვი, დეკომპოზიტი და სხვ. მოცულობით უფრო დიდმა ველმა შეიძლება გააერთიანოს რამდენიმე მიკროველი. ასე, მაგალითად, მაკროველი Alimentación (კვება), რომელშიც შედის სახელწოდებები: კვების პროდუქტებისა (pan, carne, leche, salmón, manzana, zanahoria და სხვ.), კერძებისა (sopa, olla, asado, biftec, guisado, tortilla და სხვ.), სასმელებისა (agua, té, vino, jugo,

13 Виноградов В. С. Лексикология испанского языка. М., 2003, с. 50

gaseosa და სხვ.), სუფრის ჭურჭლისა (tenedor, cuchillo, vaso, taza და სხვ.), ჭამასთან დაკავშირებული მოქმედებებისა (comer, beber, tomar, desayunar, cenar, probar, masticar, almorzar, digerir და სხვ.) და ა. შ. შეიძლება დანაწევრდეს უფრო ვიწრო ცნებითი ნიშნების მქონე მინიველებად. მაგალითად, გამოიყოს bebidas (სასმელები): agua, vino, cerveza, sidra, jugo, zumo, licor, gaseosa, vodka, crema და სხვ. მათ შორის კი გამოცალკევდეს ჯგუფი bebidas, alcohólicas, vino, cerveza, champaña, sangría, vodka, orujo, aguardiente, coñac, guarapo და bebidas inalcohólicas (gaseosa, limonada, horchata, chocolate, café, té, mate, zumo, naranjada, sorbete და სხვ.).

ხულიო კასარესის იდეოგრაფიულ ლექსიკონში Alimentación-ის მაკროველში გამოყოფილია კიდევ 58 საკვანძო სიტყვა, რომელთა გარშემოც ჯგუფდება საკუთარი მიკროველები.

ლექსიკური ველები წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ სემანტიკურ სიერცეებს, ქმნიან მატერიალური და სულიერი ყოფიერების ობიექტებს შორის არსებულ, რეალურ ურთიერთდამოკიდებულებათა და საერთო ნიშნებით განპირობებული ლექსიკური ერთეულების ცნებით კავშირურთიერთობათა რთულ, განტოტებულ სისტემას. „ლექსიკონის ერთადერთი დანაწევრება სემანტიკურ ველებად... არ არსებობს, ნებისმიერი სემანტიკური ველიდან, გამაშუალებელი რგოლების მეტ-ნაკლებად გრძელი ჯაჭვის გავლით, შეიძლება მოხვედრა ნებისმიერ სხვა ველში, ასე რომ, ენის სემანტიკური სივრცე ამ თვალსაზრისით ხშირად უწყვეტი ხდება".[14] ამით აიხსნება ერთი სიტყვის უნარი, თავისი ერთი მნიშვნელობით შევიდეს განსხვავებული სემანტიკური იერარქიის რამდენიმე ლექსიკურ ველში. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ სიტყვები პოლისემანტიკურია და ამიტომ თავიანთი სხვადასხვა მნიშვნელობებით ისინი შეიძლება

14 Апресян Ю. Д. Лексическая семантика. М.. 1974, с. 251-252

მოთავსდნენ ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ ცნებით ველებში.

სემანტიკური ველი თავის შედარებით ერთიანობასა და მთლიანობას ინარჩუნებს, პირველ ყოვლისა, იმის წყალობით, რომ მასში შემავალი სიტყვების მნიშვნელობებს გააჩნიათ რაიმე ცნებითი სამაგრი, საერთო სემანტიკური კომპონენტი. ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ასეთ უნიფაქტორებს წარმოადგენდა შეფარდებითობა კვებისა და სმის იდეასთან, თუმცა ველის ერთიანობას ხელს უწყობენ აგრეთვე შიდაენობრივი ურთიერთობები, სინონიმური, ანტონიმური და სხვა კორელაციები. მათ შორის ეგრეთწოდებული ჰიპონიმური (hiponímico) და ჰიპერონიმური (hiperonímico) კავშირები. სწორედ ისინი აღმოჩდებიან სისტემური (პარადიგმატული) ურთიერთობების ერთ-ერთ ძირითად ტიპად სემანტიკურ ველში. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ესაა სახეობრივ-გვარეობრივი და გვარეობრივ-სახეობრივი ურთიერთობები სიტყვათა მნიშვნელობებს შორის, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ნებისმიერი სემანტიკური ველის ფორმირებაში.

ჰიპონიმებს (hipónimo) უწოდებენ სიტყვებს, რომლებიც გამოხატავენ სახეობრივ ცნებებს ჰიპერონიმის (hiperónimo), ანუ გვარეობრივი ცნების გამომხატველი სიტყვის მიმართ.

Pino, abeto, abedul, roble, encina, alcornoque, serbal, manzano, peral და სხვ. – ყველა ეს სიტყვა ჰიპონიმია ჰიპერონიმ árbol-ის მიმართ. რა თქმა უნდა, შეპირისპირების ცნებითი დონის მიხედვით სიტყვა, რომელიც წარმოადგენს ჰიპერონიმს რომელიმე ცნებითი რიგის ჰიპონიმების (სხვანაირად თანაჰიპონიმების) მიმართ, თვითონ შეიძლება იქცეს ჰიპონიმად სხვა, უფრო მაღალი სემანტიკური იერარქიის მიმართ. ასე, მაგალითად, ჰიპერონიმ ciencia-სთან მიმართებაში მყოფი და მეცნიერების სხვადასხვა დარგების: matemáticas, astronomía, lingüística, filosofía, química, botánica და სხვ. სახელმდებელი თითოეული თანაჰიპონიმი შეიძლება გახდეს ჰიპერო-

ნიმი სხვა სემანტიკურ მწკრივში. მაგალითად, lingüística – ეს არის ჰიპერონიმი ისეთი მეცნიერული და დისციპლინების მიმართ, როგორებიცაა gramática, fonética, fonología, lexicología, estilística, etimología, semasiologia და სხვ.

იდეოგრაფიული (სემანტიკური, სიტყვიერი) ველები აღნიშნავენ სიტყვათა ჯგუფებს, გაერთიანებულს მათი ლექსიკური მნიშვნელობების კავშირის საფუძველზე რომელიმე ზოგად ცნებასთან, რომელიც ასახავს რეალური სინამდვილის ობიექტებისა და მოვლენების კავშირებს.

ლ. ვაისჰერბერი განასხვავებდა ორ ცნებას: სამყაროსა და სინამდვილეს. სინამდვილე – ეს არის ის, რაც ჩვენი ცნობიერების გარეთ არსებობს, სამყარო – ენაში გამოხატული სუბიექტურ-ეროვნული სახე სინამდვილისა. ყოველ ეროვნულ ერთობას საკუთარი სამყარო აქვს. სწორედ ის არის ჭეშმარიტი რეალობა ამა თუ იმ ეროვნული ენის მატარებლებისათვის. ამ ენობრივ სამყაროში განსახიერდება „ერის სული", მისი ეროვნული თვითმყოფადობა. მსგავს ფილოსოფიურ შეხედულებებს ენის შესახებ გამოხატავდნენ ამერიკელი ლინგვისტებიც – ე. სეპირი და ბ. უორფი. აზროვნების ფიზიოლოგიური და ლოგიკური კანონები ერთიანია მთელი კაცობრიობისათვის. მაგრამ ენა, როგორც აზროვნების არსებობისა და გამოხატვის კონკრეტული (და არა აბსტრაქტული) მატერიალური ფორმა, ეროვნულ საკუთრებას წარმოადგენს და რამდენადაც აზროვნების პროცესში ობიექტური სამყარო აისახება ცნებაში, მსჯელობაში, თეორიებში და ა. შ., სხვადასხვა ერების „სამყაროს სურათების" უმეტესობაც თანხვდენილი იქნება. შეიძლება ითქვას, რომ აზროვნება ზოგადსაკაცობრიოა შინაარსით და ეროვნული – ფორმით.

მატერიალური სამყაროს ერთიანობა და ადამიანთა მსგავსება საზოგადოებრივ პრაქტიკაში გადამწყვეტ გავლენას ახდენენ იდეოგრაფიული ლექსიკონების შექმნაში ზოგადი და კერო სემანტიკური მოდელების ფორმირებაზე. მოვიყვანოთ

სამყაროს ცნებითი სურათის ორი ზოგადი სქემა. ერთ-ერთი მათგანი შედგენილია მაიერის[15] მიერ და წარმოდგენილია ი. ნ. კარაულოვის გამოკვლევაში, მეორის ავტორია ვ. ვ. მორკოვკინი.

გ. მაიერის სქემა[16]: 1. არაორგანული სამყარო. ნივთიერებები; 2. მცენარეთა და ცხოველთა სამყარო. ადამიანი; 3. სივრცე. მდგომარეობა სივრცეში. ფორმა; 4. სიდიდე. მასა. რიცხვი. ხარისხი; 5. არსებობა. დამოკიდებულება. მიზეზობრიობა; 6. დრო; 7. სინათლე. ფერი. ხმა. ტემპერატურა. წონა. მდგომარეობა. ყნოსვა. გემო (ანუ ის, რისი აღქმაც შეიძლება ხილული და ცხადი); 8. მოძრაობა; 9. სურვილები და საქციელები; 10. შეგრძნებები; 11. გრძნობები. აფექტები. ხასიათის ნიშნები; 12. აზროვნება; 13. ნიშნები. ურთიერთობა. ენა; 14. დამწერლობა. ცოდნა (მეცნიერება); 15. ხელოვნება; 16. საზოგადოება და საზოგადოებრივი ურთიერთობები; 17. ინსტრუმენტები. ტექნიკა; 18. მეურნეობა; 19. სამართალი. ეთიკა; 20. რელიგია. ზებუნებრივი.

ვ. ვ. მორკოვკინის სქემა[17]:

სამყარო
აბსტრაქტული ურთიერთობები
მატერიალური სამყარო
არაორგანული სამყარო
ორგანული სამყარო
მცენარეები
ცოცხალი არსებები
ცნობიერებას მოკლებული ცოცხალი არსებები
ადამიანი

---

15 იხ. Meier H. Deutsche Sprachstatistik. Bd. 1. Hildesheim, 1964, p. 30

16 Караулов Ю. Р. Общая и русская идеография. М., 1976, с. 252

17 Морковкин В. В. Опыт идеографического описания лексики. М., 1970, с. 21

მოყვანილი სქემები მოიცავენ ადამიანის მიერ შეცნობილ და ენების ლექსიკაში დაფიქსირებულ მთელ აზრობრივ კონტინუუმს. იდეოგრაფიული ლექსიკონები იყოფა სამ ტიპად: იდეოგრაფიული თეზაურუსები, რომელთა შემდგენლები მიზნად ისახავენ ენის ლექსიკაში წარმომადგენელი ცნებითი ჯგუფების იდენტიფიკაციასა და შემდგომ რაციონალურ კლასიფიკაციას; ანალოგიური ლექსიკონები, რომლებიც აერთიანებენ ლექსიკას „სიტყვა-ცენტრებს" (არქილექსემებს) ალფაბეტური მიმდევრობის წესით, და სასწავლო თემატური ლექსიკონები, რომლებიც ლექსიკურ ერთეულებს აერთიანებენ სემანტიკური მსგავსების მიხედვით, კონკრეტული სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე.[18]

ამჟამად მომწიფდა აზრი სინთეზური ლექსიკონის შექმნის შესახებ, რომელშიც თავის ასახვას პოვებს, ერთი მხრივ, სიტყვათა პრაგმატული დაჯგუფება, ხოლო მეორე მხრივ – საკმაოდ სრული ინფორმაცია მათი შემხმამებლური თვისებების შესახებ.

მართალია სიტყვათა თემატური კლასიფიკაციები ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნეში გაჩნდა.[19] ამ ტიპის პირველ მეცნიერულ დასაბუთებულ ლექსიკონად მიიიჩნევა ინგლისელი ლინგვისტის პიტერ მარკ როჟეს თეზაურუსი, რომელმაც შემოგვთავაზა ინგლისური ენის ცნებითი შინაარსის კლასიფიკაციის თავისი ლოგიკურ-ფილოსოფიური სქემა. როჟე თვლიდა, რომ „სიტყვათა დამაჯერებელი კლასიფიკაცია მათი შინაარსების მიხედვით შეუძლებელია იქამდე, სანამ სათანადოდ არ არის შესწავლილი და ორგანიზებული ამ სიტყვებით სახელდებული სინამდვილის ობიექტები. ამიტომ ის იწყებს თავის ნაშრომს ინგლისური ენის ცნებითი ველის დანაწევრებით ოთხ დიდ კლასად: აბსტრაქტული ურთიერთობები, სივრცე, მატერია და სული

18 Морковкин В. В. Идеографические словари. М.. 1970, с. 26-72

19 Roget R. M. Thesaurus of English word and phases classified so as to facilitate the expression of ideas and assist in literary composition. London. 1852

(გონი, ნება, გრძნობები), ეს კლასები შემდგომ იყოფა რიგ გვარებად, რომლებიც თავის მხრივ იშლება სახეობათა გარკვეულ რაოდენობად... თითოეული სახეობა მოიცავს დანომრილ ჯგუფებს. ეს „ჯგუფები" (სულ 1000 ჯგუფია) აღინიშნება საკმაოდ ფართო სემანტიკის მქონე სიტყვებით, რაც მათში შინაარსობრივად ანალოგიური სიტყვების მთელი სერიის გაერთიანების საშუალებას იძლევა".

როჟეს ნაშრომმა სტიმული მისცა იდეოგრაფიული ლექსიკონების შექმნას სხვა ქვეყნებშიც, კერძოდ, ესპანეთში. როჟეს მიერ შემოთავაზებული სქემის საფუძველზე ესპანელებმა – ედუარდო ბენოტიმ (1889 წ.) და შემდეგ ნ. სამპერამ (1912 წ.) შეადგინეს და გამოსცეს აღნიშნული ტიპის ლექსიკონები. თუმცა ესპანური იდეოგრაფიის მწვერვალად უნდა ჩაითვალოს ესპანელი ლინგვისტის ხულიო კასარესის „იდეოლოგიური ლექსიკონი". ეს ნაშრომი გასცდა ეროვნულ ჩარჩოებს და მსოფლიო ლექსიკოგრაფიული პრაქტიკის დიდ შენაძენად იქცა. ხ. კასარესმა შემოგვთავაზა ლექსიკონის ახალი მოდელი, რომელშიც გამოყენებული იყო ორი ლექსიკოგრაფიული პრინციპი: „ცნებიდან სიტყვამდე" და „სიტყვიდან ცნებამდე". მან ლექსიკონი დაყო სამ ნაწილად: სინოპტიკურ, ანალოგიურ და ალფაბეტურ ნაწილებად. ამათგან პირველში ხ. კასარესმა მოახდინა ესპანური ლექსიკის ზოგადი კლასიფიკაცია ცნებით კლასებად.

ხ. კასარესს მიზანშეწონილად მიაჩნია 38 ცნებითი კლასის გამოყოფა. თავის მხრივ, თითოეული კლასი მას დაყოფილი აქვს სხვადასხვა რაოდენობის ცნებით ჯგუფებად, რომლებიც საკვანძო სიტყვა-ცნების დახმარებით არის დასათაურებული. ასეთი სულ 2000 ჯგუფია. მათი სიები მოყვანილია იდეოგრაფიული კლასიფიკაციის ზოგადი სქემის შემდეგ.

მაგალითად, 18 ცნებით კლასში „Forma" შემდეგი ცნებითი ჯგფები შედის:

Forma, figura...	Deformidad
Aspecto...	Desproporción
Proporción...	Fealdad
Belleza...	Ridisclez
Elegancia...	Inelegancia
Derechura...	Curvatura, torcimiento
	Doblamiento
	Pliegue, arruga
	Ondulación
	Gancho
	Anillo. aro
	Chaflán
	Embotamiento

Angulo	Aplastamiento
Filo	Plano
Punta	LÁmina
prominencia	Tongada
	Banda
	Ranura
	Surco
	Hueco
Resalto, saliente	Molde
Caballón	
	Concavidad
	Excavacion, hoyo
Redondez	
Convexidad	

ანალოგიურ ნაწილში ალფაბეტური წესით მოყვანილია ყველა 2000 ცნებითი ჯგუფის სათაური-სიტყვა ფრთხილებში ცნებითი კლასის ნომრის მითითებით და თითოეულ სათაურ-სიტყვას მოსდევს ამ ცნებითი დომინანტის შესაბამისი ესპანურენოვან სიტყვათა სია. მაგალითად, სათაურ-სიტყვა Derechura-ს მოსდევს: derechura derechera, camino derecho; horizontalidad, verticalidad, dirección, línea, regla, igualdad, lisura, enderezamiento, enderezo, tirantez, enderezar, rectificar და კიდევ 43 სიტყვა და გამოთქმა. ხოლო დომინანტ Curvatura-ს ქვეშ მოყვანილია სიტყვები: curvatura, redondez, esfera, cilindro, cono, geometría, tortuosidad, endulación, sinuosidad და კიდევ 117 სიტყვა და 7 სიტყვათშეთანხმება.

ხ. კასარესის კლასიფიკაციაში პირველი ადგილი უჭირავს ცნებას „ღმერთი". ამით გამოხატულია ესპანელი მეცნიერის მსოფლმხედველობა, მისი კუთვნილება კათოლიკური სოციალური გარემოსადმი. თუმცა საინტერესოა, რომ რეალური სინამდვილე მეცნიერის რელიგიურ რწმენაზე ძლიერი აღმოჩნდა. „და საწყისთა საწყისად გამოტანილი ეს ცნება ქმნის ჩიხურ განშტოებას, ვერ ვითარდება ობიექტურად ლექსიკის დანაწევრების სქემის მიხედვით. ობიექტურად კი ცენტრალური ადგილი – თავისი მდებარეობითაც და არსებითადაც კასარესის სქემაში უჭირავს ცნებას „ადამიანი".[20] ხ. კასარესთან სწორედ „გარე სამყაროს ცენტრში მოთავსებული და მასთან დაპირისპირებული ადამიანი ყოფს მისი გარემომცველი „ნივთების" სამყაროს ზოგიერთ შედარებით ჰომოგენურ ზონებად".[21]

ესპანურ ფილოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მარია მოლინერის ორტომიან ლექსიკონს. პრაქტიკულად დამხმარეთა გარეშე მან შეადგინა ახალი ტიპის ფუნდამენტური ლექსიკონი, რომელიც წარმოადგენს გან-

20 Караулов Ю. Н. Общая и русская идсография, с. 250

21 Moliner M. Diccionario de uso del español. Madrid, 1966, t. 1-2

მარტებითი ლექსიკონის ორიგინალურ შენადნობს იდეოგრაფიულ ლექსიკონთან. ალფაბეტური თანმიმდევრობით განლაგებული სტატიები შეიცავენ არა მხოლოდ სალექსიკონო დეფინიციებსა და ლექსიკური ერთეულების გრამატიკულ, სტილისტურ და ეტიმოლოგიურ დახასიათებებს, არამედ მონაცემებსაც სათაური-სიტყვის შესაბამისობის შესახებ, მისი სინონიმებისა და მასთან ერთად ნაწარმოები ფრაზეოლოგიზმების სიებს, აგრეთვე ჩამონათვალს სემანტიკურად მოსაზღვრე სიტყვებისა, რომლებიც არსებითად შეადგენენ სათაური-სიტყვის ცნებით მიკროველს.

მარია მოლინერს არა აქვს სამყაროს ლექსიკური სურათის ამსახველი სინოპტიკური სქემა. მისთვის მთავარი იყო განესაზღვრა გვარეობრივი და სახეობრივი ცნებების ურთიერთკავშირების მექანიზმი; ზოგადის, განსაკუთრებულისა და კერძოს შეფარდება. მისი აზრით, ამ პარამეტრების ცოდნა სალექსიკონო პარამეტრების უფრო მეტად დაზუსტების საშუალებას იძლევა. ამიტომ იგი კმაყოფილდება მხოლოდ „ლექსიკური კონუსის ნაწილობრივი სქემით" (esquema parcial del cono léqsico).

სქემაზე ნაჩვენებია განსამარტავი სიტყვის, გვარეობრივი ცნებისა და დიფერენციალური ნიშნის სამმაგი ურთიერთკავშირი. წარმოიქმნება ერთგვარი „განმსაზღვრელი სამკუთხედები" (triángulo definitorio); დეფინიციისას განმარტებული სიტყვა (término definido) შეფარდებულია გვარეობრივ ცნებასთან (término deferendefinido), რომელიც აფიქსირებს განმარტებული სიტყვის განსხვავებას გვარეობითი ცნებისაგან, მაგალითად:

asiento
silla
con respaldo

„სკამი", სქემის მიხედვით, ესაა ზურგიანი „დასაჯდომი", ამგვარი განსაზღვრების იდეა არ არის ახალი. კლასიკურ

ლოგიკაში ცნობილი იყო ეგრეთ წოდებული მაკლასიფიცირებელი დეფინიცია. ისიც უახლესი გვარისა და სახეობრივ განსხვავებას ითვალისწინებდა (per genus proximum et differentian specificam). თუმცა ჩვენთვის ახლა უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ურთიერთდაკავშირებული „განმსაზღვრელი სამკუთხედები" ქმნიან „ლექსიკურ კონუსს", რომლის მწვერვალი ებჯინება „ყოველივე არსებულის", „ყოფიერების" (ante, ser) ცნებას. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ ფრაგმენტებს „ლექსიკური კონუსის" ნაწილობრივი სქემიდან:

Entre	არსებული
Ser	ყოფიერება
Cosa	ნივთი
Objeto	საგანი
Lo que	ის, რაც

(ნაწარმოები, შრომის შედეგი) obra
Hecha con trabajo
(შექმნილია შრომით)
(ნაგებობა)
Construcción
De albañilería
(ქვისგან ნაგები)
(სახლი)
Casa
Habitable
(საცხოვრებელი)

განსხვავებით ხ. კასარესისაგან, რომელიც სინოპტიკურ სქემას ანთროპოცენტრულ საფუძველზე აგებდა, მ. მოლინერის სიტყვებით გადმოცემული ცნებები აჰყავს გლობალურ

აბსტრაქციამდე – „ყოველივე არსებული" და ის სავსებით მატერიალურად ესმის. ცენტრალური „განმსაზღვრელი სამკუთხედი" მასთან ასე გამოიყურება:

Ente
Ser
Cosa
Objeto
Lo que
Materia
(მატერია)
forma el mundo fisico
(ის, რაც ფიზიკურ სამყაროს შეადგენს)

სწორედ მ. მოლინერისა და ხ. კასარესის ნაშრომები მეტყველებენ სალექსიკონო საქმის განვითარების მაღალ დონეზე ესპანეთში. ინტერესი ლექსიკის ცნებითი სეგმენტაციის შესწავლისადმი, მისი ენისგარე შინაარსიდან გამომდინარე, თანდათან სულ უფრო გაიზრდება ლექსიკონების შედგენის თეორიისა და პრაქტიკის შემდგომი სრულყოფის, მათი ახალი მოდიფიკაციების გაჩენისა და ლექსიკოგრაფიაში ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების შესაბამისად.

თავი II

ესპანური ლექსიკის ჩამოყალიბება, მისი ტერიტორიული და დროითი დიფერენციაცია

ესპანური ლექსიკის შევსების წყაროები

ესპანურმა ენამ, კერძოდ, მისმა ლექსიკურმა შედგენილობამ მრავალრიცხოვანი ფონეტიკური, გრამატიკული, გრაფიკული თუ ფუნქციურ-სტილისტური ცვლილებები განიცადა. საუკუნეთა განმავლობაში ესპანური ლექსიკური სიმდიდრე ყალიბდებოდა არა მარტო ლათინურის საფუძველზე, არამედ სხვა წყაროების ხარჯზეც. ენები მუდმივად ურთიერთობენ და ამდიდრებენ ერთმანეთს. ხალხის ისტორია და მისი საცხოვრებელი გეოგრაფიული გარემო, ეკონომიკური წყობა და საზოგადოებრივი სტრუქტურები, კულტურა და პოლიტიკა, ხალხის ფსიქოლოგია და მისი სოციალური განვითარების დონე – ყველაფერი ეს გავლენას ახდენს ლექსიკური ნასესხობების ხასიათზე, მათ წყაროებსა და პერიპეტიებზე.

თავისი წარმომავლობით ესპანური ენის ლექსიკური ფონდი შეიძლება დაიყოს რამდენიმე ძირითად ჯგუფად:

§ 1. ესპანიზმები და კულტიზმები

ესპანიზმი (hispanismos) – ესაა „მემკვიდრეობით გადმოცემული ლათინური ელემენტები, რომლებიც ესპანური ენის წარმოქმნის საფუძველს წარმოადგენს ესპანიზმები ესპანური ლექსიკის უმთავრეს მასივს შეადგენს. ესაა უდიდესი მასა იმ ძველისძველი ესპანური სიტყვებისა, რომლებმაც გაიარეს განვითარების მოკლე გზა ვულგარული ლათინურიდან ჩვენამდე. მაგრამ მკვლევრები არ კმაყოფილდებიან

მხოლოდ მათი ლათინური წარმომავლობის აღნიშვნით. ისინი გამოყოფენ მეორე თავისებურ ლექსიკურ ლათინურ შრესაც: კულტიზმებს ან ლათინიზმებს (cultismos o latinismos), ანუ ისეთ სიტყვებს, რომლებიც ლიტერატურული ლათინურიდან ნასესხები არის ესპანური ენის განვითარების უფრო გვიანდელ პერიოდში მწიგნობრული გზით. ამ დროს იგულისხმება ის ნასესხობები, როდესაც ლათინური უკვე მკვდარ ენას წარმოადგენდა. ასეთი ნასესხობები მხოლოდ სრულიად მინიმალურ, მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელ ფონეტიკურ-მორფოლოგიურ ადაპტაციას განიცდიდნენ.

კულტიზმები XII-XIV საუკუნეებშიც გაჩნდა – vocación (მოწოდება, ნიჭი), monumento (ძეგლი), ocasión (შემთხვევა), prólogo (წინასიტყვაობა), tribu (ტომი, მოდგმა), septentrión (1. დიდი დათვის თანავარსკვლავედი; 2. ჩრდილოეთი); ლათინიზმები განსაკუთრებით მოდური გახდა აღორძინების ეპოქაში, XV-XVII საუკუნეებში. აი, ამ დროის ლათინიზმების რამდენიმე მაგალითი: paradoja (პარადოქსი), insolencia (თავხედობა, კადნიერება, უტიფრობა), aura (1. სიო, ნიავის ქროლა; 2. პოპულარობა; 3. ქორის ნაირსახეობა). კულტიზმები ჩნდებოდა XVIII-XIX საუკუნეებშიც: condente (გავარვარებული), estro (პოეტური აღმაფრენა), refulgente (კაშკაშა, ელვარე). XX საუკუნეში ესპანური ენა შეივსო ახალი ლათინიზმებით – cristalizar (კრისტალიზაცია), confusionismo (1. უწესრიგობა, დომხალი; 2. დაბნეულობა, შეცბუნება) და სხვ. მოგვიანებით ნასესხობებმა ლათინური ენიდან განაპირობა გარკვეული რაოდენობის ე. წ. ეტიმოლოგიური დუბლეტების, ანუ ორი (ზოგჯერ მეტი), ერთი და იმავე ლათინური წყაროდან მომდინარე ესპანური სიტყვის გაჩენა. ასეთი დუბლეტები (ესპანიზმ-ლათინიზმი) შეიძლება სინონიმურებიც იყოს თავისი რომელიმე მნიშვნელობით (მაგალითად: graso-craso – ქონიანი; llano-plano – ბრტყელი, თანაბარი, სწორი; isla-ínsula – კუნძული; alma-ánima – სული, სამშვინველი და სხვ.

იბერიზმები

იბერიზმები (iberismos) მომდინარეობს არაერთგვაროვანი იბერიული სუბსტრატიდან. მას მიეკუთვნება იბერიელ ტომთა ჩვენთვის უცნობი ენები და ბასკური ენა, რომელიც დღემდეა შემორჩენილი. იბერიზმებს შორის არის სიტყვები, რომლებიც რომანულამდელ პერიოდს უკავშირდება. პრერომანული საფუძვლის გამოყოფა უაღრესად ძნელია. ჩვეულებრივ ამგვარ იბერიზმებს მიაკუთვნებენ სიტყვათა შეზღუდული (თანაც საკამათო) რაოდენობას, როგორებიცაა: artiga (1. ყამირის მოხვნა; 2. გატეხილი ყამირი), barro (1. ტალახი; 2. თიხა), charco (გუბე, წუმპე), guijarro (რიყის ქვა) და სხვ. აგრეთვე ტოპონიმთა მნიშვნელოვან რაოდენობას. იბერიზმებს შეიძლება მივაკუთვნოთ უფრო გვიანდელი ნასესხობანიც (მათ ზოგჯერ „ბასკიზმებს" უწოდებენ), რომელთა რიცხვი შესამჩნევად გაიზარდა შუა საუკუნეებში: chaparro (ჭალა, მუხნარი, მუხის ჭალა), cencerro (ზანზალაკი) და სხვ.

კელტიზმი

კელტური სუბსტრატის განსაზღვრა ასევე უკავშირდება ბევრ სირთულეს. ცნობები კელტური ენის ურთიერთქმედების შესახებ ესპანურ-ლათინურთან მეტისმეტად მცირეა. ცხადია, რომ კელტიზმების (celtismos) ნაწილი ლათინურში შეიძლებოდა შესულიყო გალურთან კონტაქტის საშუალებით. კელტურთან იბერიულ-ბასკურისა და იბერიულ-ლათინურის უშუალო კონტაქტების შედეგად ესპანურ ენაში, როგორც ვარაუდობენ, შემორჩა ხეებისა და მცენარეების დასახელებები: abedul (არყის ხე), puerco (დაკოდილი ცხენი), graza (ნაცრისერი ყანჩა), colmena (სკა), gancho (კავი, კაუჭი), basca (გულზიდვა, ზიზღი). ფიქრობენ, რომ კელტიზმების დიდი რაოდენობა არ არის დაკავშირებული რომანულამდელ პერიოდთან და ისინი ესპანურ ენაში მოხვდნენ ლათინურიდან, რომელმაც, თავის მხრივ, ისინი

კელტურიდან ისესხა. მათ შორის: camisa (პერანგი), cabaña (ქოხი), Salmón (ორაგული), brío (გულადობა, სიმამაცე), vasallo (ვასალი, მოხარკე) და სხვ.

ე

ლინიზმები

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე რომაელები ბერძნული კულტურის გავლენას განიცდიდნენ. ბევრი ბერძნული სიტყვა ლათინურმა ენამ მწიგნობრული წყაროებიდან ისესხა. ეს, პირველ ყოვლისა, ეხება ადამიანის სულიერ ცხოვრებასთან დაკავშირებულ სახელწოდებებს. კიდევ უფრო ადრინდელ ელინიზმებს (helenizmos) ლათინურში წარმოადგენდნენ ის სიტყვები, რომლებიც ენაში ბერძნებსა და რომაელებს შორის უშუალო კონტაქტების საშუალებით ჩნდებოდა. ისინი აღნიშნავდნენ ზოგიერთ შრომის იარაღის, ყოფით საგნებს, ავეჯსა და ჭურჭელს, ცხოველთა სახელებს და სხვ. ლათინური ენის საშუალებით ამ სახელწოდებათა უმრავლესობა ესპანურ ენაში შევიდა: idea, matemática, música, escena (სცენა), tragedia, lepra (კეთრი), torre (კოშკი, კოშკურა), და სხვ.

ელინიზმების მნიშვნელოვანი ნაწილი ენაში XV საუკუნეში დამკვიდრდა, რასაც ხელი შეუწყო სანტილიანას, ხუან დე მენის, პერეს დე ჰუსმანის და სხვა მწერლების და მეცნიერების ლიტერატურულმა მოღვაწეობამ, რომლებიც თავიანთ ენათშემოქმედებით საქმიანობაში ბერძენი ავტორების ლათინურ თარგმანებს ეყრდნობოდნენ. იმ ეპოქის ელინიზმებს შორისაა მცენარეების, ეგზოტიკური ცხოველების სახელები, სამედიცინო, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული ტერმინები, მითოლოგიური დასახელებები და სხვ. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი ამ მეტად ფართო ლექსიკური შრიდან: acacia (ბოტ. აკაცია), narciso (ნარგიზი), áspid (ასპიტი), cólico (ჭვალი), arpía (1. მით. ჰარპია; 2. ანჩხლი, კაპასი, ავი), sátiro (1. გესლიანი, ღვარძლიანი, შხამიანი; 2. მით. სატირი (ბერძნულ მითოლოგიაში ღვინისა და მხიარულების ღმერთი დიონისეს მხლებელი – ავხორცი არსება, რომელსაც თხის ფეხები,

თხის წვერი და რქები აქვს), sirena (1. ძლიერი და მკვეთრი ხმის გამომცემი სასიგნალო მოწყობილობა; 2. მით. ბერძნულ მითოლოგიაში ზღვის ნიმფა, რომელიც თავისი სიმღერით ხიბლავდა, სახიფათო ადგილებში იტყუებდა და ღუპავდა მეზღვაურებს; წარმოდგენილი ჰყავდათ თევზისბოლოიანი ქალის ან ქალისთავიანი ფრინველის სახით).

XVIII-XX საუკუნეებისათვის დამახასიათებელია მრავალი ტერმინის შექმნა ბერძნულ საფუძველზე. მაგალითად, aorta (აორტა, მთავარი არტერია), dicotomía (დიქოტომია, ორად გაყოფა, განშტოება), estático (სტატიკური, უძრავი), anestesia (ანესთეზია) და სხვ.

გერმანიზმები

ესპანური ლექსიკონის შევსება გერმანული ენების ხარჯზე ხდებოდა. 1. ადრეულ პერიოდში – ლათინურიდან, ანდა უშუალოდ პირდაპირი კონტაქტების შედეგად, როდესაც გერმანული ტომები იბერიის ნახევარკუნძულზე გაჩნდნენ. იმ დროიდან მომდინარეობს საბრძოლო საქმესთან დაკავშირებული გერმანიზმები (germanismos): guerra (ომი), yelmo (მუზარადი), espía (ჯაშუში, დამსმენი), bando (ბრძანების საზეიმო გამოქვეყნება), estribo (უზანგი, ავჟანდი), dardo (საომარი ჯაჭვი), cota (მეომრის ჯავშანი), esgrimir (ფარიკაობა); ყოფასთან დაკავშირებული გერმანიზმები: jabón (საპონი), albergue (1. სასტუმრო; 2. სამიკიტნო; 3. თავშესაფარი; 4. ბუნაგი).

XIX-XX ს. გერმანულიდან შემოვიდა: sable (ხმალი), ცოტა უფრო ადრე კი – bigote (ულვაში) და სხვ.

არაბიზმები

მრავალი წლის განმავლობაში არაბული სამფლობელოები ხელს უწყობდნენ ესპანური ლექსიკონის გამდიდრებას არაბული წყაროებიდან. მათგან იყო ნასესხები სამხედრო, სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო ტერმინები: alfanje

(მოკლე მრუდე ხმალი), acicate (დეზი), aljaba (კაპარჭი, ისრების ქარქაში), alarde (1. აღლუმი; 2. ფუფუნება, განცხრომა; 3. ტრაბახი, ბაქიაობა), atalaya (კოშკი, კოშკურა, მზვერავი კოშკი), alcoba (1. ალკოვი; 2. დიდი თევსაჭერი ბადე), almohada (ბალიში), albornoz (1. მოსასხამი; 2. ბურნუსი – ატარებენ ბედუინები, მომთაბარე არაბები), abalorio (მინის მძივი), jinete (მხედარი), sandía (საზამთრო), alubia (ლობიო), aceituna (ზეთისხილი), zafra (1. შაქრის ლერწმის მოსავლის აღება; 2. საქონლის (პირუტყვის) გაყიდვის სეზონი; 3. ცხვრების გაკრეჭის სეზონი).

არაბიზმებმა საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში შეაღწიეს. მათი უმრავლესი ნაწილი დარჩა თანამედროვე ესპანური ენის აქტიურ ლექსიკონში.

გალიციზმები

X საუკუნიდან დაწყებული, ნასესხობები ფრანგულიდან და პროვანსულიდან ყოველ ეპოქაში აღინიშნებოდა. ისტორიული პირობების შესაბამისად, ისინი ხან ძლიერდებოდნენ, ხან სუსტდებოდნენ, ბუნებრივია, რომ თვით გალიციზმების (galicismos) დიდი ნაწილი მომდინარეობს ლათინური ფესვებიდან. გალიური წყაროები ერთგვარი შუამავლის როლს ასრულებენ ესპანურ და ლათინურ ენებს შორის.

X-XIV საუკუნეებში ჩნდება გალიციზმები: homenaje (ისტ. ერთგულების ფიცი; პატივი, ღირსება, მოწიწება, თაყვანისცემა; ვისიმე პატივსაცემად ზეიმის გამართვა), mensaje (წერილი, ძვ. ეპისტოლე), deleite (სიამე, ტკბობა, სიამოვნება), pitanza (1. გამოკვება, რჩენა; 2. უსასყიდლო სადილი ღარიბებისათვის), dama (1. სეფექალი; 2. ფურირემი), ruiseñor (ბულბული), doncel (1. ყმაწვილი; 2. პაჟი), doncella (1. ქალიშვილი; 2. ქალწული; 3. მოახლე).

საინტერესოა, რომ უკვე ა. ნებრისის „ესპანურ-ლათინურ ლექსიკონში" (1495) შეტანილია იმ დროისათვის ესპანურ ენაში დამკვიდრებული ისეთი გალიციზმები, როგორებიცაა:

jaula (გალია), jardín (ბაღი), trincar (1. დაჭრა, გაჭრა, დამტვრევა; 2. თრობა, ლოთობა), fraile (ბერმონაზონი), reproche (საყვედური).

ფრანგული ნასესხობების მნიშვნელოვანი რაოდენობა გაჩნდა ესპანურ ენაში XVIII საუკუნეში საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისა და ნაპოლეონის ომების პერიოდში galante (თავაზიანი), rango (რანგი, ტიტული), coronel (პოლკოვნიკი), retreta (1. დაისი, მწუხრი, საღამოს ბინდი; 2. სამხ. გასაყარში ნაღარის დაკვრა, ბუკის დაკვრა), petimetre (კოპწია, კეკლუცი), marmota (ზაზუნა) და სხვ.

XIX-XX საუკუნეებში გაჩნდა ახალი ნასესხობები ფრანგულიდან: quepis (კეპი), chai (არგ. გოგონა), levita (სერთუკი), tisú (სტავრა, ფარჩა), reportaje (რეპორტაჟი), maquillaje (მაკიაჟი) და სხვ.

იტალიანიზმები

იტალიურმა ენამ ხელი შეუწყო ესპანურში გარკვეული რაოდენობის სიტყვების გაჩენას, რომლებიც კულტურის, პოლიტიკის, მრეწველობის, ვაჭრობის, სამხედრო საქმის, ყოფისა და ა. შ. სფეროებს განეკუთვნებოდნენ. ამ სიტყვათა უმეტესობა ლათინური წარმომავლობისაა. მკვლევრები მიიჩნევენ, რომ პირველი იტალიანიზმები (italianismos) გაჩნდა XIV-XV საუკუნეებში და დაკავშირებული იყო ზღვაოსნობასთან: corsario (ზღვ. მეკობრე, ზღვის ყაჩაღი), bonanza (ზღვ. 1. წყნარი, უქარო ამინდი; 2. კეთილდღეობა, გაფურჩქვნა), mesana (აღვ. 1. ანძა; 2. ზოოლ. ზღვის თევზი), artimaña (1. ხაფანგი, მახე; 2. ეშმაკობა, ხრიკი, ფანდი), mareta (ზვირთცემა), golfo (1. ყურე; 2. ზღვა; 3. ფიგ. უფსკრული), lonja (1. რაიმეს წვრილი და ფართო ზოლი; 2. სავაჭრო ბირჟა), novela (რომანი, მოთხრობა).

XVI-XVII საუკუნეებში იტალიურიდან შედარებით ბევრი ლექსიკური ერთეული შემოდის: infantería (ქვეითი ჯარისკაცი), escopeta (თოფი), dúo (დუეტი), medalla (1. მედალი; 2. ბალთა (სარტყლის შესაკრავი, რომელსაც საჩხვლეტი არა აქვს

– უენო აბზინდა), pintoresco (თვალწარმტაცი, სურათოვანი), corroza (საზეიმო კარეტა), charlar (ენის ტარტარი, ლაყბობა), festejar (დღესასწაული, ზეიმი).

XVIII საუკუნემ ახალი ნასესხობები მოგვცა: adajio (მუს. ადაჯო), oratorio (მუს. ორატორია), acuarela (აკვარელი) და სხვ.

XIX საუკუნეში ესპანურში შემოვიდა: aria (არია), partitura (პარტიტურა), batuta (სადირიჟორო ჯოხი), persiana (ჟალუზი) და სხვ.

ლუსიზმები

პირინეის ნახევარკუნძულის სხვადასხვაენოვან მოსახლეობას შორის მუდმივ კონტაქტებსა და კასტილიის, პორტუგალიისა და გალისიის პოეტთა სიტყვიერ-მხატვრული შემოქმედების თავისებურებას შუა საუკუნეებში არ შეიძლებოდა არ გამოეწვია ლექსიკის ურთიერთგაცვლა ამ ენებს შორის და გარკვეული რაოდენობის ლუსიზმები (lucismos), ესპანურში – ნასესხობები პორტუგალიური და გალიური ენებიდან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ იბერიელმა ტრუბადურებმა გალიურ-პორტუგალიურ საფუძველზე შეიმუშავეს ლირიკული პოეზიის ენა, რომელთა პირინეელ ხალხთან ისტორიაში ერთ-ერთ პირველ ლიტერატურულ-პოეტურ ენად იქცა. კასტილიელი პოეტები თავიანთ ნაწარმოებს ამ ენაზე ქმნიდნენ XII-XIV სს-ში. ზოგიერთები კი – XV საუკუნეშიც კი. მეორეს მხრივ, XVI-XVII საუკუნის ბევრი პორტუგალიელი პოეტი კასტილიურად წერდა. პორტუგალიური და გალიური სასაუბრო ენიდან და ლიტერატურული წყაროებიდან ესპანურ ენაში დამკვიდრდა: morriña (1. წყალმანკი (ცხოველებში); 2. სევდა, ნაღველი, კაეშანი), macho (1. ძლიერი; 2. მამალი (ცხოველი, ფრინველი); 3. ბრიყვი; 4. ჯორი; 5. მჭედლის ურო), chubasco (1. თავსხმა, კოკისპირული წვიმა; 2. ზღვ.: შკვალი, ხანმოკლე ქარიშხალი), chopo (შავი ალვის ხე, ანუ ოფი), vigía (სადარაჯო კოშკი), baliza (ზღვ.: ქერქეჭელა), menino (პაჟი),

mermelade (მურაბა), almeja (საჭმელად ვარგისი ნიჟარა) და სხვ. ისევ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ სიტყვათა უმრავლესობა ლათინური წარმომავლობისაა.

პორტუგალიურიდან ესპანურში ზოგიერთი სიტყვა აზიური წყაროებიდან შევიდა: copra (კოპრა – ქოქოსის კაკლის გული), catre (სამგზავრო საწოლი), bambú (ბამბუკი), carambola (1. კარამბოლი; 2. ორმაგი შედეგი; 3. მოტყუება), palanquín (ისდოეთი), bonza (იაპონია) (ბონზა – იაპონიასა და ჩინეთში ბუდისტების მღვდელი ან მონაზონი) და სხვ.

ყოველივე ეს მეტყველებს იმ მრავალრიცხოვან ენობრივ კონტაქტებზე, რომლებიც სხვადასხვა ეპოქაში ახდენდნენ გავლენას ესპანური ენის ჩამოყალიბებაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ჩვენთვის გაცილებით უფრო ახლო პერიოდში ესპანურ ენას გარკვეული გარემოებების წყალობითა და ინტენსივობით არათანაბარი ხარისხით გამუდმებით ჰქონდა კონტაქტი ფრანგულ, იტალიურ, ინგლისურ, გერმანულ და სხვა ენებთან.

§ 2. ეროვნული ვარიანტები და დიალექტები

ენის ტერიტორიული დიფერენციაციის პრობლემებს, რომლებიც უკავშირდება ფონეტიკურ, გრამატიკულ და ლექსიკურ განსხვავებებს მისი გავრცელების არეალში, დაწვრილებით იკვლევს დიალექტოლოგია.[22]

დიალექტოლოგები თვლიან, რომ დიალექტის აღწერისა და ზუსტი ლოკალიზაციისათვის აუცილებელია გავით-

22 XIX საუკუნის ბოლოს დიალექტოლოგიიდან გამოიყო სპეციალური ნაწილი „ლინგვისტური გეოგრაფია", რომელიც შეისწავლის ენობრივი მოვლენების გავრცელება ადგილებზე, ახდენს დიალექტური მსგავსებებისა და განსხვავებების კარტოგრაფირებას და ადგენს დიალექტურ ატლასებს. ლინგვისტურ გეოგრაფიასთან დაკავშირებულია არეალური ლინგვისტიკა, რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა ენისა და დიალექტის ურთიერთქმედებას გარკვეულ ტერიტორიაზე.

ვალისწინოთ არა მარტო იზოგლოსების[23] (ანუ იმ ხაზებისა ლინგვისტურ რუკაზე, რომლებიც გვიჩვენებენ ამა თუ იმ ფონეტიკური, გრამატიკული ან ლექსიკური მოვლენის გავრცელებას, რაც სპეციალური გამოკითხვების მეთოდებით განისაზღვრება) მონაცემები, არამედ ეთნოგრაფიული ფაქტორებიც, ეთნიკური თვითშეგნებაც და მატერიალური და სულიერი კულტურის ელემენტებიც.

ტერიტორიული გავრცელების მხრივ ესპანური ენა მეორე ადგილზეა ინგლისურის შემდეგ. სამხრეთი და ცენტრალური ამერიკის უკიდეგანო სივრცეებზე მდებარეობს ცხრამეტი ქვეყანა, რომლებშიც, ისევე როგორც თვით ესპანეთსა და ეკვატორიულ გვინეაში (აფრიკა) ესპანური ოფიციალური ენაა. ესპანური ენა არაერთგვაროვანია, გარდა დიალექტისა და კილოკავისა, მასში გამოირჩევა უფრო მაღალი რანგის კიდევ ერთი სახესხვაობა: ეგრეთ წოდებული ეროვნული ვარიანტები. თითოეული მათგანი რეალიზებულია ოც ესპანურენოვან სახელმწიფოთაგან ერ-ერთში. სავარაუდებელია, აგრეთვე, რომ თვით „ამერიკის ესპანური ენა წარმოადგენს სტრუქტურულად ერთიანი ესპანური ენის სახესხვაობას (ვარიანტს) თავისი საერთო-სახალხო ნორმების, ადგილობრივი დიალექტებისა და კილოკავების თავისებურებათა ერთობლიობით.

ენის ეროვნული ვარიანტი „ისევე როგორც ნებისმიერი ეროვნული ენა ემსახურება ერს". დიალექტს ასეთი ფართო ფუნქცია არ გააჩნია. იგი ემსახურება ეროვნული ერთიანობის მხოლოდ ნაწილს, ამასთან საზოგადოებრივი ცხოვრების შეზღუდულ სფეროში.

ესპანური ენის მთელი უზარმაზარი ლექსიკური ფონდი მიზანშეწონილია დავყოფ პანესპანიზმებად (panhispanismos), ლათინოამერიკანიზმებად ან ესპანოამერიკანიზმებად (latinoamericanismos o hispanoamericanismos), რეგიონალიზმებად

23 იზოგლოსების ერთობლიობას (ფონებს), გამოვლენილს კონკრეტულ ტერიტორიაზე, „ენობრივი ლანდშაფტი" ეწოდება.

(regionalismos), ვარიანტიზმებად (variantismos), დიალექტიზმებად (dialectismos) და ლოკალიზმებად (localismos).

ესპანური ენის თითოეული ვარიანტის ლექსიკური კორპუსი წარმოადგენს საერთო ესპანური სიტყვებისა და მდგრადი კონსტრუქციების (პანესპანიზმები) ერთობლიობას, რომლებიც ნებისმიერი ესპანურად მოლაპარაკე ერის სალექსიკონო მარაგის დიდ უმრავლესობას შეადგენენ.

მაგალითად, ლათინოამერიკული ეროვნული ვარიანტების ლექსიკური თავისებურება იქმნება ძირითადად სამი გზით:

– ლექსიკონში ინდეხიზმების, ანუ ინდიელთა ენებიდან ნასესხები სიტყვებისა და გამოთქმების ჩართვით. მაგალითად: soroche (კეჩუანურიდან – suruchi) – მთის ავადმყოფობა (ანდური ქვეყნები), pudu (არაუკანურიდან – pudu) – მთის შვლის სახეობა (ჩილე), jacal (აცტეკურიდან – xacalli) – ქოხის ნაირსახეობა (მექსიკა), chuspa (კეჩუანურიან – chuspa) – ჩანთა, ტომსიკა (ზოგიერთი სამხრეთამერიკული ქვეყანა), ტყავის ქისა (არგენტინა).

ძირძველი ესპანური სიტყვების ახლებურად გააზრებით, ასე მაგალითად, კუბურ ვარიანტში tumbar (წაქცევა, თიბვა) უკვე აღნიშნავდა „ლერწმის გაჩეხვას, მოჭრას", bodega (ღვინის საწყობი) – „დუქანს", vega (ხეობა) – „თამბაქოს პლანტაციას"; pava კოლუმბიაში აღნიშნავს არა მარტო „ინდაურს", არამედ „ცბიერსაც".

– ახალი სიტყვების შექმნა ესპანური სიტყვაწარმოებითი მოდელების მიხედვით საკუთრივ ესპანური ფუძეებისაგან და აფიქსებით ანდა ინდიელთა ენის ან აფრიკული წარმომავლობის ფუძეებიდან და ესპანური აფიქსებით. ავიღოთ მაგალითისთვის კუბური ვარიანტი. საკუთრივ ესპანური ფორმანტებით წარმოიქმნა ისეთი სიტყვები, როგორებიცაა bachero (bache – ფლატე, ხრამი) – გზის მუშა; alfabetizador (alfabetizar – წერა-კითხვის სწავლება) – მასწავლებელი-მოხალისე წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის პერიოდში.

პანესპანზმები და ლათინოამერიკანიზმები

პანესპანიზმებს მიეკუთვნება ლექსიკის ის ფუნდამენტური და ყველაზე მძლავრი ფენა, რომელიც წარმოადგენს ესპანური ენის ყველა ვარიანტის საფუძველს. ისეთი სიტყვების გარეშე, როგორებიცაა: pan, sol, ir, pensar, hombre, mujer, rojo, blanco, mio, de, que, este, eqt ვერ იარსებებს ვერც ერთი ეროვნული ვარიანტი. ესაა ესპანური ენის ლექსიკური სისტემის ის ნაწილი, რომელიც ინარჩუნებს მას როგორც ერთიან ენას, როგორც ყველა ესპანურად მოლაპარაკის ურთიერთობის სტაბილურ საშუალებას, მიუხედავად არსებული ლექსიკური განსხვავებებისა თითოეულ ეროვნულ ენობრივ ვარიანტში.

ლათინოამერიკანიზმებს, ანუ ესპანოამერიკანიზმებს განეკუთვნება ესპანური ენის ყველა ლათინოამერიკულ ვარიანტში ან მათ დიდ უმრავლესობაში შემავალი ლექსიკური ერთეული, მაგალითად, camote (ბატატი), camotal (ბატატის მინდორი), baleo (სროლა, ურთიერთსროლა), balayo (დაწნული კალათა), matazón (ხოცვა-ჟლეტა, სასაკლაო), matancero (საქონლის დამკვლელი, ყასაბი), campista (მაღაროების მოიჯარე, სამთამადნო კომპანიის აქციონერი); cimarón (გაველურებული – საქონლის შესახებ; გაქცეული – ტყვეების შესახებ; ველური – ცხოველებისა და მცენარეების შესახებ; უხეში, გაუთლელი); cimarronada (გაველურებული საქონლის ჯოგი); cimarronear (გაქცევა – ტყვეების შესახებ); capulina, capuli (ალუბლის ნაირსახეობა – ნაყოფი და ხე); cacahuetero (კაკაოს პლანტაციის მფლობელი; ის, ვისაც ეხება კაკაოს მოყვანა, შენახვა და გაყიდვა), botar (გაფლანგვა, განიავება); canoa (ვარცლი), canillera (პანიკა, შიში); pavero (ინდაურებით მოვაჭრე); jalar(se) (დათრობა, ლოთობა) და ა. შ.

რეგიონალიზმები

ლათინოამერიკული რეგიონალიზმები ეწოდება ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც გავრცელებულია ესპანური

ენის ორი, სამი ან ოთხი ეროვნული ვარიანტის ტერიტორიაზე. მაგალითად, სიტყვა camalote (წყლის მცენარეთა სახეობა, წყლის შროშანის მსგავსი) გამოიყენება არგენტინაში, ურუგვაიში, პარაგვაიში, ანუ რიო-დე-ლა-პლატას თითქმის მთელ ზონაში ბოლივიის გარდა; cangria (განგრენა), jalón (არშიყი, საქმრო), jalar (არშიყობა) – დამახასიათებელია ცენტრალური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის ენისათვის; კოლუმბიის, პანამისა და ვენესუელის ენის ვარიანტებში შედის, მაგალითად, არსებითი სახელის მნიშვნელობით; გვატემალასა და ჰონდურასში გამოიყენება cantaleta (მისამღერი), choco (ბრუციანი, დაბრეცილი – ადამიანზე); jáquima (ღრეობა) – გვატემალასა და სალვადორში; ზმნა mochar (წონაში მოტყუება, დაკლება, შემცირება, შეჭრა) დამახასიათებელია ურუგვაისა და არგენტინისათვის, იქვეა გავრცელებული cimarronear (მატეს სმა უშაქროდ) და cimarrón (მატე უშაქროდ); fifiriche (რაქიტული) დაფიქსირებულია კოსტა-რიკასა და მექსიკაში, patullar (კოჭლობით სიარული, კოჭლობა) – ვენესუელაში, პერუსა და კუბაში; არგენტინასა და ბოლივიაში payo აღნიშნავს ქერას (თმის შესახებ); არგენტინაში, ურუგვაისა და ჩილეში გავრცელებულია ზმნა pavear (თავაზიანი, ქათინაურებით საუბარი (ქალიშვილთან) და სისულელის ჩადენა); პანამასა და ეკვადორში იგივე ზმნა აღნიშნავს გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენას, ხოლო პერუსა და ჩილეში – ვინმეს აბუჩად აგდებას, გამასხარავებას; არსებითი სახელი pavo ანტილიის ქვეყნებში აღნიშნავს დატუქსვას, საყვედურის თქმას, ხოლო პანამაში, პერუსა და ჩილეში – უსაქმურობას.

ვარიანტიზმები

ვარიანტიზმებად ითვლება ლექსიკური ერთეულები, რომლებიც დამახასიათებელია ჩვეულებრივ ესპანური ენის ერთი ეროვნული ვარიანტისათვის. ასეთი სიტყვები (რომლებიც მრავლადაა თითოეულ ვარიანტში) შეიძლება განისაზღვროს სხვა უფრო კონკრეტული ტერმინების მეშვეობით

ამა თუ იმ ეროვნული ვარიანტისადმი კუთვნილების შესაბამისად. ლათინოამერიკულ ვარიანტიზმებს განეკუთვნება მექსიკანიზმები (mexicanismos), კუბანიზმები (cubanismos), არგენტინიზმი (argentinismos), პერუანიზმები (peruanismos), ვენესუელიზმები (venezuelismos), და ა. შ. ესპანური ენის პირენეულ ვარიანტს თავისი პირენეული ვარიანტიზმები აქვს. მათ შეიძლება პირენეიციზმები ეწოდოს.

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი ვარიანტიზმები:

კუბა – camelia (ყაყაჩო), cao (ყვავის მსგავსი ფრინველი), canali (კანოეს ნიჩაბი), cantúa (საკონდიტრო ნაწარმის სახეობა), boruga (გამაგრილებელი სასმელი), brevero (ჩხუბისთავი, შარიანი), brete (არეულობა, გაუგებრობა), botijuelo (მლიქვნელი), borococo (ფანდები, ხრიკები, დომხალი) და ა. შ.

მექსიკა – papacho (მოფერება), calmil (გლეხის საკარმიდამო ბოსტანი), boruquiento (მხიარული, ხმაურიანი), cantaletear (ხუმრობა, დაცინვა), pancho (კრაზანების გუნდი; საგნების ან ცხოველების მასა, დიდი რაოდენობა), pando (მთვრალი), pandora (ხუმრობა) და სხვ.

ჩილე – camarico (საყვარელი ადგილი; სასიყვარულო კავშირი), panizo (სასარგებლო წიაღისეულის ბუდობი; სიუხვე, დიდი უმრავლესობა, ხელსაყრელი საქმე), botar (ანგარიშის გასწორება, გათავისუფლება; მოცელვა, წაქცევა რაიმესი), bototos (უხეში ფეხსაცმელი) და. ა. შ.

კოლუმბია – panelero (პირმოთნე, პირფერი, ქლესა, მლიქვნელი), pandar (არგ. თაღლითობა (თამაში), cantaleta (სახუმარო სიმღერა, დაცინვა), canónigo (გამაღიზიანებელი), pangarear (ალიონი, განთიადი, გარიჟრაჟი), pantano (ჭაობი, ჭანჭრობი), pandora (ხუმრობა, ოხუნჯობა), jampa (ზღურბლი) და სხვ.

§ 3. არქაიზმები

ენა, ისევე როგორც საზოგადოება, დროში არსებობს. ბუნების შეცნობის ეტაპები, ცვალებადობა, საზოგადოებისა და თვით ადამიანის განვითარება არ შეიძლება ადამიანის ცნობიერებისა და მისი სააზროვნო საქმიანობის საშუალებით არ აისახოს ენაში, მასში ყოველთვის არის რაღაც ნაწილი სიტყვებისა, სიტყვათშეთანხმებისა და გრამატიკული ფორმებისა, რომლებიც სიახლით ან სიძველით ხასიათდება.

სიტყვებს ან სიტყვათშეთანხმებებს, რომლებიც მოსაუბრეთა მიერ აღიქმება როგორც მოძველებული ან პრაქტიკულად ხმარებიდან გამოსული, არქაიზმები (arhaïsmos) ეწოდება.

სიტყვასა და მის მიერ დასახელებულ საგანს შორის არსებული მიმართებიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ მოძველებული სიტყვების ორი სახეობა:

1. იზოლირებული არქაიზმები. მათ ჩვეულებრივ უწოდებენ ისტორიზმებს (historismos); ისინი აღნიშნავენ ისტორიული განვითარების პროცესში საზოგადოების ცხოვრებიდან გამქრალ საგნებსა და მოვლენებს. შეინარჩუნეს რა თავიანთი ნომინაციური ფუნქცია, თანამედროვე სინამდვილეში მათ დაკარგეს თვით ნომინაციის ობიექტები, მათზე წარმოდგენა კი ენის მატარებელთა უმრავლესობას დავიწყებული აქვს. მათი გამოყენების სფერო მწიგნობრული მეტყველებით შემოიფარგლება. საკმარისია თანამედროვე მკითხველმა გადაშალოს „დონ კიხოტის" პირველი თავი და მაშინვე შეხვდება ისეთ ისტორიზმებს, როგორებიცაა: adarga (ოვალური ან გულის ფორმის ტყავის ფარი), astillero (პირამიდა შუბისა და აბჯრისათვის) და სხვ. ისტორიზმებად იქცა retaco (შტუცერი), alabarda (ალებარდა) maravedí (ძველებური მონეტა), zedelīn (ცეპელინი), trabuco (მუშკეტი), berganin (ბრიგი – ორანძიანი იალქნიანი გემი), gramófono (გრამოფონი), farolero (მეფარნე), charleston (ჩარლსტონი) და ა. შ.

სტილისტური არქაიზმები. ეს არქაიზმები თითქოსდა ამთავრებენ შესაბამის სინონიმურ რიგებს განსაკუთრებული ლექსიკური ერთეულების უფლებით, რომლებიც ენის მატარებლების მიერ აღიქმება როგორც არათანამედროვე, მოძველებული ან ხმარებიდან გასული. ესაა სწორედ მათი სტილისტური შეფერილობა და მათთვის ძირითადი ხდება სტილისტური და არა ნომინაციური ფუნქცია. ასეთებია მაგალითად, სიტყვები: aeroplano (აეროპლანი), aceto (ძმარი), cabeza (წიგნის თავი), agorería (მომასწავებელი ნიშანი), desamigo (მტერი), frisar (მოკლება, დაპატარავება, მოსწორება) და ა. შ.

სტილისტურ არქაიზმებს უნდა მივაკუთვნოთ, როგორც ჩანს, ზოგიერთი სიძველის მტვრით დაფარული მწიგნობრული სიტყვა. prez (მამაცობა, სიქველე), lid (შერკინება, შებრძოლება), corcel (საომარი ცხენი) და სხვა მსგავსი სიტყვები აღიქმება როგორც XIX საუკუნის ლიტერატურისათვის დამახასიათებელი და სტილური აღმატებულობით გამორჩეული. ფუნქციურად ისინი ემსგავსება ქართულ სტილისტურ არქაიზმებს, როგორებიცაა, მაგალითად, ღაწვი, დალალი, სრბოლა.

არქაიზმების ფორმისა და სემანტიკის შედარების შედეგად გამოიყოფა არქაიზმული სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებების სულ ცოტა სამი სახეობა.

– სიტყვა-არქაიზმები (ჩვეულებრივ მათ ლექსიკურ არქაიზმებს უწოდებენ), რომლებსაც მოძველებული აქვთ როგორც ფორმა, ისე მნიშვნელობა, ანუ მთელი სიტყვა აღიქმება როგორც მოძველებული ანდა დავიწყებული ამ ენის მატარებელთა ძირითადი ნაწილის მიერ. მაგალითად, adarga, aljaba (კაპარჭი), zepelín, maravedi, rebel, birlocho და ა. შ.

ყველა სიტყვა-არქაიზმი ისტორიზმებს განეკუთვნება, თუმცა ყველა ისტორიზმი როდია ლექსიკური არქაიზმი;

ლექსიკურ-სემანტიკური არქაიზმები, რომლებსაც სავსებით თანამედროვე ფორმა აქვთ, ამ ფორმის ერთ-ერ-

თი მნიშვნელობა კი – მოძველებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ესაა არქაიზებული მნიშვნელობები საერთო მოხმარების პოლისემანტიკური სიტყვებისა. ლექსიკურ-სემანტიკურ არქაიზმებს შორის შეიძლება შეგვხვდეს როგორც ისტორიზმები (tranvía, (კონკის მნიშვნელობით, diligenca დილიჟანსის მნიშვნელობით, disciplinas – როზგები, plomada – კისტანი, ძველებური საცემი იარაღი, bala – ბირთვი), ისე სტილისტური არქაიზმები (hotel – ცალკე მდგომი სახლის მნიშვნელობით, caber – გაგება, ცოდნა, cálido (ეშმაკი, ცბიერი, frisar – დაპატარავება, მოკლება, pijar – ზეასვლა, ვიღაცაზე აღმატება, corrimiehto – თავდასხმა, თარეში) და ა. შ.

ლექსიკურ-ფონეტიკური არქაიზმები, რომლებიც ხასიათდებიან არქაული ფორმით და სავსებით ინარჩუნებენ თანამედროვე მნიშვნელობას. მაგალითად, fermoso – hermeso, fecho – hecho, agora – ahora და სხვ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვა წარმოადგენს ლექსიკური ერთეულის თავისებურ ვარიანტს. არქაიზმი და თანამედროვე სიტყვა მატერიალურად თითქმის სრულად თანხვდებიან. ამავე ჯგუფში შედის განსხვავებულძირიანი სიტყვები, როგორებიცაა, მაგალითად, fenestra (ventana), guisa (voluntad antojo), guismento (aderezo disposición de una cosa), luene (lejos) და სხვ.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, არქაიზმები სხვადასხვა მიზეზით ჩნდება. პირველ ყოვლისა, ისინი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ამ ლექსემით სახელდებული საგნები, ნივთები, მოვლენები და ა. შ. ქრება, გადის ხმარებიდან. ამგვარად, ექსტრალინგვისტური ფაქტორები, ცვლილებები ხალხის ყოფაში განაპირობებენ წმინდა ენობრივ ცვლილებებსა და გადაადგილებებს. ასე ჩნდება ისტორიზმები. თუმცა სიტყვათა და მნიშვნელობათა არქაიზაციის მიზეზად შეიძლება იქცეს წმინდა ენობრივი ფაქტორებიც. მაგალითად, მეტოქეობა მნიშვნელობით ახლომდგომი სინონიმებისა. სიტყვა acuesto (ფერდობი), დროთა განმავლობაში არქაიზმად იქცა, მაშინ როდესაც cuesta აქტიურია თანამედროვე

ენაშიც. მეტოქეობა acordanza-ს (შეთანხმება), insula-ს (კუნძული), yantar-სა (ჭამა) და acaptar-ს (მათხოვრობა) შორის, შესაბამისად, acuerdo-ს, isba-ს, comer-ის, სასარგებლოდ დასრულდა.

არქაიზმების აღსაქმელად პრაქტიკულად საჭიროა ათვლის სამი წერტილი: დროითი, სივრცითი და სოციალური. არქაიზმად ითვლება ის ლექსიკური ერთეული, რომელიც მეტყველების მომენტში აღიქმება როგორც მოძველებული. ამასთან, დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში სხვადასხვა ტერიტორიულ ვარიანტებში ერთი და იგივე სიტყვა ერთერთ მათგანში განისაზღვრება როგორც არქაიზმი, მეორეში ან სხვებში კი – როგორც ჩვეულებრივი სიტყვა. დაბოლოს, ლექსიკური ერთეული გარკვეულ სფეროში შეიძლება ფართოდ გამოიყენებოდეს, სხვა გარემოში კი მოძველებულად და არასალიტერატურო ფორმად მიიჩნეოდეს.

არქაიზმები ასეთებად აღიქმება საერთოესპანური ან ეროვნული ვარიანტის სალიტერატურო ნორმის ფონზე. ყველა ესპნურენოვანი ქვეყნისათვის ერთიანი საერთოესპანური სალიტერატურო ნორმის ფონზე ლექსიკური ერთეულის არქაული შეფერილობა ყველგან შენარჩუნებულია. „ასე რომ, ეჭვგარეშეა, რაინდი დონ კიხოტის მეტყველებისთვის სერვანტესი მიერ ოსტატურად შერჩეულ არქაიზმებს (როგორებიცაა: ca, guisa, fazer და სხვ.) ნებისმიერი ლათინოამერიკელი, ვინც უნდა იყოს იგი – კუბელი, მექსიკელი, ჩილელი თუ დომინიკელი, აღიქვამს როგორც მოძველებულ ფორმას. სიტყვები lanza (მახვილი, შუბი) ან escudo (ფარი), escudero (საჭურველთმტვირთველი) ერთნაირად იქნება აღქმული როგორც ისტორიზმები ესპანეთშიც და ამერიკაშიც".[24]

სხვა ლექსიკური ერთეულები არქაული აღმოჩნდება ესპანური მეტყველების გარკვეულ არეალებში მხოლოდ ესპანური ენის ეროვნული ვარიანტების ლიტერატურული ნორმების ფონზე.

---

24 Cuarncri J. C. El; lenguaje popular quc hablamos y escribimos. P. 21.

სავსებით ცხადია, რომ არქაიზმები შეადგენს ენის ლექსიკური სიმდიდრის ნაწილს. მათი სტილისტური ფუნქციები მეტად ფართოა. მათი დახმარებით მწერლები აღადგენენ წარსული ეპოქების კოლორიტს, ზუსტად აღწერენ გარდასულ ყოფას, ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებსა და წესებს, იძლევიან პერსონაჟთა მეტყველებით დახასიათებას. თანამედროვე მხატვრულ ენობრივ ქსოვილში არქაიზმების ოსტატურად ჩართვით ლიტერატორები აღწევენ საჭირო ირონიულ, კომიკურ ან სატირულ ეფექტს. დაბოლოს, სადღესასწაულო მეტყველება, მაღალი სტილი ზოგჯერ ასევე ითხოვს არქაიზმების გამოყენებას.

§ 4. ნეოლოგიზმები

ნეოლოგიზმებს, ჩვეულებრივ, უწოდებენ ენაში საზოგადოებრივი საჭიროების გამო ახალი საგნებისა და ცნებების ნომინაციისა და აზროვნების უკვე ცნობილი ობიექტების ხელახალი სახელდებისათვის შემოსულ იმ ლექსიკურ ერთეულსა და სიტყვათა მნიშვნელობებს, რომლებმაც სიახლის შეფერილობა შეინარჩუნეს.

დეფინიციიდან გამომდინარეობს, რომ არსებობენ სიტყვა-ნეოლოგიზმები (ლექსიკური ნეოლოგიზმები) და მნიშვნელობა-ნეოლოგიზმები (სემანტიკური ნეოლოგიზმები), პირველები ამათგან იქმნება პროდუქტიული მოდელების მიხედვით, ანდა სესხების გზით სხვა ენებიდან. მაგალითად, cosmonauta, astronaute, alunizaje, transistor, helopeurto (ვერტმფრენების სადგური), telepiente (ტელეხიდი), petridolars (ნავთობდოლარები), narcodolares (ნარკოდოლარები), europeizacion, discoteca, rook, roquero, ecologista, sompitador, bingo (სათამაშო ლოტოს სახეობა), holbi, chartet (შეკვეთილი ავიარეისი), aerosol (აეროზოლი), futurizar (პროგნოზირება), descageinado კოფეინისგან გაწმენდილი), minifundio (წვრილი მიწათმფლობელობა),

minibar (სასტუმროს ნომრებში მოთავსებული მაცივარი სასმელებით) და ა. შ.

მნიშვნელობა-ნეოლოგიზმები იქმნება სიტყვათა არსებული ლექსიკური მნიშვნელობების ხელახალი გააზრების გზით. ასე გაუჩნდა ახალი მნიშვნელობები სიტყვებს: doble (დუბლიორი), ariete (თავდამსხმელი ფეხბურთში), caradora (ქურთუკის ნაირსახეობა), basura (მცდარი ან არასაჭირო მონაცემები და განკარგულებები კომპიუტერში), blando (სუსტი: ნარკოტიკების მიმართ), cebra (მიწისზედა გადასასვლელი ფეხით მოსიარულეთათვის „ზებრა"), prefijo (რომელიმე დასახლებული პუნქტის სატელეფონო კოდი), canal (ინფორმაციის გადამცემი მოწყობილობა), memori (ინფორმაციის შენახვა კომპიუტერში, „მეხსიერება") და ა. შ.

განსაზღვრებიდან ცხადია აგრეთვე, რომ არსებობს იდეოგრაფიკული ნეოლოგიზმები, რომლებიც ახდენენ ახალი ცნების მატერიალიზაციას (ესაა ზემოთ მოყვანილი სიტყვა-ნეოლოგიზმები – cosmonauta, asronauta, alunizar და ა. შ. და აღნიშნული სემანტიკური ნეოლოგიზმებიდან ზოგიერთი – sistema, ordenador, doble, caradora და ა. შ) და სტილისტური ნეოლოგიზმები, რომლებიც სხვა სიტყვების სინონიმებს წარმოადგენენ (მაგალითად, ariete არის სინონიმი delantero-სი, cancerberi აღნიშნავს portero-ს, guardameta-ს, arquero-ს, trucha-ს შეესაბამება picaro, tunante და სხვ.).

სტილისტური ნეოლოგიზმები ენაში შემოდის საზოგადოებრივი მოთხოვნილების გამო ზოგიერთი საგნის, მოვლენის, მოქმედებისა და ა. შ. შეფასებითი დასახელებისას. ისინი ავსებენ არსებულ სინონიმურ რიგს. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ენის მატარებლები აღიქვამენ არა მარტო ასეთი სიტყვის სიახლეს, არამედ მის შინაგან ფორმას, იმ ხატს, რომელიც მის საფუძველს შეადგენს. სტილისტურ ნეოლოგიზმებს ეკისრებათ ნომინაციური და დახასიათებითი ფუნქციები. დროითი მაჩვენებელი, სიახლე სტილისტურ შეფერილობას აძლევს როგორც იდეოგრაფიკულ, ისე სინონიმურ

ნეოლოგიზმებს. მაგრამ პირველებისაგან განსხვავებით, ამ უკანასკნელთ დამატებითი ექსპრესიული მარკირება აქვთ.

ნეოლოგიზმები ენის სოციალური ბუნების თვალსაჩინო დადასტურებაა, მუდმივად ცვალებადი სინამდვილე, საზოგადოების განვითარება, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის პროგრესი განუყრელადაა დაკავშირებული ადამიანთან, მის სულიერ და მატერიალურ საქმიანობასთან, რომელიც, თავის მხრივ, წარმოუდგენელია ენის გარეშე. საზოგადოებაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება ოპერაციულ ენობრივ უზრუნველყოფას ითხოვს.

თანამედროვე მსოფლიოში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტიმულატორად იქცა ახალი სიტყვებისა და მნიშვნელობების გაჩენისათვის არა მარტო სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის სფეროში, არამედ ყოველდღიურ მეტყველებაშიც. უკანასკნელ წლებში გაჩნდა მრავალი ახალი საყოფაცხოვრებო საგანი, ფართო მოხმარების გამომთვლელი აპარატები, ახალი სპეციალობები და მოვლენები.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ნეოლოგიზმებს შორის ჭარბობს მანქანების, ხელსაწყოების, ნივთიერებების, პროცესების, მეცნიერების, ხელოვნების მოვლენების, პროფესიათა და საქმიანობათა დასახელებები. ყველაზე მეტი ნეოლოგიზმი არსებით სახელებში გვხვდება. გაცილებით ნაკლები ნეოლოგიზმებია ზედსართავ სახელებში, კიდევ უფრო ნაკლები – ზმნებში და სულ ცოტა – ზმნიზედებში.

ნეოლოგიზმების ბედი, როგორც წესი, დამოკიდებულია სოციალურ მოთხოვნაზე, საზოგადოების კომუნიკაციურ საჭიროებებსა და მიდრეკილებებზე და არა ცალკეული პიროვნების სურვილზე; ცნობილია, რომ ზოგჯერ გამოჩენილი მწერლები, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს ლიტერატურული ენის განვითარებას, ეწინააღმდეგებოდნენ და აქტიურადაც კი იბრძოდნენ რომელიმე ნეოლოგიზმის წინააღმდეგ, მაგრამ თვით მათი ავტორიტეტიც არ აღმოჩნდა საკმარისი.

ნეოლოგიზმი რჩებოდა და მკვიდრდებოდა ენაში ავტორიტეტის ნება-სურვილის მიუხედავად. მაგალითად, პიო ბოროხა[25] მკვეთრად აკრიტიკებდა ნეოლოგიზმების (posibilitar და propugnar) შემოტანას, მაგრამ ისინი მტკიცედ დამკვიდრდა ენაში და უკვე აღარც აღიქმება ნეოლოგიზმებად.

ნეოლოგიზმები არ უნდა აგვერიოს იკაზიონალიზმებთან (ocasionalismos)[26] – უჩვეულო, განსაკუთრებული მნიშვნელობის სიტყვები. ნეოლოგიზმების სიცოცხლისუნარიანობა განპირობებულია საზოგადოების კომუნიკაციური მოთხოვნებით, რომელიც საჭიროებს ახალი ნივთების, საგნების, ფაქტების, მოვლენების და ა. შ. სახელდებასა და ზოგიერთი არსებული მატერიალური ან აბსტრაქტული დენოტატის კონოტაციურ ნომინაციას. ნომინაციური ფუნქცია ნეოლოგიზმებისათვის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს. ოკაზიური სიტყვები წარმოიქმნება ექსპრესიულ-ემოციური მიზნებისათვის ინდივიდუალური – საავტორო მოთხოვნების შესაბამისად. მათი ძირითადი ფუნქცია მახასიათებლურია და ისინი იქმნებიან უპირატესად ნაკლებად პროდუქტიული სიტყვაწარმოებითი მოდელების საფუძველზე. მხატვრული მეტყველება – ესაა ოკაზიური სიტყვების გამოყენების ტიპური სფერო.

ისინი, როგორც წესი, არსებობენ მხოლოდ გარკვეულ, კონკრეტულ კონტექსტებში, მაშინ როდესაც ნეოლოგიზმები საყოველთაოდ გამოიყენება. ნეოლოგიზმები დროთა ვითარებაში კარგავენ სიახლის კოლორიტს და ჩვეულებრივ სიტყვებად იქცევიან. სხვა საქმეა – ოკაზიური სიტყვა. მისთვის მთავარია შეინარჩუნოს თავისი უჩვეულობა,

---

25 იხ. Herreno Mahor A. Lengua; diccionario, estilo. P. 25

26 ლინგვისტურ ლიტერატურაში ამ ლექსიკურ ერთეულებს რამოდენიმე სინონიმური დასახელება აქვთ: სტილისტური ნეოლოგიზმები, მეტყველებითი ნეოლოგიზმები, ინდივიდუალურ-სტილისტური ნეოლოგიზმები, სიტუაციური ნეოლოგიზმები, ინდივიდუალური სიტყვები. კონტექსტუალური ნეოლოგიზმები და სხვა...

შინაარსისა და ფორმის მოულოდნელობა, შეინარჩუნოს ინდივიდუალურ-საავტორო მოცემულობა და მხატვრული ორიგინალურობა.

ოკაზიურ სიტყვებს ხშირად „იგონებენ" თანამედროვე ავტორებიც, განსაკუთრებით გამოირჩევიან ამ მხრივ ლაიგლესია, სელე, უმბრალიუ. აი, ოკაზიური სიტყვების მაგალითები ნობელიანტი მწერლის შემოქმედებიდან: sincorbatismo („უჰალსტუხობა"), cambiachaquesta („მუნდირთმცველი", ანუ „შემგუებელი"), capientización („ტვინის მოჭყლეტილობა"), miralunas („მთვარისმჭვრეტელი"), truchológo („ფასელეოლოგი"), infraqievedo („კეკვედოზე უარესი ვიღაც"), ustedeitista („ამომთხრელი, „ამომხვრეტელი"), simultaneista („ამწუთიერი" ადამიანი), enabirintamento („გალაბირინთება"), clabirintademento („ლაბირინთულად"), articulismo („გაზეთურობა, ჟურნალისტურობა") boca besodora („საკოცნელი პირი") და ა. შ.

§ 5. ინდიხენიზმების როლი ესპანური ლექსიკის ჩამოყალიბებაში

1492 წელს ესპანელების მიერ ამერიკის აღმოჩენამ განაპირობა ესპანური ენის მუდმივი და ხანგრძლივი კონტაქტები ინდიელთა მრავალრიცხოვან ენებთან. საბოლოო ჯამში ამან გამოიწვია ესპანური ლექსიკონის შესამჩნევი გამდიდრება ინდიელთა ენებიდან ნასესხები ინდიხენიზმების (indigenismos) ხარჯზე. ახალი ცხოველური და მცენარეული სამყარო, უჩვეულო საყოფაცხოვრებო საგნები და საკვები, უცნობი რწმენა და ზნე-ჩვეულებები – ყველაფერი ეს ესპანელებისაგან განსაკუთრებულ ნომინაციას მოითხოვდა. კოლუმბი თავის ჩანაწერებში უჩიოდა იმას, რომ მან არ იცოდა როგორ მოქცეულიყო ასეთ შემთხვევებში, რა უნდა დაერქმია უამრავი არაჩვეულებრივი ფრინველისთვის, თევზისთვის, მწე-

რისთვის, მცენარისთვის, ნაყოფისთვის, რომლებიც ახალი სამყაროს აღმომჩენებმა პირველად ნახეს. თავდაპირველად ევროპულის მსგავს ობიექტებს ისინი ესპანურ სახელებს არქმევდნენ, მაგრამ ძალიან ჩქარა მომხდურებმა დაიწყეს ადგილობრივი სახელწოდებების ათვისება ეგზოტიკური ფლორისა და ფაუნის, საყოფაცხოვრებო საგნების მნიშვნელობების გამოსახატავად, დროთა ვითარებაში კი ზოგიერთი საკუთრივ ესპანური ცნების აღსანიშნავადაც.

ამერიკის კონტინენტი დასახლებული იყო სხვადასხვა ინდიელი ხალხითა და ტომით. ისინი ლაპარაკობდნენ უამრავ ენასა და კილოკავზე. სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში მარტო მსხვილი ენობრივი ოჯახი დაახლოებით 170-ია, 2000-ზე მეტი კი – წვრილ-წვრილი ენები და დიალექტებია. ინდიელთა ენების არათანაბარმა შესწავლამ განაპირობა მათი გენეტიკური კლასიფიკაციის სირთულე. ამიტომ ენათმეცნიერებაში არსებობს რამდენიმე განსხვავებული და ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო კლასიფიკაცია.

მოცემულ ნაშრომში მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მხოლოდ იმ ენობრივი ოჯახების დასახელება, რომლებიდანაც ესპანურში ყველაზე მეტი ინდიხენიზმი შევიდა. ამგვარ ნასესხობათა მაგალითებია:

– **არავაკული ენები** (ანტილიის კუნძულების ნაწილი, თანამედროვე კუბის, ჰაიტის, სანტო-დომინგოს, კოსტა-რიკის ტერიტორიები). ამ ენობრივი გარემოდან იქნა ნასესხები მრავალი სიტყვა, რომელიც დღეს შედის არა მარტო ესპანური ენის ზოგიერთი ლათინოამერიკული ვარიანტის, არამედ მთელი ესპანურენოვანი არეალის ლექსიკურ მარაგში, მაგალითად canoa (მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი), sábana (ზეწარი), hamaca (1. ჰამაკი; 2. საწოლი გემზე) და სხვ.

– **კარიბული ენები** (ანტილიის კუნძულების სამხრეთი ნაწილი, ვენესუელის, გვიანის ტერიტორიები). ესპანელების შემოსვლამდე ცოტა ხნით ადრე კარიბის ტომებმა ხელთ იგდეს ანტილიის ზოგიერთი კუნძული. ამიტომ კარი-

ბული წარმომავლობის სიტყვების განსაზღვრისას ზოგჯერ ძნელი ხდება იმის უეჭველი მტკიცება, რომ ეს სიტყვა კარიბულია და არა არავაკული წყაროდან. ვარაუდობენ, რომ კარიბული ენებიდან საერთო ესპანურ ფონდში შევიდა: loro (1. თუთიყუში; 2. ყბედი), guayaba (1. ტივი; 2. სიცრუე; 3. პატარძალი; 4. სამშვენისი), papayo (ნესვის ხის ნაყოფი), huracán (გრიგალი), mico (1. უისტიტი, პატარა მაიმუნი; 2. ავხორცი), piragua (პიროგეა, ნავი), caimán (კაიმანი, ნიანგი), totuma (ნესვი), jibe (საცერი, სამტკიცი საწური), cocuyo (ციცინათელა), mapurito (ეკლიანი ბუჩქნარი), catauro (კალათი, გოდორი) და სხვ.

– **აცტეკური ენები** (თანამედროვე მექსიკის ტერიტორია). პირველ ყოვლისა, ეს არის ნაუატლი (მას აცტეკურსაც უწოდებენ). საერთოესპანურ აცტეკიზმებს შორის უნდა დავასახელოთ galpón' (ფარდული), tomate (პომიდვრის ნვენი), cacao (კაკაო), cacahuete (მიწისთხილი), nopal (ნოპალი – კაქტუსი, რომელიც ლელვის მსგავს ნაყოფს იძლევა), და სხვ. ლათინოამერიკულ ვარიანტებში დარჩა: metate (ხელსაფქვავი), comal (კვერების საცხობი კეცი), pulque (პულკე – ალკოჰოლური სასმელი), coyote (კოიოტი – მგლის მსგავსი მტაცებელი ძუძუმწოვარი), camote (1. ბატატი; 2. ნაიარევი; 3. შეყვარება; შეყვარებული; 4.ყეყეჩი; 5. თაღლითი; 6. გაიძვერა), mipla (სიმინდის ველი), japola (სასაქმებელი) და სხვ.

– **ჩიბჩას ენები** (გავრცელებულია ამჟამინდელი ნიკარაგუის, კოსტა-რიკის, კოლუმბიის, პანამის, ეკვადორის და სხვა ტერიტორიებზე). ენების ამ ჯგუფს პრაქტიკულად არ შეუტანია წვლილი ესპანური ენის ეროვნებათაშორის ლექსიკურ ფონდში. ჩიბჩას ინდიხენიზმები ათვისებულია მხოლოდ ლათინური ამერიკის ესპანური ენის რამდენიმე ვარიანტში. ასეთ ნასესხობებს მიეკუთვნება, მაგალითად chicha (ალკოჰოლური სასმელი), chaquira (წვრილი მძივი), maque (ფისი), cerbas (გიგანტური ინდური ხე), chusque (მარცვლოვანი მცენარე) და სხვ.

– **კეჩუმარული ენები** (თანამედროვე პერუსა და ბოლივიის ტერიტორიებზე და ეკვატორის, ჩილეს, არგენტინის ზოგიერთ ანდურ ზონაში). საუბარია, უმთავრესად, კეჩუას და აიმარას ენების შესახებ. კეჩუა იყო ინკების იმპერიისა და ტომთაშორისი ურთიერთობის ენა კოლუმბისდროინდელი სამხრეთ ამერიკის მნიშვნელოვანი ტერიტორიისათვის. ამჟამად კეჩუაზე ლაპარაკობს 13 მილიონზე მეტი ადამიანი. მათგან დაახლოებით 5 მილიონი ბილინგვია. აიმარას ენა, როგორც ჩანს, უფრო ძველია. ამჟამად მასზე მეტყველებს ნახევარი მილიონი ინდიელი. ეს ენა გავრცელებული იყო ვრცელ ტერიტორიაზე იქამდე, სანამ მას ინკები დაიპყრობდნენ. მრავალი წლის განმავლობაში (ივარაუდება ათასწლეულები) აიმარასა და კეჩუას ინდიელთა ისტორიის, კულტურისა და ენების ურთიერთკავშირი ძალიან მჭიდრო იყო, რამაც განაპირობა ის, რომ ორივე ენაში გაჩნდა მნიშვნელოვანი ფონეტიკური და მორფოლოგიური მსგავსებები და საერთო სიტყვების დიდი რაოდენობა. ამიტომ ზოგიერთი ლინგვისტი ენების ორივე ჯგუფს ერთ – კეჩუმარას ოჯახში აერთიანებს.

კეჩუმარას წვლილი ესპანურ ლექსიკაში, უმთავრესად ლათინური ამერიკის ანდურ ქვეყნებში, მეტად მნიშვნელოვანია, ფართოდ არის ცნობილი სახელწოდებები. ცხოველებია: **illama** (1. ქალი; 2. ზოოლ.: ლამა; 3. ეკვ. ვერძი, ერკემალი), **vicuña** (ზოოლ.: ვიკუნია (ლამის სახეობა), **guanaco** (1. გუანაკო – ლამების გვარის ძუძუმწოვარი ცხოველი; 2. ამერ.: მიამიტი, გულუბრყვილო; 3. არგ.: ტეტია, გაუთლელი), **cóndor** (კონდორი – დიდი მტაცებელი ფრინველი სამხრეთ ამერიკის მთებში), **alpaca** (ალპაკა – სამხრეთამერიკული თხა გრძელი ბეწვით), **puma** (პუმა – მტაცებელი ცხოველი კატების ოჯახისა), **tagura** (ზოოლ.: ტარუგა – ლამის ნაირსახეობა), **sizcacha** (ვისკაჩა – ამერიკული კურდღლის სახეობა); მცენარეებისა, **yuyo** (სარეველა ბალახი), **totora** (ლელქაში), ლანდშაფტებისა: **pampa** (პამპა – ტრამალი, ველი), **puna** (პუნა – შინაგანი პლატო სამხრეთ ამერიკის ცენტრალურ ანდებში; დამახასიათებელია

ზეგნური რელიეფი, მწირი მცენარეულობა), chacra (ფერმა); ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და საყოფაცხოვრებო ნივთებისა: ojota (ოხოტა – ინდიელთა სანდლების სახეობა), cusma (ტყეებში მცხოვრებ ინდიელთა პერანგი), vincha (ინდიელთა თავზე შემოსახვევი), chipa (ხილის კალათა).

– **ტუპი-გუარანის ენები** (ბრაზილიის, პარაგვაის ნაწილი, ბოლივიისა და არგენტინის ნაწილი). ეს არის დიდი, ორმოცდაათზე მეტი ინდიელთა ენისგან შემდგარი ოჯახი; ამ ენებზე ლაპარაკობს სამ მილიონამდე ადამიანი. გუარანი და მისი ახლომონათესავე ტუპი, რომლებმაც განსაზღვრეს ენობრივი ჯგუფის სახელწოდება, წარმოადგენენ ურთიერთობის საშუალებას ტომებს შორის და ძირძველ მოსახლეობასა და ევროპელ მომხდურებს შორის. ტუპი-გუარანიდან, პირველ ყოვლისა, სამხრეთ ამერიკის ესპანურ და პორტუგალიურ ენებში შევიდა ლექსიკურ ერთეულთა საგრძნობი რაოდენობა. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი უფრო გვიანდელი ნასესხობა ესპანურში გაჩნდა პორტუგალიური ენის საშუალებით. განხილული ტიპის ყველაზე მეტი ინდიხეინიზმი გვხვდება პარაგვაის ენაში (პარაგვაელებს შორის ბევრია ესპანურსა და გუარანიზე მოლაპარაკე ბილინგვი; ქალაქებში გავრცელებულია შერეული ესპანურ-გუარანის კილოკავი იოპარა – yopara). ესპანურში ტუპი-გუარანიული წარმომავლობისაა, მაგალითად, შემდეგი სიტყვები: ცხოველების, ფრინველების, თევზების სახელწოდებები: tapir (ტაპირი – კენტჩლიქიანი ცხოველი, რომელსაც აქვს ხორთუმის მსგავსად წაგრძელებული ზედა ტუჩი (ცხვირთან ერთად), იყენებენ მის ხორცსა და ტყავს), yaguar (იაგუარი – დიდი ტანის მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან), tiburón (ზვიგენი), paca (ბრაზილიური ღორი), yacaré (კაიმანი, ნიანგი), ara (არარა – დიდი, უქოჩრო გრძელბოლოიანი თუთიყუში), mandioca (მანიოკა – ტროპიკული მარადმწვანე ბუჩქი, რომლის ფესვებს ხმარობენ საჭმელში), tacuara (ლერწამი), petunia (პეტუნია); ასევე ისეთი სიტყვები, როგორიცაა: gaucho (გაუ-

ჩო, არგენტინელი გლეხი), mucama (მსახური), maraca (მარაკა, მუსიკალური ინსტრუმენტი) და სხვ.

– **არაუკანული ენები** (თანამედროვე ჩილესა და არგენტინის პატაგონიის ნაწილის ტერიტორიაზე). ამჟამად არაუკანულ ენაზე (სხვანაირად – მაპუჩე) ლაპარაკობს დაახლოებით ნახევარ მილიონამდე ადამიანი. ამ ენებმა ვერ მოახდინეს ზეგავლენა საერთოესპანურ ლექსიკაზე. ესპანური ენის ჩილურ ვარიანტში და პატაგონიის დიალექტურ მეტყველებაში არაუკანიზმებს შორის გვხვდება მცენარეებისა და ნაყოფების სახელები: lima (ლიმონის სახეობა), quila (ბამბუკის სახეობა), lingue (ჩილური ხე), chaucha (ადრეული, საადრეო კარტოფილი), palqui (ბუჩქი); შრომის იარაღების დასახელებები: echona (ნამგალი), chope (ხის ნიჩაბი), laqui (ლასოს სახეობა – ქამანდი, საგდებელი, რომლითაც ცხენოსანი მწყემსები და მონადირეები ცხოველებს იჭერენ); ცხოველთა სახელები: laucha (თაგვი), pudú (მთის თხა), chilihueque (ლამა), chucao (ჩიტი) და სხვა სიტყვები.

ცხადია, ესპანური ენის ლექსიკა ლათინური ამერიკის ქვეყნებში ინდიელთა სხვა ენების ხარჯზეც შეივსო. თუმცა ჩვენს ამოცანას არ შეადგენდა ესპანური და ინდიელთა ენების ურთიერთქმედების დაწვრილებითი აღწერა. გვინდოდა მხოლოდ აღგვენიშნა ინდიხენიზმების ზოგიერთი სემანტიკური ველი ესპანურ ენაში.

თავი III

ესპანური ლექსიკის სოციალურ-ფუნქციური დიფერენციაცია

1. სამეცნიერო ტერმინოლოგია: ტერმინები და ნომენკლატურული სახელწოდებები ესპანურ ენაში

ტერმინები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ სამყაროს შეცნობისა და ათვისების პროცესში, ვინაიდან წარმოადგენენ სახელწოდებებს სპეციფიკურ სამეცნიერო და ტექნიკური აბსტრაციებისას (ცნებებისას), რომლებსაც მოცემულ სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში სპეციალურად შემუშავებული და დასაბუთებული განსაზღვრებები (დეფინიციები) აქვთ. ტერმინებში გაერთიანებულია ორი ლექსიკური ფუნქცია: ნომინაციური და დეფინიციური. ტერმინის ლექსიკური მნიშვნელობა და მასში ასახული ცნება პრაქტიკულად ერთი და იგივეა. ტერმინს არ გააჩნია ემოციურ-ექსპრესიული კონოტაციები. როგორც წესი, ის ვერ გუობს სუბიექტური შეფასების სუფიქსებს. ტერმინში თითქოსდა დაპროგრამებულია მისწრაფება ერთმნიშვნელოვნელიანობისაკენ და მაღალი სიზუსტისა და გარკვეულობისაკენ მის მიერ გამოხატული ცნების განსაზღვრისას. თუმცა თვით „აზროვნება არ იძლევა ამ იდეალური მოთხოვნების შესრულების საშუალებას. ერთი და იგივე ძალა გამუდმებით მოთხოვნების შესრულების საშუალებას. ერთი და იგივვე ძალა გამუდმებით იცავს ამ ტენდენციას: აზროვნება და სამყაროს შრომითი ათვისების პროცესი, რომელშიც ჩართულია აზროვნება და რომლის აუცილებელ მონაწილესაც იგი წარმოადგენს, განუწყვეტლად ბადებს დამკვიდრებულ ცნებათა საზღვრების ცვალებადობას, განაკუთრებით თეორიის სფეროში და ქმნის ახალ ცნებებს, რომლებიც სიტყვიერ, ტერმინოლოგიურ აღნიშვნასა და გამოხატვას ითხოვენ" (ვინოგრადოვი, 2004; 265).

ნომენკლატურული სახელწოდების მნიშვნელობები უფრო სტაბილურია, ვინაიდან ისინი, როგორც უკვე ითქვა, დაკავშირებული არიან კონკრეტული მექანიზმების, ინსტრუმენტების, მასალების, საწარმოო ოპერაციებისა და ა. შ. ნომინაციასთან, რა თქმა უნდა, ზოგჯერ ძნელი ხდება მკვეთრი საზღვრის გავლება ნომენკლატურულ სახელწოდებასა და ტერმინს შორის.

ტერმინები არ არსებობენ თავისთავად. ისინი ტერმინოლოგიური სისტემების ნაწილს წარმოადგოენენ. ტერმინები ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული ცნებებია და არ შეიძლება შეფასდნენ ტერმინთა სისტემისაგან იზოლირებულად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტერმინები ფუნქციურად მნიშვნელოვანი არიან პირველ ყოვლისა გარკვეული მეცნიერების, კონკრეტული სამეცნიერო და ტექნიკური დარგის ან დისციპლინის ჩარჩოებში.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ტერმინი ერთმნიშვნელოვანია და რომ ტერმინოლოგიისთვის დამახასიათებელია ტენდენცია მონოსემანტიზმისაკენ, ენობრივი რეალობა ადასტურებს, რომ ტერმინებისათვის უცხო არ არის ისეთი მოვლენები, როგორიცაა პოლისემია და სინონიმია.

სინონიმია ტერმინოლოგიაში – ესაა ორი ან მეტი განსხვავებული ლექსიკური ერთეულის მიმართ ერთი ტერმინირებული ცნება. ამგვარი სინონიმების მაგალითებია: გრამატიკაში – el condicional – el potencial (პირობითი კილო), determinado – definido – determinancion (განსაზღვრული – არტიკლის შესახებ), და სხვ.; პოლიგრაფიაში – ajuste – compaginacion (დაკაბადონება, გვერდებად შეკვრა), compaginaror cerácter – tipo – letra (შრიფტი) და სხვ.;

საკითხი ომონიმების გამოყოფის შესახებ ტერმინოლოგიის სფეროში მნიშვნელოვან თეორიულ სირთულეებს უკავშირდება. მაგალითად, სიტყვა valor. მუსიკალურ სფეროში აღნიშნავს „ნოტის ჟღერადობის ხანგრძლივობას", ხოლო მათემატიკოსებთან აღნიშნავს ცნებას „სიდიდე, მნიშ-

ვნელობა, არსებითი სახელი especie სპორტსმენი – მოფარიკავის მიერ შეიძლება გაიაზრებოდეს როგორც „დარტყმა დაშნით", მუსიკოსის მიერ – როგორც „ნოტა (მრავალხმიანობის შემადგენელი ნაწილი)", ხოლო ბიოლოგის მიერ – როგორც „სახეობა". რა არის ეს, ომონიმები თუ ერთი და იმავე სიტყვის მნიშვნელობები? თუკი მათ განვიხილავთ მხოლოდ ტერმინთა სისტემის დონეზე, საერთო ლექსიკური სისტემიდან მოწყვეტილად, მაშინ, როგორც ჩანს, საფუძველი გვექნება ვამტკიცოთ, რომ მოყვანილ მაგალითებში საქმე გვქონდა ომონიმებთან, რომლებიც დამოუკიდებელ ცნებებს გამოხატავენ და სხვადასხვა, ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებული ტერმინით სისტემებში ფუნქციონირებენ (ასეთ მატერიალურად თანხვდენილ ტერმინებს ზოგჯერ დარგთაშორის ომონიმებსაც უწოდებენ). მაგრამ საკმარისია შევუდაროთ ეს ტერმინები მათთვის ამოსავალი მნიშვნელობის მქონე სიტყვებს valor და especie მათ ძირითად (ზოგჯერ ნაწარმოებ) ნომინაციურ მნიშვნელობებს, შესაბამისად „ღირებულება, ფასეულობა" და სახეობა, სახესხვაობა, ნაირსახეობა", დავრწმუნდებით, რომ ორივე ტერმინი სხვა არაფერია თუ არა პოლისემანტიკური სიტყვების valor და especie ნაწარმოები ტერმინოლოგიური მნიშვნელობები, ვინაიდან სემანტიკური კავშირი ტერმინოლოგიურ ად ძირითად ნომინაციურ მნიშვნელობებს შორის ჯერ კიდევ საკმაოდ საგრძნობია. ტერმინოლოგიური მნიშვნელობის მეტაფორული მნიშვნელობა ჯერ კიდევ შესამჩნევია ენის განვითარების თანამედროვე დონეზე. შემთხვევითი არ არის, რომ ლექსიკონებში ყველა აღნიშნული ტერმინოლოგიური მნიშვნელობა მითითებულია ერთ ბუდეში, როგორც წარმოებულები მაწარმოებელი სიტყვებისა valor და especie. ამგვარი მსჯელობა მიესადაგება ასევე ისეთ სიტყვებს, როგორებიც არიან, მაგალითად:

Estribo (უზანგი)	1. უზანგი (სასმენი ძვლის ნაწილი, ანატომიური ტერმინი); 2. კონტრფორსი (არქიტექტურული); 3. განივი საყრდენი (სამშენებლო);
Espacio (სივრცე, ინტერვალი)	1. შპაცია, შპონი (პოლიგრაფიული ტერმინი); 2. შუალედი სანოტო ხაზებს შორის (მუსიკალური);
Figura (ფიგურა; სახე, ტიპი) –	1. ნოტი (მუსიკალური ტერმინი); 2. ტროპი, გამოთქმა (რიტორიკული).
Evacuar (გათავისუფლება, გასუფთავება)	1. კუჭის, კუჭ-ნაწლავის გათავისუფლება, დაცლა და ა. შ. (სამედიცინო ტერმინი); 2. დოკუმენტების გაფორმება და ა. შ. (იურიდიული); 3. ევაკუირება (სამხედრო) და ა. შ.

თუკი იმპულსად ტერმინებისა და ნომენკლატურული სახელწოდებების წარმოქმნისათვის ექსტრალინგვისტური ფაქტორი გვევლინება, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება, ამ იმპულსის მატერიალური განხორციელება რეალიზდება ენაში და დამოკიდებულია სიტყვაწარმოების წესებსა და ხერხებზე. ესპანური ტერმინოლოგია ყალიბდება ესპანური გრამატიკის ყველა სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობის გამოყენებით. ამასთან ტერმინთა და ნომენკლატურათა დიდი უმრავლესობა ბრსებითი სახელებია, შემდეგ მოდიან ზედსართავები და ზმნები.

ესპანურ ტერმინოლოგიას საფუძველი ლათინურმა ენამ ჩაუყარა. პრაქტიკულად XV-XVI საუკუნეებამდე ლათინუ-

რი ენა საყოველთაოდ იყო აღიარებული მეცნიერების ენად. სამეცნიერო შრომები ლათინურად იწერებოდა. ბუნებრივია, რომ მთელი ტერმინოლოგია, პირველ ყოვლისა, ფილოსოფიური, იურიდიული, სამედიცინო და საღვთისმეტყველო იმ დროს ლათინური იყო, თუმცა, ზოგიერთი ტერმინი ბერძნული ეტიმონიდან მომდინარეობდა. მეცნიერებაში ლათინური ენის მიერ მისი წამყვანი როლის დაკარგვის შემდეგ ლათინური ტერმინოლოგია დარჩა ევროპულ ქვეყნებში, თუმცა, რა თქმა უნდა, შესაბამისი ფონეტიკური და მორფოლოგიური ადაპტაცია განიცადა კონკრეტულ ენებში. თანამედროვე მეცნიერებებში შენარჩუნებულია ახალი ტერმინების შექმნის ტენდენცია ლათინური და ბერძნული ძირებისა და ზოგიერთი აფიქსის საფუძველზე.

ესპანური ტერმინების ჩამოყალიბების შესახებ ოთხი ძირითადი სტიყვა-წარმოებითი ხერხი უნდა გამოიყოს:

1. სემანტიკური, როდესაც ჩვეულებრივი სიტყვა სამეცნიერო ან ტექნიკურია. ცნების სახელწოდებად იქცევა მისი ერთი ან რამდენიმე მნიშვნელობის ხელახალი გააზრების, მეტაფორიზაციის გზით.ა სე, მაგალითად, არსებითი სახელის tiempo (დრო) ნომინაციური მნიშვნელობის საფუძველზე წარმოიშვა რამდენიმე ტერმინოლოგიური მნიშვნელობა: სპორტული ტერმინი – ტაიმი, ტექნიკური – დგუშის სვლა, ტაქტი, მუსიკალური – რიტმი, ტაქტი და ლინგვისტური – გრამატიკული დრო).

2. მორფოლოგიური, რომელიც მოიცავს მორფოლოგიური სიტყვაწარმოების პრაქტიკულად ყველა არსებულ ნაირსახეობას (სუფიქსაცია, პრეფიქსაცია, სიტყვათშეერთება, აბრევიაცია და შერეული ხერხები). თუმცა ცოდნის სხვადასხვა სფეროებში ისინი სხვადასხვა ზომითა და შერჩევით რეალიზდებიან. მაგალითად, სუფიქსი - ორა დამახასიათებელია ტექნიკის ენაში მანქანების დასახელებისათვის: trituradora, coscchadora, trilladora, fresadora, emborradora, bobinadora, etc. (იგივე სუფიქსი გამოიყენება ქალთა პროფესიების სახელწოდე-

ბებშიც). ფილოსოფიაში, პოლიტიკასა და ეკონომიკაში აქტიურია სუფიქსი – al ზედსართავების საწარმოებლად – cion-ზე დაბოლოებული აბსქტაქტული არსებითი სახელებისაგან: fraccional, direccional, operacional, institucional, etc. ზმნების საწარმოებლად უპირატესად გამოიყენება სუფიქსი და დაბოლოება – izar: alunizar, amerizar, despolitizar, liberalizar, etc.

3. სინტაქსი, როდესაც ტერმინები წარმოიქმნება ორი ან მეტი სიტყვის შეთანხმებიდან. ყველა ტერმინთა სისტემაში ტერმინთა შექმნის ეს ხერხი მეტად პროდუქტიულია. მაგალითად, cuenca eólica (ეოლის ღრმული), abración glaciaria (ყინულოვანი აბარზია), cúmulo estelar globular (სფერულ ვარსკვლავთა გროვა), depósito de aire (საჰაერო ორმო), eje de vortice (გრიგალის ღერძი), ley normal de los errores (ჰაუსის მრუდი, ცდომილებათა, შეცდომათა კანონი) და ა. შ.

4. პრესტაციური, როდესაც ტერმინი ან ნომენკლატურული სახელწოდება უცხო ენიდან არის ნასესხები. ნასესხობათა უმეტესობა ახალ ენობრივ სივრცეშია ადაპტირებისას ფონეტიკურ, ორთოგრაფიულ და მორფოლოგიურ ცვლილებებს განიცდის (შდრ.: voltio, ohmio, amperio, astromanutica, modulo. etc). ანდა წინანდებურ ფორმას ინარჩუნებს, თუკი არ შედის წინააღმდეგობაში „მიმღები" ენის ფორმასთან (შდრ.: radar, control, aerosol, transistor. digital, etc). მაგალითებში მითითებული სიტყვები ნასესხებია ინგლისური ან გერმანული ენებიდან, თუმცა, სიტყვაწარმოების მხრივ ისინი ლათინური ან ბერძნული ფუძეებიდან მომდინარეობენ.

ვანსხვავებულ სტილისტურ-სამეტყველო რეალიზაციებში ახალი ენობრივი საშუალებების ფუნქციონირების შესახებ არსებული მრავალრიცხოვანი გამოკვლევების განზოგადების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ „სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის ენა ზოგადი ენისაგან განსხვავდება: ა) თავისი სამეცნიერო ტერმინებითა და ტერმინოლოგიზებული სიტყვებით; ბ) ჩვეულებრივ ენაში გამოყენებული სიტყვების „სპეციალური", „გამიჯნული" მნიშვნელობებით; გ) ზოგიერ-

თი გრამატიკული ფორმის გამოყენების სიხშირით, შედარებით დიდი მნიშვნელობითა და ჟანრულ-სტილური სიმყარით; დ) სიტყვათა, შესიტყვებათა და წინადადებათა ხმარების სიხშირითა და განაწილებით ზოგად ლიტერატურულ ენაში მათ სიხშირესა და განაწილებასთან შედარებით; ე) მათი აგებისა და ხმარების სტანდარტიზებულობით".

ენობრივი საშუალებების გამოყენების პროცესში შემუშავებულ იქნა დაკავშირების ფუნქციისადმი დაქვემდებარებული ზოგადსამეცნიერო ფუნქციური სტილი. იგი ჩამოყალიბდა სოციალური შეკვეთის გავლენით სამეცნიერო ინფორმაციის უფრო რაციონალურად და ეფექტურად გადასაცემად. მას გააჩნია ენობრივი საშუალებების სიტყვათხმარებისა და გამოყენების მისთვის დამახასიათებელი ხერხები. თითოეულ სამეცნიერო დისციპლინის ტექსტებში, ეს სტილი, თავისი ზოგადი ნიშნებისა და ფუნქციების დაუკარგავად, განიცდის სახეცვლილებას და აუცილებელ შევსებას კონკრეტული მეცნიერების ტერმინოლოგიით. ამიტომ ზოგადმეცნიერულ ფუნქციურ სტილში შეიძლება გამოიყოს „ჟანრული" ქვესტილები, მაგალითად, სამეცნიერო-ლინგვისტური, სამეცნიერო-ტექნიკური, სამეცნიერო-პოპულარული და ა. შ.

ზოგადმეცნიერული ენის სფეროში ჩატარებულმა მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა „გვიჩვენეს, რომ თუმცა შემოქმედებითი (ინდივიდუალურ-საავტორო) ენობრივი ელემენტები არ გამოირიცხება მეცნიერული თხრობის ფუნქციური სტილიდან, ამ უკანასკნელის დამახასიათებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს სტანდარტიზაცია, უნიფიცირებულობა, გამოხატვის საშუალებათა ერთგვარი „კლიშირებულობა". გარკვეული აზრით, მეცნიერული ნაშრომის ენა დიდი დოზით არის „კოდირებული", ვინაიდან მის საფუძველს წარმოადგენენ რეგულარულად კვლავწარმოებადი და საყოველთაოდ მიღებული ენობრივი საშუალებები, რომლებსაც ერთნაირად ფლობენ და იყენებენ მეცნიერული კომუნიკაციის პროცესის მონაწილენი.

თუმცა არ უნდა ვიფიქროთ, რომ მეცნიერების ენა მის კონკრეტულ საავტორო გამოვლინებებში ემოციურად უფერულია. სხვადასხვა ეპოქების გამოჩენილი მეცნიერ-ბუნებისმეტყველებათა და ჰუმანიტართა შრომები ადასტურებენ მათ მიერ ენის გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებასა და მათი ინდივიდუალური სტილის ექსპრესიულობას.

2. ჟარგონი ესპანურ ენაში

ჟარგონი ან არგო ჩვეულებრივ ესმით, როგორც გარკვეულ პერიოდში ჩამოყალიბებული სასაუბრო თავისებურებები რომელიმე სოციალური ჯგუფისა, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო და სხვადასხვა ხარისხით მიჯნავს, აცალკევებს თავის მეტყველებას საზოგადოების დანარჩენი ნაწილისაგან. ესპანურ ენაში განხილული მოვლენის შესაბამისი რამდენიმე ტერმინი არსებობს: argot, jerga, jerigonza, germania, jacarandana. ამჟამად ყველაზე მეტად გამოიყენება ტერმინი argot, რომელიც ქართული „ჟარგონის" მნიშვნელობას შეესაბამება. დანარჩენ სახელწოდებებს თავიანთი ელფერი გააჩნიათ: germania – ესაა დამნაშავეთა ჟარგონი, რომელიც ჩვეულებრივ XVI-XVII საუკუნეებს განეკუთვნება; jerga და jerigonza, თუმცა კი იმავეს აღნიშნავენ, რასაც ჟარგონი, ბევრი ლინგვისტის მიერ არ არის აღიარებული დამკვიდრებულ ტერმინებად. jacarandana – თაღლითებისა და სუტენიორების ჟარგონია. ქართულ ენაში ტერმინები „ჟარგონი" და „არგო" სინონიმებად ითვლება, თუმცა მკვლევრები ზოგჯერ მათ სხვადასხვა აზრობრივ შეფერილობას აღნიშნავენ და სიტყვას „არგო" ხმარობენ ვიწრო მნიშვნელობით, როგორც დეკლასირებული ელემენტების ურთიერთობის საშუალებას. ჟარგონში, როგორც მეტყველების ისეთ სახესხვაობებში, რომელიც შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე როგორც სოციალური დიალექტი, გამოიყენება იმ ენის გრამატიკა და ლექსიკის მნიშვნელოვანი ნაწი-

ლი, რომლის წიაღშიც არსებობს ჟარგონი. საკუთრივ ჟარგონის ელემენტებს, როგორც წესი, წარმოადგენენ ნებისმიერად შერჩეული ან სახეცვლილი, ანდა არსებული წესების მიხედვით კონსტრუირებული ლექსიკური ერთეულები, გარკვეულ შემთხვევებში კი უცხოენოვანი ნასესხობანი. ჟარგონის გაჩენა შეიძლება განპირობებული იყოს კლასობრივი მიზეზებით (მაგალითად, არისტოკრატული ჟარგონი XVI-XVII საუკუნეების ესპანეთში), პროფესიული (არტისტების, მუსიკოსების, ტორეროს ჟარგონი), სოციალურ-ასაკობრივი თავისებურებებით (თანამედროვე ახალგაზრდული ჟარგონი), ანდა ენის კოდირების აუცილებლობით (დამნაშავეთა ჟარგონი). ჟარგონები ასრულებენ გარკვეულ სოციოლინგვისტურ ფუნქციებს: ნომინაციურს, რომელიც დაკავშირებულია საგნებისა და მოვლენების აღნიშვნასთან; ინტეგრაციულს, რომელიც ხელს უწყობს სოციალური ჯგუფების გაერთიანებასა და განკერძოებას; ექსპრესიულს, რომელიც მეტყველებისათვის ემოციური შეფერილობის მიცემის საშუალებას იძლევა, პროფესიული და ასაკობრივი ტიპის ჟარგონებში მთავარია თვით გამოხატვის ფორმა, ვინაიდან მათში სიტყვა ხშირად სახელს არქმევს ობიექტს, რომელსაც უკვე აქვს თავისი სახელწოდება ენაში და ახალი ნომინაცია ძველისაგან ემოციურ-შეფასებითი შინაარსით, ჟარგონული სიტყვის შინაგანი ფორმის მეტაფორულობით განსხვავდება.

ენისგარე განპირობებულობის მიხედვით ჟარგონები შეიძლება დაიყოს **პროფესიულ, სოციალურ და საიდუმლო ჟარგონებად**.

პროფესიული ჟარგონები ჩნდება სტიქიურად. ბუნებრივი გზით, ადამიანთა სპეციფიკური დარგობრივი საწარმოო საქმიანობის წყალობით. ისინი არ იქმნება სპეციალურად სხვა სოციალური ჯგუფების მეტყველებისაგან გასამიჯნად და არ ისახავს მიზნად ენის კოდირებას. მათ თავისებურებას წარმოადგენს შრომითი საქმიანობის ამა თუ იმ სფეროსთვის დამახასიათებელი საგნების, ქმედებების, თვისებებისა

და მოვლენების ნომინაცია. ასეთი ჟარგონების სიტყვები და გამოთქმები უპირატესად სახელს არქმევენ პროფესიული გარემოცვის, შრომითი ყოფის ობიექტებსა და მოვლენებს, ანუ იმას, რასაც ეხება მწარმოებელი ყოველდღიური შრომის პროცესში. პროფესიონალიზმები შეიძლება წარმოადგენდნენ ნომენკლატურული სახელწოდებების, ზოგჯერ კი ტერმინების სინონიმებს, მაგრამ მათგან განსხვავებით არ შედიან დამკვიდრებულ ტერმინთა სისტემაში და არ გააჩნიათ ნომენკლატურულობის ნიშანი. პროფესიული ჟარგონების ლექსიკა მდიდარია ემოციურ-ექსპრესიული სიტყვებითა და გამოთქმებით, რომლებიც ხშირად პროფესიული საქმიანობის ფაქტებსა და ობიექტებს იუმორისტულ, დამცინავ შეფასებას აძლევენ. ისინი არ გამორიცხავენ აგრეთვე სალანძღავ, ვულგარულ სიტყვებს.

ესპანეთში განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩევა ხარების ბრძოლის (jerga tauromáquica) მონაწილეთა ჟარგონი. ტავრომახიის ლექსიკონი ბრძოლის მონაწილეთა, მათი ტანსაცმლის, იარაღის, ტორეროს მოძრაობის, ხარის ქცევისა და გარეგნული იერსახის დახასიათების დიდ ჩამონათვალს მოიცავს. მოვიყვანოთ რამდენიმე შერჩევითი მაგალითი:

brega –	ხარების ბრძოლა	arma –	ხარის რქა
		vela –	
buró –	ხარი	tomar los blancos –	ხარის დაჭრა ძვლის შეუხებლად
palit(r) oque –	ბანდერილია	cuna –	ადგილი ხარის რქებს შორის
cuajado –	5 წელზე მეტი ხნის ხარი	varilar –guero –	პიკადორი

claro –	„კეთილშობილი“ ხარი, რომელთანაც ბრძოლის წარმართვა ადვილია	tomar los blandos –	ხარის დაჭრა ძვლის შეუხებლად
ruedo anillo	ხარების ბრძოლის არენა	tamar el olivo –	ბარიერზე გადახტომა ხარისგან თავდასაღწევად

სპეციალიზებულ ლექსიკონებში ფართოდ არის წარმოდგენილი არტისტების ჟარგონი:

embuchado – ნათავისარი

morcillero – მსახიობი, რომელიც სცოდავს ნათავისარით

localidades de tifús – კონტრამარკის ადგილები

alavardero – კლაკერი

caballo blanco – იმპრესარიო

bolas – ერთჯერადი სპექტაკლები

regla

consulta

becadillo – მსახიობის მიერ წარმოთქმული სიტყვები ან ფრაზა

trapo – ფარდა

capotear – რაიმეს ჩქარა გაკეთება, გახალტურება

არმიაში ცხოვრების სპეციფიკა ხელს უწყობდა სამხედრო ჟარგონის წარმოქმნას, რომელიც განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული რიგით და სერჟანტთა შემადგენლობებს შორის. მეცნიერები აღნიშნავდნენ ომის პერიოდში მოქმედი ჯარის ჟარგონის მკვეთრ განსხვავებას მშვიდობიანი დროის ჯარის არგოსაგან. ქვემოთ მოყვანილია ესპანეთის სამხედრო ნანილისათვის დამახასიათებელი ჟარგონული ლექსიკის მაგალითები:

chopo – შაშხანა
cuco – ეფრეიტორი, კაპრალი
patatero – მოხალისე
tomillero – დეზერტირი
prohombre – ბოცმანი
lavativero – ადმინისტრაციული სამსახურის ჯარისკაცი
pataca – კოვზი
llevar el chopo – ჯარისკაცად ყოფნა

ჟარგონს არ თაკილობენ არც ეკლესიის მსახურნი: jerga eclesiástica ფართოდ არის გავრცელებული ესპანეთში:

cepo
juan
suerga – ლოცვა კურთხევანში
el beca – სემინარიელი
chipacirios – მნათე
binar – დღეში ორი წირვის ჩატარება
casera – მღვდლის დამხმარე ქალი, დიასახლისი

ყოველი პროფესიული წრის წარმომადგენლებს – მედიკოსებს, ბირჟის მოხელეებს, მაკლერებს, მშენებლებს, პროგრამისტებს, რკინიგზელებს, მუსიკოსებსა და ა. შ. ჟარგონული ლექსიკის საკუთარი მარაგი აქვთ, ზოგჯერ ძალიან დიდი მოცულობისა, ზოგჯერ – შეზღუდული.

3. სოციალური ჟარგონის ლექსიკა

სოციალური ჟარგონის თვალსაჩინო მაგალითია XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისისათვის დამახასიათებელი ესპანელი არისტოკრატიის არგო. არისტოკრატთა სურვილს – გაემიჯნათ თავიანთი ენა მდაბიოთა ენისაგან, გარკვეულწილად მხარს უჭერდა ლიტერატურის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომლებიც ე. წ. კულტიზმის მხატვრულ

პრინციპებს იცავდნენ. ეს მწერლები და პოეტები ორიენტირებული იყვნენ ელიტარული ლიტერატურის შექმნაზე. ისინი ართულებდნენ პოეტურ ფორმებს, აზვიადებდნენ მეტაფორის როლს, შეგნებულად ეწეოდნენ თავიანთი ენის ლათინიზებას. იმ დროის ბევრი ესპანელი მწერალი, ვისაც მშობლიური ენის დაცვა სურდა, შეურიგებელ ბრძოლას უცხადებდა კულტიზმს. კულტიზმი შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა, მასში აისახებოდა ესპანური ეროვნული ენის ჩამოყალიბების რთული პროცესები. მსგავსი ლიტერატურული მიმდინარეობები სხვა ქვეყნებშიც ჩნდებოდა: პროციოზული ლიტერატურა საფრანგეთში, ევფუიზმი ინგლისში, მარინიზმი იტალიაში.

არისტოკრატიული ჟარგონის შექმნის ძირითად საშუალებას ესპანური ენის ლათინიზაცია წარმოადგენდა, იქმნებოდა ახალი სიტყვები ესპანური ძირებისა და ლათინური აფიქსების საფუძველზე, იხმარებოდა მეტაფორები ჩვეულებრივი სიტყვების ნაცვლად, იცვლებოდა სიტყვათა მნიშვნელობები სრულიად განსხვავებული ხელახალი გააზრების გზით, გამოიყენებოდა ჟარგონის შექმნის სხვა ხერხებიც.

არ იქმნებოდა არისტოკრატიული ჟარგონის ლექსიკონები. მასზე მსჯელობა მხოლოდ ირიბი წყაროების მიხედვით შეიძლებოდა. სამეფო კართან დაახლოებული ზოგიერთი პოეტის ნაწარმოებების მიხედვით, ფ. კევედოს გესლიანი პამფლეტებით, რომლებიც კიცხავდა სამეფო კარის დიდგვაროვანთა გატაცებას „დახვეწილი" ენით, ლოპე დე ვეგას გამქირდავი გამონათქვამებით, პედრო დე ვალენსიას, ტორეს ვილასოლის და სხვათა მოსაზრებებით. მოვიყვანოთ რამდენიმე ნაწყვეტი კევედოს შესანიშნავი პამფლეტიდან „La culta latiniparla".[27]

Disparatorio

Con que es muy poco tiempo, sin maestro, por sí sola, cualquier mujer se puede espiritar de lenguaje y hacerse enfadosa, como si toda

27 citirebulia: Quevedo F. Obras Completas. T. I – p. 421-422.

su vida lo hubiera sido, que los propios diablos no la puedan sufrir; su vida lo hubiera sido, que los propios diablos no la puedan sufrir; y es probado.

A su marido, por el hastío que causa el tal nombre, le llamará „mi **quotidie**, mi siempre", y a él se le deja su sempiterna a salvo para cuado nombre a su mujer...

Si hubiere de mandar que la compren un capón, o que se le asen... no le nombre, por excusar la compasión de lo que le acuerde: llámele **"desgallo o tiple de pluma"**.

Para decir caldo sustancial dirá „licor quiditativo".

A las rebandanas de pan llamará **"planicies"**...

Al queso **„cecina de leche"**.

Al escudero llamará **manípulo**.

La riña llamará **palestra**, al espanto **estupor, supinidades** las ignorancias.

"Estoy dubia", dirá: "estoy dudosa"...

"Dáme vino", no lo dirá: sino culticando la embriaguez, dirá: "Dame llegó", que llegó y vino todo es uno, y no se disfama el gaznate.

მჩმახავი

რომლის დახმარებითაც უმოკლეს ვადაში, მასწავლებლის გარეშე, სრულიად დამოუკიდებლად ნებისმიერ ქალს შეუძლია თავისი ენის გაკეთილშობილება და ქვეყნის უნახავ ისეთ ჯუჯღუნად გადაქცევა, როგორსაც თვით ეშმაკებიც კი ვერ იტანენ. მეთოდი გამოცდილია.

მაგალითები

თავის ქმარს – ამ სიტყვით გამოწვეული ზიზღის გამო – მან უნდა დაარქვას „ჩემი პერმანენტული", „ჩემი კონსტანტური"; მან კი თავისი ცოლი უნდა მოიხსენიოს, როგორც „ჩემი ლეგიტიმური", გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცოლს სახელით მიმართავს...

თუკი საჭირო გახდება იმის თქმა, რომ მას ყველული უყიდონ, ანდა შეუწვან... ნუ დაასახელებს მას, რათა არ გაიხსენოს მის თავს დამტყდარი განსაცდელი, არამედ თქვას „ექსმამალი“, ანდა „ფრთოსანი დისკანტი“.

მაგარი ბულიონის ნაცვლად უნდა მოითხოვოს „მატონიზებელი ექსტრაქტი“:

პურის ნატეხს უწოდოს „ფრაგმენტი“.

ყველს – „რძიანი შაშხი“.

საჭურველმტვირთველს – „მანიპულატორი“...

ჩხუბს უწოდოს „პალესტრა“, შეშინებას – „პანიკა“, უმეცრობას – „პროფანობა“. ნაცვლად იმისა, რომ თქვას „ვეჭვობ“, უნდა წარმოთქვას „მე დუბიტაციას განვიცდი“.

ის არ იტყვის: „მომეცით სასმელი“, არამედ საკუთარი ენის კულტივირების გზით მოითხოვს: „მომეცით სასოება“, ვინაიდან სასმელიცა და სასოებაც ერთნაირ მარცვალს შეიცავენ და კუჭს ამით არავითარი ზიანი არ მიადგება“.

თანამედროვე ესპანეთში ფართოდ გავრცელდა **ახალგაზრდული ჟარგონი**. ზოგიერთი სიტყვა ამ ჟარგონიდან შევიდა არა მარტო ქალაქის გარეუბნების ბინადართა, უმუშევართა, გაუბედურებულთა მეტყველებაში, არამედ ქალაქის ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის სასაუბრო ენაშიც.

ახალგაზრდული ჟარგონი ჩნდება პირველ რიგში ქალაქებში, ახალგაზრდობის მასობრივი თავმოყრის ზონებში და უპირისპირდება უფროსების ნორმირებულ ენას. მკვლევრები[28] სამათრლიანად შენიშნავენ, რომ ახალგაზრდულ ჟარგონში ჭარბობს ტენდენცია არა საკუთარი ლექსიკის ნომინაციის, არამედ უფრო იდეოლოგიზაციისაკენ, მისი საშუალებით საკუთარი შეხედულებებისა და პრინციპების გამოხატვისაკენ. ესპანელი მწერალი და პუბლიცისტი ფ. უმბრალი, ახალგაზრდა თაობის შესახებ საუბრისას, მის ენას

28 იხ. მაგ. Борисова Е. Г. Современный молодежный жаргон; Дубровина К. Н. Студенческий жаргон; Саликов А. В. Пути формирования лексики социального диалекта.

განიხილავს როგორც ქცევის ფაქტორს, როგორც შემადგენელ ქცევით ელემენტს, ახალგაზრდულ ჟარგონში პირველ პლანზე გამოდის არა ენის გასაიდუმლოებისაკენ სწრაფვა, არამედ საკუთარი მორალის, საკუთარი იდეალების, საკუთარი აზროვნების სტილისა და ქცევის უფროსების სამყაროსათვის, მათი საყოველთაოდ აღიარებული სოციალური და ქცევითი ნიმუშებისათვის დაპირისპირების პრაგმატულ-იდეოლოგიური იდეა. ახალგაზრდული ჟარგონების ლექსიკა წარმოაჩენს აგრეთვე ერთგვარ ესთეტურ იდეებს, ახალგაზრდული ქცევის სტილისა და საკუთარი თავის გამოხატვის ძიებას ენის საშუალებით.

ახალგაზრდული ჟარგონი თითქოს ყოფს სამყაროს ორად – საკუთარ და სხვის სამყაროებად. თავისი, საკუთარი – მიმზიდველია და გასაგები, სხვისი – მტრულად ოფიციალური. „თავისი" ლექსიკის სფეროში აისახება ახალგაზრდობის ცხოვრების ხასიათი, ზოგიერთი ახალგაზრდული მოძრაობა, სამართალდარღვევები, გატაცება როკმუსიკით, ნარკოტიკებით; ამ სფეროში შედის ჩვეული მიმართვები, შეფასებითი და ემოციური სიტყვები და კონსტრუქციები, უცხო სამყაროს ლექსიკაში – იმ მოვლენების სახელწოდებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ახალგაზრდობის ცხოვრების სტილს; ყველაფერი იმის დასახელება, რაც დაკავშირებულია სამართალდამცავ ინსტიტუტებთან, პოლიციასთან, ციხესთან, აკრძალვებთან, უფროსების მორალთან და ა. შ. ჩვეულებრივ კასტილიის ქალაქებსა და, პირველ რიგში, მადრიდის ახალგაზრდულ ჟარგონს უწოდებენ el cheli. აი, რამდენიმე მაგალითი მისი ლექსიკონიდან: loro – ტრანზისტორი, basca – ამხანაგების კომპანია, ჯგუფი, calcos – ფეხსაცმელი, jai – ქალიშვილი, colorado – ფული, cirio – სკანდალი, membrillo – დამსმენი, biga – მდიდრული ავტომანქანა, queso – კოცნა, pipa – პისტოლეტი, pez – ცუდი მოსწავლე, ზარმაცი, perdigón – მოსწავლე, რომელმაც ერთი წლის კურსი გააცდინა, pela larga – ბევრი ფული, demasié მეტისმეტი, ბევრი, empollar

– ბეჯითად სწავლა, hacer novillos – მეცადინეობების გაცდენა, afanar – ქურდობა, privar – ლოთობა და ა. შ.

ნარკომანიის გავრცელების ზრდასთან ერთად ახალგაზრდებს შორის ჟარგონში cheli გაჩნდა ამ მანკიერებასთან დაკავშირებული ბევრი სიტყვა: blanca (ჰეროინი, კოკაინი), caballo (ჰეროინი), chocolate (ჰაშიში), afgano (ავღანური ჰაშიში), nieve (კოკაინი), mana (მარიხუანა), porro (მარიხუანის სიგარეტი), mierda (ნარკოტიკი), pico (ნარკოტიკის შეშხაპუნება), camelo (ნარკოტიკებით მოვაჭრე), flipado (ის, ვინც ნარკოტიკი მიიღო), abanicar (იმ სადგომის განიავება, სადაც ოპიუმს ეწევიან).

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ახალგაზრდული ჟარგონი მკვეთრად იცვლება თაობიდან თაობამდე. ის რჩება და შემდეგ თაობას გადაეცემა როგორც ერთგვარი ასაკობრივი მემკვიდრეობა, მაგრამ მისი ლექსიკა უფრო მოძრავია, ვიდრე სხვა ჟარგონებისა. ესა თუ ის სიტყვა შეიძლება სწრაფად გამოვიდეს აქტიური ხმარებიდან, ამავე დროს სხვა ლექსიკური ერთეულები შემოდიან მოდაში, რითაც ხორციელდება ახალგაზრდული ჟარგონული ლექსიკის გამუდმებული შევსება და განახლება.

4. საიდუმლო ჟარგონების ლექსიკა

საიდუმლო ჟარგონებს ესპანეთში დიდი ხნის ისტორია აქვთ. ფეოდალური ურთიერთობების რღვევის ეპოქაში (XIV-XVI სს.) შეიმჩნეოდა დეკლასირებული ელემენტების რიცხვის არნახული ზრდა. კრიზისი სხვადასხვა წოდებას შეეხო. გაღარიბებული გლეხები და ხელოსნები, გაკოტრებული თავადაზნაურები და არისტოკრატები, სამსახურგამოვლილი ჯარისკაცები და სტუდენტები მაწანწალებად, პროფესიონალ მათხოვრებად და დამნაშავეებად იქცეოდნენ, დეკლასირებული ელემენტები თავიანთ კორპორაცი-

ებს ქმნიდნენ. ყაჩაღების ბანდებსა და ქურდულ ჯგუფებს თავიანთი მეთაურები, დაქვემდებარების იერარქია და მკაცრი ორგანიზაცია ჰქონდათ. იმ დროს სიტყვა germania აღნიშნავდა მათხოვრების, ქუდებისა და თაღლითების გაერთიანებებს და მხოლოდ დროთა განმავლობაში იქცა მათი ჟარგონის დასახელებად გადატანის გზით. ეს მართლაც ბოროტმოქმედთა საძმოები იყო (germania ლათინურად germanuz, შემოკლებით frater germanus – ღვიძლი ძმა, საიდანაც წარმოიქმნა hermano).

საიდუმლო ჟარგონები მათი სხვა სახეობებისაგან გამოირჩევიან დანაშაულებრივი მოღვაწეობის ფორმების, ხერხების, საშუალებების სახელწოდებათა დეტალური სპეციალიზაციითა და კონკრეტულობით:

capeador – „მემოსასხამე", მოსასხამის მპარავი
paletero – „შირმა", ის, ვინც მპარავს ეფარება
hospital – სათამაშო სახლი
aduana – სამალავი, სადაც ნაპარავს ინახავენ
mazo – სუტენიორი
granizar – ცემა
chirlar – ყბედობა, ტარტარი, რატრატი
mariscar – ქურდობა
afufar – გაქცევა, ათესვა
palmear – როზგებით დასჯა
pescar da mosca – ფულის შოვნა
tabanero – მედუქნე, მიკიტანი
aire de oreja – დამსმენი, მაბეზღარა

თანამედროვე ესპანეთშიც არის დამნაშავეთა სამყარო და მისი ჟარგონები. მაგრამ ამჟამინდელი თაღლითები და წვრილი ქურდები არ ქმნიან შუა საუკუნეების ტიპის კორპორაციებს. ისინი „მუშაობენ" მარტო ან წვრილ ჯგუფებად. დამნაშავე ელემენტების კონცენტრაცია საქმიანობის სხვა

სფეროებში ხდება: ნარკოტიკებით, იარაღით ვაჭრობა; გასართობ დაწესებულებებსა და სათამაშო აპარატებთან დაკავშირებული უკანონო ბიზნესი და ა. შ. ამ ოპერაციებით დაკავებული არიან გარეგნულად რესპექტაბელური დამნაშავე საქმოსნები. მათ აქვთ იტალიის მაფიის ან ამერიკული „კოზა ნოსტრას" მსგავსი საკუთარი „ფირმები". მათ ასევე აქვთ საიდუმლო ჟარგონიც, თუმცა ლინგვისტებს არ გააჩნიათ საკმარისი ცნობები მის შესახებ.

XX საუკუნის შუა პერიოდის ესპანელი ქურდებისა და თაღლითების ჟარგონების მაგალითები მოჰყავს ხულიო კასარესს,[29] რომელიც ყურადღებას ამახვილებს ქურდული სახელწოდებების ფუნქციურ დიფერენციაციაზე: topista (შლიფერი, ჯიბის ქურდი), safista (ფორმაზონი), randa (ჯიბის ქურდი), perista (ბარიგა). ამ ჩამონათვალს უნდა დაემატოს სხვა საინტერესო „სპეციალისტები": gruñior (ღორების ქურდი), gumarrero (ქათმების ქურდი), limosnero (საფულეებისა და ქისების ქურდი), cargrilero (საეკლესიო ძვირფასეულობის ქურდი), espadista (გამტეხი ქურდი).

ესპანეთში განაგრძობს არსებობას შულერობა. შულერების ჟარგონი საკმაოდ სპეციალიზებულია. შულერულ ლექსიკაში გვხვდება ბანქოს დანიშვნის, მისი დარიგების, სათამაშო კომბინაციებისა და ჩაწყობის, ფსონების სახეობათა სხვადასხვა ტიპის სახელწოდებები. აი რამდენიმე მეტ-ნაკლებად გასაგები ასეთი სახელი: astilla (ბანქოს პერანგი), boyuda (ბანქოს დასტა), bueyes (კარტი), carro (თამაში), floriana (მახე, მოტყუება), espillar (თამაშის წარმოება), casar una aquesta (მთელი მონაგების ჩამოსვლა თამაშში), hacer el amarre (კარტის დაწყობა დასტაში თაღლითობისათვის).

29 Касарес Х, Указ. соч. с. 287.

5. ჟარგონული ლექსიკის წყაროები

როგორია დღეს ნებისმიერი რანგის თანამედროვე ჟარგონული ლექსიკის წყაროები? ევროპულ ქვეყნებში ძირითადად სოციალური გარემოს მსგავსებით განპირობებული მისი განვითარების ერთნაირი ტენდენციები შეიმჩნევა. აკადემიკოსი ვ. მ. ჟირმუნკსი[30] მიუთითებდა ჟარგონების ჩამოყალიბების სამ ძირითად წყაროზე:

– მშობლიური ენის ლექსიკური მასალის ახლებურად გააზრება სიტყვაწარმოების ხერხებისა და სემანტიკური ძვრების დახმარებით;

– სიტყვების პირობითი დამახინჯება;

– უცხოენოვანი ნასესხობები.

„ჟარგონთწარმოების ძირითად ხერხს მეტაფორული ხელახალი გააზრება წარმოადგენს. მეტაფორებით განსაკუთრებით მდიდარია ახალგაზრდული და პროფესიული ჟარგონები, რომლებიც მიზნად მეტყველების გასაიდუმლოებას არ ისახავენ. მათში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ლექსიკის ექსპრესიულობა და ემოციური შეფერილობა. ამის დადასტურებად შეიძლება გამოდგეს ძირითადად ახალგაზრდული ჟარგონის სიტყვებისაგან შედგენილი სინონიმური მწკრივები. მაგალითად, მნიშვნელობა „მეგობარი" გადმოიცემა სიტყვებით: cuerpob, socio, tío, tronco, machete, titi, figura, fenómeno, maestro, profesor; „ცეკვა" – mover el esqueleto mover las tabas, marcar; „თავს" ეწოდება: melórn, pelota, torre, tetera, cholla, almendra, coco, coca, diamante, chrrumen, buhardilla; „ლაპარაკი" – rajar, pegar la hierba; „თვალები" – visante, columbres, clisos, mirillas, fanales, avisores.

უცხოენოვანი ნასესხობების ძირითად წყაროს ესპანურ ჟარგონებში წარმოადგენს ბოშური ენა (calo).[31] განსაკუთრე-

30 Жирмунский В. М. Национальный язык и социальные диалекты. с. 154.

31 დამნაშავეთა ჟარგონსაც შეიძლება ვუწოდოთ el calo.

ბულ მიკერძოებას მისდამი ამჟღავნებს არგოს საიდუმლოებები. ამგვარი მოვლენა სხვა ევროპული ქვეყნების ქურდულ ჟარგონებშიც შეიმჩნევა. უცხოენოვანი ელემენტების ფუნქციები საერთო-სახალხო ენებში და ჟარგონებში განსხვავებულია. ხალხთა შორის სავაჭრო, სამეცნიერო და კულტურული კონტაქტების შედეგად ესპანურ ენაში ჩნდება უცხოენოვანი სიტყვების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც ახალი საგნების, მოვლენებისა და ცნებების აღნიშვნას ემსახურებიან, მაშინ როდესაც ჟარგონებში მათი დახმარებით ხდება გასაიდუმლოება ენაში ჩვეულებრივ უკვე არსებული ცნებებისა, რომლებიც საყოველთაოდ ცნობილი სიტყვებით გადმოიცემიან. ცხადია, ხდება ისეც, რომ ბოშური სიტყვა რომელიმე სპეციფიკური ქურდული ცნების სახელდებისათვის გამოიყენება.

ბოშური სიტყვები, ისევე როგორც სხვა უცხოენოვანი ნასესხობები, შეიძლება ფონეტიკურ და მორფოლოგიურ სახეცვლილებას განიცდიდეს, ესპანური ენის კანონების თანახმად ადაპტირდებოდეს. ქვემოთ მოყვანილია ესპანურ ჟარგონებში ნასესხები ბოშური სიტყვების მოკლე ჩამონათვალი:

Caló	Jerga	Español
abillar	abillar	venir
aellas	aellas	llavès
almifor	almijor	caballo
boquí	boqué	hambre
boqué	boqué	apetito
chavó	chavó	joven, mozo
chaval	chaval	joven, mozo
ficar	ficar	jugar
gachí	gachí	prostituta
guipar	guipar	mirar, ver
jeré	jere	hombre
jili	jilé	tonto, inocente

სხვა ენებიდან, როგორც ხულიო კასარესი აღნიშნავს, ჟარგონიზმებს გაცილებით იშვიათად სესხულობდნენ, ფრანგულიდან შემოვიდა alarse (გაქცევა), pair (დალევა), demasae (მეტისმეტად), belitre (გაიძვერა), dupa (მოტყუებული) და სხვ.; იტალიურიდან – gamba (ფეხი), estivo (ჩექმა, მაღალყელიანი ფეხსაცმელი), sacocha (ჯიბე); გერმანულიდან – guelte (ფული), espillar (თამაში), espilantes (ბანქო, კარტი), espillador (მოთამაშე) და სხვ.

თავი IV

ესპნური ლექსიკის შიდაენობრივი სემანტიკური ურთიერთობები

1. სინონიმია

სინონიმები (sinónimos) მონაწილეობენ ენის მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსიკის შექმნაში, რომლის დახმარებითაც ადამიანი გამოხატავს თავის აზრებსა და გრძნობებს, აფასებს და ახასიათებს სინამდვილის ფაქტებს და წარმოსახავს მას სახეობრივი, მხატვრული ფორმით; ისინი ხელს უწყობენ ენისა და მეტყველების სტილებისა და ლიტერატურული ჟანრების ენობრივი თავისებურების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას.

ენის სინონიმების ერთობლიობას სინონიმიკას (sinónimos, conjunto de sinónimos) უწოდებენ. ტერმინი სინონიმია (sinonimia), ლექსიკასთან მიმართებით აღნიშნავს ლექსიკური მნიშვნელობების შინაარსით მსგავსი სხვადასხვა სიტყვის ლექსიკურ-სემანტიკურ ურთიერთობებს და სიტყვებს შორის აზრობრივი მსგავსების დამყარების პროცესს მეტყველებაში, კონტექსტში, სიტყვათა ოკაზიონური სინონიმურ დაახლოებათა ჩათვლით.

სინონიმები – ესაა სიტყვები ან მათი ეკვივალენტური ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც მეტყველების ერთ ნაწილს მიეკუთვნებიან და რომელთა ლექსიკური მნიშვნელობები გამოხატავენ ერთსა და იმავე ცნებას, მაგრამ განსხვავდებიან აზრობრივი, სტილისტური ან სტილური შეფერილობით.

სინონიმები განსხვავდებიან კონოტაციებით, ანუ იმ თანამდევი სემანტიკური, ექსპრესიულ-ემოციური და ფუნქციური კომპონენტებით, რომლებიც ავსებენ სიტყვის ან ფრაზეოლოგიის ძირითად შინაარსს. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ლაპარაკია სიტყვისათვის კონტექსტის გარეთ შინაგანად

დამახასიათებელ კონოტაციებზე და არა იმ მრავალფეროვან კონოტაციებზე, რომლებიც კონტექსტით ყალიბდებიან.

ასე, მაგალითად, სიტყვები cama – საწოლი, ლოგინი, ქვეშაგები, სარეცელი;

lecho – საწოლი, ლოგინი; მდინარის კალაპოტი.

tálamo – სარეცელი, საწოლი; პროკრუსტეს სარეცელი – იტყვიან ხელოვნურ საზომზე, რომელსაც ნაძალადევად უყენებენ ამა თუ იმ მოვლენას (ბერძნული მითოლოგიის ყაჩაღ Prokrustés-ის (Prokruó – ვჭიმავ) სახელის მიხედვით: პროკრუსტე თავისთან იტყუებდა მგზავრებს და აწვენდა სარეცელზე: ვინც გრძელი აღმოჩნდებოდა, ფეხებს აჭრიდა, ვინც მოკლე – ფეხებს უჭიმავდა.

litera – საკაცე, საწოლი (გემზე, საავადმყოფოში).

camastro – ღატაკი, უბადრუკი სარეცელი, საწოლი.

catre – სამგზავრო საწოლი; დასაკეცი საწოლი.

yacija – ტახტი და ა. შ. გამოხატავენ ერთსა და იმავე ცნებას „დასაძინებლად გამოსაყენებელი ბინის მოწყობილობა", ანუ „საწოლი", თუმცა თითოეული მათგანი ასახელებს საწოლის საკუთარ სახეობას, ანდა თავის ლექსიკურ მნიშვნელობაში შეიცავს რომელიმე დამატებით აზრობრივ ან შეფასებით ელემენტს.

ამგვარად, ცნება „მოკვდომა", „სიკვდილი" მოიცავს სინონიმთა მთელ ჯგუფს:

morir – მოკვდომა, მოკვდინება.

fallecer – სულის დალევა (სული დალია).

expirar – სულის მიბარება (სული მიაბარა).

fenecer – სულის განტევება (სული განუტევა).

irse – სულის ამოხდომა (სული ამოხდა).

sucumbrir – მიცვალება, გარდაცვალება (მიიცვლება).

espichar – მოკვდინება, ჩაძაღლება.

irse al otro barrio – სიკვდილი, „მარილზე წასვლა".

jugar a la maleta, soltar la maleta – გამოსალმება (წუთისოფელს, სიცოცხლეს, საწუთროს).

pasar a mejor vida – სიცოცხლის შეწყვეტა. „ქოთნის საკეთებლად წასვლა".

estirar la pata – ფეხების გაფშეკა, ფეხების გაჭიმვა და ა. შ. ჩამოთვლილთაგან თითოეულის ლექსიკურ მნიშვნელობებს საკუთარი თავისებურებები, საკუთარი შინაარსობრივი სპეციფიკა გააჩნია, თუმცა ამ მნიშვნელობათა სემანტიკურ ბირთვს წარმოადგენს ცნება „სიკვდილი, მოკვდინება", „სიცოცხლის შეწყვეტა".

სინონიმები არ არსებობენ განცალკევებით. ორი ან მეტი სინონიმი ქმნის ე. წ. სინონიმურ მწკრივს (სერიას, ჯგუფს), რომელშიც, როგორც წესი, ერთი სიტყვა მიიჩნევა ათვლის წერტილად, დომინანტურს წარმოადგენს. ასეთი სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა თითქმის ამოიწურება გამოხატული ცნებით, მას არა აქვს ემოციურ-ექსპრესიული შინაარსი და სტილური თვალსაზრისით ლიტერატურულ-ნორმატიულ სიტყვას წარმოადგენს.

მაგალითად, სინონიმურ ჯგუფში:

adorna – მორთულობა, მოკაზმულობა, შემკულობა; მოსართავი, ორნამენტი; სილამაზე, სიმშვენიერე.

aderezio (aderezamiento) – სამკაული, მორთვა, შემკობა, მორთულობა-მოკაზმულობა, ძვირფასეულობა; მორთვა, გაწყობა, გამოყვანა, გამოქნა;

compostura – მორთულობა, სამკაული, მშვენება;

decoración – ლამაზად მოწყობა (თეატრ.) დეკორაცია;

ornato – მორთვა, მოხდენილი ჩაცმულობა, კოხტად გამოწყობა;

ornamento – გაწყობა, შელამაზება, ორნამენტი; (მრავლ. რიცხვში) – საეკლესიო სამოსელი;

exornación – სამკაული, შემოსილობა, შემკულობა.

დომინანტის მოთხოვნებს აკმაყოფილებს სიტყვა adorno; ხოლო მწკრივში robar (ქურდობა), hurtar – გაძარცვა, წაგლეჯა, მიტაცება; rapiñar – ძარცვა, ყაჩაღობა, მტაცებლობა, saquear – წართმევა, წაგლეჯა, დატაცება, limpiar

– გაფცქვნა, გაყვლეფა, გატყავება, ასეთი სიტყვა იქნება robar.

hermoso – წარმტაცი, მომხიბვლელი, მოხდენილი, პირმშვენიერი;

bello – კოხტა, ტურფა, შნოიანი, ლაზათიანი, სახელამაზი;

encantador – მომხიბვლელი, მომაჯადოებელი, მაცდუნებელი, დამატყვევებელი;

არსებითი სახელი regla, იმისდა მიხედვით, თუ რომელი მნიშვნელობაა რეალიზებული, შედის ისეთ სინონიმურ მწკრივებში, როგორებიცაა:

pauta – ნიმუში

guía – გიდი

modelo – მოდელი, ნიმუში

patrón – ეტალონი, შტამპი, ტრაფარეტი

norma – ნორმა, წესი

precepto – წესი, რჩევა-დარიგება

ley – კანონი, კანონმდებლობა

canon – წესდება

estatuto – სტატუსი, წესდება, დებულება

método – მეთოდი, წესი, ხერხი, სისტემა

procedimiento – ხერხი, საშუალება, მეთოდი

modelo – მოდელი

medida – საზომი, საწყაო

tosa – ნორმა, საზომი

სინონიმურია სიტყვებისა independiente, emancipado, ხოლო მნიშვნელობით „რაიმესგან გათავისუფლებული, თავდაღწეული" აღმოჩნდება ერთ რიგში სიტყვებთან librado, franco; მნიშვნელობით „თავისნება, თავნება, ჯიუტი, კერპი, თავაშვებული, თავგასული, აღვირახსნილი გახდება სინონიმი სიტყვებისა:

desenfrenado – თავაწყვეტილი, თავშეუკავებელი, თავდაუჭერელი;

licencioso – თავისუფალი, ლაღი; 2. ურცხვი, უშვერი, უხამსი, უგვანო;

atrevido – გაბედული, თამამი, შეუპოვარი; 2. თავხედი, კადნიერი, უდიერი; მნიშვნელობით „დაუკავებელი (რაიმეთი)" აღმოჩნდება ერთ ჯგუფში სიტყვებთან – dezembarazado – თავისუფალი, ღია, ძალდაუტანებელი, ბუნებრივი; suelto – მარჯვე, ყოჩაღი, მარდი, მკვირცხლი, ცქვიტი; 2. დახსნილი, გამოხსნილი, განთავისუფლებული; desocupado – თავისუფალი; 2. მოყიალე, მაწანწალა, უსაქმოდ, უმიზნოდ მოსიარულე;

precioso – მნიშვნელობით „შესანიშნავი, ძვირფასი, ძვირად ღირებული, მდიდრული, საუკეთესო, მაღალხარისხოვანი" შეესაბამება სიტყვებს:

excelente – საუკეთესო, ჩინებული, განსაკუთრებული;

estimablo – პატივცემული, პატივსაცემი, დაფასებული;

valioso – ფასიანი, ფასეული, ძვირფასი;

costoso – ძვირად ღირებული;

primoroso – გაქიფი, დახვეწილი, ფაქიზი;

ხოლო მნიშვნელობით „ლამაზი, მშვენიერი" – სიტყვებს: hermoso, bello, encantador.

სინონიმიასთან დაკავშირებულია ისეთი პროცესებიც, როგორებიცაა ევფემიზაცია და ტაბუირება. პირველ მოვლენას თან სდევს ევფემიზმების (eufemismos) გაჩენა. ეს ტერმინი აღნიშნავს სტილისტურად ნეიტრალურ სიტყვებსა და სიტყვათშეთანხმებებს, რომლებიც იხმარებიან ისეთი სიტყვებისა და გამოთქმების ნაცვლად, რომლებიც მოსაუბრეს უხამსად, უხეშად და სიტუაციისათვის შეუფერებლად ეჩვენება. მაგალითად, vejez (სიბერე) – terecera edad (მესამე ასაკი), matar (მოკვლა) – liquidar (ლიკვიდირება) და ა. შ.

ევფემიზაცია გავრცელებული მოვლენაა, ის განსაკუთრებით დამახასიათებელია ყოველდღიური მეტყველებისა

და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ენისათვის. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ევფემიზები ხშირად ემსახურებიან მკითხველთა „ზომბირების" მიზნებს, როდესაც ნიღბავენ ან ამახინჯებენ აღსაწერი ფაქტის არსს.

მოსაუბრეთა შორის ასევე არსებობს სხვადასხვაგვარი აკრძალვები, ტაბუ (tabú) ზოგიერთი სიტყვის ან გამოთქმის წარმოთქმის მიმართ. ამ შემთხვევებში ტაბუირებული ლექსიკური ერთეული ზოგჯერ შეიძლება შეიცვალოს ევფემიზმით. ტაბუ დაკავშირებულია ენის მაგიურ ფუნქციასთან, იმის რწმენასთან, რომ სიტყვა (ისევე, როგორც საგანი ან საქციელი) ზემოქმედებს ზებუნებრივ ძალებზე, რომლებმაც ტაბუს დარღვევის შემთხვევაში მის დამრღვევს შეიძლება გარდაუვალი სასჯელი მოუვლინონ. ტაბუირებას ხშირად იყენებენ გარკვეულ სოციალურ ჯგუფებში. მაგალითად, ზღვაში გასულ ესპანელ მეთევზეებს სწამთ, რომ არ შეიძლება სიტყვების – cura (მღვდელი), zorro (მელია, მელა), culebra (გველი) წარმოთქმა. მათი წარმოთქმის შემთხვევაში ვერც თევზს დაიჭერენ და ხიფათიც გარდაუვალი იქნება. მღვდლების გამოჩენა ესპანურ თევზსაჭერ გემებზე საერთოდ იკრძალება, საუბარში მეთევზეები El cura-ს ნაცვლად ხმარობენ ცოტა არ იყოს უცნაურ ევფემიზმს El cocinero de guardia cocinero (მორიგე ან ცვლაში მყოფი მზარეული, ვინაიდან de guardia აღნიშნავს „ცვლაში ყოფნას").

სინონიმების კლასიფიკაცია. სინონიმები არაერთგვაროვანია. ჩვეულებრივ მათ ყოფენ ორ ჯგუფად: იდეოგრაფიულად (ცნებითი, სემანტიკური) და სტილისტურად. ამათგან პირველებს ზოგჯერ ყოფენ საკუთრივ ცნებით (იდეოგრაფიული) სინონიმებად, რომლებიც აზრობრივი შეფერილობით განირჩევიან, და სტილურ სინონიმებად, რომლებსაც ხმარების სფერო განასხვავებს. მეორენი გამოიყოფიან მათი ემოციურ-ექსპრესიული ნიშან-თვისებების მიხედვით. არსებობს სხვა მსგავსი დანაშრევებებიც. ვ. ი. კოდუხოვი

განასხვავებს: 1) ცნებით სინონიმებს; 2) სტილურ ანდა ფუნქციურ სინონიმებს, რომლებსაც მიეკუთვნებიან როგორც პოეტიზმები, ისე ხალხური, მდაბიო სიტყვები, დიალექტიზმები, არქაიზმები, ბარბარიზმები; 3) ემოციურ-შეფასებითი სინონიმები. ა. ა. ბრაგინა განასხვავებს ორ ჯგუფს; სტილურ-ექსტენსიურსა და სტილისტურ-ინტენსიურს და ა. შ.

უფრო მიზანშეწონილად გვეჩვენება სინონიმების დაყოფა მეტყველებაში მათი ფუნქციების შესაბამისად. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ორი ძირითადი ფუნქცია, რომლებიც სინონიმების ლექსიკურ-სემანტიკურ სპეციალიზაციას შეადგენენ. მხედველობაში გვაქვს დამაზუსტებელი და სტილისტური ფუნქციები. ამათგან პირველი დაკავშირებულია ამა თუ იმ ცნების ელფერის მითითებებთან, მეორე კი – ემოციურ-ექსპრესიულ შეფასებით შეფერილობასთან. ამასთან სინონიმს ორივე ფუნქციის რეალიზება მეტყველებაში ერთდროულად შეუძლია. სინონიმთა დანარჩენი ფუნქციები ორი ძირითადი ფუნქციისგან გამომდინარეობენ და მათი რეალიზაციის სახესხვაობას წარმოადგენენ, მათ შორის შეთავსებითი ფუნქციაც, რომლის არსს სინონიმების დახმარებით ვიწრო კონტექსტში გამეორების თავიდან აცილება წარმოადგენს.

განვიხილოთ სინონიმებს შორის არსებული შინაარსობრივი, ინფორმაციული განსხვავებანი.

1. სინონიმები შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან აზრობრივი შეფერილობებით, რომელიმე ცნებითი ნიშნის დეტალიზებით. მაგალითად, enseñanza აღნიშნავს სწავლებას მხოლოდ და მხოლოდ მასწავლებლის დახმარებით, ხოლო instrucción – სწავლებას ნებისმიერი ხერხით. Mentira – სიცრუეა, embuste – ბოროტი განზრახვით ნათქვამი სიცრუე. Simular – სიმულირება, fingir – მოჩვენება, მოტყუება. Terminar – შეწყვეტა, თავის დანებება, finalizar – დასრულება, დამთავრება.

2. სინონიმთა მნიშვნელობები შეიძლება დიფერენცირდებოდეს ნიშან-თვისების გამოვლენის ხარისხის, ზომის ანდა ინტენსიურობის მიხედვით.

ზედსართავები grande, enorme, grandioso, colosal, gigantesco მიუთითებენ რაიმეს განსხვავებულ ზომებზე. დომინანტ grande-სთან შედარებით სხვა ზედსართავები თითქოს აძლიერებენ თვისების ხარისხს, მიუთითებენ ზომის, სიდიდის, მოცულობისა და ა. შ. სხვადასხვა დონეებზე.

ზედსართავები grande – დიდი;
enorme – ძალიან დიდი, უშველებელი;
grandioso – გრანდიოზული, ვეებერთელა;
colosal – კოლოსალური, უზარმაზარი;
gigantesco – გიგანტური, ბუმბერაზული;

სულ უფრო მზარდი, ძლიერი ხმები და ხმაურობის დახასიათებაა გადმოცემული სინონიმებით:

alto – ხმამაღლა; წკრიალა, მჟღერი (ხმა);
retumbante – მჭექარე, მკვეთრი (ხმა);
ensordecedor – გამაყრუებელი, ყურთასმენის წამღები;
atronador – მგრგვინავი;
tronador – მქუხარე, მჭექარი;

არსებითი სახელები
miedo – შიში
espanto – ელდა, თავზარი
temor – სიფრთხილე, ეჭვი, გუმანი
pavor – თრთოლა, ცახცახი;
terror – ძრწოლა, შიშისზარი;

აღნიშნავენ შეშფოთების, აღელვების, სულიერი აფორიაქების განსხვავებული სიძლიერით შეგრძნებას განსაცდელის წინ.

3. სინონიმები განსხვავდებიან სუბიექტური შეფასების ხასიათითა და ხარისხით, რომელიც გამოხატავს მოსაუბრის დამოკიდებულებას აზრის ობიექტისადმი. ემოციურ-ექსპრესიული შეფასების შემცველი სინონიმები საკმაოდ

გავრცელებულია ფამილარულ, მდაბიურ და ყოფით მეტყველებაში.

სინონიმურ მწკრივში comer – კვება, საზრდოობა, პურის ჭამა;

mascar – ღეჭვა, ცოხნა; 2. ლულლული, ჩიფჩიფი;

zampar – ხარბად, სწრაფად, გამალებით შესანსვლა;

engullir – დაულეჭავად ყლაპვა, გაძლომა, გატყვრომა;

devorar – გადასანსვლა, მოსპობა, განადგურება, შთანთქმა;

tragar – ხარბად ყლაპვა, გადასანსვლა, მუცლის ამოყორვა.

ადამიანის სახის სახელწოდებები:

cara – სახე, ფიზიონომია;

rostro – გარეგნობა, გარეგანი სახე: „ცხვირა", „ნისკარტა";

semblante – შესახედაობა, სახის გამომეტყველება;

haz – იერი;

fisionomía – ფიზიონომია;

morro – დრუნჩი (ლანძღ.), სიფათი, სახე;

hocico – (ლანძღ.) დინგი, ცხვირ-პირი, სახე;

jeta – დინგი, სიფათი;

jema – (საუბ.) – კეთილსახიერი, კარგი შესახედავი (ქალის შესახებ);

palmito – (საუბ) – სანდომიანი პირსახე, ქალთამზე.

სინონიმურ მწკრივში comer, mascar, zampar, engullir, devorar, tragar, ect. ზმნათა უმეტესობა გადმოგვცემს ჭამის პროცესის სხვადასხვაგვარ ემოციურ-ექსპრესიულ დახასიათებას, რომლებიც განსხვავდებიან ასევე სტილური მარკირებით (შდრ., ქართულში: ჭამა, კვება, მირთმევა, ჩახეთქვა, ჩაყლაპვა, ჩანთქმა, გადასანსვლა, ჩაცეცხლვა და ა. შ. მაღალი, სახუმარო, ირონიული, უპატივცემულო და უხეში დახასიათებების მდიდარ გამას შეიცავენ ადამიანის სახის სახელწოდებები: cara, rostro, semblente, haz, fisionomía, frontispicio, morro, hocico, jeta, jeme, palmito, ect.

4. სინონიმები შეიძლება არ თანხვდებოდნენ ერთმანეთს თავიანთი სტილური მიმართების მიხედვით – იყვნენ მწიგნობრული, სასაუბრო-ყოფითი, მდაბიური, ოფიციალურ-საქმიანი და ა. შ., აგრეთვე დიალექტიზმები და ჟარგონიზმები და არ უპირისპირდებოდნენ ზოგადენობრივ ნორმებს. ზემოთ მოყვანილ მაგალითებში კვების პროცესისა და სახის აღმნიშვნელი თითოეული სინონიმი მარკირებულია სტილური თვალსაზრისით. მაგალითად, სიტყვა faz – მწიგნობრულია, ზეიმურ-პოეტურია; უდიერი hocico და morro, ისევე როგორც ირონიული frontispicio განეკუთვნებიან სასაუბრო-ყოფით მეტყველებას, ხოლო უხეში jeta – მდაბიურ ენას. პროფესიულ სფეროსთან არიან დაკავშირებული incisión (ჭრილი) და suberoso (საცობისებური), რომლებიც, შესაბამისად, წარმოადგენენ სინონიმებს სიტყვებისა cortadura და corchoso. ჟარგონული შეფერილობა აქვთ არსებითი სახელის – escándalo (სკანდალი) ისეთ სინონიმებს, როგორებიცაა bululú, cacao, barrila.

5. თავისებური სემანტიკური კომპონენტი სიტყვების მნიშვნელობებში ჩნდება ზოგჯერ დროითი ფაქტორის ზეგავლენით. სინონიმებს შორის შეიძლება აღმოჩნდეს ნეოლოგიზმები და ხმარებიდან გაუსვლელი არქაიზებული სიტყვები. საკუთარი სტილისტური შეფერილობა მათ სხვა სინონიმებისაგან განასხვავებს. სინონიმურ მწკრივში portero, guardameta, arquero გაჩნდა ნეოლოგიზმი cancerbero (სიტყვიდან ცერბერი, მცველი). სხვა სემანტიკური ნეოლოგიზმი ariete (ტარანი) იქცა delantero centro-ს სინონიმად. უმთავრესად მწიგნობრულ ენაში და პირველ ყოვლისა მხატვრულ ლიტერატურაში ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს სინონიმები, არქაიზმები aglayo (გამოხატავს იმავე ცნებას, რასაც pasmo, asombro), agorerīa (presagio, agüero), agora (ahora), agujar (estimular, incitar), basis (base, fundamento) და სხვ.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ენის სინონიმური საშუალებების განვითარების მოთხოვნილება საბოლოო ჯამ-

ში თვით იმ სინამდვილეშია ჩადებული, რომელსაც ადამიანი ითვისებს, მას შეიცავს აზროვნება ადამიანისა, რომელიც შეიმეცნებს ბუნებას, საზოგადოებასა და საკუთარ თავს და რომელიც ქმნის სულიერ და მატერიალურ ფასეულობებს. ენობრივი წყაროები ესპანური სინონიმიისა მეტად მრავალფეროვანია.

სინონიმის მდიდარ წყაროს წარმოადგენს სიტყვის ისეთი თვისება, როგორიცაა პოლისემანტიკურობა. იგი განაპირობებს სიტყვის ახალი ლექსიკური მნიშვნელობის გაჩენას უკვე არსებული მნიშვნელობების ბაზაზე. ეს შეიძლება მოხდეს, როდესაც იწყება სიტყვის ხმარება გადატანითი მნიშვნელობით და ის ასრულებს მეტაფორის, მეტონიმიის ან სინეკდოქის ფუნქციას. თანდათანობით გადატანითი ხმარების საფუძველზე გამომუშავდება წარმოებული ლექსიკური მნიშვნელობა, რომელიც სხვა სიტყვების მნიშვნელობათა სინონიმური შეიძლება იყოს. ასე მაგალითად, მეტაფორული ტროპის საფუძველზე ზედსართავს verde (მწვანე) გამოუმუშავდა წარმოებული მნიშვნელობა „გამოუცდელი, მწვანე" და verde გახდა სინონიმური სიტყვებისა inexperto, inmaduro; სიტყვას moler (დაფქვა) გაუჩნდა მნიშვნელობა სინონიმური ზმნებისათვის fatigar, cansar, fastidiar („დაღლა, თავის მობეზრება"), ხოლო molienda (დაფქვა, ნაფქვავი, ღერღილი) აღნიშნავს ასევე molestia, incomodidad (მოუსვენრობა, მღელვარება, უხერხულობა): león (ლომი), იხმარება აგრეთვე მნიშვნელობით tenorio, divo (ქალების გულთმპყრობელი, იღბლიანი კაცი).

ამგვარად, ყველა სიტყვაწარმოებითი საშუალება და წყარო მონაწილეობს ესპანური ენის სინონიმური სიმდიდრის შექმნაში.

2. ომონიმები – მნიშვნელობით განსხვავებული, მაგრამ ერთნაირი ჟღერადობის მქონე სიტყვები

ომონიმიას (homonimia) უწოდებენ მნიშვნელობით განსხვავებულ, მაგრამ ერთნაირი ჟღერადობის მქონე სიტყვების კატეგორიალურ ლექსიკურ-სემანტიკურ მიმართებებს.

მაგალითად:

vela (იალქანი)	vela (სანთელი)
real (რეალური)	real (მეფური)
pujar (ხელის კვრა)	pujar (ფასის მომატება)
ondear (ზონდირება, სილრმის გაზომვა)	ondear (ტალღებით დაფარვა, რხევა, რწევა)
aviador (ავიატორი, მფრინავი)	aviador (ლათიონამერიკული სიტყვა – ადამიანი, რომელიც აძლევს სესხს, ანდა შრომით იარაღებს, ჩვეულებრივ, მიწათმოქმედს ან მესაქონლეს)
matear (რომელიმე მინაში ბუჩქნარის ჩარგვა, არგენტინასა და ურუგვაიში „მატეს სმა")	

სინონიმებისაგან განსხვავებით, ომონიმების გაჩენა ენაში გარკვეულწილად შემთხვევითია. თუმცა ამ შემთხვევითობაში ვლინდება სიტყვათწარმოებასთან, პოლისემიასთან, სიტყვათა სტრუქტურულ ტიპებთან დაკავშირებული გარკვეული ენობრივი კანონზომიერებანი. ერთნაირი ჟღერადობის სიტყვები ჩნდებიან ენის უწყვეტი ევოლუციისა და

ლექსიკის, გრამატიკისა და ფონეტიკის ისტორიული განვითარების კანონების მოქმედების შედეგად. ამიტომ ამგვარი მატერიალურად თანხვდენილი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნის შესაძლებლობა წინასწარაა განსაზღვრული, თუმცა ამ შესაძლებლობის რეალიზაციას ენის სტიქია განაგებს. როდესაც ომონიმები ენის საკუთრებად იქცევა, ენის მატარებლები მათ ფორმალურ და შინაარსობრივ თავისებურებებს გარკვეული კომუნიკაციური მიზნებისათვის და იმ სტაბილური სამეტყველო ფუნქციების შესაბამისად იყენებენ, რომლებითაც ხასიათდებიან სიტყვების ეს ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები.

ომონიმია არაერთგვაროვანი მოვლენაა, ვინაიდან, ჯერ ერთი, სიტყვათა ჟღერადობა და დაწერილობა შეიძლება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს, მეორე, ერთნაირი ჟღერადობის სიტყვები შეიძლება მეტყველების სხვადასხვა ნაწილებს მიეკუთვნებოდნენ და მესამე, ჟღერადობის დამთხვევა შეიძლება ეხებოდეს შესადარი სიტყვების მხოლოდ ერთ ან რამდენიმე ფორმას, და არა სიტყვათფორმათა მთელ ერთობლიობას. დაბრკოლებები ომონიმთა განსაზღვრაში პოლისემიის ზემოქმედებითაც ჩნდება, როდესაც ერთი ჟღერადობის გარსში თანხვდება ერთი და იმავე სიტყვის ორი ან მეტი მნიშვნელობა.

ამასთან დაკავშირებით ენათმეცნიერებაში ლექსიკური ომონიმიის მოვლენები დიფერენცირებულია. ჩვეულებრივ ომონიმთა რამდენიმე სახეობას გამოყოფენ: საკუთრივ ომონიმები (უკეთესია: აბსოლუტური ომონიმები), ომოგრაფები, ომოფონები და ომოფორმები. არსებობს სხვაგვარი დაყოფაც: სრული ომონიმები და ნაწილობრივი ომონიმები, რომლებსაც სამი უკანასკნელი სახეობა განეკუთვნება.

აბსოლუტურ ომონიმებად უნდა ჩაითვალოს განსხვავებული ჟღერადობის მქონე სიტყვათა წყვილები, რომლებიც მეტყველების ერთსა და იმავე ნაწილს მიეკუთვნებიან და ყველა თავის ფორმაში თანხვდებიან ერთმანეთს ჟღერადობისა და დაწერილობის მიხედვით.

მაგალითად:

banda – ორდენის ლენტი; ლამპასი (განიერი ფერადი ზოლი დაყოლებული ფორმის შარვლის გვერდით ნაკერზე); ლენტი; ზოლი; სახვევი; ქამარი; სარტყელი; აშურმა; ყაწიმი (ვერცხლის ბალთა, სამკაული, რომელსაც იკერებენ სარტყელზე, ჯუბაზე და სხვ.)	banda – ბანდა (ყაჩაღების, მკვლელების ჯგუფი); ხროვა, ჯგრო, გროვა, ბრბო, თავმოყრა; გუნდი (ჩიტების), (ზღვ.) ნაპირი, ბორტი, ქიმი, გვერდი; (არქიტ.) ანტაბალემენტის ზედა ნაწილი; (სამხ.) სასულე ორკესტრი
asolar – გადაგდება, გადასროლა; აოხრება, გაჩანაგება, გატიალება.	asolar – მინდვრების გავერანება, გამოშრობა, ნათესების გახმობა, მოსპობა, განადგურება
adagio – თქმულება, სენტენცია	adagio – ადაჯიო (მუს.) მუსიკალური ნაწარმოების შესრულების ნელი ტემპი
dama – მანდილოსანი, ქალბატონი, სეფექალი, (თეატრ.) მთავარი მოქმედი პირი, ხასა, ხარჭა, საყვარელი, სატრფო, მიჯნური, (ჭადრ.) დედოფალი	dama – (ზოოლ.) ფურირემი
delfín – დელფინი (ზოოლ.)	delfín – (ისტ.) დოფინი, ტახტის მემკვიდრე

golfo – ყურე; ზღვა	golfo – მაწანწალა, უსახლკარო, უპატრონო, მიუსაფარი
era – ერა, წელთაღრიცხვა, წელიწადის დრო, სეზონი	era – კალო, კვალი, კლუმბი, ყვავილნარი
raza – რასა	raza – ტომი, მოდგმა, გვარი, ჩამომავლობა, თაობა, ჯიში, ჯილაგი; ღრეჩო, ხვრელი, ნაპრალი, ბილიკი, საცალფეხო გზა; სინათლის სხივი; ღია ფერის ზოლი (ქსოვილზე), (ვეტ.) ცხენის ჩლიქის, ქანჩის, ნაპობი; (კუთხური სიტყვა) ჟინჟღლი, თქორი
hoz – ნამგალი	hoz – ვიწრობი, კლდეკარი; ხეობა
haz – სახე, იერი, გარეგნობა, შესახედაობა	haz – ძნა, ბულული (თივის პატარა ზვინი); კონა, შეკვრა, დასტა
celar – დამალვა, დაფარვა	celar – ამოჭრა, ამოკვეთა, გამოჭრა, გრავირება; მეთვალყურეობა, თვალთვალი, თვალყურის დევნება, თვალის დაჭერა, ზედამხედველობა, დარაჯობა

copia – ასლი, პირი, იმიტაცია, პორტრეტი, რეპროდუქცია	copia – სიუხვე, ბარაქა, ხვავი; სიმრავლე
ratear – პროპორციულად განაწილება (სასაუბრო)	ratear – წვრილმანი ქურდობა, ქურდაბაცობა; რდუვ.) მუცლით ხოხვა.
atracar – გადამეტებული კვება, ჭამის დაძალება, პირში ტენა, ძალით ჭმევა, მუცლის გახეთქა, მუცლის ამოყორვა	atracar – მიახლოება, მიდგომა (მიადგება); თავდასხმა ძარცვის მიზნით

ომოფონები (homófonos) ეწოდება მნიშვნელობით განსხვავებულ და მეტყველების ერთი ნაწილის წარმოდგენილ სიტყვათა წყვილებს, რომლებიც ჟღერადობით თანხვდებიან ერთმანეთს ყველა ფორმაში, მაგრამ განსხვავდებიან დაწერილობით.

აქედან გამომდინარე, ომოფონებს უჩნდებათ წინააღმდეგობა სიტყვათა მატერიალურ ფორმებს შორის: შესადარებელ ერთეულთა ბგერითი შედგენილობა ერთნაირია, ხოლო ასოითს გააჩნია განსხვავებები, რომლებიც ჩვეულებრივ მორფოლოგიური თავისებურებებით არის განპირობებული. ესპანურში ბევრია ამგვარი ომონიმური ფორმა. მათ შრის შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ჯგუფი, რომლებშიც ომოფონები დაწერილობისას განსხვავდებიან – b და v ასოებით, რომლებიც ერთნაირ ბგერებს აღნიშნავენ:

vasto – ფართო, ვრცელი, უზარმაზარი, უშველებელი, ხალვათი	basto – უზრდელი, უდიერი, გაუთლელი, ხეპრე
varón – მამაკაცი; პატივსაცემი, გამოჩენილი, დაფასებული	barón – ბარონი
votar – ხმის მიცემა (არჩევნებზე); აღთქმა, ფიცი, (გადატ.) დაწყევლა, შეჩვენება	botar – სროლა, ტყორცნა
gravar – დატვირთვა, დამძიმება (გადასახადებით, ვალდებულებებით)	grabar – გამოჭრა, ამოჭრა, გრავირება

g და j ასოებით, რომლებიც აღნიშნავენ ერთნაირ ბგერებს, თუკი g დგას e-ს და i-ს წინ:

jira – მატერიის, ქსოვილის ნაჭერი, (გადატ.) პიკნიკი, სოფლური ნადიმი, საგასტროლო მოგზაურობა; ექსკურსია	gira – მოგზაურობა, გამგზავრება, გასეირნება, სეირნობა
jema – მცირედ ჩაღრმავებული ადგილი, ფოსო	gema – ძვირფასი ქვა, (ბოტ.) კვირტი
gineta – (ბოტ.) კურდღლისცოცხა, კურდღლის ბალახი	(ზოოლ.) თრითინა, სინდიოფალა

h ასოს არსებობით ან არარსებობით, რომელიც თანამედროვე ესპანურ ენაში პრაქტიკულად „ცარიელი" გახდა, ვინაიდან არ აღნიშნავს ბგერას, hojear (გადაფურცვლა) ა ა. შ.

atajo – ბილიკი, საცალფეხო გზა; თემშარა, სოფლის შარაგზა; (კუთხ.) ნახირს ჩამორჩენილი პირუტყვი, საქონელი, გზის გადაღობვა, გზის გადაჭრა, გზის შემოკლება	hatajo – მცირერიცხოვანი ჯოგი, ნახირი
errar – (გრუდვ.) ხეტიალი, ყიალი, თრევა, წანწალი	herrar – (გრდმ) დაჭედვა, შემოჭედვა, დადაღვა, შანთით, გავარვარებული რკინით დაღის დასმა
uso – ხმარება, გამოყენება	huso – თითისტარი
amo – ოჯახის თავი; მფლობელი, პატრონი, მეწარმე, მესაკუთრე: ბატრონი, ბატონკაცი (ირონ.), ვაჟბატონი	hamo – ანკესი, ნემსკავი
ojear – შეხედვა, ყურება, ცქერა, (გარდმ.) (ცრუმორწმ.) გათვალა, ავი, თვალით შეხედვა, დაშავება, ზიანის მიყენება	hojear – გადაფურცვლა, გადახედვა, თვალის გადავლება

ესპანური ენის ზოგიერთ ეროვნულ ვარიანტში, რომლებიც მნიშვნელოვან ტერიტორიებს მოიცავენ, ომოფონები ერთი ბგერის შესაბამისობის გამო ჩნდებიან:

ll და y ასოებთან.

rallar – გახეხვა, ფხეკა; (გადატ. სასაუბ.) გულის განყალება, თავის მობეზრება, გაბეზრება	rayar – ხაზვა
rallo – საფხეკელა, საფშვნეტელა, სადრესელა	rayo – სხივი, ელვა; მეხი; გაელვება, გამობრწყინებ
valla – ღობე, მესერი	vaya – დაცინვა
callada – სიჩუმე	cayada – კვერთხი, არგანი
expirar – სულის განტევება	espirar – ამოსუნთქვა, სუნთქვა

s და x ასოებთან (თანხმოვნების წინ);

r და s (e-ს და i-ს წინ) და s ასოებთან, რომლებიც თანამედროვე ენაში პრაქტიკულად ლათინური ამერიკის მთელს ტერიტორიაზე და ესპანეთის ზოგიერთ დიალექტში იდენტურად გამოითქმებიან:

cocer – ხარშვა	coser – კერვა
abrazar – მოხვევა, გულში ჩაკვრა	abrasar – გამოწვა
cazar – ნადირობა	casar –შერთვა, გათხოვება
cima – მწვერვალი, წვერი	
caza – ნადირობა	casa – სახლი

ომოგრაფები (homógrafos) წარმოადგენენ ისეთ სიტყვათა წყვილებს, რომლებიც განსხვავდებიან მნიშვნელობითა და გამოთქმით, მაგრამ თანხვდებიან დაწერილობით.

ესპანურ ენაში ომონიმური სიტყვების ჯგუფების გამოყოფა არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ერთნაირი ასოითი

შემადგენლობის, მაგრამ განსხვავებული მახვილის მქონე იმ ესპანურ სიტყვებს რომლებიც არღვევენ აქტიცენტოლოგიურ წესებს, აქვთ ნიშანი acento. ამგვარად, „ერთნაირასოიანი ესპანური სიტყვები განსხვავებული მახვილით მკაცრი მაკლასიფიცირებელი მიდგომისას ალბათ არ უნდა მივაკუთვნოთ ომონიმებს, ვინაიდან იგი განსხვავებულად გამოითქმიან და განსხვავებულად იწერებიან (ერთ სიტყვას აქვს acento, მეორეს კი – არა). აზრის განსხვავებული ურთიერთდაპირსპირება მახვილებისა და ასეთ სიტყვებში არა მარტო ცვლის მათ აქცენტოლოგიურ ჟღერადობას, არამედ გარკვეულწილად სახეს უცვლის ზოგიერთი ფონემის წარმოთქმას მათი ადგილის მიხედვით, მახვილიანი მარცვლის მიმართ. ამიტომ ასეთი წყვილები არ განიხილება როგორც ომონიმები.

baja – დაქვეითება	bajá – ფაშა
sabana – სავანა	sábana – ზეწარი
arteria – არტერია	artería – ეშმაკობა, ცბიერება
valido – პატივცემული	válido – კანონიერი
revolver – გადაბრუნება	revólver – რევოლვერი

საფიქრებელია, რომ ომოფორმებს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე არსებითი სახელები, რომლებიც განსხვავდებიან მხოლოდ გრამატიკული სქესით, ამასთან მხოლოდ შეთანხმებით დონეზე, ანუ არტიკლებთან, ზოგიერთ ნაცვალსახელთან და ზედსართავთან ხმარებისას. მხედველობაში გვაქვს შემდეგი ტიპის სიტყვები:

9. არსებითი სახელი მამრობითი სქესისა არსებითი სახელები მდედრობითი სქესისა:

(El) pez (თევზი) – (la) pez (ფისი)
(El) cólera (ქოლერა) – (la) cólera (რისხვა)

(El) frante (ფრონტი) – (la) frente (შუბლი)
(El) Moral (თუთის ხე) – (la) moral (მორალი)

ომონიმების წარმოქმნის წყაროები. განხილული მასალა საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ, სულ ცოტა, ოთხი ძირითადი წყარო. პირველი მათგანი დაკავშირებულია ფონეტიკურ ცვლილებებთან, რომლებიც ნებისმიერ ენაში ხდება მისი ისტორიული განვითარების პროცესში.

ფონეტიკური პერიპეტიების შედეგად ზოგიერთი ესპანური სიტყვა, რომლის წარმომავლობაც სხვადასხვა ლათინურ ლექსიკურ ერთეულს უკავშირდება, ომონიმად გადაიქცა. მაგალითად, ზმნა celar (თვალყურის დევნება, დარაჯობა) წარმოიქმნა სიტყვიდან celáre, არსებითი სახელი puñal (ხანჯალი) – pugñare-დან, ხოლო puñal (შტანდარტი) – pugra-დან და ა. შ.

XVI საუკუნისათვის ესპანეთის უდიდეს ნაწილში გაქრა დაპირისპირება კბილბაგისმიერ ფრიკატიულ [v]-სა და ბაგებაგისმიერ [B] სონანტს შორის და შესაბამისი ასოები v და b უკვე აღნიშნავდნენ ერთ ფონემას, ბაგებაგისმიერ სონანტს [β]. წარმოთქმის ამგვარმა გათანაბრებამ განაპირობა მრავალი ისეთი ომოფონის წარმოქმნა, როგორებიც არიან basto – vasto, grabar – gravar და ა. შ.

IX-X საუკუნეებში ესპანური ენის მთელს არეალში ფარინგალური სპირანტის [h]-ის გაქრობამ შექმნა პირობები ისეთი ომოფონების წარმოსაქმნელად, როგორებიც არიან huso – uso, hatajo – atajo და სხვ.

ესპანური ენის ლათინოამერიკული ვარიანტების უმეტესობაში წინაენისმიერი აპიკალური [θ]-ით წარმოქმნა ისეთი ომოფონები, როგორებიც არიან caza – casa, abrazar – abrasar და ა. შ.

ომონიმიის მეორე წყარო უკავშირდება ესპანური ენის განვითარების მორფოლოგიურ და სიტყვათწარმოქმნით კანონზომიერებებს. მაგალითად, ნაზმნარი სახელების წარმოქ-

მნის წესებმა განაპირობა შემდეგი ტიპის ომონიმური ფორმების დიდი ჯგუფი: apoyo (მე მხარს ვუჭერ) – apoyo (მხარდაჭერა), descanso (მე ვისვენებ) descanso (დასვენება). ამგვარი ომონიმია წარმოიქმნა აგრეთვე სახელზმნების ფორმებსა და შესაბამის არსებით სახელებს შორის: baraja (კარტის დასტა) – baraja (ის ჭრის კარტს) და ა. შ. ზედსართავთა სუფიქსის -ar და ინფინიტური დაბოლოების – -ar ომონიმიამ ხელი შეუწყო ომოფორმების tallar (გამოძერწვა, გამოკვეთა) და tallar (გაკაფვისათვის მზა), titular (ტიტულის მინიჭება) და titular (ტიტულოვანი) და ა. შ. გაჩენას.

ორივე აღნიშნული წყარო არსობრივად პირველყოველისა დაკავშირებულია ენის ხმოვან, ფონეტიკურ მხარესთან. რამდენადმე განსხვავებულია ომონიმიის წარმოქმნის მესამე ფორმა, რომელიც პოლისემიის განშრევადობის სემანტიკურ პროცესებს უკავშირდება.[32]

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლექსიკოგრაფიას (lexicografia) – მეცნიერებას ლექსიკონთა შედგენის შესახებ, რომელიც ამუშავებს ლექსიკის შერჩევისა და სისტემატიზაციის მეცნიერულად დასაბუთებულ პრინციპებს სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებისათვის და ლექსიკური ერთეულების აღწერის ოპტიმალურ ვარიანტებს.

ასეთია ლექსიკოლოგიის როგორც განვითარებული და დიფერენცირებული ენათმეცნიერული დისციპლინის მრავალასპექტიანი შინაარსი.

განსახილველი პრობლემებისა და კვლევითი მიდგომების ხასიათის მიხედვით ჩვეულებრივ გამოიყოფა ლექსიკოლოგიის ხუთი მთავარი ნაწილი: ზოგადი ლექსიკოლოგია, რომელიც ლექსიკის არსებობისა და განვითარების ყველაზე არსებით სტრუქტურულ-სემანტიკურ და ფუნქციურ კანონზომიერებებს განსაზღვრავს; კერძო, რომელიც იკვლევს კონკრეტული ენის სალექსიკონო შედგენილობას (ამას ემსახურება წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელოც); ის-

32 Виноградов В. С. Лексикология испанского языка. М., 2003. с. 153-155.

ტორიული, რომელიც იძიებს სიტყვათა ისტორიას მათ მიერ სახელდებული საგნებისა და მოვლენების თვალსაზრისით; შედარებითი, რომელიც ახდენს ლექსიკური ერთეულებისა და ცნებითად ან სტრუქტურულად მსგავსი ჯგუფების შედარებას ენებისა და ენობრივ სისტემებში არსებული განსხვავებებისა ან თანხვედრების ნათესაობის განსასაზღვრად და ბოლოს გამოყენებითი ლექსიკოლოგია, რომელიც ლექსიკოგრაფიასთან, მეტყველების კულტურასთან, პედაგოგიკასთან, თარგმანის თეორიასა და პრაქტიკასთან არის დაკავშირებული.

3. პარონიმია

პარონიმია (paronimia) შეისწავლება როგორც შუალედური ლექსიკური კატეგორია სინონიმიასა და ომონიმიას შორის, თუკი ომონიმები – ესაა ერთნაირი ჟღერადობის, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვები, ხოლო სინონიმები – სხვადასხვაგვარი ჟღერადობის, მაგრამ გარკვეულწილად ერთნაირი მნიშვნელობის მქონე სიტყვები, პარონიმებს მათ შორის შუალედური მდგომარეობა უჭირავთ. ისინი ერთდროულად ომონიმიისა და სინონიმიის მიმართ არიან მიდრეკილი. თუმცა ეს მიდრეკილება სრულად ვერ რეალიზდება. ის მხოლოდ ტენდენციის სახით მჟღავნდება. პარონიმები არ თანხვდებიან ერთმანეთს ჟღერადობითა და დაწერილობით ომონიმების მსგავსად, შინაარსობრივად კი ზოგჯერ სინონიმურობის დონესაც კი აღწევენ. პარონიმები ჩვეულებრივ შეადგენენ წყვილებს: barbar (გაზრდა – წვერისა) – barbear (წვერ-ულვაშის გაპარსვა), abocucuón (მოკლე სიტყვა, მიმართვა), elocución (გამოთქმის მანერა, ხერხი, მეტყველების სტილი), agravar (მდგომარეობის, სიტუაციის გაუარესება; წინააღმდეგობათა გამწვავება; ბრალის დამძიმება, გაღრმავება) – agraviar (წყენინება,

შეურაცხყოფის მიყენება; რაიმეს გართულება), afección (მღელვარება, განცდა) – afectación (აფექტაცია, არაბუნებრიობა), petrolifero (ნავთობშემცველი) – petrolero (ნავთობისა, ნავთობისგან მიღებული) circunvalar (გარშემორტყმა, ალყაში მოქცევა) – circunvolar (გარს შემოფრენა, გარშემო ფრენა).

თუმცა პარონიმებისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანია აგრეთვე კიდევ ერთი ფუნქციური მახასიათებელი: მათი აღრევის შესაძლებლობა მეტყველებაში. ეს შეიძლება მოხდეს ენის მატარებლის არასაკმარისი განათლებულობის გამო ანდა შეგნებულად – კალამბურული მიზნით. პარონიმების არაშეგნებული აღრევა ლიტერატურული ნორმის დარღვევას იწვევს. არასაკმარისად განათლებულმა ესპანელმა apertura de la exposición-ის (გამოფენის გახსნა) შეიძლება თქვას abertura de la exposición (გამოფენის გაჭრა, გაკვეთა), ვინაიდან პარონიმები apertura და abertura ახლოს დგანან ერთმანეთთან არა მარტო თავიანთი ჟღერადობით, არამედ თავიანთი ერთ-ერთი მნიშვნელობითაც (შდრ. abertura, del testamento – ანდერძის გახსნა), ჰარმონიული შეცდომები იქნება აგრეთვე ისეთი გამოყენება სიტყვებისა, როგორიცაა: azulear la tela ნაცვლად azular la tela (azulear – ცისფრად, ლურჯად ელვარება, azular – გალურჯება, გალილავება).

ასე რომ, უნდა გაანალიზდეს არა მარტო თანაჟღერადობის ფაქტი, არამედ აღრევის მოვლენაც როგორც პარონიმული წყვილის ობიექტური ნიშანი... პარონიმიას, როგორც განსაკუთრებულ ენობრივ მასალას, ადასტურებს არა მარტო თვით სიტყვაფორმების ნაწილობრივი ფონეტიკური თანხვდენის ფაქტი, არამედ ის, რომ ამგვარი თანხვდენა ენის მატარებელთა მიერ აღიქმება როგორც სიტყვათფორმების სემანტიკური სიახლოვის მოწმობა..."[33] პარონიმულით.

---

33 Кузнецова И. И. паронимии//Вестник МГУ. Филология. 1976. №1, с. 38.

შეცდომებს[34] განაპირობებს ორი ასოციაციური მწკრივის – ხმოვანის და შინაარსობრივის, გამოხატვისა და შინაარსის მიმართულების გადაჯვარედინება, გადაკვეთა, ამიტომ პარონიმების დეფინიციამ უნდა ასახოს ფორმალური (ფონეტიკური და მორფოლოგიური) კრიტერიუმები და შინაარსობრივი (სემანტიკური) ნიშნები.

პარონიმები – ესაა მეტყველების ერთი და იმავე ნაწილის ულერადობითა და მორფემული შედგენილობით მსგავსი და ლექსიკურ-სემანტიკურად ახლომდგომი სიტყვები.[35]

პარონიმების უმეტესობა ამჟღავნებს ეტიმოლოგიურ ერთიანობას ანდა სიტყვაწარმოებით ნათესაობას. ესპანური პარონიმების კვლევა უკავშირდება ე. წ. ლექსიკური ეტიმოლოგიური დუბლეტების პრობლემას, ანუ ისეთი სიტყვებისას, წყვილებისას (ზოგჯერ რამდენიმე სიტყვისას), რომლებიც მეტ-ნაკლებად ახლოს არიან მნიშვნელობითა და ულერადობით და რომლებსაც ერთიანი წარმომავლობა აკავშირებთ, ცნობილია, რომ დუბლეტურობა განპირობებულია ლექსიკური ნასესხობების ისტორიით. ესპანური ენისათვის სიტყვა-დუბლეტების ერთ-ერთ ყველაზე უხვ წყაროდ იქცა ლათინური ენა. ნასესხობები ხორციელდებოდა ესპანური ენის ჩამოყალიბების სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში, რაც ხელს უწყობდა ერთი სიტყვაწყაროდან მომდინარე ულერადობით მსგავსი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნას. ზოგიერთ ისეთ პარონიმებს, რომლებიც ეტიმოლოგიურ დუბლეტებს წარმოადგენენ, მსგავსი მნიშვნელობები აქვთ

---

34 პარონიმული შეცდომებისაგან უნდა განვასხვავოთ სტილისტური ხერხი (მეტყველების ფიგურა), რომელსაც პარონიმაზაცია (ანომინაცია) ეწოდება. ეს არის ნებისმიერ თანაულერადი სიტყვებისა და შესიტყვებების შეგნებული დაახლოება კომიკური, ირონიული ან სატირული ეფექტის მოხდენის მიზნით.

35 შდრ. ო. ს. ახმანოვას განსაზღვრებას: „პარონიმები – სიტყვები, რომლებიც ულერადობის მსგავსებისა და ნანილობრივ მორფემული შედგენილობის თანხვედრის გამო შეიძლება შეცდომით ანდა კალამბურულად იქნენ გამოყენებული მეტყველებაში“.

და სტილური მარკირებითა და ექსპრესიული შეფერილობით გამოირჩევიან, მაგალითად, llaga (იარა, ჭრილობა) – plaga (ავადმყოფობა, ხიფათი), llagar (ჭრილობის მიყენება, დაჭრა) – plagar (დაზიანება, დაავადების გადადება; პარაზიტებით ავსება); rotura (გახეთქვა, გაწყვეტა, გახევა, განხეთქილება) – ruptura (გაწყვეტა) (ურთიერთობის); უთანხმოება, გარდატეხა), vagar (უსაქმოდ ყოფნა; მცონარობა) – vacar (დროებით შეწყვეტა (მუშაობის), ყურადღების გადატანა), llano (სწორი, გლუვი) – plano (ბრტყელი, სიბრტყითი) და ა. შ. არსებითად ეს თანაყღერადი სინონიმია. სწორედ ყღერადობის მსგავსება განაპირობებს მათ გამოყოფას სინონიმური პარონიმების ცალკე ჯგუფში.

სხვა პარონიმი-დუბლეტების აზრობრივი სიახლოვე შესაძლოა შეფარდებითი იყოს. ისინი შეიძლება განეკუთვნებოდნენ ერთ სემანტიკურ ველს. პარონიმების აზრობრივი შეფარდებითობა ზოგჯერ მყღავნდება მათი შედარების გზით, რაც ერთ-ერთ პარონიმში გადატანით მნიშვნელობას, რომელიმე ტროპს წარმოაჩენს.

შდრ. მაგალითად, graso (მსუქანი, ცხიმიანის მნიშვნელობით) – craso (მსუქანი სქელი მნიშვნელობით), leal (ერთგული, პატიოსანი) – legal (კანონიერი), forma (ფორმა როგორც სახე, მოხაზულობა) – horma (კალაპოტი), delgadez (სიგამხთრე, სინატიფე) – delicadez (სისუსტე, კეთილსინდისიერება, მორიდებულება). შეიმჩნევა სემანტიკური სიახლოვე ისეთი წყვილებისაც კი, როგორებიცაა cimento (ფუნდამენტი, საფუძველი) – cemento (ცემენტი), cereo (წრე, რკალი) – circo (ცირკი), desolar (გაჩანაგება, დაცარიელება) – desollar (ტყავის გაძრობა, ზიანის მიყენება) და ა. შ. პარონიმიას განიხილავენ როგორც მეტყველების მოვლენას და მას ე. წ. პარონიმულ ატრაქციას მიაკუთვნებენ. მხატვრული ტესტების ანალიზზე დაყრდნობით გამოყოფენ „პარონიმული ატრაქციის" სამ ტიპს. თითოეული მათგანი გარკვეულ სტილისტურ მიზნებს ემსახურება: გაუნათლებელი ადამიანების მეტყველები-

თი დახასიათება, მითითება კულტურული დონის მიხედვით უფრო მაღალ გარემოში მოქმედი პერსონაჟის მეტყველებაზე, ავტორისეული სიტყვებით თამაში.

4. ანტონიმია

ანტონიმები – ესაა ერთი გრამატიკული კატეგორიის სიტყვათა წყვილები, რომლებიც გამოხატავენ თავისი ხარისხობრივი, დროითი, სივრცითი ან რაოდენობრივი ნიშნებით ურთიერთსაწინააღმდეგო ურთიერთფარდობით ცნებებს.

მაგალითად, blanco (თეთრი) – negro (შავი), ancho (ფართო) estrecho (ვიწრო), grande (დიდი) – pequeño (პატარა), poco (ცოტა) – mucho (ბევრი), bien (კარგად) – mal (ცუდად), riqueza (სიმდიდრე) pobreza (სიღარიბე), amistad (მეგობრობა) – inamistad (მტრობა), subir (ასვლა) – bajar (ჩამოსვლა, დაშვება), aparecer (გამოჩენა) – desaperecer (დამალვა, გაქრობა) და ა. შ.

ანტონიმების განსაზღვრებიდან ცხადი ხდება, რომ ანტონიმიის დამოკიდებულება წარმოიქმნება განსაზღვრული კონცეპტების ბაზაზე, რომელთა შინაარსი გულისხმობს რაიმე კონცეპტუალური მახასათებლების ლოგიკურად ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტების შესაძლებლობას ასეთ კონცეპტ-ცნებებს მიეკუთვნებიან სივრცე, დრო, მდგომარეობა, ხარისხი, გრძნობა, რაოდენობა, ზომა, წონა, ძალა და სხვ. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, აუცილებელია ერთგვარი ცნებითი ერთობის არსებობა, რომელიც შეპირისპირების, შეფარდების, შედარების საშუალებას მოგვცემს. სწორედ რეალური სინამდვილის ამსახველი ასეთი კონცეპტების არსი იძლევა სიტყვების შეფარდების საშუალებას მათი მნიშვნელობების წინააღმდეგობრიობის საფუძველზე.

მაგრამ სიტყვა პოლისემანტიკურია და ამიტომ მის სხვადასხვა მნიშვნელობას შეიძლება სხვადასხვა ანტონიმი ჰქონდეს. ზედსართავი dulce (ტკბილი) ანტონიმურია სიტყვი-

სა amargo (მწარე), მაგრამ dulce-ს აქვს აგრეთვე მნიშვნელობა „მტკნარი", რომელსაც შეესაბამება ანტონიმები salado და salobre (მლაშე). სიტყვების – blaneo (თეთრი) და negro (შავი) – ძირითადი მნიშვნელობები ანტონიმურია, თუმცა „თეთრის, ღია ფერის" მნიშვნელობით სასმელების მიმართ (vino blanco) blanco-ს ანტონიმად გვევლინება tinto (vino tinto); ხდება ისეც, რომ ორი შესადარი სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობა ანტონიმური აღმოჩნდება. Alto და bajo ანტონიმებს წარმოადგენენ შემდეგი მნიშვნელობებით: 1. მაღალი – დაბალი (ადგილმდებარეობის შესახებ); 2. მაღალი – დაბალი (სიმაღლის შესახებ); 3. ხმამაღალი – ჩუმი (ხმის, ბგერის შესახებ); 4. ძვირფასი – იაფი (ფასების შესახებ) და სხვ.

ლოგიკოსებმა დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება ცნებათა დამოკიდებულებას ნიშან-თვისებებთან, რომლებიც უარყოფენ ერთმანეთს. ამგვარ ცნებით კორელაციებს შეუსაბამობის ურთიერთობები ეწოდება, შეუსაბამო (შეუთანხმებელი) ცნებები ორი სახისაა: ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთსაპირისპირო. ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებები შეიძლება წარმოვადგინოთ ფორმულის „A – არა A" სახით (blanco, თეთრი – no blanco, არა თეთრი). ამ შემთხვევაში „A"-თი გამოხატული მთელი შინაარსი უარყოფილია ცნებით „არა A"-ს. ეს ერთგვარად ორი უკიდურესი აზრობრივი პოლუსია. მათ შორის არ არის რაიმე „ბუფერული", შუალედური ცნება. ლოგიკაში ასეთ შემთხვევებში მოქმედებს გამორიცხული მესამის კანონი, რომლის თანახმად რაიმეს მკტიცებასა და იმავეს უარყოფას შორის არ არის არაფერი მესამე.

ურთიერთსაპირისპირო ცნებები გამოიხატება ფორმულით – A – არა A+B" (blanco, თეთრი – negro, შავი), სადაც B აღნიშნავს დამოუკიდებელ სემანტიკურ შინაარსს. ურთიერთსაპირისპირო კორელაციისას ერთი ცნების ნიშანთა უარყოფა შეადგენს მხოლოდ ნაწილს მეორე ცნების შინაარსისა, რომელსაც თავისი სპეციფიკური მახასიათებლებიც გააჩნია. სხვა სიტყვებით, ურთიერთსაპირისპირო შეუსა-

ბამობის ცნებები, გამორიცხავენ რა ერთმანეთს ზოგიერთი გამოხატული ნიშან-თვისებით, ინარჩუნებენ დამოუკიდებელ, შეუსაბამობის ურთიერთობებში ჩაურეველ კომპონენტებს. მაგალითად, ცნებების – blanco (თეთრი) და negro (შავი) – შედარებისას შეიძლება დავასკვნათ, რომ negro არა მარტო უარყოფს ცნებას blanco, არამედ მას გააჩნია თავისი საკუთარი ნიშან-თვისებებიც: ყველაზე მუქი არსებული ფერებიდან, ნახშირის, ჭვარტლის ფერი. ცნებითად შეუსაბამო წყვილში bueno (კეთილი) – malo (ბოროტი) უარყოფითი საწინააღმდეგო წევრი გამოხატავს შინაარსს „არაკეთილი" და იმავდროულად გადმოცემს აზრს „ბოროტებით, არაკეთილმოსურნეობით, ბრაზიანი განრისხებით სავსე". ურთიერთსაწინააღმდეგო შეუსაბამობით დაკავშირებულ სიტყვებს ამგვარი სემანტიკური „დანაწონი" არ ჰქონდათ.

ურთიერთსაპირისპირო ცნებებს შორის მათი ნიშან-თვისებების გარკვეული დამოუკიდებლობის გამო შეიძლება მოიაზრებოდეს შუალედური ცნებებიც: blanco (თეთრი) – gris (ნაცრისფერი) – negro (შავი); bueno (კეთილი) – benevolo (კეთილმოსურნე) – bondadoso (გულისხმიერი) – irritado (გაღიზიანებული) – airado (ბრაზიანი) – malo (ბოროტი). ლოგიკოსები ასკვნიან, რომ ურთიერთსაპირისპირო ცნებების ურთიერთქმედებაში ვლინდება წინააღმდეგობის კანონი, რომლის არსიც გამოიხატება იმით, რომ ორივე ცნება არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს ერთსა და იმავე ობიექტს ერთსა და იმავე დროს და ერთი და იგივე მიმართები.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ურთიერთშეუთანხმებელი ცნებები ყოველთვის ურთიერთდაქვემდებარებულები არიან. მათში, როგორც უკვე ვთქვი, აუცილებლად უნდა იყოს რაღაც საერთო, რაც მათი შედარების საშუალებას მოგვცემს. თუკი ასეთი ერთობა არ არის, მაშინ არც შედარების საფუძველი არსებობს. bueno-malo (კეთილი-ბოროტი) გამოხატავენ ადამიანის ზნეობრივ ნიშან-თვისებებს: amistad-inamisted (მეგობრობა – მტრობა) მიუთითებენ ურთიერთო-

ბათა ხასიათზე ადამიანებს შორის; poularidad – impopularidad (პოპულარობა – არაპოპულარობა) ასახავენ საზოგადოებრივ სიმპათიებს ან ასეთების არარსებობას. თუმცა ი არადაქვემდებარებულები შეიძლება იყვნენ ისეთი ცნებითი ხყვილებიც, როგორებიცაა hombre (მამაკაცი) – mujer (ქალი), adulto (ზრდასრული) – niño (ბავშვი), invierno (ზამთარი) – verano (ზაფხული) და სხვები. მაგრამ ისინი, ლოგიკოსების აზრით, არ არიან შეუსაბამო ცნებები, ვინაიდან ერთ-ერთი მათგანი უარყოფს მეორეს და მათი ცნებით ნიშან-თვისებებს შორის მსგავსებები უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდება ხოლმე, ვიდრე განსხვავებები.

გამომდინარე ლოგიკოსების მიერ შემოთავაზებული ურთიერთშეუთანხმებელი ცნებების დაყოფიდან ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერსაპირისპირო ცნებებად, უნდა ვივარაუდოთ რომ მხოლოდ ურთიერსაპირისპირო ცნებებმა შეიძლება წარმოქმნან ანტონიმური წყვილები, ხოლო ურთიერსაწინააღმდეგო ცნებები ასეთ ურთიერთკავშირებს არ ამყარებენ და გამოხატავენ მხოლოდ ერთი ცნების უარყოფას ამავე ცნებისა და მათზე დართული უარყოფითი ნაწილაკის დახმარებით. თუმცა ენის სისტემაში ლოგიკურმა კანონებმა შეიძლება შეიძინონ თავისებურებანი და თავისებურად განხორციელდნენ მატერიალურ ენობრივ ფორმებში, წარმოადგენენ თუ არა ანტონიმებს მაგალითად ისეთი წყვილები, როგორებიცაა justicia (სამართლიანობა) – injusticia (უსამართლობა), cómodo (მოსახერხებელი) – incómodo (მოუხერხებელი) ანდა culpable (დამნაშავე) – inculpable (უდანაშაულო). ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისით ისინი შეიძლება მივაკუთვნოთ ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებებს, რადგან ამ წყვილებით მეორე წევრი უარყოფს პირველს უარყოფის მნიშვნელობის მქონე in- პრეფიქსის დახმარებით. შემთხვევითი არ არის, რომ ესპანურ ლექსიკოგრაფიულ დამხმარე სახელმძღვანელოებში ამგვარი in- პრეფიქსიანი სიტყვების დეფინიციები ზოგჯერ მოცემულია ისე, როგორებიცაა ago-

table (ამომწურავი) – inagotable (გამოულეველი, ულევი, უშრეტი, ამოუწურავი, დაულეველი), compatible (შეთავსებული, ერთმანეთთან შეთანხმებული, შეწყობილი, შეგუებული) – incompatible (შეუთავსებელი, შეუთანხმებელი, შეუხამებელი), cómodo (მოხერხებული, მყუდრო, შესაფერისი, ხელსაყრელი, კომფორტული) – incómodo (მოუხერხებელი, შემზღუდველი, შემანუხებელი, არაკომფორტული), directo (სწორად გავლებული, სწორად გაჭიმული, მიუხვეველ-მოუხვეველი; აშკარა, დაუფარავი; უშუალო, აუცილებელი) – indirecto (ირიბი, არასწორი, მრუდე; დაფარული, საიდუმლოდ შენახული).

მათ ენის განვითარების პროცესში გამოუმუშავდათ ურთიერთდაპირისპირების სემანტიკა. ამ სიტყვებს დაუმკვიდრდათ საკუთარი ლექსიკური მნიშვნელობა, რომელიც არ წარმოადგენს რაიმეს სუფთად უარყოფას, ამ სიტყვებს სიტყვათშეთანხმებისა და სიტყვათხმარების თავიანთი წესები აქვთ. ასეთი სიტყვების უმრავლესობა პოლისემანტიკურია. მათმა ძირითადმა მნიშვნელობებმა გადატანითი მნიშვნელობების გამომუშავების შესაძლებლობა შექმნეს. in-პრეფიქსიც სემანტიკურად არ უდრის უარყოფით ნაწილაკს no. იგი გამოხატავს არა მარტო უარყოფას, არამედ რაიმეს დაპირისპირებას და ასევე შეზღუდვასა და მოკლებას, მოსპობას. იგი სიტყვის ნაწილია და არა no blanco-ს ტიპის სინტაქსური შეთანხმებისა. ამიტომ ისეთი წყვილები, როგორებიცაა agotable – inagotable, compatible – incompatible. cómodo – incómodo, directo – indirecto, უნდა მივაკუთვნოთ განსაკუთრებულ ანტონიმურ ჯგუფში შემავალ ანტონიმებს. ზოგიერთი ენათმეცნიერი თვლის, რომ ისეთი ტიპის ოპოზიციებს, როგორებიცაა „ახალგაზრდა-არაახალგაზრდა" უნდა ვუწოდოთ შერბილებული დაპირისპირება და, რადგან ორივე წყვილი გამოხატავს ზღვრულ უარყოფას, „ახალგაზრდა-მოხუცი" მიუთითებს ზოგადად ასაკის ზღვრებზე, „ახალგაზრდა-არაახალგაზრდა" განსაზღვრავს ადამიანის, ცხოველის, მცენარის ცხოვრების ერთ-ერთი პერიოდის საზღვრებს.

თავის დროზე ვ. ა. მიხაილოვი, რომელიც დეტალურად შეისწავლიდა უარყოფის როლს ანტონიმიაში, აღნიშნავდა, რომ უარყოფა უნდა გავიგოთ „არა უბრალოდ როგორც ანტონიმური ოპოზიციის სტატისტიკაში მოცემული ინვარიანტი, არამედ როგორც სისტემური ოპერაცია (მისი საწინააღმდეგო დადასტურების ოპერაციასთან ერთიანობაში), რომელიც წარმოშობს ურთიერთდაპირისპირების დამოკიდებულებასა და ანტონიმიას.[36] უშუალო კავშირი ფორმალური საშუალებებით გამოხატულ ან არგამოხატულ უარყოფასთან – ესაა ანტონიმების ერთ-ერთი მთავარი თვისება. ანტონიმურ წყვილში ერთდროულად რეალიზდება დადასტურება და უარყოფა. კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ ფორმალურ-ლოგიკური და ენობრივი უარყოფები აზრობრივად შეესაბამება, თუმცა, სრულიად არაიდენტურები არიან და შეიძლება არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს.[37]

ამ სახის ანტონომიური წყვილები წარმოქმნიან ძირითადად ზედსართავებს და ზოგიერთ არსებით სახელებს. ნაწილაკიანი თავსართების რაოდენობა შეზღუდულია: i-, in-, im-, ir-, მხოლოდ ზოგჯერ ჩნდება წყვილები, რომლებშიც უარყოფის ცნებას გამოხატავს სიტყვა თავსართით des- (dis-):

honesto – პატიოსანი, კეთილსინდისიერი, მართალი, წესიერი, უანგარო	deshonesto – უპატიოსნო, ურცხვი, უსინდისო, უნამუსო
honrado – კეთილშობილი, სულგრძელი, დიდსულოვანი	deshonardo – უპატიოსნო, უსირცხვილო, უტიფარი, თავხედი

36 Михайлов В. А. Генезис антонимических оппозиций. С. 9-10.

37 Бондаренко В. Н. Отрицание как логико-грамматическая категория. С. 77.

conocido – ცნობილი, სახელგანთქმული; ნაცნობი (პირი, ვისთანაც ნაცნობობა აქვთ)	desconocido – უცხო; უცნობი (პირი, რომელსაც არ იცნობენ)
confianza – სრული ნდობა, საიმედოდ, სარწმუნოდ მიჩნევა	desconfianza – უნდობლობა; ეჭვი
conforme – შესაბამისი, შესატყვისი, სათანადო, ჯეროვანი	disconforme – შეუთანხმებელი, მოურიგებელი, მოუგვარებადი
conformidad – შესაბამისობა, შესატყვისობა, ანალოგია	disconformidad – შეუსაბამობა, უთანხმოება, აზრთა სხვადასხვაობა
confair – ნდობა, რწმენა, იმედის ქონა; მიბარება	desconfair – უნდობლობა, ვარაუდი, ეჭვი, გუმანი
conocer (გრდამ) – ცნობა (ცნობს, იცნობს), ნაცნობობა, ცოდნა	desconocer ((გრდმ) – არცნობა (არ იცნობს, არ ცნობს); არცოდნა

ამ შემთხვევაში ანტონიმურია რამდენიმე ზმნაც: gustar (მოწონება) – disgustar (არმოწონება).

თუმცა ისეთ ანტონიმურ წყვილთა უმეტესობა, რომლებიც შეიცავენ უარყოფით სიტყვას des- თავსართით, არ განეკუთვნება განსახილველ ჯგუფს.

ზემოთ მოყვანილი ანტონიმთა წყვილები გადმოსცემენ საპირისპირო ცნებებს, მაგრამ ამ ოპოზიციის ერთ-ერთ სიტყვაში გაძლიერებულია უარყოფის ელემენტი. მაგალითად, წყვილში cómodo-incómodo კორელატი incómodo წარმოადგენს ანტონიმს გაძლიერებული უარყოფით. ესაა წყვილები, რომლებიც დაპირისპირებულობის ჩვეულებრივ ცნებით ურთიერთობებს გადმოსცემენ. ისინი ერთძირიანი სიტყვებისაგან არიან ნაწარმოები.

სხვა ტიპის ანტონიმების გამოყოფა (ეს, უფრო ხშირად, სხვადასხვაძირიანი წყვილებია) არცთუ იშვიათად გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან ამგვარი ანტონიმური წყვილების წარმოქმნის კრიტერიუმები სემანტიკის სფეროს განეკუთვნება და, როგორც წესი, არ არიან გამაგრებული მორფოლოგიური მაჩვენებლებით, საუბარია ისეთი ტიპის ანტონიმებზე, როგორებიცაა:

verdad – სიმართლე, ჭეშმარიტება, სისწორე	mentira – სიცრუე, ტყუილი, ყალბი, მოგონილი
lejanía – სიშორე	proximidad – სიახლოვე
vida – სიცოცხლე, ყოფა, ცხოვრება, არსებობა	muerte – სიკვდილი, აღსასრული, მოკვდინება, გარდაცვალება
sabiduría – სიბრძნე, კეთილგონიერება; სწავლულობა, ნასწავლობა	tontería – სისულელე, უჭკუობა, უგუნურობა, ჭკუასუსტობა, ტუტუცობა
amor – სიყვარული, ნდომა, მიდრეკილება, ლტოლვა, სწრაფვა	odio – სიძულვილი, ღვარძლი, ბრაზი, ბოლმა, ჯავრი, რისხვა
viejo – ასაკოვანი, ხნიერი, ხანში შესული, ხანდაზმული	joven – ახალგაზრდა, ნორჩი, ყმაწვილი
limpio – სუფთა, წმინდა, ხალასი, ანკარა, ფაქიზი, სალუქი	sucio – ჭუჭყიანი, გასვრილი, ამოსვრილი, გაზუზნული, გათხუპნული
duro – მაგარი, მყარი, ხეშეში, მქისე, გამხმარი, გახევებული, ხამი; გადატ. უწყალო, კუშტი, ქუში, პირქუში, მძვინვარე, მრისხანე, უხეში, ტლანქი, მკაცრი, ხეპრე, უკმეხი	suave – რბილი, ფაფუკი, ხავერდოვანი, ნაზი; გადატ. ჩუმი, წყნარი, მშვიდი, დამყოლი, ხათრიანი, მორიდებული, მოკრძალებული, ზომიერი.

sano – ჯანმრთელი, ჯანსაღი, საღი	enfermo – არაჯანსაღი, ავადმყოფი
lleno – სავსე	vacío – ცარიელი
encender – წვა, ბუგვა, დანთება, ანთება	apagar – ჩაქრობა
abrir – გაღება	cerrar – დაკეტვა
temprano – ადრე	tarde – გვიან
aceptar – დათანხმება, შეთანხმება	rechazar – უარყოფა, უკუგდება, პირის მიბრუნება, ზურგის შექცევა
acortar – დამოკლება	alargar – დაგრძელება
pronto – სწრაფად	lentamente – ნელა
activamente – აქტიურად	pasivamente – პასიურად

ამავე ჯგუფში შედიან ერთძირიანი ანტონიმები. ერთ-ერთი მათგანი მეორე კორელატისაგან განსხვავდება პრეფიქსით. ჩვეულებრივ ესენია პრეფიქსები contra-, anti-, sin-, des-, (dis-), de-, მაგალითად,

natural – ნამდვილი, ჭეშმარიტი, უტყუარი, ბუნებრივი	contranatural – არაბუნებრივი
revolución – რევოლუცია	contrarevolución – კონტრრევოლუცია
atacar – იერიშის მიტანა, თავდასხმა	contraatacar – კონტრთავდასხმა
espionaje – ჯაშუშობა	contraespionahje – კონტრდაზვერვა

clerical – კლერიკალური	anticlerical – ანტიკლერიკალური
fascista – ფაშისტური	antifascista – ანტიფაშისტური
constitucional – კონსტიტუციური, საკონსტიტუციო	anticonstitucional – ანტიკონსტიტუციური
militarismo	antimilitarismo – ანტიმილიტარიზმი
razón – გონება, გონი; გონივრულობა, გონებადამჯდარობა, წინდახედულობა	sinrazón – უსამართლობა, განუსჯელობა, უგუნურობა
sabor – გემოს შეგრძნება	desabor – უგემოვნობა, გემოვნების უქონლობა
atar – დაბმა, მიბმა, მიმაგრება, დამაგრება	desatar – გახსნა, შეხსნა, ახსნა, მოხსნა, აშვება
unir – შეერთება, გაერთიანება	desuniz – განცალკევება, დაშორება, გათიშვა
militarización – მილიტარიზაცია	demilitarización – დემილიტარიზაცია
culpar – დაბრალება (ბრალის დადება), დადანაშაულება, გამტყუნება	disculpar – პატიება, მიტევება, შეწყნარება
formar – სათანადო ფორმის, გარეგნული სახის მიცემა	deformar – დაუშნოება, დამახინჯება, დაგონჯება

ამ სახეობას მიეკუთვნება აგრეთვე ერთნაირი მეორე ფუძის მქონე რთული სიტყვების ანტონიმური წყვილები, რომელთა პირველ ფუძეს წარმოადგენენ, შესაბამისად, ზმნიზედები bien და mal, რომლებიც პოლარულ მნიშვნელობებს გამოხატავენ. მაგალითად:

bienhechor – ქველმოქმედი	malhechor – დამნაშავე, ბოროტმოქმედი, ავკაცი, უკეთური
bienpensado – კეთილმოსურნე, მოკეთე	malpensado – მკაცრი მსაჯული, მსჯავრის დამდები
bienestar – ნეტარება, განცხრომა, უაღრესი კმაყოფილება, სიტკოება	malestar – უქეიფობა, შეუძლოდ ყოფნა, შფოთვა, მღელვარება
bienoliente – სურნელოვანი, კეთილსურნელოვანი	maloliente – მყრალი, აყროლებული
bienandanza – კარგი ხვედრი, ბედი, იღბალი, წარმატება	malandanza – უბედობა, უიღბლობა, ნავსი; მარცხი, წარუმატებლობა
bienaventuranza – ბედნიერება, ნეტარება, ბედსვიანობა	malaventuranza – ბედკრულობა, ბედშაობა, უბედობა
bienmandado – გამგონი, დამჯერი, მორჩილი	malmandado – ურჩი, უდრეკი, ქედმოუხრელი, დაუმორჩილებელი, ამაყი
bienvivir – მდიდრულად, უზრუნველად, უდრტვინველად ცხოვრება	malvivir – დუხჭირი, ძნელი, აუტანელი, ტანჯვით სავსე ცხოვრება

როგორც ჩანს, ამავე ლოგიკურ-სემანტიკურ ჯგუფს მიერთვიან მეტად თავისებური ანტონიმები, რომლებიც ერთი და იმავე მატერიალური ფორმით გამოხატავენ ორ ურთიერთსაპირისპირო ცნებას. ეს მოვლენა შეიძლება ახასიათებდეს ერთ პოლისემანტიკურ სიტყვას, რომლის ორი ლექსიკური მნიშვნელობა ანტონიმურია: alquilar un pĭso ნიშნავს „ბინის გაქირავებას" და „ბინის დაქირავებას (არენდით აღებას)". იგივე ეხება ზმნას arrendar („ბინის გაქირავება და

ბინის დაქირავება"), თუმცა ესპანური ენის სისტემაში ასეთი შემთხვევები ძალიან იშვიათია. „შიდასიტყვითი" ანტონიმიის ასეთ სახეობას ზოგჯერ ენანტიოსემიას უწოდებენ.

განასხვავებენ ანტონიმების შემდეგ სახეობებს:

ანტონიმი კვალიტატივები და კოორდინატივები. ამათგან პირველი გამოხატავენ ხარისხობრივ ურთიერთდაპირისპირებას:

joren – ახალგაზრდა, ნორჩი, ყმაწვილი	viejo – ასაკოვანი, ხნიერი, ხანში შესული, ხანდაზმული
alegre – მხიარული	triste – მოწყენილი, ნაღვლიანი, დადარდიანებული
claro – ნათელი	oscuro – ბნელი
húmedo – ნოტიო, ტენიანი, ნესტიანი, სველი	seco – მშრალი
duro – მაგარი, გამხმარი	suave – რბილი, ფაფუკი
provecho – მოგება, სარგებლობა, ხეირი, სარფი, გამორჩენა	daño – წაგება, ზარალი, ზიანი, ვნება, დანაკლისი
honra – პატიოსნება, ღირსება, სახელი	deshonra – სახელის გატეხა, თავის მოჭრა, გაწბილება, საქვეყნოდ შერცხვენა, შეურაცხყოფა
bien – კარგი	mal – ცუდი

მეორენი, ლ. ვ. ნოვიკოვის აზრით, შედგენილია ე. წ. კოორდინაციული სიტყვებისაგან, რომლებიც აღნიშნავენ ერთი გვარეობითი ცნების შიგნით დაპირისპირებულ სემანტიკურად მჭიდროდ დაკავშირებულ სახეობებს – sur (სამხრეთი), este (აღმოსავლეთი), – oeste (დასავლეთი); verano (ზაფხული) – invierno (ზამთარი), primavera (გაზაფხული) otoño (შემოდ-

გომა); hoy (დღეს) – ayer (გუშინ); pasado (წარსული) – presente (აწმყო) და ა. შ.

ანტონიმი-კონტრაქტივები, რომლებიც მიუთითებენ ქმედებათა, ნიშანთა და თვისებათა საპირისპირო მიმართულებაზე:

abrir – გაღება	cerrar – დაკეტვა
subir – ასვლა	bajar – ჩამოსვლა
encender – ჩაქრობა	apagar – ანთება
entrar – შესვლა	salir – გამოსვლა
llenar – ავსება	vaciar – დაცლა, დაცარიელება
sentarse – დაჯდომა	levantarse – ადგომა
coser – კერვა	descoser – დარღვევა

ანტონიმი-კომპლემენტატივები. „კომპლემენტარულობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მნიშვნელობა, რომელთაგან თითოეული ხასიათდება თავისი დადებითი შინაარსით, ავსებს ერთმანეთს ამა თუ იმ თვისების, მდგომარეობის ან დამოკიდებულების (გვარეობითი ცნების, მთელი სიმრავლის) გაჩენის ზღვრების გამოხატვამდე. ასეთ დაპირისპირებულობებს შორის არ არის არაფერი საშუალო, ამიტომ ერთის უარყოფა მეორის დადასტურების ტოლფასია.[38] ამ ჯგუფს შეადგენენ ისეთი წყვილები, როგორებიც არიან:

vida – სიცოცხლე, ცხოვრება	muerte – სიკვდილი
paz – მშვიდობა	guerra – ომი
vanguardia – ავანგარდი	retaguardia – არიერგარდი

38 Новиков Л. А. Антонимия в русском языке. С. 233.

verdad – სიმართლე, ჭეშ-მარიტება	mentira – სიცრუე
entero – მთელი	roto – დახეული
sano – ჯანსაღი, ჯანმრთელი, საღი	enfermo – ავადმყოფი

აგრეთვე ესპანური ენისათვის დამახასიათებელია შემდეგი ტიპის ერთძირიანი ანტონიმები:

justo – სამართლიანი, მართალი	inhjusto – უსამართლო
útil – სასარგებლო	inútil – ურგები, გამოუსადეგარი, უსარგებლო, გამოუყენებელი
real – რეალური	irreal – არარეალური
fértil – ნაყოფიერი, ნოყიერი, მოსავლიანი	infértil – უნაყოფო, უმოსავლო, მოუსავლიანი
sosprechoso – საეჭვო	insospechoso – ნამდვილი
habilidad – სიმარჯვე, სიმარდე, მოხერხება, მოხერხებულობა, გაწაფულობა	inhabilidad – მოუქნელობა, უნიათობა, უგერგილობა, მოუხერხებლობა
competencia – უფლებამოსილება	incompetencia – არაუფლებამოსილება
orden – წესრიგი	desorden – უწესრიგობა, მოუწესრიგებლობა, არეულ-დარეულობა

ანტონიმი-კონვერსივები, რომლებიც გადმოსცემენ განსხვავებულად მიმართულ ქმედებებს, რომლებიც ერთმანეთის მოწინააღმდეგე სიტუაციის მონაწილეთა მიერ ხორ-

ციელდება. ეს ანტონიმები არ წარმოქმნიან, მკაცრად რომ ვთქვათ, საწყის კლასს. ისინი იქმნებიან სამი წინამორბედი კლასისგან, კონვერსიული თვისებების მქონე სიტყვების განსაკუთრებულად ხმარების ხარჯზე. საუბარია, პირველ ყოვლისა, ისეთი ტიპის ზმნებზე, როგორებიცაა: perder (წაგება), importar (იმპორტირება) – exportar (ექსპორტირება), cobrar (მიღება, საფასურის გადახდევინება) – pagar (გადახდა (საფასურის) და სხვ. ასეთი ზმნების ანტონიმური ურთიერთობები მჟღავნდება შემდეგი ტიპის ფრაზებში: El cliente compa el abigo el vendedor le vende el abrigo (მყიდველი ყიდულობს პალტოს – გამყიდველი მიჰყიდის მას პალტოს); Nuestro equipo pierde el partido – nuestros rivales ganan el partido (ჩვენი გუნდი აგებს თამაშს – ჩვენი მოწინააღმდეგეები იგებენ თამაშს).

განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ანტონიმური სიტყვების ურთიერთქმედება თავიანთ სინონიმებთან, ანტონიმების სინონიმურმა ლექსიკურმა ერთეულებმა შეიძლება შეადგინონ თავიანთი პოლარული წყვილები. ამგვარად იქმნება ერთგვარი ანტონიმური ველი ან პარადიმა. შდრ.:

Inteligente – ჭკვიანი, გონიერი	tonto – სულელი, ჩერჩეტი, შტერი, ბრიყვი, უმეცარი, რეგვენი, უგუნური
	bobo – მოსულელო, დოყლაპია, ყეყეჩი, ტუტუცი, აბუეტი, მოჩერჩეტო
sensato – გონებადამჯდარი, გონიერი, წინდახედული, საღად მოაზროვნე	mentacado – უმეცარი, უბირი, უვიცი, ჭკუანაკლები, ჭკუასუსტი
razonable – ჭკუადამჯდარი, გონებაგამჭრიახი, გონებაგახსნილი	zote – ჭკუასუსტი, ჭკუამოკლე, გონებაშეზღუდულ,ი გონებაჩლუნგი

ანდა blanco – თეთრი claro – ნათელი	negro – შავი ocuro – ბნელი

ეს ერთგვარი ძირითადი, პირველადი ანტონიმებია. თუმცა ადრინდელი დებულება იმის შესახებ, რომ სინონიმების საპირისპიროდ ანტონიმები წარმოქმნიან მხოლოდ დამოუკიდებელ წყვილებს, თანამედროვე ლექსიკოლოგიაში გადახედვას საჭიროებს. გამოიყოფა მეორადი ანტონიმური წყვილები, რომლებიც წარმოიქმნებიან ერთი რიგის სინონიმების თანამდებარეობით სხვა რიგის აზრობრივად დაპირისპირებულ ყველა ან ზოგიერთ სინონიმთან. მაგალითად, inteligente გარკვეულწილად ანტონიმურია სიტყვებისა mentecato, zote, ხოლო razonable-ს უპირისპირდებიან bobo, tonto, mentacato. ისევე, როგორც oscuro-ს ანტონიმი შეიძლება იყოს blanco, ხოლო negro იყოს ანტონიმი სიტყვისა claro. მსგავსი მიზეზით დ. ნ. შემელიოვი სამართლიანად შენიშნავს, რომ „თვით რეალურ მოვლენებს შორის არსებული ურთიერთობების სირთულით განისაზღვრება შესაბამისი ლექსიკური აღნიშვნების ანტონიმური დაპირისპირებების სირთულეც. ურთიერთობები სინამდვილის მოვლენებს შორის ხშირად უფრო რთული აღმოჩნდება ხოლმე აბსოლუტურად ერთხაზოვანი დაპირისპირების პრინციპით აგებულ ურთიერთობებზე.[39]

ამგვარი „გადაჯვარედინებადი" მრავალკომპონენტებიანი ანტონიმია დამახასიათებელია მხოლოდ ზოგიერთი ანტონიმისათვის, რომლებიც ურთიერთსაპირისპირო უთანხმოების ურთიერთობებს გადმოსცემენ.

თუმცა სხვა შემთხვევებში ერთი სინონიმური მწკრივის ყოველი სინონიმი ამჟღავნებს მიდრეკილებას თავისი კონკრეტული ანტონიმისადმი იმათგან, რომლებიც პოლარულ სინონიმურ მწკრივში შედიან. შდრ.:

39 Шмелев Д. Н. Очерки по семасиологии русского языка. М. 169.

leal (ერთგული, პატიოსანი)	desleal (მუხანათი, უპატიოსნო)
fiel (ერთგული)	infiel (ორგული)
henesto (პატიოსანი)	inseguro (არასაიმედო)

დაბოლოს, აუცილებელია აღვნიშნოთ ისიც, რომ მეტყველებაში, განსაკუთრებით მხატვრულ მეტყველებაში, ისეთი სიტყვებიც კი, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ანტონიმური კორელაციით, შეიძლება ოკაზიონალურ (კონტექსტუალურ) ანტონიმებად იქცნენ. კონსტანტური და ოკაზიონალური ანტონიმების ყველა სახეობა მეტყველებაში გამოიყენება როგორც თვალსაჩინო გამომსახველობითი საშუალება. ისინი წარმოადგენენ საფუძველს ჯერ კიდევ ანტიკური რიტორებისათვის ცნობილი სტილისტური ხერხებისა: ანტითეზისა და ოქსიმორონისა. აი, მაგალითად, როგორ იყენებს ანტითეზის ხერხს ლოპე დე ვეგა თავის ერთ-ერთ სონეტში:

no haller fuera del bien centro y reposo,
mostrarse alegre, triste, humilide, altivo,
enojado, valiente, figitivo,
satisfecho, ofendido, receloso;

huir el rostro al claro desengaño,
leber veneno por licor suave,
olvidar el provecho, amar el daño;

creer que un cielo en un infierno cale,
dar la vida y el alma a un desengaño,
esto es amor, quin lo probó lo sabe

Desmayarse	გულის შეღონება, გულის წასვლა (აქ: მხნეობის დაკარგვა, სულმოკლეობა)
atreverse	გაბედვა
ester furioso	გაშმაგებული, გააფთრებული, გახელებული, გაცოფებული, გადარეული
áspero	სასტიკი, ხისტი, ულმობელი, დაუნდობელი, უწყალო, შეუბრალებელი
tierno	ნაზი, მოსიყვარულე, გულთბილი, ალერსიანი, ხათრიანი, დამყოლი
liberal	ღია, გულღია
cobarde	მშიშარა, მხდალი, მფრთხალი, ლაჩარი, ჯაბანი
animoso	ვაჟკაცი, გაბედული, მხნე, თამამი, შეუპოვარი
alegre	მხიარული
triste	მოწყენილი
humilde	თავდაბალი, მორიდებული, მოკრძალებული, მორჩილი, თვინიერი
altivo	ქედმაღალი, ამპარტავანი, მედიდური, ამაყი, თავმომწონე, გულზვიადი
enojado	გაბრაზებული, გაღიზიანებული, განრისხებული
valiente	ძლიერი, გამბედავი, უშიშარი, გულადი, ვაჟკაცი, ყოჩაღი
fugitivo	სწრაფწარმავალი, ხანმოკლე, წუთიერი
satisfecho	კმაყოფილი

ofendido	დამდაბლებული, დამცირებული, გულნატკენი, განაწყენებული, შეურაცხყოფილი
receloso	მშიშარა, მხდალი, უნდო, უნდობელი, ეჭვიანი
veneno	საწამლავი
licor suave	ტკბილი (მსუბუქი) სასმელი
esquivo	უყმური, უკარება, ბაიყუში, პირკუშტი, უცხვირპირო, კატჩაკეტილი, გულჩათხრობილი
alentado	ვაჟკაცური, გულადი, გაბედული, შეუპოვარი, თამამი, ამაყი, ზვიადი
mortal	მოკვდავი
difunto	მკვდარი
vivo	ცოცხალი
leal	ერთგული, სანდო, საიმედო, თავდადებული, თავგამეტებული, კეთილსინდისიერი, პატიოსანი
traidor	მუხანათი, ცბიერი, ვერაგი, მუხთალი, გამცემი, მოლალატე

სონეტის მხატვრული ჩანაფიქრი ეფუძნება ანტონიმური ცნებების დაპირისპირებას. ლოპე დე ვეგა პირველ ყოვლისა ოსტატურად „ათამაშებს" კონსტანტურ, ენაში დამაგრებულ ანტონიმებს: desmayarse (აქ: გამბედაობის დაკარგვა, გაუბედაობა) – atreverse (გაბედვა), áspero (უხეში) – tierno (ნაზი), difunto (მკვდარი) – vivo (ცოცხალი), leal (ერთგული) – traidor (გამცემლური), cobarde (მხდალი, მშიშარა) – animoso (მამაცი, გულადი), alegre (მხიარული) – triste (ნაღვლიანი), humilde (თავმდაბალი, მოკრძალებული) – alvito (ქედმაღალი) და ა.

შ. ის აგრეთვე ქმნის ოკაზიონალურ ანტონიმურ წყვილებს: liberal (ღია, გულღია) – esquivo (გულჩათხრობილი, მიუკარებელი, ბაიყუში), valiente (მამაცი) – fugitivo (ფრთხილი, ორჭოფი), satisfecho (კმაყოფილი) – ofendido (შეურაცხყოფილი, შელახული), veneno (საწამლავი) – licor suave (მსუბუქი სასმელი).[40]

40 Виноградов В. С. Лексикология испанского языка. М., 2003, 170

თავი V

ფრაზეოლოგია ესპანურენოვან სივრცეში

ესპანური ენის ფრაზეოლოგიური ერთეულები

§ 1. ფრაზეოლოგია, როგორც სამყაროს გამორჩეული ხატი

ყოველ ენას სიტყვათა დიდი, თუმცა მაინც შეზღუდული მარაგი აქვს, თავისუფლად ჩამოყალიბებული სიტყვათშეერთებათა რაოდენობა კი პრაქტიკულად უსასრულოა. მაგრამ თუ ყურადღებით დავუკვირდებით, ენაში ადვილად შევამჩნევთ სიტყვათა ისეთი ჯგუფების საკმაოდ დიდ რიცხვს, რომელიც თავისებურ მდგრად ფორმულებად იქცა და ენის მატარებლების მიერ იხმარება წინასწარ განსაზღვრული ფორმითა და განსაკუთრებული ცვლილებების გარეშე. ასეთი სიტყვათშეერთებები მეტყველების პროცესში კი არ წარმოიქმნება, არამედ გამოიყენება მზა სახით. ესპანური ენის ასეთი ლექსიკური ერთეულების მაგალითებია: luna de miel (თაფლობის თვე), cabeza de turco (განტევების ვაცი), niño gótico (პრანჭია, პიჟონი, ქარაფშუტა), alhaja con dientes (მუქთამჭამელი, მუქთახორა), caballo de vapor (ცხენის ძალა); tomar las de Villadiego (მოკურცხვლა, გაქცევა), dar calabazas (საქმროსთვის უარის თქმა, გაგდება), irse al Pardo (ფერის დაკარგვა, გახუნება, გაუფერულება), cometer figuras (ენამჭევრობა, ორატორი), poner en libertad (გათავისუფლება, ტყვეობიდან დახსნა), dar susto (შეშინება, შეძრწუნება); de pelo en pecho (ძლიერი, მამაცი), de tres pepinos (არაფრით გამორჩეული, ჩვეულებრივი, რიგითი), sin par (შეუდარებელი, უებრო), en un abrir y cerrar de ojos (თვალის დახამხამებაში), a puerta cerrada (დახურულ კარს

მიღმა, ფარულად), a pie juntillas (შეუპოვრად, მტკიცედ, დარწმუნებით), este cura (თქვენი მონა-მორჩილი, ანუ „მე"), cada quisque (ყოველი, თითოეული); ipor Dios! (ღმერთმანი! ღვთის გულისათვის!), a pesar de (მიუხედავად იმისა, რომ), a –, fin de que (რათა; იმისათვის), a causa de (იმის გამო, იმის გულისთვის, იმ მიზეზით) და ა. შ.

ამგვარი გამოთქმები სიტყვებთან ერთად შედიან ენის თითოეული მატარებლის აქტიურ და პასიურ ლექსიკურ მარაგში.

ენათმეცნიერებაში განასხვავებენ სიტყვათშეერთებების ორ ტიპს:

სიტყვათშეერთებებს, რომლებიც მეტყველებისას ყალიბდებიან, ეწოდებათ თავისუფალი ანდა ცვლადი. მათში შემავალი სიტყვები ინარჩუნებენ თავიანთ დამოუკიდებელ მნიშვნელობებს, რომელთა ჯამი შეადგენს სწორედ შესიტყვების ძირითად აზრს.

სიტყვათშეერთებებს, რომლებიც ენაში არიან დამკვიდრებული და მეტყველებისას წარმოითქმებიან, ეწოდებათ მყარი, ანდა ფრაზეოლოგიური. მათი კომპონენტების ჩვეულებრივ მნიშვნელობათა ჯამი არ უდრის მთელი შესიტყვების მნიშვნელობას.

გარდა ამისა, ენაში არსებობს მთელი საგანძური წინასწარ შედგენილი მდგრადი წინადადებებისა, რომლებიც აფორისტულად გამოხატავენ რაიმე მოსაზრებას ცხოვრების შესახებ. ასეთი ფრაზების ციტირებას ენის მატარებლები აუცილებლობის შემთხვევაში მიმართავენ. აქ იგულისხმება ანდაზები, საანდაზო თქმები, გამოთქმები, აფორიზმები.

del dicho al hecho hay gran trecho – სიტყვიდან საქმემდე დიდი მანძილია;

ა) ღობემდის რომ გინდოდეს, ღობის იქით დაიჩემეო;

ბ) დიდი იალქნის დაბერვას დიდი ქარი უნდაო;

გ) ფონი გასავალს დალოცეო;

más vale tarde que nunca – სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს;

más vale un toma que dos te daré – დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამსაო; ან: ხელში წიწკანა სჯობია ცაში წეროსო;

amor con amor se paga – სიკეთეზე სიკეთით პასუხობენ;

[სიყვარულზე სიყვარულით პასუხობენ];

შენი კარი გააღე, სხვისიც ღია დაგხვდებაო;

todo es bien lo que acaba bien – კარგია ყველაფერი, რაც კარგად მთავრდება;

la paciencia es la llave de todas las puertas – მოთმინება ყველა კარის გასაღებია;

მოთმინება სამოთხის გასაღებიაო;

no hay rosas sin espinas – ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიაო;

los dichosos no cuentan las horas – ბედნიერისთვის ნიადაგ ლხინიაო;

ყველა ეს მყარი შესიტყვება და მათში ჩადებული აზრი კარგად არის ნაცნობი ენის მატარებლისათვის. ესპანელს ესმის, რომ tomar las de Villadiego ნიშნავს „მოკურცხვლას, გაქცევას", რომ luna de miel „თაფლობის თვეა", ხოლო ანდაზას „más vale un toma que dos te daré" მაშინ იტყვის, როდესაც იმ აზრის გამოხატვა სურს, რომ უმჯობესია მოცემულ მომენტში ჰქონდეს რამე, ვიდრე უფრო მეტს მოელოდეს მომავალში.

უნდა შევეხოთ ე. წ. კომპარატიულ ფრაზეოლოგიზმებსაც. მათი მახასიათებლები მეტად თავისებურია. კომპარატიული შესიტყვებები ბევრ ევროპულ ენაში ერთიანი ლექსიკურ-გრამატიკული მოდელების მიხედვით იქმნება. ყველაზე მეტად არის გავრცელებული ორი მათგანი: „ზედსართავი + კავშირი + არსებითი სახელი" „ზმნა +კავშირი + არსებითი სახელი". ასეთებია შესიტყვებები „მელასავით ეშმაკი", „კიბოსავით წითელი", „ვირივით მუშაობა".

borracho como una uva (ზედმიწევნით: „ყურძენივით მთვრალი");

alegre como una gaita (ზედმიწევნით: „გუდასტვირივით მხიარული");

alto como la cigüeña (ზედმიწევნით: „ყარყატივით მაღალი")

beber como una esponja (ზედმიწევნით: „ღრუბელივით შესრუტვა");

aburrirse como una ostra (ზედმიწევნით: „ლოკოკინასავით მოწყენა");

arrastrarse como los lagartos (ზედმიწევნით: „ხვლიკივით ქვემძრომობა, მლიქვნელობა") და ა. შ.

ამგვარ შესიტყვებათა სემანტიკური მოდელიც ასევე ერთგვაროვანია: „თვისების ან ქმედების დასახელება + კავშირი + თვისების, ქმედებისა და მდგომარეობის მეტაფორული ინტენსიფიკატორი". ზედსართავი ან ზმნა ეფარდება აზრის კონკრეტულ ობიექტს, რომელიც ორგზის ხასიათდება. ჯერ ერთი, სახელდება ობიექტისთვის დამახასიათებელი თვისება ან მის მიერ ჩადენილი ქმედება, ანდა მისი მდგომარეობა. ამასთან ზედსართავები და ზმნები იხმარება მათი ჩვეულებრივი მნიშვნელობით. მეორე, დახასიათება ძლიერდება მეტაფორული ინტენსიფიკატორით, რომელიც აძლიერებს ან აღნიშნული თვისების ხარისხს, ანდა ქმედების ინტენსივობის ხარისხს. ამიტომ შესიტყვების ფრაზეოლოგიურობა შედარების მდგრადობით გამოიხატება: დასახელებული თვისებები, მოქმედებები და მდგომარეობა მეტაფორების დახმარებით ინტენსიფიცირდება. ამასთან როგორც მეტაფორული დასახელებები, ისე თვისებების, ქმედებებისა და მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვები დამკვიდრებულია ენის მატარებლის ცნობიერებაში. მაგალითად, ქართულად მოლაპარაკემ იცის, რომ ხარისხი ზედსართავისა „მშიშარა" შეიძლება გაძლიერდეს, თუ მას დაემატება შედარება, „კურდღლივით" მოდელში „კურდღლივით მშიშარა". ესპანელს კი ესმის, რომ ზმნით – dormir გამოხატული მდგომარეობის ინტენსიფიცირება შეიძლება მეტაფორით como un tronco ან como un lirón: dormir como un tronco (como un lirón).

§2. ფრაზეოლოგიური ერთეულების ზოგადი დახასიათება

ენათმეცნიერების დარგს, რომელიც სიტყვათა მდგრად შესიტყვებებს შეისწავლის, ფრაზეოლოგია (fraseología) ეწოდება. მის ამოცანას წარმოადგენს მყარი შესიტყვებების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ობიექტურ კანონზომიერებათა გამოვლენა, მათი ფორმის, მნიშვნელობისა და გრამატიკული ფუნქციის ანალიზი, მათი ვარიანტებისა და სინონიმური კავშირების, სტილური და ემოციურ-ექსპრესიული მახასიათებლების, მეტყველებაში სახეცვლილების ხერხების განსაზღვრა, ფრაზეოლოგიზმების წარმოქმნის ისტორიის კვლევა, ფრაზეოლოგიური ლექსიკონებისა და დამხმარე ლიტერატურის შედგენის პრინციპების შემუშავება და ა. შ. ფრაზეოლოგია ლექსიკოლოგიის ჩარჩოებში ჩამოყალიბდა და მხოლოდ ახლახან გამოიკვეთა დამოუკიდებელ დარგად. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ლექსიკოლოგიამ, განსაკუთრებით სასწავლო მიზნებთან დაკავშირებულმა, შეიძლება იარსებობს სიტყვის ეკვივალენტური ან მისი თანაფარდი მდგრადი სიტყვათშეერთებების ზოგადი ანალიზის გარეშე. ტერმინი „ფრაზეოლოგია“ ფართო მნიშვნელობისაა. შესაბამის კონტექსტებში ის შეიძლება გამოიყენებოდეს შემდეგი მნიშვნელობებით: 1. მდგრადი (ფრაზეოლოგიური) სიტყვათშეერთებების შემსწავლელი სამეცნიერო დისციპლინა; 2. ენაში არსებული ყველა მდგრადი სიტყვათშეერთების ერთობლიობა; 3. სიტყვათა და სიტყვათშეერთებების, როგორც ცალკეული პიროვნებებისა ან პიროვნებათა ჯგუფებისათვის დამახასიათებელი სიტყვიერი გამოხატვის ხერხების ერთობლიობა.

მკვლევრებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ ენაში ფრაზეოლოგიური კორპუსის მოცულობის შესახებ. ერთი ნაწილი მეცნიერებისა მიიჩნევს, რომ ფრაზეოლოგია მხოლოდ სიტყვასთან შეფარდებული მყარი და სემანტიკურად სახეცვლილი (მეტაფორიზებული) შესიტყვებებისაგან შედგება.

მკვლევართა მეორე ნაწილი კი მასში მყარ არამეტაფორულ შესიტყვებებსაც მოიაზრებს. ყველაზე რადიკალურ თვალსაზრისს გამოთქვამენ ის ლინგვისტები, რომლებიც ფრაზეოლოგიას აკუთვნებენ სიტყვასთან, სიტყვათშეერთებასთან და წინადადებასთან შეფარდებულ ნებისმიერ მეტაფორულ და არამეტაფორულ მდგრად შესიტყვებებს.

სიტყვასთან შეფარდებული ფრაზეოლოგიზმების ძირითად ლექსიკურ-სემანტიკურ და გრამატიკულ ნიშან-თვისებებს შორის აუცილებელია გამოიყოს რამდენიმე მათგანი:

უპირველეს ყოვლისა, **ფრაზეოლოგიზმების ლექსიკალიზება**, ანუ მათი ჩართვა სიტყვებთან ერთად, ენის ლექსიკურ შედგენილობაში მეტყველების სხვადასხვა ნაწილების – არსებითი სახელების, ზედსართავების, ზმნების, ზმნიზედებისა და ა. შ. ფუნქციით.

მეორე, მათი **კვლავწარმოქმნა მეტყველებაში მზა ლექსიკური ერთეულების სახით.**

მესამე, მათი **მდგრადობა**, რაც გამოიხატება იმით, რომ ფრაზეოლოგიზმებს მყარი სიტყვიერი შედგენილობა აქვთ და მათი კომპონენტები ამჟღავნებენ აშკარა ტენდენციას დამკვიდრებული სინტაქსური წყობის შენარჩუნებისა და გარკვეული მორფოლოგიური ფორმით დამკვიდრებისკენ.

მყარი შესიტყვების კომპონენტებს შორის შიდა სინტაქსური კავშირები ნეიტრალიზებულია. ამიტომ მეტყველებაში ფრაზეოლოგიური ერთეული მთლიანობაში სიტყვის მსგავსად ერთ სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს.

მეოთხე, **სემანტიკური მთლიანობა**, რაც გამოიხატება იმით, რომ თითოეულ ფრაზეოლოგიურ ერთეულზე მიმაგრებულია განსაზღვრული განზოგადებულ-მთლიანი მნიშვნელობა. სწორედ ის რეალიზდება მეტყველებაში და არა ფრაზეოლოგიზმის შემადგენელ სიტყვათა აზრი. ფრაზეოლოგიური ერთეულები შეიძლება მარტივი სიტყვების სინონიმური იყოს. მაგალითად:

tomar el olivo	huir, largarse

caldo de gorra	hipócrita
de cal y canto	sólido, firme
cuando las ranas crían pelos	nunca
conjugar el verbo amar	galantear, cortejar

ფრაზეოლოგიზმის აზრი შეიძლება გამოიხატოს, ექსპლიცირებულ იქნეს შესიტყვების დახმარებითაც. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ფრაზეოლოგიური ერთეულის სემანტიკური შინაარსი შეეფარდება არა მსჯელობას, არამედ ცნებას, რომელიც შესიტყვებით არის გამოხატული. ეს შემდეგი მაგალითებით დასტურდება:

luna de miel – primera época del matrimonio – თაფლობის თვე;

el talón de Aquiles – punto vulnerable – აქილევსის ქუსლი;

una mina de oro – fuente inagotable – ოქროს ფსკერი;

piedra de toque – parte esencial – ქვაკუთხედი;

buscar una aguja en un pajar – buscar en vano – თივის ზვინში ნემსის ძებნა;

verter lágrimas de cocodrilo – lamentar con hipocresía – ნიანგის ცრემლების ღვრა.

მყარი შესიტყვებების მნიშვნელობას კომპონენტების სრული გადააზრებით კონსტანტურ-ფრაზული ანდა ფრაზეოლოგიური შეიძლება ეწოდებოდეს. ენის მატარებლები მას ისევე ითვისებენ, როგორც ჩვეულებრივი სიტყვების მნიშვნელობებს.

მეხუთე, **ფრაზეოლოგიური ერთეულების იდიომატურობა**, რომლის არსი უმჭიდროესად არის დაკავშირებული სემანტიკური ერთიანობის ნიშანთან და იმით მჟღავნდება, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულის მიმართ ომონიმური თავისუფალი სიტყვათშეხამების ძირითად ნომინაციურ მნიშვნელობათა ჯამი არ უდრის მის მნიშვნელობას. იდიომატურობის ნიშანში აისახება ამა თუ იმ ენის ფრაზეოლოგიური სიმდიდ-

რის სპეციფიკა, ხშირ შემთხვევაში კი განუმეორებელი თავისებურება. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა იდიომატურობის ხარისხი და ხასიათი საკმაოდ განსხვავებულია. ფრაზეოლოგიზმის ტიპის შესაბამისად, ის შეიძლება ძალიან მაღალიც იყოს და საგრძნობლად შესუსტებულიც. იდიომატურობის ხარისხი გავლენას ახდენს ფრაზეოლოგიზმის სემანტიკურ მთლიანობასა და მისი კვლავწარმოქმნის ხასიათზეც.

მეექვსე, ფრაზეოლოგიური ერთეულებისათვის დამახასიათებელი **სიტყვიერად გამოხატული შინაგანი ფორმა.** ეს ნიშანი წინა ნიშან-თვისებას უკავშირდება. ფრაზეოლოგიური ერთეულები თავისუფალი შესიტყვებებისგან იწარმოება და ამით სტრუქტურულად ემთხვევა მათ, ამიტომ მათი შინაგანი ფორმა წარმოადგენს ლექსიკურ-სემანტიკურ შინაარსს, რომელიც ახდენს ფრაზეოლოგიური ერთეულის ჟღერადობის კავშირის სიმბოლიზებას მისთვის დამახასიათებელ კონსტანტურ-ფრაზულ მნიშვნელობასთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **შინაგანი ფორმა ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობის მოტივირებაა მისი შედარების საფუძველზე იმ თავისუფალი შესიტყვების აზრთან, რომლისგანაც ის არის ნაწარმოები.** მყარი შესიტყვების შინაგანი ფორმა თანამედროვე ენაში შეიძლება არამოტივირებული (უსახო) იყოს, ისევე, როგორც, მაგალითად, ფრაზეოლოგიზმებში: tomar las de Villadiego, carabina de Ambrosio (უსარგებლო ნივთის შესახებ), dar quince y raya (ვისიმე ჯობნა, ჯიბეში ჩასმა), entrar por uvas (გადაწყვეტილების მიღება რაიმეში მონაწილეობის შესახებ), echar las vacas (ვინმეს გაჭორვა, ვინმესთვის ცილის დაწამება), a pie juntillas (მტკიცედ, შეუპოვრად), abate Pirricas (კოხტაპრუწა, ქარაფშუტა, პიჟონი) და ა. შ. ამ შემთხვევაში ფრაზეოლოგიზმის იდენტური შესიტყვება ან არალოგიკურია, ანდა მოკლებულია ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობასთან შედარებისას დადგენილ ყოველგვარ რეალურ ხატოვან ასოციაციას. სხვა ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს შინაგანი ფორმა მოტივირებული

აქვთ. ამგვარ ფრაზეოლოგიზმთან შეფარდებული თავისუფალი შესიტყვება შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობის აზრობრივი, მეტაფორული, ხატოვანი მოტივირება. რა თქმა უნდა, თუკი არ გვეცოდინება ფრაზეოლოგიური ერთეულის საყოველთაოდ აღიარებული სემანტიკა, მაშინ მისი შინაგანი ფორმა ხშირად კონსტანტურ-ფრაზული მნიშვნელობის მხოლოდ შეფარდებით და არა ზუსტ მინიშნებას შეიძლება შეიცავდეს. ფრაზეოლოგიური შესიტყვების hacer tragar la pildora (a alguien) შინაგანი ფორმა შეიძლება აღვიქვათ, როგორც „მძიმე მდგომარეობის შემსუბუქება, ვიღაცისთვის დახმარების გაწევა გაჭირვებისას". თუმცა ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა სრულიად საწინააღმდეგოა: „ვინმესთვის რაიმე ცუდის, უსიამოვნოს გაკეთება ან თქმა".

ამგვარად, თანამედროვე ენაში ყოველგვარ შინაგან ფორმას როდი გააჩნია განმარტებითი უნარი, თუმცა ფრაზეოლოგიზმის შექმნისას სწორედ იგი განსაზღვრავდა მისი მნიშვნელობის მოტივირებას. დროთა ვითარებაში ეს მოტივირება შეიძლება დაკარგულიყო სხვადასხვა მიზეზებით (ერთ-ერთი კომპონენტის გამოტოვება, შესიტყვების შემადგენელი სიტყვების სემანტიკის შეცვლა ან არქაიზება, გრამატიკული ცვლილებები და ა. შ.).

მაგრამ არსებობს ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა შინაგანი ფორმა მხოლოდ ერთ ხელახლა გააზრებულ კომპონენტს ეყრდნობა, ვინაიდან ფრაზეოლოგიზმის დანარჩენი წევრები იხმარება თავიანთი ჩვეულებრივი მნიშვნელობებით, რომლებიც ასე თუ ისე მთლიანი შესიტყვების სემანტიკას ექვემდებარებიან. მაგალითად, გამოთქმებში poner en libertad, coger miedo, dar de bofetadas, miedo cerval მეტაფორიზებულია მხოლოდ კომპონენტები poner, coger, dar და cerval. ამგვარი ფრაზეოლოგიური შესიტყვებები თავისუფალ შესიტყვებათა ზღვარზე იმყოფებიან, მაგრამ ჩვეულებრივ, არ სცდებიან მას. ამგვარი ფრაზეოლოგიზმების სემანტიკის და-

დგენა მათი შემადგენელი სიტყვების მიხედვით დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.

მეშვიდე, **ფრაზეოლოგიზმების ლექსიკოლოგიური მარკირებულობა**, რაც იმით გამოიხატება, რომ ისინი ემოციურ-ექსპრესიული, შეფასებითი და სტილური შეფერილობით ხასიათდებიან, მწიგნობრულ, სასაუბრო, მდაბიურ, ჟარგონულ ანდა დიალექტურ ლექსიკას განეკუთვნებიან, ნეოლოგიზმს ან მოძველებულ შესიტყვებას წარმოადგენენ. ამგვარი მარკირება შეიძლება წინააღმდეგობაში აღმოჩნდეს ფრაზეოლოგიზმის შემადგენელი სიტყვების მარკირებასთან. მაგალითად, გამოთქმა poner en berlina (სასაცილო მდგომარეობაში ჩაყენება) თანამედროვე სალიტერატურო ენაში იხმარება, თუმცა იგი შეიცავს მოძველებულ სიტყვას berlina (ეკიპაჟის სახესხვაობა). სასაუბრო ფრაზეოლოგიზმი de pelo en pecho (მამაცი, უშიშარი), მდაბიური შესიტყვება ponerse morado (ბევრის ჭამა, ჩახეთქვა), ანდა ჟარგონული გამოთქმა pegarle al costo (ნარკოტიკების მიღება) განსხვავდებიან თავიანთი სტილური მიმართების მიხედვით, თუმცა კი ყველა ჩვეულებრივი სალიტერატურო სიტყვების საფუძველზეა ნაწარმოები[41].

§ 3. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სისტემური კავშირები

განხილული მყარი შესიტყვებანი სხვადასხვაგვარ კავშირებს ამყარებენ როგორც ერთმანეთს შორის, ასევე სხვა ლექსიკურ ერთეულებთან. ფრაზეოლოგიზმებისათვის დამახასიათებელია, თუმცა კი გაცილებით ნაკლები ხარისხით, პრაქტიკულად ყველა ის სისტემური კავშირი, რომლებიც ჩვეულებრივ სიტყვებს აქვთ.

პოლისემია. ფრაზეოლოგიზმების უმრავლესობა მონოსემანტიკურია (ერთმნიშვნელობიანია), თუმცა მყარ შესი-

41 Виноградов В. С. Лексикология испанского языка. М. 2004, с. 174-176.

ტყვებათა გარკვეული ნაწილი (დაახლოებით 17-20%) ენის განვითარების პროცესში მრავალმნიშვნელობიან ერთეულებად იქცა. პოლისემანტიკური ფრაზეოლოგიზმებისაგან არ უნდა ველოდეთ მნიშვნელობათა იმგვარ დიდ რაოდენობას, როგორც ეს ზოგიერთ სიტყვას ახასიათებს. ფრაზეოლოგიური პოლისემია უფრო შეზღუდულია. პოლისემანტიკურობა გულისხმობს ჩვეულებრივ, ფრაზ. ერთეულის ორ ან სამ მნიშვნელობას, მათი უმეტესობა კი არცთუ ისე ხშირად ფიქსირდება, პოლისემანტიკური ფრაზეოლოგიზმების მაგალითები: mala fé 1. უპატიოსნობა, უწესრიგობა, ორპირობა; 2. მუხანათობა, ვერაგობა, ურცხვობა.

(un) boca sucia – 1. ენამყრალი, უხამსი (კაცი);

caballo de batalla 1. მთავარი კოზირი, საუკეთესო ნომერი, როლი; 2. მუდმივი თემა, აჩემებული, საყვარელი საგანი; 3. აკვიატებული იდეა, მანია;

calma chicha 1. წყნარი ამინდი; 2. სიზარმაცე, მოდუნება; 3. პაპანაქება, ხვატი, თაკარა; 4. სახიფათო სიჩუმე, მოჩვენებითულობა, ცრუ სიმშვიდე;

de gran romana 1. მძიმე, ზორზოხი; 2. მსუქანი, გათქვირებული;

de mala ralla 1. სულმდაბალი, ფლიდი, ბილწი; 2. სასტიკი, ულმობელი, უწყალო, შეუბრალებელი;

de medio pelo 1. პატარა ადამიანი, კაცუნა; 2. მეტიჩარა, წინამასწარა, მატრაკვეცა; 3. უმნიშვნელო, ფუჭი; 4. საშუალო, უხეირო; 5. მეტისი (პუერტო-რიკო);

hacer fantochadas 1. კვეხნა-ბაქიაობა; 2. მანჭვა-გრეხა, ტაკიმასხარაობა;

venir con faramallas 1. სიტყვის ბანზე აგდება, თავგზის აბნევა; 2. სისულელის როშვა, თვალში ნაცრის შეყრა; 3. ტრაბახი (მექსიკა, ჩილე);

a boca llena 1. პირდაპირ, პირში, მოურიდებლად; 2. ხელგაშლილად, უხვად, დაუზარებლად (თხოვნის, დაპირების შესრულება და ა. შ.);

entre dos aguas – 1. წყალქვეშ; 2. ფრთხილად, დაფიქრებით; 3. საფრთხეში, ორ ცეცხლშუა და ა. შ.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა მრავალმნიშვნელიანობა დამოკიდებულია არა მარტო ფრაზეოლოგიზმის ხმარების კონტექსტუალურ და სიტუაციურ პირობებზე, არამედ გრამატიკულ განპირობებულობაზეც, დასახელებული ობიექტის მართვასა, შესიტყვებადობასა, სინტაქსურ ფუნქციაზე, სულიერებასა ან არასულიერებაზე და ა. შ.

სინონიმია. ფრაზეოლოგიური ერთეულები ერთმანეთთან შეიძლება სინონიმური ურთიერთობებით იყვნენ დაკავშირებული. ეს მაშინ ხდება, როდესაც მეტყველების ერთსა და იმავე ნაწილთან შეფარდებული ფრაზეოლოგიზმების კოსტანტურ-ფრაზული ანდა ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობები ერთნაირ ცნებებს გამოხატავენ და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შინაგანი ფორმითა და მნიშვნელობათა ელფერით, ანდა/და სტილისტური შეფერილობით. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ ფრაზეოლოგიური სინონიმების შინაგანი ფორმის ლექსიკურ-სემანტიკური შინაარსი განსხვავებული უნდა იყოს.

თავიანთი გრამატიკული აგებულებით ფრაზეოლოგიური სინონიმები შეიძლება იყოს:

– **თანაბარსტრუქტურიანი,** როდესაც მათი მოდელი ერთნაირი აღმოჩნდება: besar la correa – doblar la cerviz (თავის დამდაბლება, ძალისადმი დამორჩილება), tomar el olivo – perder el hato (მოკურცხვლა); cabeza de tarro – alma de cántaro (სულელი, ხეპრე, ბოთე); burro de carga – cabeza de turco (განტევების ვაცი); de cabo a rabo – de pe a pa (თავიდან ბოლომდე, მთლიანად) და ა. შ.

– **მსგავსსტრუქტურიანი,** როდესაც მათ მოდელებს განასხვავებს არტიკლების, ნაცვალსახელების ქონა ან უქონლობა, გრამატიკული რიცხვი და ა. შ. ganar las palmas – cosechar laureles (ჯილდოს დამსახურება), pasar el Rubicón – quemar sus

naves (გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა); apretar los talones – tomar viñas – dar esquinazo (გაქცევა) და ა.შ;

– **განსხვავებულსტრუქტურიანი**, როდესაც მათი მოდელები არ თანხმდება; cruzar la cara – dar de bofetadas (სახეში გარტყმა, სილის გაწვნა); a banderas desplegadas – con el corazón en la mano – a la luz del día – a las claras (ღიად, გულგახსნილად, დაუფარავად); a la chita callando – por debajo de la cuerda – a escondidas (ჩუმ-ჩუმად, ფარულად, საიდუმლოდ, მიპარვით) და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ფრაზეოლოგიური სინონიმები[42] ენაში არ ქმნიან განკერძოებულ სინონიმურ მწკრივებს. ისინი წარმოადგენენ ნაწილს ამა თუ იმ სინონიმური მწკრივისა, რომელიც შედგება როგორც ჩვეულებრივი სიტყვებისაგან, ასევე ფრაზეოლოგიზმებისგანაც. ისინი არსებითად ზრდიან სინონიმური მწკრივების ემოციურ-ექსპრესიულ და შემფასებლურ შესაძლებლობებს. შდრ. მაგალითად, სინონიმები, რომლებიც თავს იყრიან „ჭამა, კვება".

ცნების გარშემო: comer, tomar, cenar, desayunar, almorzar, mascar, masticar, tragar, devorar, engullir, embocar, embaular, zampar, jamar, hacer penitencia, echarse al coleto, llenar la andorga, matar el hambre, tomar las once, reparar las fuerzas, echar un bocado და სხვ.

ომონიმია. ფრაზეოლოგიზმებთან გვხვდება, მართალია, შედარებით იშვიათად, ომონიმური კავშირებიც. აქ არ იგულისხმება თავისუფალი შესიტყვების ომონიმია და მისი ფრაზეოლოგიური ორეული. **ფრაზეოლოგიზმისა და მასთან გენეტიკურად დაკავშირებული თავისუფალი შესიტყვების თანაყოლერადობა დონეთაშორისი მოვლენაა: ფრაზეოლოგიზმი ლექსიკური ერთეულია, ხოლო შესიტყვება – სინტაქსური ერთეული და თუკი მაინც ჩავთვლით მათ ომონიმებად, უნდა ვაღიაროთ, რომ ესაა ენობრივი თანაყოლერადობის განსაკუთრებული სახე, რო-**

42 А. Г. Назарян. Фразеология современного французского языка. М., 1987, с. 231.

მელსაც შეიძლება გენეტიკურად დაკავშირებული ლექსიკურ-სინტაქსური ომონიმია ვუწოდოთ.

ამ შემთხვევაში განიხილება ორი ან მეტი მდგრადი შესიტყვების თანაყოლერადობა. ფრაზეოლოგიური ომონიმიის წარმოქმნას ძირითადად განაპირობებს სამი მიზეზი:

პირველი: პოლისემიის მოშლა, როდესაც ფრაზეოლოგიზმის ერთ-ერთი მნიშვნელობა დროთა მანძილზე შინაარსობრივ და ფორმალურ დამოუკიდებლობას იძენს. ამგვარი რამ დაემართა მყარ შესიტყვებას echar la bendición. თანამედროვე ენაში არის ამ ფორმის მქონე ორი ომონიმური ფრაზეოლოგიზმი. ერთ-ერთი მათგანი აღნიშნავს „ქონწინებაზე თანხმობის მიცემას", მეორე კი – „ხელების დაბანას, რაიმე საქმეში მონაწილეობაზე უარის თქმას". მეორე ომონიმს კიდევ ერთი მნიშვნელობა აქვს: „ვინმესთან ურთიერთობის გაწყვეტა".

პოლისემიის მოშლამ გამოიწვია ორი ომონიმური ფრაზეოლოგიზმის წარმოქმნა: quitar el hipo „შეშინება, შეძრწუნება (ვინმესი)" და quitar el hipo – სასიამოვნოდ გაკვირვება, გაოცება, გაოგნება (ვინმესი)".

მეორე: ერთი პოლისემანტიკური სიტყვა აბსოლუტურად ერთი ტიპის ფრაზეოლოგიზმების წარმოქმნისას სხვადასხვა მნიშვნელობების რეალიზებას ახდენს. მაგალითად, ფრაზეოლოგიზმში tener mosca (სიფიცხე, გაფიცხება) კომპონენტი mosca უკავშირდება მნიშვნელობას „უკმაყოფილება, წყენა", ხოლო შესიტყვებაში tener mosca (ფულის ქონა, სახსრების ფლობა) იგივე სიტყვამ აღნიშნა სასაუბრო მნიშვნელობა „ფული".

მესამე, ერთი და იგივე თავისუფალი შესიტყვების საფუძველზე სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში წარმოიქმნება დამოუკიდებელი ფრაზეოლოგიური შესიტყვებები. ამგვარი რამ შეემთხვა ომონიმებს hacer humo (ერთ ადგილზე ცხოვრება, დამკვიდრება) და hacer humo (ცუდად მიღება, „პირის არ ჩვენება"). Apretar los talones ესპანეთში ნიშნავს „გაქცევას, მოკურცხვლას", ხოლო ლათინურ ამერიკაში

ომონიმურ ფრაზეოლოგიზმს აქვს მნიშვნელობა: „ენერგიულად, მტკიცედ მოქმედება". Pagar la chapetonada პირენეის ნახევარკუნძულზე შეესაბამება ქართულს „მხედრული ზიარება", ლათინურ ამერიკაში კი ამ შესიტყვების ომონიმი ნიშნავს „რაიმეს გამო დასჯას, პასუხისგებას".

ანტონიმია. მყარ შესიტყვებებს შორის გვხვდება აგრეთვე ანტონიმური წყვილები, თუმცა მათი რაოდენობა საკმაოდ შეზღუდულია. ფრაზეოლოგიურ ანტონიმებს შეიძლება მივაკუთვნოთ ისეთი შესიტყვებები, როგორებიცაა: pájaro gordo (დიდი ვინმე, წარჩინებული კაცი) – don Nadie (კაცუნა, არარაობა); poner sobre las nubes (მეტისმეტი შექება) – echar pestes (ლანძღვა უწმაწური სიტყვებით), sol poniente (ჩასვლა) – sol naciente (ამოსვლა), con el corazón en la mano (ღიად, აშკარად) – a cencerros tapados (ფარულად, საიდუმლოდ), corazón de oro (სათნო, თბილი, გულითადი ადამიანი) – corazón de chacal (უგულო, უსულგულო ადამიანი) და ა. შ.

ესპანურ ენაში არის გარკვეული რაოდენობა თავისებური ფრაზეოლოგიური ანტონიმებისა, რომელთა შემადგენლობაში შედიან ზედსართავები bueno malo და ზმნიზედები bien-mal. მაგალითად, buen arte (მოხერხებულობა, სიმარჯვე, გაწაფულობა) – mal arte (მოუხერხებლობა, უგერგილობა), hacer buena harina (კარგად მოქცევა, რაიმე კარგის გაკეთება) – hacer mala harina (ცუდად მოქცევა, ცუდის გაკეთება), poner bien/mal la pluma (კალამი უჭრის/არ უჭრის); tener buena/mala sombra (ბედკეთილი/ბედნავსი/მიმზიდველი, უეშხო/უმარილო), poner buena /mala cara (თავაზიანი/არათავაზიანი მოპყრობა/, buena/ mala andanza (წარმატება/ წარუმატებლობა, იღბალი/უიღბლობა/, de buen/mal temple (კმაყოფილი/უკმაყოფილო, მხიარული/გაბრაზებული, მოღუშული), andar bien/mal de (უხვად, ბევრის ქონა/რაიმეს უკმარისობა), bien/ mal hablado / თავდაჭერილი/თავშეუკავებელი საუბარში) და ა. შ.

ამგვარი შესიტყვებების სტრუქტურა თანაბარი მნიშვნელობისა რჩება, იცვლება მხოლოდ აზრის მეტაფორიზე-

ბული ობიექტის ხარისხობრივი შეფასება: ერთ შემთხვევაში ის დადებითია, მეორეში კი – უარყოფითი. ასეთი ანტონიმური წყვილები შეიძლებოდა მიგვეკუთვნებინა ფრაზეოლოგიური ვარიანტებისათვის, მათი მნიშვნელობები აშკარად ურთიერთგამომრიცხავი, ურთიერთსაწინააღმდეგო რომ არ ყოფილიყო. ზოგჯერ ასეთ წყვილებში ზედსართავები ნეიტრალიზდება და ორივე შესატყვისი ერთსა და იმავეს აღნიშნავს: ser buena/mala pécora (გაიძვერობა, გაქნილობა ვინმესი). ამ შემთხვევაში მყარი შესიტყვებები უკვე აღარ ქმნიან ანტონიმურ წყვილს, არამედ ფრაზეოლოგიური ვარიანტულობის მოვლენას განეკუთვნებიან. მაგრამ გარეგნულად მსგავს შესიტყვებებს bueno/malo კომპონენტებით შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეთ არავითარი კავშირი ურთიერთშორის. მაგალითად, tener buen aire ნიშნავს „მოხდენილად, გრაციოზულად მოძრაობას", ხოლო tener mal aire – „ცუდ გუნებაზე ყოფნას".

პოლიფრაზეოლოგიურობა დამახასიათებელია ისეთი კონკრეტული ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფების განსაზღვრული სიტყვებისათვის, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტების, მოქმედებების, მოვლენებისა და თვისებების სახელწოდებებს მოიცავენ. მაგალითად, ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვებისათვის (cabeza, brazo, mano, cuello, boca, espalda, pelo, etc.), ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი სიტყვებისათვის (agua, aire, fuego, etc.), მოძრაობის, ლაპარაკის, ფლობის, საქმიანობისა და ა. შ. აღმნიშვნელი ზმნებისათვის (ir(se), andar, correr, entrar, hablar, decir, tener, coger, dar, poner, hacer, dejar, etc.), საგნებისა და მოვლენების ძირითადი თვისებების აღმნიშვნელი ზედსართავებისათვის (bueno, malo, blanco, negro, grande, etc.), ზმნიზედებისათვის (bien, mal და ზოგიერთი სხვა), რიცხვითი სახელებისათვის (dos, cuatro, ciento).

§4. ფრაზეოლოგიური ვარიანტულობის პრობლემა

იგი მჭიდროდ უკავშირდება მათი იგივეობის გაგებას, არ არის გადაწყვეტილი. მის გარშემო არ წყდება კამათი, მიუთითებენ ვარიანტული და სინონიმური ფრაზეოლოგიზმების, სემანტიკური ვარიანტებისა და ფრაზეოლოგიაში პოლისემიურობის ურთიერთისაგან გამიჯვნის სირთულეებზე და ა. შ.

ფრაზეოლოგიური ერთეულის ვარიანტები გულისხმობს ისეთ მყარ შესიტყვებებს, რომლებიც თანხვდებიან თავიანთი სტრუქტურით, შინაგანი ფორმითა და კონსტანტურ-ფრაზული მნიშვნელობით, მაგრამ განსხვავდებიან რომელიმე ლექსიკური კომპონენტით ან გრამატიკული ფორმით[43].

ამ განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ ვარიანტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ზოგიერთი ფორმალური არაერთგვაროვნებით ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის იგივეობის შენარჩუნებისას. რა თქმა უნდა, განსხვავებებს ფრაზეოლოგიზმების შესადარებელი ვარიანტების კომპონენტებსა და გრამატიკულ მაჩვენებლებს შორის შესაძლოა თან ახლდეს სტილისტური ან სტილური შეფერილობის უმნიშვნელო სახესხვაობა ანდა აზრობრივი ნიუანსები.

ფრაზეოლოგიური ვარიანტულობა[44] არაერთგვაროვანია. არსებობს ფრაზეოლოგიური ვარიანტების რამდენიმე სახეობა.

1. ფრაზეოლოგიური ვარიანტები ლექსიკური ვარირებით, რომლებშიც ჩვეულებრივ, სახეცვლილებას განიცდის, ფრაზეოლოგიზმში შემავალი ერთ-ერთი სიტყვა. ცვლადი კომპონენტები შედარებით მკაცრად არიან დაფიქსირებული ენობრივი ტრადიციით, ანუ ამჟღავნებენ სიმყარეს ვარირე-

43 В. С. Виноградов. Лексикология испанского языка. М., 2004, с. 180-182.

44 А. Г. Назарян. Фразеология современного французского языка. Вариантность, синонимия и антонимия фразеологических единиц французского языка. М., 1987, с. 225.

ბად ფრაზეოლოგიზმებში და ურთიერთშორის გარკვეულ სემანტიკურ კავშირს ამყარებენ.

ჯერ ერთი, თავისუფალი ხმარებისას ეს კომპონენტები ხშირად გადაიქცევიან ხოლმე სინონიმებად. მაგალითად, costar/valer un ojo de la cara (ძალიან მაღალი ფასის დადება), tomar/coger las de villadiego (მოკურცხვლა), mirar/ver con anteojos de aumento (მეტისმეტად გაზვიადება; წინასწარ განჭვრეტა, გათვალისწინება), llevar traer a las ancas (ვიღაცის შენახვა, კმაყოფაზე აყვანა), levantar/empinar/alzar el codo (სმა, გადაყლურწვა), castillo de cartas/de naipes (არამყარი ნაგებობა, ხუხულა; ჰაეროვანი კოშკები, ფუჭი ოცნება), ave tonta/zonza (დოყლაპია, ბოთე), salir por el arbollón/albañal (შერცხვენა, ჩაფლავება, vivir por sus brazos/manos (საკუთარი შრომით არსებობა) და ა. შ.

2. ისინი შეიძლება ერთ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფში შემავალი მნიშვნელობით ახლომდგომი სიტყვები იყვნენ: atar/juntar/unir los cabos (შედარება, ყველა გარემოების ანონდაწონა, გამორკვევა); andarse /venirse con ambages (რაიმე სათქმელის ირგვლივ ტრიალი, ირიბად, გადაკვრით საუბარი);

dar/poner el pecho (მკერდით შეგებება, საფრთხის პირისპირ დადგომა); construir/formar/fundar/hacer castillos en el aire (ჰაეროვანი კოშკების აგება, ოცნებებში ფრენა), echar /soltar tacos (ლანძღვა, წყევლა-კრულვა), beber los vientos/aires (რაიმეს ძალიან, სულითა და გულით მონდომება) და ა. შ.

3. შესადარებელი კომპონენტები შესაძლოა არ შეეფარდებოდნენ ერთმანეთს თავიანთი სემანტიკური ნიშან-თვისებებით. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ფრაზეოლოგიური ვარიანტების შიდა ფორმამ არსებითი ცვლილებები არ უნდა განიცადოს. ძირითადი ხატოვანი, მეტაფორული შინაარსი შენარჩუნებულია ისეთ ვარიანტებში, როგორებიცაა: sentir/sufrir en carne propia (განიცადო, საკუთარ თავზე იგრძნო), armar/ levantar un caramillo (აყალმაყალის ატეხა, ინტრიგის გაბმა), hacer/tomar las once (წახემსება, დანაყრება, ყელის გასველე-

ბა), aguantar/pasar carros y carretas (ტანჯვა, წვალება), dar/dictar cátedra (ლექციების წაკითხვა, ჭეშმარიტების ქადაგება, დამოძღვრა), coger agua en cesto/en harnero (ამაოდ გარჯა, წყლის საცრით აღება), echar aceite/leña al fuego (ცეცხლზე ნავთის დასხმა), a carrera abierta/tendida (მთელი ძალით, დიდი მონდომებით), veranillo de San Martin/de San Miguel (ბებრის ყვავილობა, ნაგვიანევი ზაფხული), a duras/graves/ malas penas (დიდი ძალისხმევით, ტანჯვა-წვალებით) და ა. შ.

4. შესაძლებელია ფრაზეოლოგიური ერთეულების კომპონენტთა ვარიანტულობის ტიპების სხვადასხვა კომბინაციები: conducir/llevar/traer en andas (ქების შესხმა, ქებით ცაში აყვანა); dar/entregar/dejar/perder/soltar la pelleja; devolver/volver/ rechazar la pelota (სამაგიეროს გადახდა, იმავეს მიზღვა); arrancar/sacar/quitar el pellejo (ავად მოხსენიება, ძვირის თქმა, განქიქება, გაჭორვა); arrojar /echar/poner a los pies de los caballos (შეურაცხყოფის მიყენება, დამცირება; აბუჩად აგდება) და ა. შ.

ლექსიკური ვარიანტულობა ყველაზე უფრო ხშირად ზმნურ ფრაზეოლოგიზმებს ახასიათებს. ცხადია, ამა თუ იმ ვარიანტის ხმარება ზოგჯერ შეიძლება განსხვავდებოდეს სიხშირისა და სიტუაციური შერჩევის მიხედვით. მკვლევრები აღნიშნავენ ვარიანტთა გამოყენების სამ ტენდენციას: ვარიანტული კომპონენტები თავისუფლად ცვლიან ერთმანეთს და სხვადასხვაგვარად გამოიყენებიან ენაში; ვარიანტები გამოიყენებიან სხვადასხვა სიხშირით, ვარიანტები შერჩევით იხმარებიან მეტყველებაში. ეს ხდება ვარიანტების კონტექსტში სხვა სიტყვებთან შეთანხმებულობის განსხვავების გამო ანდა სიტუაციის პირობებიდან გამომდინარე.

იმ ფრაზეოლოგიურ ვარიანტებს შორის, რომლებსაც ლექსიკური ვარირება ახასიათებთ, მიზანშეწონილია ცალკე ჯგუფის გამოყოფა. ამ ჯგუფში შევლენ **ესპანური ენის სპეციფიკით განპირობებული ვარიანტები, ვინაიდან ესპანური ენა ეროვნული ენობრივი ვარიანტების ერთობლიობას წარმოადგენს. თვით ესპანური ენის ვარიანტულობა**

გავლენას ახდენს თითოეული ესპანურენოვანი რეგიონის ფრაზეოლოგიის ჩამოყალიბებაზე. ამიტომაც, მაგალითად, მექსიკასა და არგენტინაში, ანდა ნებისმიერ სხვა ესპანურენოვან ქვეყანაში შეიძლება გაჩნდნენ ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც თვით ესპანეთის ანდა რომელიმე სხვა ზონის მყარი შესიტყვებების ვარირებას ახდენენ. ამგვარი ფრაზეოლოგიური ვარიანტები შეიძლება განისაზღვროს როგორც ეროვნული ვარიანტები. მათი ყველა მახასიათებელი თანხვდება ჩვეულებრივ ვარიანტებს, გარდა ერთისა: ეროვნული ფრაზეოლოგიური ვარიანტები გამოირჩევა არა ყველა ესპანურად მოლაპარაკესათვის საერთო ფრაზეოლოგიური ფონდიდან, არამედ ესპანური ენის სხვადასხვა ეროვნული ვარიანტების დონეზე. ამის გამო ეროვნული ფრაზეოლოგიური ვარიანტები არ ენაცვლება ერთმანეთს ეროვნულ ერთობათა უმეტესი ნაწილის წარმომადგენლების მეტყველებაში. ჩვეულებრივ ნაციონალური ფრაზეოლოგიური ვარიანტები წარმოიქმნება პირენეული (ანდა საერთოესპანური) ფრაზეოლოგიზმების ბაზაზე. ლათინურ ამერიკულ შესიტყვებებში ერთ-ერთი (ზოგჯერ მეტიც) კომპონენტი ლექსიკურ ამერიკანიზმს წარმოადგენს, არცთუ იშვიათად ინდიელთა ენებიდან მომდინარეს. განვიხილოთ ეს ვარიანტები ისეთი მყარი შესატყვისების მაგალითზე, როგორიცაა შესიტყვებები „ზმნა + არსებითი სახელი“ ტიპისა. ასეთ ვარიანტებში პირენეული ფრაზეოლოგიზმების სახელურ კომპონენტებს შეესაბამება ამერიკანიზმები ან ინდიხენიზმები:

dar calabazas (ესპანეთი) – dar ayotes (გვატემალა) – ნიშნობის ჩაშლა, საქმროსთვის უარის თქმა;

matar el gusano (ესპანეთი) – matar el pirgüín (ჩილე) – უზმოზე სპირტიანი სასმელის დალევა, ერთი სირჩის გადაკვრა, ყელის გასველება.

მოყვანილ მაგალითებში პირენეული და ლათინურ ამერიკული სახელური კომპონენტები სინონიმებს წარმოად-

გენს. სიტყვა ayote აცტეკური წარმომავლობისაა და „გოგრას" ნიშნავს, ხოლო pirguin, რომელიც არაუკანულიდან არის ნასესხები, რგოლოვანი ჭიების ერთ-ერთ სახეობას აღნიშნავს.

განხილული ფრაზეოლოგიური ვარიანტების კომპონენტები უფრო ხშირად არ წარმოადგენს სინონიმებს, ისინი ერთ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფს მიეკუთვნებიან ანდა ერთმანეთთან მეტაფორულად არიან დაკავშირებული. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ლათინურამერიკული რეალიები ემსგავსებიან პირენეულ არსებით სახელებს დასახელებული ობიექტების გარეგნული, ფუნქციური, ასოციაციური ნიშნებით. ნათქვამის დასადასტურებლად მოგვყავს მაგალითები:

ganar pan (ესპანეთი) – ganar arepa (ვენესუელა) – კაპიტალის დაგროვება, გამდიდრება;

hacer un pastel (ესპანეთი) – hacer un tomal (მექსიკა) – გაფუჭება, საქმის ჩაშლა;

no valer un comino (ესპანეთი) – no valer un cacahuete (მექსიკა) – no valer un cacao (ცენტრალური ამერიკა) – ჩალის ფასად არ ღირს, გახვრეტილი კაპიკის ფასი არა აქვს;

pedir peras al olmo (ესპანეთი) – pedir cocos a la güásima (პუერტო-რიკო) – შეუძლებლის მოთხოვნა.

აღნიშნულ შესიტყვებებში შემავალი ამერიკანიზმები თავიანთი ნომინაციური მნიშვნელობებით ასახელებენ: arepa – სიმინდისაგან გამომცხვარი ლავაშის ნაირსახეობას; tomal – სიმინდისაგან გამომცხვარ ნამცხვარს ან ლავაშს, cacahuete – მიწის თხილს, cacao – კაკაოს ნაყოფს, coco – ქოქოსის კაკალს, güásima – ტუიის ერთ-ერთ სახეობას.

2. ფრაზეოლოგიური ვარიანტები ლექსიკურ-გრამატიკული ვარირებით, რომლებიც კომპონენტთა რაოდენობის მიხედვით განსხვავდებიან. ზოგიერთ შემთხვევებში ასეთი ვარიანტები წარმოადგენენ ფრაზეოლოგიზმის ორ ფორმას; სრულს და რედუცირებულს (შემოკლებულს). მაგალითად, bailar el agua delante – bailar el agua (გულის მოგება, პირმოთნეობა, ლაქუცი); estar bailando en Belén – estar en Belén (ღრუბ-

ლებში ფრენა); vivir en Belén con los pastores-vivir en Belén (არაამქვეყნიურობა), tcner el riñón bien cubierto – tener el riñón (შეძლებულად, ფუფუნებით ცხოვრება), téner venas de loco – tener venas (ახირებულობა, უცნაურობა), echar venablos por la boca – echar venablos (ლანძღვა-გინება, ცოფების ყრა), en vivas carnes – en carnes (შიშვლად, ტიტლიკანად), cazador de concjos en el plato – cazador en el plato (ვაი-მონადირე). ამ ვარიანტებში არაერთგვაროვანია მათი შინაგანი ფორმის მეტაფორულობის გამოხატვის სისრულე, თუმცა ეს არ ცვლის თვით შინაგან ფორმას, თუნდაც იმიტომ, რომ ორი (ზოგჯერ მეტი) ფრაზეოლოგიური ვარიანტი დაფიქსირებულია ენის მატარებელთა ცნობიერებაში.

ლექსიკურ-გრამატიკული ფრაზეოლოგიური ვარიანტები წარმოიქმნება ასევე მიმართებითი ზედსართავი სახელისა და მისი სინონიმური შესიტყვების „de + არსებითი სახელი" (მას შეიძლება იგივე ძირი ჰქონდეს, რაც ზედსართავს) ვარირებისას: ave rapaz (rapiega) – ave de rapiña (მძარცველი, გაიძვერა, კვაჭი); bañarse en agua rosada – bañarse en aguas de rosa (უმაღლესი ნეტარების განცდა, მეცხრე ცაზე ყოფნა); ser ave pasajera – ser ave de paso (მძლევარობა, გადამფრენი ფრინველივით მოქცევა); lobo marino – lobo de mar (გამოცდილი მეზღვაური, „ზღვის მგელი", გამობრძმედილი) და ა. შ.

3. ფრაზეოლოგიური ვარიანტები გრამატიკული ვარირებით, რომლებშიც იცვლება კომპონენტების მორფოლოგიური ან სინტაქსური ფორმა და/ან ხდება არტიკლების, თანდებულების, ნაცვალსახელების ვარირება. ასეთი ვარიანტების უმრავლესობა მთლიანად ურთიერთჩანაცვლებადია. ერთ-ერთი მათგანის ამორჩევა ხშირად მოლაპარაკის ინდივიდუალური სამეტყველო ჩვევებითა და მიკერძოებით არის განპირობებული. ყველაზე უფრო გავრცელებულია შემდეგი გრამატიკული ვარიაციები:

– ერთ-ერთი არტიკლის გამოტოვება: tomar las viñas-tomar viñas (მოკურცხლვა); tender las velas-tender velas (მომენტით სა-

რგებლობა, მომენტის ხელიდან არგაშვება), a una vuelta de cabeza – a vuelta de cabeza (მყისვე, მაშინვე, მომენტალურად) და ა. შ.

– განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლების მონაცვლეობა: pintar el venado – pintar un venado (გაკვეთილების გაცდენა, გაკვეთილებიდან გაპარვა), dar la campanada – dar una campanada (წამოროშვა, სისულელის თქმა ან გაკეთება, არასწორად მოქცევა), tomar el rizo – tomar un rizo (გეზის შეცვლა, მანევრირება, ას ოთხმოცი გრადუსით შემობრუნება) და ა. შ.

– არტიკლის შეცვლა ნაცვალსახელით: abrir el pecho – abrir su pecho (გულის გახსნა, გულის გადაშლა); tener sano el pecho – tener sano su pecho (სუფთა სინდისის ქონა); tener en la mano-tener en su mano (რაიმეს ფლობა, რაიმეს მოხელთება, დასაკუთრება) და ა. შ.

– კომპონენტების რიცხვის ფორმის შეცვლა: dar en la vena. dar en las venas (საიმედო, სწორი ხერხის მიგნება), traer sobre ojo traer sobre ojos (ვინმეს მიმართ ეჭვის გაჩენა, მის მიმართ სიფრთხილის გამოჩენა, თვალთვალი), cuando la rana crie pelo-cuando las ranas crien pelos (როდინობის კვირას, გაურკვეველ დროს), traer en su mano traer en sus manos (ვინმეს ყოლა დაქვემდებარებაში, დამორჩილება, ხელში დაჭერა) და ა. შ.;

– აფიქსური ვარირება: ser el ojo derecho – ser el ojito derecho (გამორჩეულად საყვარელი), en volandas – en volandillas (უცებ, მყისიერად, სწრაფად, თვალის დახამხამებაში), con boca chica – con boca chiquita (უხალისოდ, ნაძალადევად, არაგულწრფელად) და ა. შ.;

– თანდებულთა ურთიერთმონაცვლეობა: poner tierra en medio – poner tierra por medio (გაქცევა), estar de vena – estar en vena (კარგ გუნებაზე ყოფნა, აღმაფრენის განცდა), echar a/por/ en tierra (გეგმების ჩაშლა, ჩაფუშვა) და ა. შ.

– უარყოფითი no ნაწილაკის ფაკულტატიური ხმარება: no importar una higa – importar una higa (რაიმესათვის მნიშვნელობის

მიუნიჭებლობა (no) le importa una higa este asunto; no darse un bledo – darse un bledo (რაიმესადმი სრული გულგრილობა) და ა. შ.;

– კომპონენტების ინვერსიულობა (საუბარია არა ოკაზიონალურ, სამეტყველო ინვერსიაზე, არამედ ენაში სიტყვათა სხვადასხვაგვარი წყობის მქონე ვარიანტების დამკვიდრებაზე): a duras penas – a penas duras (დიდი ძალისხმევით, რის ვაი-ვაგლახით); todo a lo ancho – a todo lo ancho (მთელ სიგანეზე, მთელ სივრცეზე); en alta voz – en voz alta (ღიად, აშკარად, ყველას გასაგონად), de vez en cuando – de cuando en vez (ხანდახან, იშვიათად, ზოგჯერ) და ა. შ.

ცხადია, შესაძლებელია გრამატიკული ვარიანტულობის სხვა სახეებისა და, რაც მთავარია, მრავალფეროვანი შერეული ვარიაციების არსებობაც. აი, ამ უკანასკნელთა მაგალითები: echar a la cara – echar en la cara – echar en cara (საყვედურის თქმა, დადანაშაულება), tener en la mano – tener en su mano – tener en sus manos; hacer su astilla en el árbol caído – hacer astillas en el árbol caído – hacer su astilla del arbol caído – hacer astillas del árbol caído (სხვის გასაჭირზე ხელის მოთბობა, წაქცეულის ცემა, ჩაწიხლვა); a pie juntillas – a pies juntillas – a pie juntillo – a pie junto – (ჯიუტად, მტკიცედ, შეუპოვრად); meterse en el berenjal – meterse en berenjal – meterse en berenjales – meterse en buen berenjal – meterse en mal berenjal (რთული, საჭოჭმანო საქმის წამოწყება; უსიამოვნო ამბავში გარევა).

განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ვარიანტებს კუთვნილებითი ნაცვალსახელების ცვლადი ფორმით. ესაა ობლიგატორული და არა შერჩევითი ვარიანტები. ვარიანტები ნაკარნახევია შესიტყვებითი აუცილებლობით: ნაცვალსახელები უნდა ეთანხმებოდნენ იმ პირის გრამატიკულ ფორმას, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან. მაგალითად, a mis (tus, sus, etc) anchas (თავისუფლად, ძალდაუტანებლად; უხვად, საკმაოდ, მოყირჭება, გულის მოჯერებამდე; საკუთარი სიამოვნებისათვის); yo podia pasear a mis anchas por el parque – puedes pasear a tus anchas por el parque, etc; sacar de sus (mis, tus, etc.)

casillas (ვისიმე გამოყვანა მოთმინებიდან): me gustaba sacarle de sus casillas – a Juan le gustaba sacarme de mis casillas; salirse con la suya (la mía, la tuya, etc.) (საკუთარი სურვილის მიღწევა, თავისის გატანა, ნათქვამის შესრულება).[45]

6. კასარესი ტერმინით locución (გამოთქმა, შესიტყვება, გამონათქვამი) აღნიშნავს, „ორი ან მეტი სიტყვის მდგრად შესიტყვებას, რომელიც ფუნქციონირებს როგორც მეტყველების გარკვეული ნაწილი, რომლის ერთიანი და საყოველთაოდ აღიარებული შინაარსი სულაც არ წარმოადგენს კომპონენტთა ჩვეულებრივი მნიშვნელობების ჯამს".[46]

Frases proverbiales (პროვერბიალური შეხამებები, ანუ საანდაზო ფრაზები) შეადგენენ ვრცელ ზონას, „მერყევი საზღვრებით", რომელიც მდებარეობს გამონათქვამთა და ანდაზების სფეროთა შორის. No se ganó Zamora en una hora (სამორა ერთ საათში არ დაუპყრიათ), se armó la de San Quintin (გაჩაღდა ბრძოლა, როგორც სან-კინტინთან, ანუ ატყდა ერთი დავიდარაბა) – პროვერბიალური შესიტყვებების ტიპური მაგალითებია. ხ. კასარესი წერს, რომ თუკი se armó-ს ნაცვლად ვიტყოდით se ha armado ან se armará, ან se está armando la de san Quintín, ეს იქნებოდა ზმნური გამონათქვამი, და არა საანდაზო ფრაზა. ჩვეულებრივი ერთეულებისაგან განსხვავებით, frase proverbial ყოველთვის წარმოადგენს დამოუკიდებელ წინადადებას, რომელიც „ოდესღაც ითქვა ან დაიწერა და მისი ხმარება ენაში არის ერთგვარი ციტირება, შეხსენება, რომელსაც მიმართავენ ისეთ პირობებში, რომლებიც რამდენადმე მსგავსია მოცემული შესიტყვების წარმომშობი პირობებისა". პროვერბიალური შეხამების გამომსახველობით ძალას „განაპირობებენ არა მასში ნაგულისხმევი სახეები, არამედ ამჟამინდელ მომენტსა და წარსულის მომენტს შორის გარკვეული სიტყვების დახმარებით დამყარებული პარალელიზმი". საანდაზო შესიტყვება, ხ. კასარესის მიხედ-

45 Виноградов В.С. Лексикология испанского языка. М., 2004, с. 180-188.

46 Casares J. Introducción a la lexicografía moderna. Madrid, 1950, p. 170.

ვით, დასაბამს იღებს წარსულში მომხდარი ერთეული რეალური ან წარმოსახვითი მოვლენისაგან. ისტორიულად frases proverbiales გამონაწევრებულია წარსულის რომელიმე მოვლენასთან, გადმოცემასთან, თქმულებასთან, ლეგენდასთან, სასაცილო ისტორიასთან, შემთხვევასთან, ვიღაც პიროვნების საქციელთან ან საქმიანობასთან დაკავშირებული რაღაც ტექსტიდან და ა. შ.

პროვერბიალური შეხამებებისგან განსხვავებით refrán (ანდაზა), ხ. კასარესის განსაზღვრებით, არის „დასრულებული და დამოუკიდებელი გამონათქვამი, რომელიც პირდაპირ ან ალეგორიულად, ჩვეულებრივ დამრიგებლური ან ქარაგმული ფორმით, გამოხატავს აზრს, ცდის, ნააზრევის, დამოძღვრა-დარიგების შედეგს ისეთი მოსაზრების სახით, რომელშიც სულ ცოტა ორი ცნება მაინც ეხება ერთმანეთს“.

ასეთია ზოგადად ხულიო კასარესის მიერ წარმოდგენილი ესპანური ენის მყარი შესიტყვებების დაყოფა. ის გამოწვლილვით აანალიზებს მყარი შესიტყვებების სამი ტიპიდან თითოეულს. ცხადია, მისი კლასიფიკაციიდან ჩვენ გვაინტერესებს locuciones, ანუ ფრაზეოლოგიური ერთეულები. ხ. კასარესი მათ რამდენიმე კლასად, სახეობად და ქვესახეობად ყოფს. დაყოფის საფუძვლად იგი იღებს ფრაზეოლოგიზმების ფუნქციურ-გრამატიკულ ნიშან-თვისებებს.

ამიტომ ერთსა და იმავე სახეობაში თავმოყრილია შიდასემანტიკური მახასიათებლებით ძალიან განსხვავებული ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებსაც გრამატიკული ფუნქციის ერთიანობა აკავშირებს. მისთვის ამოსავალს წარმოადგენს მხოლოდ შესიტყვებათა „გარეგნული ფორმა“, ის როლი, რომლებსაც ისინი წინადადებაში ასრულებენ და ითვალისწინებს, უპირველეს ყოვლისა, მეტყველების რომელიმე ნაწილის ფრაზეოლოგიზმთან ეკვივალენტურობას. ამას ადასტურებენ სახეობათა თვით დასახელებები: ნომინაციური, ზმნური, ადიექტიური, ზმნიზედური, ნაცვალსახელური და ა. შ.

§5. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სემანტიკური კლასიფიკაცია

ჩვენ შევჩერდებით ორ შესაძლო სემანტიკურ კლასიფიკაციაზე. ამ კლასიფიკაციის საფუძველს წარმოადგენს აკად. ვ. ვინოგრადოვის საკლასიფიკაციო სქემა, რომელიც ეყრდნობა ფრაზეოლოგიური ერთეულის კომპონენტთა სემანტიკური შემჭიდროვებულობისა და მისი მნიშვნელობის მოტივირებულობის ხარისხს.

1. ანალიზურ-ფრაზეოლოგიური შესიტყვებები (grupos analítico fraseológicos). ადვილი შესამჩნევია არსებითი განსხვავებანი ისეთი ტიპის ფრაზეოლოგიზმებისა, როგორებიცაა: traer del cabestro (ძალით, ქამანდით გათრევა), perder la cabeza (თავის დაკარგვა, თავგზის აბნევა), pelar la pava (თავაზიანობა, ლოიალობა), mosca muerta (ჩუმჩუმელა, თვალთმაქცი), media naranja (ცოლი), donde el diablo perdió su poncho (შორს, ცხრა მთას იქით), ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ისეთ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს შორის, როგორიცაა: dar miedo (შეშინება, შიშის მოგვრა, თავზარის დაცემა), hacer burla (სეირის ყურება, დაცინვა, მასხრად აგდება), tener razón (სამართლიანობა), poner en duda (ეჭვის შეტანა, ეჭვქვეშ დაყენება), desencadenar la guerra (ომის გაჩაღება), dar de bofetadas (სილის გაწვნა, მუშტების დაშენა), talento bestial (უდიდესი ([ზედმიწევნით „მხეცური“) ტალანტი), situación delicada (საჩოთირო, დელიკატური სიტუაცია), hambre canina (მგლის მადა, [ზედმიწევნით „ძაღლური შიმშილი“) და სხვ. პირველი ტიპის შესიტყვებების შინაარსი მთლიანად შეცვლილია. მათი შემადგენელი სიტყვები კარგავენ თავიანთ დამოკიდებულებას, „განზავდებიან“ მთლიანის მნიშვნელობაში, აღიქმებიან არა როგორც მეტყველების დამოუკიდებელი კომუნიკაციური ერთეულები, არამედ როგორც მყარი ლექსიკური ერთეულის ნაწილები. სხვაგვარადაა საქმე მეორე ტიპის გამოთქმებთან: მათზე ვერ ვიტყვით, რომ ისინი თავისუფალი შესიტყვების სრული გადააზრების შედეგად წარმოიქმნენ. მათში მხოლოდ

სიტყვები: dar, hacer, tener, poner, desencadenar, bestial, delicado და canino miedo, burla, razón, duda, guerra, bofetadas, talento, situación და hambre. ამგვარი სიტყვათშეხამებების წარმოქმნისას ხელახლა გაიაზრებოდა მხოლოდ ერთი კომპონენტი, რომელსაც უფრო ხშირად თავისი კონკრეტული ნიშან-თვისებები გადაჰქონდა აზროვნების უფრო აბსტრაქტულ საგანზე. ასეთი გადატანის ხარჯზე ერთ მთლიანობად იქცეოდნენ შესიტყვების ლექსიკური ერთეულები. ანალიზურ-ფრაზეოლოგიური შესიტყვებების მნიშვნელობა და მთლიანობა იბადებოდა და ყალიბდებოდა ნიშან-თვისებისა და მოვლენის სემანტიკური კავშირისას, რომლებიც ადრე შეუთავსებლები ჩანდნენ. ამიტომ მოვლენის აღმნიშვნელი სიტყვები თავისუფალი მნიშვნელობით იხმარებოდნენ, ხოლო მოქმედების ან ხარისხის, ნიშან-თვისების აღმნიშვნელი სიტყვები სცილდებოდნენ თავიანთ ჩვეულ მნიშვნელობას. შესიტყვება მყარი ფორმით იწყებდა კვლავწარმოებას. თუმცა ასეთ გამონათქვამებში, მიუხედავად მათი მთლიანობისა, მხოლოდ ერთი სიტყვა რჩებოდა არათავისუფალი, დამოკიდებული იმ სიტყვებზე, რომლებიც მასთან ერთად ქმნიდნენ ფრაზეოლოგიზმს. ასეთ მნიშვნელობას **ფრაზეოლოგიურად დაკავშირებულს უწოდებენ**. იგი გარკვეულ შესიტყვებებში ვლინდება და მხოლოდ მათ შედგენილობაში ასახავს სინამდვილეს. ასეთ ფრაზეოლოგიზმებს არ გააჩნიათ ომონიმური თავისუფალი შესიტყვება-ორეულები.

აკადემიკოსი ვ. ვინოგრადოვი წერდა, რომ „სიტყვის ამა თუ იმ დაკავშირებული მნიშვნელობის გარშემო დაჯგუფებული ფრაზების რაოდენობა, რომელიც ერთგვარ ჩაკეტილ ფრაზეოლოგიურ სერიას ქმნის, შეიძლება ძალიან განსხვავებული იყოს – ამ მნიშვნელობის სემანტიკური პოტენციების, ნივთობრივ-აზრობრივი რელიეფურობის შესაბამისად, მისი გამორჩეულობის ხასიათიდან გამომდინარე".[47]

47 Виноградов В.В. Основные типы лексических значений слова. // Вопрос языкознания. 1953, N 5. с. 21.

მაგალითად, ზმნა desencadenar ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობის „დაწყების" რეალიზებას ახდენს პრაქტიკულად მხოლოდ ერთ ფრაზეოლოგიზმში desencadenar la guerra (ომის გაჩაღება), ხოლო თავისი მეორე „რაიმე გრძნობის გამოწვევა" მნიშვნელობისას რამდენიმე შესიტყვებაში: desencadenar ira, pasiones, odio და ზოგიერთ სხვა შესიტყვებაში.

დაახლოებით ათი ფრაზეოლოგიზმი თავს იყრის ზმნის sacar-ის გარშემო, რომლის მნიშვნელობაა „ვიღაცის გამოყვანა (გათავისუფლება) უსიამოვნო მდგომარეობიდან": sacar de apuros, del atolladero, de la miseria, de la pobreza, de la ignorancia და სხვ. განსაკუთრებით განვითარებული ფრაზეოლოგიური კავშირები ახასიათებს ე. წ. „ფართო სემანტიკის" მქონე ზმნებს: hacer, tener, dar, poner და მისთანებს. ზმნა poner კონსტრუქციაში poner + en + არსებითი სახელი ახდენს რამდენიმე დაკავშირებული მნიშვნელობის რეალიზებას. მაგალითისთვის მოვიყვანოთ მხოლოდ ორი მათგანი:

– ვინმეს (უფრო იშვიათად – რაიმეს) ისეთ გარემოებაში ჩაყენება, რომელიც აღიქმება როგორც უარყოფითი: poner en peligro, aprieto, tortura, apuro, ridículo და სხვ.

– ვისიმე (რაიმეს) ამოქმედება: poner en movimiento, marcha, actividad, fuga, juego, funciones, obra და სხვ.

ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობის სპეციფიკას განაპირობებს ის, რომ მას შეუძლია გარკვეული სიტყვების თავისუფალ მნიშვნელობებთან შესიტყვებით მათთან ერთად წარმოქმნას ერთიანი ანალიზურ-ფრაზეოლოგიური ერთეული. მაგალითად, ამ ტიპის ზმნურ ფრაზეოლოგიზმებში, ასეთები კი ყველაზე მრავლად და ხშირად გვხვდება, ზმნისა და არსებითი სახელის გრამატიკულ-სემანტიკური ურთიერთშეღწევა მკაცრად განსაზღვრული მიმართულებებით ხდება: ზმნა თითქოსდა განთესავს თავის თავდაპირველ კონკრეტულ-ნივთობრივ შინაარსს და მთელ შესიტყვებას ზმნურობის ნიშან-თვისებებს სძენს და თან

ინარჩუნებს ყველა თავის გრამატიკულ ფორმას, ხოლო არსებითი სახელი „აფერმკრთალებს“ თავის გრამატიკულ ნიშან-თვისებებს და ინარჩუნებს თავის სემანტიკას, რომელიც მთელი ფრაზეოლოგიზმის ცნებითი შინაარსის საფუძვლად იქცევა. „გავლენის სფეროების“ ამგვარი განაწილება აისახება ფრაზეოლოგიზმთა სინონიმიის ცნობილ ფაქტში და ისეთ ზმნებში, რომლებსაც ისეთივე ძირი აქვთ, როგორიც ფრაზეოლოგიზმში შემავალ არსებით სახელს. შდრ:

dar susto – asustar, poner en olvido – olvidar
dar de bofetadas – abofetear, poner en libertad – liberar
dar de palos – apalear traer a la memoria – memorar
arder en deseos – desear, llevar a efecto – efectuar[48].

ანალიზურ-ფრაზეოლოგიური შესიტყვებები წარმოადგენს მყარი შესიტყვებების მეტად მრავალრიცხოვან, **აღსაწერად რთულ და ესპანისტიკაში სათანადოდ შეუსწავლელ ჯგუფს.** მათი ანალიზურობა მჟღავნდება არა მარტო ისეთი კომპონენტების არსებობაში, რომლებიც თავიანთ ძირითად ნომინაციურ მნიშვნელობას ინარჩუნებენ, და ასევე უფრო მეტ გრამატიკულ შესაძლებლობებში ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სხვა ტიპებთან შედარებით, არამედ მეტყველებაში მათი კვლავწარმოქმნის ხასიათშიც. ერთეული ანალიზურ-ფრაზეოლოგიური შესიტყვებების კვლავწარმოება ენაში ხდება მდგრად ერთეულთა სხვა ტიპების მსგავსად. იგივე შეიძლება ითქვას ფრაზეოლოგიური სერიის შემადგენელი ორი-სამი შესიტყვების შესახებაც. მაგრამ თუკი ასეთი სერია შედგება ათზე მეტი შესიტყვებისაგან, მაშინ მათი კვლავწარმოება ერთგვარად ემსგავსება თავისუფალ სიტყვათშეხამებათა ორგანიზებას მეტყველების პროცესში.

სწორედ ანალიზურ-ფრაზეოლოგიური შესიტყვებები იკავებენ ენის ნომინაციურ საშუალებებს შორის იმ სივრცეს, რომელიც თავისუფალ შესიტყვებებს ესაზღვრება.

---

48 Виноградов В.С. Лексикология испанского языка. М., 2003, с. 193-195.

დასასრულ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ანალიზურ-ფრაზეოლოგიური შესიტყვებები, მიუხედავად მათი მეტაფორული წარმომავლობისა და განსხვავებებული სტილისტიკური შეფერილობისა, თითქმის მთლიანადაა მოკლებული გამომსახველობით ნიშნადობას. ყოველ შემთხვევაში, როგორც წესი, მათ შინაგან ფორმაში ჩადებული მეტაფორულობა არ აღიქმება მოსაუბრეთა მიერ, თუმცა კი ენის ამა თუ იმ მატარებლის მიერ შეიძლება მოსწრებულად იქნეს ნახმარი გარკვეული სტილისტიკური მიზნით.

ანალიზურ-ფრაზეოლოგიური შესიტყვებების ფონზე დანარჩენი ფრაზეოლოგიური ერთეულები სემანტიკურად უფრო შეკრულად წარმოგვიდგებიან. ფრაზეოლოგიური მთლიანობები წარმოიქმნება თავისუფალი შესიტყვებების სრული ხელახალი გააზრების გზით. ისინი ორ კომუნიკაციურ ფუნქციას ასრულებენ: აზრის ობიექტის ნომინაციას და მის დახასიათებას. ამასთან მეორე ფუნქცია ძირითადია, ამიტომ ფრაზეოლოგიური მთლიანობები ნეიტრალური სიტყვების სტილისტურად შეფერილ სინონიმებს წარმოადგენენ. ფრაზეოლოგიურ მთლიანობათა განმასხვავებელ თავისებურებას, რომელიც აყალიბებს მათ სპეციფიკას სხვა დანარჩენ ფრაზეოლოგიზმებს შორის, წარმოადგენს **შინაგანი ფორმის ქმედითობა, დაცულობა, რომელიც თანამედროვე ენაში ხატოვანია, საზოგადოებრივად აღქმულია და ფრაზეოლოგიური მთლიანობის მნიშვნელობის მოტივირებას ახდენს. სხვა სიტყვებით, ასეთ ერთეულთა დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ მათი მნიშვნელობის შედარებისას იმავე სიტყვებით ნაწარმოები თავისუფალი შესიტყვების დედააზრთან, ადამიანთა ცნობიერებაში წარმოიქმნება ხატოვანი ასოციაცია, რომელიც გარკვეულწილად განმარტავს ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობას.** განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი მყარი შესიტყვებების ამ „მრავალფეროვანი" კლასიდან: trueno gordo (ხმაურიანი სკანდალი), tonel sin fondo

(უზომო, აუვსებელი, ღორმუცელა, ძირგავარდნილი ქვევრი), agua en cesta (უაზრო შრომა, ამაოდ გარჯა), bolsa rota (მფლანგველი, ბედოვლათი), terreno abonado (ნაყოფიერი ნიადაგი, ხელშემწყობი გარემო); alborotar el gallinero (ვინმეს მყუდროების დარღვევა, საქათმის აფორიაქება); hacer harina (ვიღაცის ცემა, დალილავება), cerrar las filas (შემჭიდროვება, შეერთება), hilar fino (თვალთმაქცობა, დახვეწილი, ფაქიზი თამაში), მოსწრებული სვლა), sacar frutos (შედეგი მიიღო, ნაყოფი მოიმკო), buscar una perla en el mar (შეუძლებლის მონდომება), metido en harina (გატაცება რაიმეთი), hecho un pollo (სველი, გალუმპული), duro de cabeza (ჯიუტი, შეუვალი, შეუსმენელი), a pecho descubierto (უშიშრად, ხმალამოღებით), como abeja en flor (ნებიერად, როგორც თევზი წყალში), a sangre caliente (ცხელ გულზე, დაუფიქრებლად, ნაჩქარევად), a dos haces (ორპირად, თვალთმაქცურად), de perlas (შესანიშნავად, საუცხოოდ), donde el diablo perdió su poncho (შორს, ცხრა მთას იქით, ჯანდაბაში – ლათ. ამერიკა) და ა. შ.

ამ ფრაზეოლოგიზმებიდან თითოეულს აქვს ტრადიციით გამაგრებული კონსტანტურ-ფრაზული მნიშვნელობა და მოეპოვება მასთან შეფარდებული და მისი წარმომქმნელი თავისუფალი (ცვლადი) შესიტყვება, რომელიც ფრაზეოლოგიური მთლიანობის შინაგან ფორმას წარმოადგენს. მეტაფორული ხმარების პერიოდში აღნიშნული თავისუფალი შესიტყვებები ერთი მატერიალური ფორმით ორ შესაძლო შინაარსს ნიღბავდნენ – პირდაპირსა და გადატანითს (მეტაფორულს), დროთა ვითარებაში მოხდა ერთი ფორმის მეორისაგან ერთგვარი გამოყოფა, იმის მსგავსად, როგორც ეს მარტივ სიტყვებში ხდება ომონიმის წარმოქმნისას პოლისემიის დაშლის საფუძველზე. ოკაზიური გადატანითი ხმარების სფეროდან შესიტყვება თანდათან გადადიოდა ენის მდგრადი ნომინაციური საშუალებების სფეროში, ხდებოდა შესატყვისი ენობრივი ერთობისათვის მისაღები გარკვეული მნიშვნელობის მიმაგრება. ფრაზეოლოგიური მთლიანობისა და

მისი „ორეულის“ ომონიმიის სპეციფიკას განაპირობებს ის, რომ თავისუფალი შესიტყვება, რომელიც ფრაზეოლოგიური მთლიანობის გენეტიკურ საფუძველს წარმოადგენს, რჩება მის შინაგან ფორმად და ხელს უწყობს მის ხატოვან აღქმას. ფრაზეოლოგიური მთლიანობის კონსტანტურ-ფრაზული მნიშვნელობა გამაგრებულია საზოგადოებრივად აღქმული მეტაფორული ასოციაციით, რომელიც, თუკი ეს აუცილებელია მოსაუბრეთათვის, მყარდება ფრაზეოლოგიზმსა და მის შინაგან ფორმას შორის. **ფრაზეოლოგიური მთლიანობის შინაგანი ფორმა ჩრდილივით თან სდევს მას მეტყველებაში. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს „ჩრდილი“ ყოველთვის იქცევს მოსაუბრეთა ყურადღებას. მეტყველების ნაკადში ჩვენ ვახდენთ ფრაზეოლოგიური მთლიანობის კვლავწარმოებასა და აღქმას ისე, რომ არ ვფიქრობთ მისი ხატის შინაარსზე, ვეყრდნობით რა მხოლოდ თვით ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობასა და მის სტილისტურ და სტილურ შეფერილობას.**

ფრაზეოლოგიური შინაგანი ფორმის ხატოვანი საფუძველი იხსნება, მჟღავნდება მხოლოდ სტილისტური ინდივიდუალურ-საავტორო მიზნით, მაგალითად, ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ე. წ. დაშლისას, დანაწევრებისას.

ფრაზეოლოგიური მთლიანობა – ესაა მყარი შესიტყვება, რომელიც წარმოქმნილია თავისუფალი ლექსიკური შეხამების სრული ხელახალი გააზრების გზით და რომელსაც კონსტანტურ-ფრაზული მნიშვნელობა და ამ მნიშვნელობის ხატოვანი მოტივირებისათვის გათვალისწინებული შინაგანი ფორმა აქვს.[49]

3. ფრაზეოლოგიური შენაზარდები (unidades idiomáticas). მყარი შესიტყვებების ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელია თანამედროვე ენაში მათი ორგვარად, ორ ჭრილში აღქმის შეუძლებლობა. ფრაზეოლოგიურ შენაზარდთა კონსტანტურ-ფრაზული მნიშვნელობა არ მოიაზრება მათი შინაგანი

49 Виноградов В.С. Лексикология испанского языка. М., 2003, с. 199.

ფორმის ფონზე. ეს თანამედროვე, ენობრივ გარემოში გამომსახველობითად არამოტივირებული ფრაზეოლოგიური ერთეულებია, ამგვარ შესიტყვებებს შეიძლება მივაკუთვნოთ: el pelo de la dehesa (ხეპრეობა, უზრდელობა, ტეტიობა), la carabina de Ambrosio (უსარგებლო ნივთი, ყოვლად გამოუსადეგარი რამ), gramárica parda (მოხერხებულობა, გერგილიანობა, კვაჭობა), abate Pirricas (კოხტაპრუწა, ქარაფშუტა), puente de los asnos (დაბრკოლება, წინააღმდეგობა, საფრთხე), tomar las de villadiego (მოკურცხვლა), tomar el olivo (გაქცევა, გუდა-ნაბადის აკვრა), hacer ares y mares (სასწაულების მოხდენა), llamarse andana (გამოძვრომა (რაიმე საქმიდან), თავის არიდება, უკან დახევა), dejar (a uno) en la estacada (ვიღაცის მიტოვება გასაჭირში, ან საფრთხეში), quedarse a la luna de Valencia (მშრალზე დატოვება, პირში ჩალაგამოვლებულად დარჩენა), poner en berlina (სასაცილო მდგომარეობაში ჩაყენება), echar pelillos a la mar (შერიგება, დათმობაზე წასვლა), a brazo partido (რაც ძალი და ღონე აქვს, თავდადებით, თავგანწირულად), por arte de birlibirloque (სასწაულებრივად, საეჭვოდ, საიდუმლოდ), entre pinto y valdemoro (გადაკრულშია, შეზარხოშებულია), pie juntillas (მტკიცედ, უყოყმანოდ), a la chita callando (ფარულად, ჩუმ-ჩუმად) და ა. შ.).

– matar el gusanillo (უზმოზე ერთი სირჩის გადაკვრა; წახემსება; ზედმიწევნით: „ჭიის მოკვლა“) სიტყვათშეხამების შინაგან ფორმას ოდესღაც თვისი ხატოვანი დასაბუთება ჰქონდა. შუასაუკუნეობრივი ხალხური რწმენის თანახმად, ადამიანის კუჭში ბინადრობდა ჭია, რომელიც ხშირად ითხოვდა საჭმელს მისი მადის დასაოკებლად დილიდანვე საჭირო იყო ერთი სირჩა მათრობელა სასმელის დალევა, რაც თუ არ მოკლავდა მას, ცოტა ხნით დააწყნარებდა მაინც.

ფრაზეოლოგიურ სიტყვათშეხამებაში echar pelillos a la mar (შერიგება, დათმობაზე წასვლა, ძველი წყენის დავიწყება; ზედმიწევნით: „ზღვაში თმის ღერების ჩაყრა“) ძველისძველი ჩვეულებაა ასახული. ის, ვინც სიტყვის შესრულების

ან ძველი წყენის დავიწყების დაპირებას იძლეოდა, მეტი დამაჯერებლობისთვის საკუთარი თმის ღერს იძრობდა, სულს უბერავდა და თან აყოლებდა სიტყვებს: pelillos a la mar. ეს დაფიცება დიდხანს იყო შემონახული ესპანელი ბავშვების თამაშებში. შერიგების, დაზავების ნიშნად ტარიგისთვის, კრავისთვის ბალნის მოჭრის ჩვეულება აღწერილია „ილიადაშიც".[50] (ქართული წესი: ულვაშის ღერის გამოძრობა ფიცის ნიშნად).

ფრაზეოლოგიზმები ponerse en berlina (სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩენა), poner en berlina (სასაცილო მდგომარეობაში ჩაყენება), estar en berlina (სასაცილო მდგომარეობაში ყოფნა; ზედმიწევნით ოთხთვალაში (ეტლში) აღმოჩენა") წარმოიქმნა XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც მადრიდში გაჩნდა ღია ეკიპაჟები, რომლებიც ბერლინური ეტლების მსგავსად იყო გაკეთებული. მგზავრები ყველას დასანახად ისხდნენ, რაც თავიდან იწვევდა სიცილსა და სახუმარო კომენტარებს გამვლელებისა და უსაქმურების მხრიდან.[51]

ფრაზეოლოგიური შეხამება estar en las Batuecas (ოცნებებში წასვლა, ღრუბლებში ფრენა) თავისი წარმომავლობით სალამანკასა და სიუდად როდრიგოს შორის მდებარე ბატუეკასის ხეობის მცხოვრებლებს უნდა უმადლოდეს. ისინი თითქმის ველურებად მიაჩნდათ. თავის დროზე ამ ხეობასა და მის მოსახლეობაზე ბევრ მონაჩმახსა და აბდაუბდას ჰყვებოდნენ.

მეორეც, ფრაზეოლოგიზმის შინაგანი ფორმა შეიძლება არამოტივირებული აღმოჩნდეს ისეთი საკუთრივ ენობრივი მიზეზების გამო, როგორიცაა გრამატიკული კატეგორიების ფორმის ან შინაარსის შეცვლა, ფრაზეოლოგიზმის ერთ-ერთი წევრის გამოტოვება, სიტყვების ან მათი მნიშვნელობების არქაიზაცია და ა. შ.

---

50 Iribarrem J.M. El porqué de los dichos. p. 68.

51 Ibid. p. 95-96.

ფრაზეოლოგიური შენაზარდის verlas venir (ალღო, ყნოსვით შეტყობა, (იყნოსა) წარმოქმნას ხელი შეუწყო cartas არსებითი სახელის ელიფსმა. ოდესღაც ეს გამოთქმა სრული ფორმით იხმარებოდა:

Juan vio venir las cartas, მისი გადატანითი მნიშვნელობა მოტივირებულია პირდაპირი მნიშვნელობით: „ხუანი ხედავდა (მისთვის ამოსულ) ბანქოს ქაღალდებს.

ფრაზეოლოგიზმებში მიმდინარე ფონეტიკურ-გრამატიკული ცვლილებები ასევე უწყობენ ხელს მათი შინაგანი ფორმის მოტივაციის გაქრობას. ფრაზეოლოგიურ ერთეულში hacer mucho dalgo (წყალობით ავსება) მოხდა de თანდებულის და algo ნაცვალსახელის შერწყმა, რამაც გამოიწვია ოკაზიური სიტყვის dalgo-ს გაჩენა, რომლის გამოყენება, ხმარება მხოლოდ ამ ფრაზეოლოგიზმით ამოიწურება, შინაგანი ფორმის გააზრებას ართულებენ შესიტყვებებში წარმოქმნილი გრამატიკული ანომალიები. მაგალითად, გამონათქვამებში a ojos vistas (შესამჩნევად, ცხადად, ღიად, თვალწინ), a pie juntillas (მტკიცედ, შეუპოვრად, დარწმუნებით, უეჭველად).

უნდა შევნიშნოთ, რომ a pie juntillas ტიპის სიტყვათშეხამებებში ანომალია ერთობ თავისებურია. შესიტყვებებში დარღვეულია გრამატიკული კავშირი არსებით სახელსა და მის განსაზღვრებას შორის, ეს, ცხადია, გრამატიკული წესების დარღვევას წარმოადგენს. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ეს შესიტყვებები არსებითად ზმნიზედების ეკვივალენტურ მყარ ერთეულებს წარმოადგენს, ანომალია აუხსნელი და გაუგებარი აღარ მოგვეჩვენება. ეს, როგორც ჩანს, დაკავშირებულია გრამატიკული ანალოგიის მოვლენასთან: ზმნიზედური ფრაზეოლოგიზმები ემსგავსებიან ენაში არსებულ ისეთი ტიპის მარტივ და რთულ ზმნიზედებს, როგორებიცაა: jamás, apenas, detrás, a hurtadillas, a tientas, a ciegas და ა. შ.

სიტყვა blanca ადრე აღნიშნავდა „ვერცხლის მონეტას". დღეს ეს არქაიზმია და ამიტომაც ფრაზეოლოგიზმებს estar sin blanca (უფულოდ, გახვრეტილი კაპიკის გარეშე ყოფნა)

და no tener blanca (უკაპიკოდ ჯდომა) თანამედროვე ენაში არ გააჩნიათ ხატოვანი მოტივირება. მაგრამ, მაგალითად, XVI საუკუნეში ამ შესიტყვებების შინაგანი ფორმა გამჭვირვალე იყო, ცხადია, ამ შემთხვევაში ენობრივი ფაქტი (სიტყვის მნიშვნელობის არქაიზება) ექსტრალინგვისტური მიზეზებით არის განპირობებული.

საზოგადოდ, ფრაზეოლოგიზმის შინაგანი ფორმის დემეტაფორიზაცია არცთუ იშვიათად ხდება როგორც სოციალური, ისე ენობრივი მიზეზების ორმხრივი ზეგავლენით. ფრაზეოლოგიურ შენაზარდში tomar las de villadiego გამოტოვებულია კომპონენტი calzas) (მოკლე, მუხლებამდე შარვალი, თანამედროვე ენაში calzas – ესაა წინდები, გეტრები, გამაშები), ხოლო მნიშვნელობა სიტყვისა villadiego[52] დავიწყებულია. სინონიმურ გამონათქვამში coger las del martillado „სავალი გზა", რომელიც ხალხურ მეტყველებაში იხმარებოდა, ამჟამად თითქმის დაკარგულია.

საერთოდ, გამოთქმები la, las ნაცვალსახელური ელემენტებით ესპანურ სიტყვათშეხამებათა მეტად თავისებურ ჯგუფს შეადგენენ: La, las ყოველთვის როდი ადასტურებენ ნიშანდობლივი, მნიშვნელოვანი სიტყვების გამოტოვებას, როგორც ეს ზემოთ მოყვანილ მაგალითებში გვხვდებოდა, ანდა, როგორც ჩანს, შემდეგ გამონათქვამებში; armar la de San Quintín (აყალმაყადის ატეხა, დავიდარაბის ატყდომა), dársela (a uno) con queso (მოტყუება, გაცურება), რომლებშიც გამოტოვებულია, შესაბამისად, batalla და ratonera. მტკიცება ელიფსის შესახებ შეიძლება არასრული ან მცდარი იყოს ბევრი ისეთი შესიტყვისის მიმართ, როგორიცაა matarlas en el aire (უმალვე მიხვედრა; გერგილიანობა, მოსაზრებულო-

52 ხოსე მარია ირიბარენს ნახსენებ ლექსიკონში მოჰყავს ამ სიტყვის რამდენიმე განმარტება: ციხიდან მოხერხებულად გაქცეული პატიმრის გვარი; გვარი ესპანელისა, რომელიც ხელისუფლებას საცვლების ამარა დარჩენით დაემალა; ავანტიურისტი კონკისტადორის, ერნან კორტესის თანამებრძოლის გვარი; დამახინჯებული არქაული სიტყვა ვილლარიეგო (სწრაფად მოსიარულე, მალემსრბოლი) და სხვ.

ბა), hacerla cerrada (გამოუსწორებელი შეცდომის ჩადენა), pegarla de puño (ვიღაცის მოტყუება, გაცურება) და ასევე იმ ფრაზეოლოგიზმებში, რომელთა საწყისი ენობრივი ფორმა წარმოადგენს მთლიანად გაფორმებულ ინფინიტივს ნაცვალსახელური დამატებებით (freírsela ვიღაცის მოტყუება, მისთვის თვალში ნაცრის შეყრა, pegársela არსებობისათვის წელებზე ფეხის დადგმა; ცხოვრების აწყობა). ამგვარი ერთეულები მეტყველებაში დამოუკიდებლად ფორმდება (Juan siempre se la frie a Pedro ხუანი ყოველთვის ატყუებს პედროს; nos la buscamos ასე თუ ისე ვეწყობით, ვიწყობთ ცხოვრებას). ხ. კასარესი მიიჩნევს, რომ ასეთი გამონათქვამების ანალიზისას „მხედველობაში უნდა მივიღოთ ძირითადი რომანული ენებისათვის დამახასიათებელი ერთი ენობრივი მოვლენა, სახელდობრ, ენათა ისტორიული განვითარების პროცესში მდედრობითი სქესის კრებითი არსებითი სახელების წარმოქმნა საშუალო სქესის სახელთა მრავლობითი რიცხვიდან". ესპანისტები ნ. კურჩატკინა და ა. სუპრუნი „დამოუკიდებელ მდედრობით სქესს" უწოდებენ იდიომებში la, las-ის არსებობას, რომლებიც ლექსიკურად არ შეეფარდებიან არსებით სახელებს და არაფერთან არიან შესიტყვებული"[53].

ფრაზეოლოგიზმები ხშირად რჩებიან მოტივაციის გარეშე, თუკი მათ შედგენილობაში შედიან კომპონენტები, რომლებიც არასოდეს ყოფილან დამოუკიდებელი სიტყვები და არ გამოყენებულან არსად მყარი შესიტყვების გარდა, უცხოენოვანი ან ესპანური წარმომავლობის ფონეტიკურად დამახინჯებული სიტყვები და ხმაბაძვითი სიტყვები. ესაა ისეთი ტიპის შეხამებები, როგორიცაა: chilindrín chilindrina (ხუმრობა; ეშმაკობა), a troche y moche (დაუფიქრებლად, ალალბედზე, უწესრიგოდ), de bóbilis – bóbilis (უფასოდ, მუქთად, დაუფიქრებლად, უთავბოლოდ), al buen tuntún (ალალბედზე, გაუაზრებლად), por fas o por nefas (რადაც უნდა დაუჯდეს, ყველა ღონეს ხმარობს), de pa a pa (თხემით ტერფამდე) და ა. შ.

53 Курчаткина Н. Н. Супрун А.В. Фразеология испанского языка. с. 67-68.

უკვე ითქვა, რომ ფრაზეოლოგიურ შენაზარდებს არ გააჩნიათ აღქმის შესაძლო ორპლანიანობა და მათი მნიშვნელობები მოტივირებული არ არის, ისინი უნდა განიხილებოდნენ როგორც არახატოვანი, უსახო შესიტყვებები, თუმცა ისინი შეესაბამებიან ენის მოთხოვნილებებს ემოციურ-ექსპრესიულ საშუალებებზე. შენაზარდები ემოციურად შეფერილია. ისინი უფრო ექსპრესიულები არიან, ვიდრე მათი სტილისტურად ნეიტრალური სინონიმები. როგორც ჩანს, ენის მატარებლებს ჯერ კიდევ აქვთ შენარჩუნებული იდიომის ხატოვანი შინაარსის ლატენტურობის, „დაფარულობის“ შეგრძნება. ექსპრესიულობა განისაზღვრება აგრეთვე ფრაზეოლოგიური შენაზარდის თვით მნიშვნელობით, რასაც ხელს უწყობს ფორმისა და შინაარსის მოჩვენებითი შეუსაბამობა.

ფრაზეოლოგიური შენაზარდი – ესაა კონსტანტურ-ფრაზული მნიშვნელობის მქონე მყარი შესიტყვება, რომლის გამომსახველობით-ხატოვანი მოტივირება შესიტყვების შინაგანი ფორმის მხრივ დაკარგულია.

§6. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ფუნქციურ-გრამატიკული კლასიფიკაცია

ფრაზეოლოგიური ერთეულის კომპონენტთა შიდასემანტიკური და სტრუქტურული შეკავშირებულობა განსაზღვრავს მის გრამატიკულ მახასიათებლებს, მის ფუნქციურ შესაბამისობას მეტყველების ამა თუ იმ ნაწილისადმი. გრამატიკულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხულიო კასარესმა სიტყვასთან შეფარდებული მყარი ესპანური შესიტყვებები რამდენიმე სახეობად დაყო.

პირველ ყოვლისა, ხულიო კასარესმა ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც მეტყველების მნიშვნელოვანი ნაწილების ფუნქციებს ასრულებენ, გამოყო იმ შესიტყვებებისაგან, რომლებიც მეტყველებაში თანდებულებისა და კავშირების

როლში გამოდიან. ასე გაჩნდა ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ორი ტიპი: ძირითადი და მაკავშირებელი, დამხმარე (locuciones significantes y locuciones conexivas).

ძირითად ფრაზეოლოგიურ ერთეულებს შორის ს. კასარესი გამოყოფს შვიდ სახეობას:

1. სუბსტანტიური ერთეულები (locuciones nominales), რომლებიც აღნიშნავენ პიროვნებებს, საგნებს, მოვლენებსა და არსებითი სახელების ეკვივალენტებს: alma de cántaro (რეგვენი, ბოთე, ჩერჩეტი), fuerza pública (პოლიცია), gallina ciega (დახუჭობანა), el perro del hortelano (ავი ძაღლი), moco de pavo (არარაობა, ფუჭი რამ), caldo de gorra (თვალთმაქცი, ეშმაკი), calderas de Pedro Botero (ჯოჯოხეთური პაპანაქება, ხვატი), el lecho de Procrustes (პროკრუსტეს სარეცელი); manzana de discordia (განხეთქილების ვაშლი), las once mil vírgenes (ოსპი) და ა. შ.

სუბსტანტიური ფრაზეოლოგიზმები თავიანთი სტრუქტურისა და ფუნქციების მიხედვით არაერთგვაროვნები არიან. ს. კასარესისეული დაყოფის გაუმეორებლად აღვნიშნავთ, რომ მათ შორის მიზანშეწონილია განვასხვავოთ მახასიათებელი ფრაზეოლოგიური ერთეულები (licuciones caracterizadoras) და სახელდებითი ფრაზეოლოგიური ერთეულები (locuciones nominadoras). ამათგან პირველთა ძირითად ფუნქციას, როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს, წარმოადგენს არა აზრის, საგნის ნომინაცია, არამედ მისი დახასიათება; ესაა შეხამებები შემდეგი ტიპისა: el perro del hortelano, alma de cántaro, carabina de Ambrosio, gramática parda, fe púnica, moco de pavo, chilindrín chilindrina, cabo de vara (ახირებული, ხუშტურიანი; დესპოტი), pájaro gordo (დიდი ვინმე, ბობოლა), aguas calientes (სისულელე, მიქარვა), puchero de grillos (ორომტრიალი, აურზაური; აბდაუბდა) და ა. შ. ეს ფრაზეოლოგიზმები არ ასახელებენ კონკრეტულ საგანს, პირს, საქციელს ან მოვლენას, ისინი გამოხატავენ ცნებებს ნებისმიერი ისეთი საგნის, ცოცხალი არსების ან სინამდვილის ფაქტის შე-

სახებ, რომლებიც გარკვეულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ანდა რომლებსაც მოეპოვებათ რაიმე სპეციფიკური თვისება, ანუ ისინი ასახელებენ თვით ამ მდგომარეობას ან თვისებას. ამიტომ ასეთი ფრაზეოლოგიზმები ახასიათებენ ყველაზე განსხვავებულ საგნებს, ცოცხალ არსებებს, მოვლენებს, ქმედებებს და ა. შ. თუკი იცი ასეთი ფრაზეოლოგიზმი მაინც ძნელია გამოიცნო, თუ აზრის რომელ საგანთან იქნება იგი შეფარდებული. თუმცა იმის თქმა კი წინასწარ შეიძლება, თუ როგორი იქნება ეს ობიექტი.

მახასიათებელი ფრაზეოლოგიური ერთეულები მხოლოდ მეტყველებაში გამოხატავენ აბსტრაქტულ ცნებებს და იძენენ კონკრეტულ მიმართებას ექსტრალინგვისტური მატერიალური ობიექტებისადმი. ისინი ახდენენ ისეთი ნივთების, არსებებისა და ქმედებების სახელდებას, რომლებსაც უკვე აქვთ თავიანთი სახელწოდებები და ეს სახელდება ხორციელდება მათი დახასიათებისათვის, ამასთან უფრო ხშირად ირონიული და უარყოფითი მხრიდან.

თუმცა არსებობს ბევრი სუბსტანტიური მყარი შესიტყვება, რომელთა ფუნქცია წმინდა ნომინაციურია. ისინი ასახელებენ ყოფიერების საგნებს. ესაა შემდეგი ტიპის სუბსტანციური ფრაზეოლოგიური ერთეულები: arco iris (ცისარტყელა), pájaro nino (პინგვინი), agua fuerte (დაუხალასებელი აზოტმჟავა), gallina ciega (დახუჭობანა), lengua de gato (საკონდიტრო ნაწარმის სახეობა), visto bueno (ვიზა დოკუმენტზე), caballo de vapor (ცხენის ძალა) manzana de Adam (ადამის ვაშლი), patrón oro (ოქროს სტანდარტი) და ა. შ. ბევრი ასეთი ფრაზეოლოგიზმი წარმოადგენს საგნების, არსებების, მოვლენების ერთადერთ სახელწოდებას. ზოგჯერ ისინი აღნიშნავენ ტერმინოლოგიური ცნებების მხოლოდ ყოფით, სასაუბრო სახელწოდებებს ანდა უბრალოდ არიან ტერმინები. რთული ტერმინები შეიძლება აღნიშნავდნენ კონკრეტულ საგნებს და აბსტრაქტულ ცნებებს. მაგრამ ტერმინის აბსტრაქცია მკაცრად განსაზღვრული, თავისებურად „კონ-

კრეტულია". მაგალითად, caballo de vapor – სიმძლავრის საზომი ერთეულია და ყოველთვის უდრის 75 კგ წთ/წმ-ს. ასეთ ფრაზეოლოგიზმებს ზოგჯერ ტერმინოლოგიურ მთლიანობებს უწოდებენ და ფრაზეოლოგიური ერთეულების განსაკუთრებულ კლასად გამოყოფენ.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სახელდებით ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ადვილად აღსაქმელმა ხატოვანებამ და მეტაფორულმა წარმომავლობამ ვერ შესძინა მათ თანამედროვე ენაში მახასიათებელი ფუნქცია. მათ შინაგან ფორმაში ჩადებული ექსპრესიულ-ხატოვანი „პოტენცია" ჩვეულებრივ სამეტყველო პირობებში არ გამოიყენება.

განსახილველ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შორის არის შესიტყვებები, რომელთა შინაგან ფორმას არ გააჩნია რაიმე მეტაფორული შინაარსი. მაგალითად, piedra imán (ქვა-მაგნიტი, მაგნიტური ქვა), vagón restaurante (ვაგონ-რესტორანი), coche – correo (საფოსტო ვაგონი) და ა. შ. თავიანთი გრამატიკული და ფუნქციური სემანტიკური თავისებურებებით ისინი არაფრით განსხვავდებიან „ხატოვანი" სახელდებითი ფრაზეოლოგიზმებისაგან. ენაში ისინი ნომინაციურ ფუნქციას ასრულებენ.

სუბსტანტიური ფრაზეოლოგიური ერთეულები ძალიან ხშირად იწარმოებიან ორი არსებითი სახელის უთანდებულო თანამდებარეობის გზით. ასეთი შესიტყვების მეორე კომპონენტს ფორმალურად დამატების პოზიცია უჭირავს: arco iris, casa cuna, peje palo (შებოლილი ვირთევზა) და ა. შ. ზოგადი გამფორმებლები, არტიკლები და მრავლობითი რიცხვის მაჩვენებელი შეეფარდება შესიტყვების მხოლოდ პირველ კომპონენტს: los arcos iris, las casas cuna, los pejes palo, los coches cama და ა. შ.

სახელდებითი სუბსტანტიური ფრაზეოლოგიური ერთეულები ზოგჯერ ავსებენ მახასიათებელი სუბსტანტიური ფრაზეოლოგიზმების ჯგუფს. ასე მაგალითად, შესიტყვებამ

pájaro niño (პინგვინი) ხელახალი გააზრებისას მოგვცა „თვალთმაქცი, საეჭვო ადამიანი", niño de pecho (ჩვილი) აღნიშნავს აგრეთვე „ძუძუმწოვარსაც" და ა. შ.

2. ზმნური ფრაზეოლოგიური ერთეულები (locuciones verbales), რომლებიც ასახელებენ მოქმედებებს და ზმნების ეკვივალენტურნი არიან: guardar las vueltas (სიფრთხილის გამოჩენა, გასაფრთხილებელი ზომების მიღება). hacer las once (წახემსება, წასაუზმება), quedarse con un palmo de narices (პირში ჩალაგამოვლებულად დარჩენა), coger la vez (რიგის დაკავება), coger una mona (დათრობა, გამობრუჟვა), tirar la manta (გამოაშკარავება, საბურველის ჩამოცილება), irse al Pardo (გახუნება, გაუფერულება), hacerse el gallito (ყოყლოჩინობა, კუდის ყავარზე გადება), hacer nana (დაძინება), poner en olvido (დავიწყება, დავიწყებისთვის მიცემა), hacer burla (დაცინვა, მასხრად აგდება) და ა. შ. ეს ფრაზეოლოგიზმების ყველაზე „მრავალრიცხოვანი" ფუნქციურ-გრამატიკული სახეობაა. მათ პირველ კომპონენტს ყოველთვის წარმოადგენს ზმნა, რომელიც გრამატიკულად აფორმებს შესიტყვებას როგორც ენობრივ ერთეულს. მისი მორფოლოგიური ცვლილების გზით ხდება მთელი ფრაზეოლოგიზმის ზმნური თვისებების რეალიზება.

3. ადიექტიური ფრაზეოლოგიური ერთეულები (licuciones adjetivales), რომლებიც ასახელებენ პირთა და საგანთა თვისობრივ მახასიათებლებს და ზედსართავის ფუნქციებს ასრულებენ: de pelo en pecho (მამაცი, უშიშარი, ძლიერი), de chicha y nabo (უმნიშვნელო, არაფრის მაქნისი), de tres pepinos (რიგითი, არაფრით გამორჩეული), duro de cabeza (ჯიუტი), de adorno (უსარგებლო, გამოუსადეგარი), en agraz (ნაადრევი, უმწიფარი), echado por atrás (მკვეხარა, ტრაბახა, თავდაჯერებული), de padre y muy señor mío (არაჩვეულებრივი, საუცხოო, იშვიათი), sin par (შეუდარებელი, გამორჩეული) და ა. შ.

4. ნაცვალსახელური ფრაზეოლოგიური ერთეულები (locuciones pronominales), რომლებიც მიუთითებენ საგანზე ან

ნიშან-თვისებაზე კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში და რომლებიც ნაცვალსახელებთან არიან გათანაბრებული; cada quisque (ყოველი, თითოეული), este cura (მხ. რიცხვის I პირის ნაცვალსახელის ეკვივალენტი), uno que otro (რამდენიმე, ზოგიერთი, რომელიღაც), cada cual (ყოველი), el que más y el que menos (ყველა გამოუკლებლივ, ნებისმიერი) და ა. შ. ეს საკმაოდ შეზღუდული ჯგუფია, როგორც წესი, არასახოვანი, მყარი შესიტყვებებისა.

5. ზმნიზედური ფრაზეოლოგიური ერთეულები (locuciones adverbiales), რომლებიც ასახელებენ მოქმედებათა და მდგომარეობათა ხარისხობრივ და რაოდენობრივ მახასიათებლებს და რომლებიც ზმნიზედების ეკვივალენტურნი არიან. a pan y cebolla (ნახევრად მშიერი), a la birla birlonga (აგდებულად, დაუდევრად, უცერემონიოდ), a ojos cegarritas (თვალმოჭუტულად), con los ojos cerrados (ბრმად, დაუფიქრებლად, ალალბედზე, თვალდახუჭული), sin decir tuz ni muz (უდავოდ, უსიტყვოდ, სიტყვის შეუბრუნებლად), por fas o por nefas (რადაც უნდა დაჯდეს, ასე თუ ისე), en tiempo de Rey perico (უხსოვარ დროს, ადამისა და ევას დროს), და ა. შ. ეს მდგრადი შესიტყვებების მეტად მრავალრიცხოვანი და მრავალსტრუქტურიანი სახეობაა.

6. შორისდებლური ფრაზეოლოგიური ერთეულები (locuciones interjectivas), რომლებიც შედგებიან ორ და მეტ სიტყვიანი შეძახილების, წყევლა-კრულვის და ფიცისაგან და სხვადასხვაგვარ ემოციებსა და სურვილებს გამოხატავენ. ეს ფრაზეოლოგიზმების მეტად თავისებური სახეობაა. ზოგიერთი მათგანი სინტაქსურად პრედიკატულ ერთეულს წარმოადგენს. თუმცა სემანტიკური თვალსაზრისით მათი პრედიკატულობა ნეიტრალიზებულია. ასეთი შესიტყვებები ფაქტობრივად არ გადმოსცემენ აზრს. ისინი რაიმე კონკრეტული ცნებების ნომინაციისთვისაც კი არ გამოიყენებიან, იხმარებიან გარკვეულ სიტუაციებში სხვადასხვაგვარი ემოციების ან ნებელობითი განზრახვების გამოსახა-

ტავად. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან ისეთი შესიტყვებები, როგორებიცაა: Más valle! (საქმეც ეგაა! ასე უკეთესია!), Dios mío! (ღმერთო ჩემო! ოჰ! ვაი! უი!), Adiós, Madrid! (დავიღუპეთ! ჭირი მოგვჭამა! ჯვარი დაესვა!), Ancha es Castilla! (რაც იყოს, იყოს!, მიდი, აბა ჰე!), Vaya una ganga (დიდი ამბავი! მერე რა! თქვენც იტყვით, რა!), Válgame Dios (ერიჰა! ეშმაკმა დალახვროს! – გაკვირვების, წყენის გამოსახატავად), Al banco tío Roque (მიდი, შეუბერე! მიაწექი!, მიდი, მიდი!) და ა. შ.

7. მიმღეობური ფრაზეოლოგიური ერთეულები (locuciones participales), რომლებიც აღნიშნავენ მდგომარეობას, როგორც ვინმეს ან რაიმეს ნიშან-თვისებას. მათ პირველ კომპონენტს ყოველთვის წარმოადგენს მიმღეობა hecho. ეს შესიტყვებათა მცირერიცხოვანი ჯგუფია. მათ გამოყოფას ცალკე დაბეჯითებით მოითხოვს ხულიო კასარესი, თუმცა ისინი ადვილად შეიძლება აგვერიოს კომპარატიულ შესიტყვებებთან, რომლებიც იწყებიან სიტყვით como. მიმღეობური ფრაზეოლოგიზმების სპეციფიკას წარმოადგენს ის, რომ მათ შეუძლიათ მიმღეობური შესიტყვებების ნარმოქმნა და გამოიყენებიან სახელდებითი წევრის სახით მდგომარეობის აღმნიშვნელ ზმნებთან. აქ საუბარია ისეთი ტიპის შესიტყვებებზე, როგორებიცაა: hecho (a, os, us) un mar de lágrimas (ცრემლებად დაღვრა, ცრემლებად გადაქცევა), hecho una sopa (გალუმპვა, თავიდან ფეხებამდე დასველება), hecho un brazo de mar (გამოპრანჭული, მორთულ-მოკაზმული) და ა. შ. ხ. კასარესი გვაფრთხილებს: „როდესაც como-ს ხმარება hecho (ან hecha) მიმღეობის ნაცვლად არ ცვლის მნიშვნელობას, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს არ არის ჭეშმარიტად მიმღეობური შესიტყვება".

დამხმარე ფრაზეოლოგიზმებს შორის ხ. კასარესი გამოყოფს ორ სახეობას:

1. კავშირიანებს (locuciones conjuntivas), როგორებიცაა: para que (რათა, რომ), a fin de que (რომ, რათა), a pesar de que (მი-

უხედავად იმისა, რომ, თუმცა), bien que (თუმცა, მაინც), con tal que (თუკი, უკეთუ), puesto que (იმიტომ, რომ), después que (მას შემდეგ, რაც), sin embargo (მაგრამ, მაინც, მაინც ხომ), como quiera que (ვინაიდან, რადგან) და ა. შ.

2. წინდებულიანებს (locuciones prepositivas): cerca de (მახლობლად, თან), delante de (წინ), en medio de (შუაში), después de (შემდეგ), al cabo de (გასვლის შემდეგ), en virtud de (გამო, შედეგად), a consecuencia de (მიზეზით, შედეგად), en vez de (ნაცვლად, მაგიერ), por medio de (საშუალებით) და ა. შ.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა დაჯგუფების დასრულებისას აუცილებელია ერთხელ კიდევ გაესვას ხაზი იმას, რომ მყარი შესიტყვებები ძნელად თავსდებიან საკლასიფიკაციო სქემებში. ორივე აღნიშნული კლასიფიკაციის გაგრძელება და შემდგომი დეტალიზება შესაძლებელია ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სტრუქტურული, სემანტიკური, სინტაქსური, მორფოლოგიური და სხვა თვისებების გათვალისწინების საფუძველზე.

§7. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა წყაროები

ფრაზეოლოგიურ ერთეულებში დიდი სისრულით არის ასახული ენის ეროვნული თავისებურებები. თანამედროვე ესპანური ენის ბევრი ფრაზეოლოგიზმი შორეულ წარსულშია წარმოქმნილი. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა უმრავლესობის წარმომავლობა მჭიდროდ უკავშირდება ხალხის ცხოვრებასა და მის ისტორიას, ვინაიდან ნიშანდობლივი ფრაზეოლოგიზმების საფუძველს წარმოადგენენ ხელახლა გააზრებული თავისუფალი შესიტყვებები, რომელთა სემანტიკაშიც ასახულია გარკვეული საზოგადოებრივი ფაქტები. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფრაზეოლოგიზმების წარმოშობის შემდეგი ძირითადი გზების გამოყოფა:

1. ადამიანთა პროფესიული მოღვაწეობა. ძნელია ყველა იმ პროფესიული სფეროს ჩამოთვლა, სადაც ჩაისახა ის

ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც დღეს საერთო ხალხური მეტყველების საკუთრებას წარმოადგენენ. ჩამოვთვლით მხოლოდ რამდენიმე მათგანს.

ზღვაოსანთა მეტყველებიდან მომდინარეობენ ფრაზეოლოგიური ერთეულები: a palo seco (უხმაუროდ, სადად, შეუღამაზებლად), a todo trapo (მთელი ძალით, სწრაფად). ამათგან პირველი ოდესღაც აღნიშნავდა იმას, რომ ხომალდი მღელვარე ზღვაში მიცურავდა დაშვებული იალქნებით. მეორის შინაგანი ფორმა კი დღესაც საკმაოდ გამჭვირვალეა, რადგან trapo „იალქანს" აღნიშნავს.

გამონათქვამები coger en el garlito (მოტყუება, გაცურება; დანაშაულზე წასწრება) და caer en el garlito (ხაფანგში მოხვედრა, ბადეში გაბმა) მეთევზეთა მეტყველებაში გაჩნდა (garlito ერთგვარი სათევზაო ხელსაწყოა).

შესიტყვებას Batir el cobre (საქმის ენერგიულად გაძღოლა) მკვლევრები უკავშირებენ **მეთუნუქე-მესპილენძეთა შრომას**, რომლებიც ჩვეულებრივ სამნი ან ოთხნი თანაბრად და მარდად ურტყამდნენ ჩაქუჩს ლითონს რაიმე ნივთის გაკეთებისას.[54]

შესიტყვებაში a cencerros tapados (ფარულად, ჩუმ-ჩუმად) აისახა მეჯოგეთა და მენახირეთა ჩვეულება ცხოველთა ზანზალაკების თივაში ან ბალახში შეხვევისა, რათა არ გაეღვიძებინათ თანასოფლელები, როდესაც დილით ადრე ნახირი სოფლიდან გადიოდა. ასევე იქცეოდნენ ისინი, როდესაც საქონელი იმ ადგილებში გაჰყავდათ, სადაც ყაჩაღები ბუნაგობდნენ.

მრავალი ფრაზეოლოგიური ერთეულია შესული ენაში **ტორეროების მეტყველებიდან**: selir a barrera (ღვთის სამსჯავროზე წარდგომა), cortarse la coleta (თამაშიდან გასვლა), saltárselo a la torrera (უარის თქმა რაიმე ვალდებულებაზე), mandar al cuerno (ეშმაკთან გაგზავნა), pasar al otro toro (სხვა საქმეზე გადასვლა), soltarle (echarle) al toro a alguien (ვინმეს

54 Iribarren I.M. El. porqué de los dichos. p. 95.

დატუქსვა), estar en los cuernos del toro (მძიმე მდგომარეობაში ყოფნა, საფრთხეში აღმოჩენა) და სხვ.

2. ხალხის ზნე-ჩვეულებები და ისტორია. ხალხის ცხოვრების შუაგულში აღმოცენდა მრავალი მყარი შესიტყვება, რომლებშიც სრულიად განსხვავებული ისტორიული მოვლენები, ყოფა, ტრადიციები და რწმენებია ასახული. მაგალითად, ფრაზეოლოგიზმი armar (se) la gorda (დავიდარაბის ატეხვა/დავიდარაბა ატყდა, ალიაქოთის ატეხა / ალიაქოთი ატყდა) გაჩნდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. 1868 წლის აჯანყების წინ, რომელსაც ესპანეთის პირველი რესპუბლიკის დამყარება მოჰყვა, სიტყვა la gorda ესპანელებს გამუდმებით ეკერათ პირზე. იმ ხანებში იგი „რევოლუციას" აღნიშნავდა.

გამონათქვამი echarle (tirarle) a uno el muerto (დანაშაულის ვინმესთვის გადაბრალება, ვიღაცისთვის ცილის დაწამება) გაჩნდა შუა საუკუნეებში, როდესაც არსებობდა კანონი იმის შესახებ, რომ თუკი რომელიმე სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩნდებოდა გვამი, ხოლო მკვლელს ვერ მიაგნებდნენ, ადგილობრივ თემს ჯარიმა უნდა გადაეხადა, ამიტომ როდესაც ასეთი უბედურება დაატყდებოდათ თავს, ზოგიერთი მცხოვრები ცდილობდა დაღუპულის გადატანას მეზობელთა მიწებზე. შესიტყვება salir con pie derecho (რაიმეს წარმატებით დაწყება) თავის წარმომავლობას უნდა უმადლოდეს დღემდე შემორჩენილ ცრურწმენას, რომლის თანახმადაც, ბედი სწყალობს იმას, ვინც ნებისმიერ გზას, საქმეს მარჯვენა ფეხის გადადგმით იწყებს.

მრავალი გამოთქმა უკავშირდება **რელიგიურ ნეს-ჩვეულებებს**. Tener mucha correa (დაცინვისა და ლანძღვის ატანა, მოთმენა) შეიცავს მითითებას ქამარზე, რომელიც განასხვავებდა ავგუსტინელებს სხვა ბერებისაგან, ვისაც მხოლოდ თოკი ან ზონარი ჰქონდა შემოჭერილი. შესიტყვება andar a la sopa (მათხოვრობა, მოწყალებით ცხოვრება) შეეფარდება შუასაუკუნეობრივ სამონასტრო ჩვეულებას, ძირითადად კაპუცინელთა ორდენისას, რომლის თანახმად

შუადღისას ზოგიერთი მონასტერი თავის შემოსასვლელებთან მათხოვრებს, გლახებსა და ღარიბ სტუდენტებს უფასო წვნიანს ურიგებდა.

ფრაზაში pasar la noche en blanco (მთელი ღამის უძილობა, თეთრად გათენება) ასახულია რაინდული რიტუალი: თეთრ სამოსელში გამოწყობილი მეომარი რაინდად კურთხევის წინა ღამეს ფხიზლობდა და იარაღს იცავდა.

თამაშებთან და გართობასთანაა დაკავშირებული ისეთი ტიპის ფრაზეოლოგიური შესიტყვებები, როგორიცაა: poner pies en pared (გაჯიუტება, გაჯიქება), jugar al abejón (დამცინავი დამოკიდებულება ვინმეს მიმართ, ვინმეს აბუჩად აგდება). აქედან პირველში გადაკრულად არის მითითებული თამაშზე, რომელიც ითვალისწინებდა მაღლა დამაგრებულ თოკზე ხელმოჭიდებით რაც შეიძლება ზევით აცოცებას კედელზე. მეორე შემთხვევაში იგულისხმება უხეში გართობა, რომლის თანახმადაც წამყვანმა უნდა გამოიცნოს, თუ ვინ დაარტყა მას ზურგზე აფარებულ სელისგულზე. Irse a chitos (გართობა, დროსტარება) მომდინარეობს კოჭით თამაშიდან, კოჭაობიდან.

3. ფოლკლორი და მითოლოგია. მყარ შესიტყვებათა მნიშვნელოვანი ნაწილის წარმომავლობა უკავშირდება ფოლკლორულ, ბიბლიურ და მითოლოგიურ წყაროებს. ასეთ ფრაზეოლოგიზმებს შორის ბევრი ინტერნაციონალურია: el tacón de Aquiles (აქილევსის ქუსლი), echar margaritas (perlas) a los puercos (მარგალიტების დაყრა ღორებისათვის), construir castillos en al aire (ოცნების კოშკების აგება), manzana de discordia (განხეთქილების ვაშლი), la caja de Pandora (პანდორას ყუთი), el lecho de Procrustes (პროკრუსტეს სარეცელი).

ბიბლიური წარმომავლობა აქვს შესიტყვებებს (las) Vacas gordas (სიუხვის ჟამი, ოქროს ხანა), (las) vacas flacas (ძნელბედობის ჟამი, შიმშილის დღეები). ფოლკლორულ წყაროთაგან მომდინარე ერთეულებს შეიძლება მივაკუთვნოთ შესიტყვებები estar en Babia (ღრუბლებში ფრენა; ხელიდან გაშვება რაიმესი), armar una marimorena (ჩხუბის ატეხა, სკანდალის აგორე-

ბა), asomar la oreja (თავის გაცემა, ჭეშმარიტი სახის ჩვენება), el huevo de Colón (კოლუმბის კვერცხი, ანუ რთული ამოცანის იოლი გადაწყვეტა).

4. ლიტერატურული ნაწარმოებები. ამ წყაროთია ნასაზრდოები აფორიზმების დიდი რაოდენობა და ზოგიერთი ფრაზეოლოგიური ერთეული. ამ უკანასკნელთ მიეკუთვნება, მაგალითად, გამონათქვამი ponerle el cascabel al gato (სახიფათო ან ძნელი საქმის წამოწყება). იგი ნასესხებია უძველესი იგავ-არაკიდან, რომლის სალექსო ვარიანტი შედის ლოპე დე ვეგას პიესაში „La esclava y su galán" და რომელიც საფუძვლად დაედო „სამანიეგოს" სახელგანთქმულ იგავ-არაკს „El congreso de los ratones". შესიტყვება oler el poste (ხიფათის წინასწარ განჭვრეტა, სიფრთხილის გამოჩენა) მომდინარეობს სახუმარო მოთხრობის „ლასარილიო ტორმესელი" ერთ-ერთი ეპიზოდიდან. უსინათლო კაცს თავისი გამყოლი უჯავრდება, აყენებს ბოძის წინ და ეუბნება, რომ ის ნაკადულში უდა გადააგდოს. ფრაზეოლოგიზმის erudito a la violeta (ზერელე, დილეტანტი) წარმომავლობა უკავშირდება 1772 წელს გამოცემული მწერალ ხოსე კატალსო ვასკესა და ანდრადეს წიგნის სათაურს. ამ შესიტყვების ფრაზეოლოგიურ მნიშვნელობას განმარტავს ქვესათაური: „... ყველა მეცნიერების სრული კურსი, დაყოფილი სამ გაკვეთილად სამი დღისათვის. ქვეყნდება საჩუქრად იმათთვის, ვისაც უნდა ცოტა იმეცადინოს და ბევრი იცოდეს".[55]

5. ანდაზები და თქმულებები. ფრაზეოლოგიური ერთეულები შეიძლება წარმოიქმნას ანდაზური ტიპის შესიტყვებების სახეცვლილების (ძირითადად შეკვეცის) გზით. ძველად ამბობდნენ: cuando una zorra anda a caza de grillos, no hay para ella ni para sus hijos. ამჟამად ანდაზა დავიწყებულია, მაგრამ შემორჩენილია ფრაზეოლოგიზმი andar a(caza de) grillos (უაზრო ფაცი-ფუცი, ჩხირკედელაობა). შესიტყვება el perro del hortelano (ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევს) და-

55 Виноградов В. С. Лексикология испанского языка. М., 2003, с. 210-212.

კავშირებულია ანდაზასთან: el perro del hortelano, que ni come las berzas, ni las deja comer. ფრაზეოლოგიზმი Ir en el coche de San Francisco (ფეხით წასვლა) მომდინარეობს ანდაზიდან ir en el coche de San Francisco: un ratico a pie y otro andando. თვითონ ანდაზა შეგვახსენებს ფრანცისკანელი ბერების ჩვეულებას, ყველა რელიგიური მოგზაურობა ფეხით განეხორციელებინათ. ფრაზეოლოგიური ერთეული hacer su agosto (დიდი გასამრჯელოს აღება, გამდიდრება; სარფიანი საქმის შესრულება) გამოიყო მყარი გამონათქვამიდან hacer su agosto y su vendimia, რომელშიც საუბარია მარცვლეულისა და ყურძნის მოსავლის აღებაზე, მეტაფორულად კი ხელსაყრელ, მომგებიან საქმეზე მიუთითებს.

თავი VI

ფრაზეოლოგია, როგორც ლინგვოკულტუროლოგიის ობიექტი

§1. ენისა და კულტურის ურთიერთკავშირის პრობლემა, როგორც ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა ენათმეცნიერებაში

ენა კულტურაშია ჩართული, ვინაიდან ნიშნის „სხეული" (აღმნიშვნელი) წარმოადგენს კულტურულ საგანს, რომლის ფორმაში გასაგნებულია ადამიანის ენობრივი და კომუნიკაციური უნარი, ნიშნის მნიშვნელობა ასევე არის კულტურული წარმონაქმნი, რომელიც მხოლოდ ადამიანის საქმიანობაში წარმოიქმნება. ასევე კულტურაც ჩართულია ენაში, რამდენადაც ის მთლიანად არის მოდელირებული ტექსტში.

ამასთან **ენისა და კულტურის ურთიერთქმედება** უკიდურესი სიფრთხილით უნდა იქნეს გამოკვლეული; უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი სხვადასხვა სემიოტიკურ სისტემებს წარმოადგენენ. უნდა აღინიშნოს, რომ მათ როგორც სემიოტიკურ სისტემებს, ბევრი საერთო აქვთ. 1) კულტურა, ისევე როგორც ენა, ადამიანის მსოფლმხედველობის ამსახველი ცნობიერების ფორმაა; 2) კულტურა და ენა ერთმანეთს შორის დიალოგში არსებობენ; 3) კულტურისა და ენის სუბიექტი ყოველთვის ინდივიდი ან სოციუმია, პიროვნება ან საზოგადოება; 4) ნორმატიულობა ენისა და კულტურის საერთო ნიშან-თვისებაა; 5) ისტორიზმი კულტურისა და ენის ერთ-ერთი არსობრივი თვისებაა; 6) ენისა და კულტურისათვის დამახასიათებელია ანტინომია: „დინამიკა – სტატიკა".

როგორც ვ. ჰუმბოლდტი წერდა, ენა „ესაა სამყარო გარეშე მოვლენების სამყაროსა და ადამიანის შინაგან სამყაროს შორის", მაშასადამე, წარმოადგენს რა ჩვენს საცხოვრებელ გარემოს, ენა არ არსებობს ჩვენს გარეშე როგორც ობიექტუ-

რი მოცემულობა, ის თვითონ ჩვენშია, ჩვენს ცნობიერებაში, ჩვენს მეხსიერებაში; ის იცვლის თავის მოხაზულობას აზრის ყოველი მოძრაობისას, ყოველი ახალი სოციალურ-კულტურული როლის შესაბამისად.

ენა კულტურის შემადგენელი ნაწილი და მისი იარაღია, ესაა ჩვენი სულის სინამდვილე, კულტურის სახე; ის გაშიშვლებული სახით გამოხატავს ეროვნული მენტალობის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს. ენა არის მექანიზმი, რომელმაც ადამიანს ცნობიერების სფერო აღმოუჩინა.

რამდენადაც ენის ყოველი მატარებელი იმავდროულად კულტურის მატარებელსაც წარმოადგენს, **ენობრივი ნიშნები კულტურის ნიშნების ფუნქციის შესრულების უნარსაც იძენენ** და ამით კულტურის ძირითადი განწყობები წარმოდგენის საშუალებებადაც გამოიყენებიან. სწორედ ამიტომ ენას შესწევს უნარი ასახოს მისი მატარებლების კულტურულ-ეროვნული მენტალობა. კულტურის მიმართება ენისადმი სივრცის კონცეპტის საშუალებით ხორციელდება.

კულტურა ცხოვრობს და ვითარდება „ენობრივ გარსში". თუ პრიმიტიული კულტურები „საგნობრივნი" იყვნენ, თანამედროვე კულტურები სულ უფრო მეტად ხდებიან ვერბალურნი. ენა ემსახურება კულტურას, მაგრამ არ განსაზღვრავს მას. ენას შესწევს უნარი შექმნას ვერბალური ილუზიები, ერთგვარი სიტყვიერი მირაჟი, რომელიც რეალობას ცვლის.

ადამიანი ხომ სწორედ ენის წყალობით აღიქვამს გამონაგონს როგორც რეალობას, განიცდის და გაიაზრებს არარსებულს, იტანჯება და იღებს სიამოვნებას, განიცდის კათარზისს. ყველაფერი ეს შესაძლებელია მხოლოდ ბუნებრივი ენისა და ასევე სხვა სემიოტიკური სისტემების (კინოს, ფერწერის, ჟესტების, ენების) წყალობით. წამყვანი ადგილი ყველა ენას შორის ბუნებრივ ენას უჭირავს, ვინაიდან **ენობრივ ნიშანს შეუძლია კულტურის ექსპონენტად იქცეს.** ენა მჭიდროდ არის დაკავშირებული მითოლოგიასთან, რელიგიასთან, მეცნიერებასთან და სამყაროს შემეცნების სხვა

ფორმებთან. გ. გადამერი წერდა, რომ **ფილოსოფია შეეზარდა ენას და მხოლოდ ენაში პოვებს თავის ყოფიერებას.**

ყოველი ენა თავისებურად ანაწევრებს სამყაროს, ანუ აქვს მისი კონცეპტუალიზაციის საკუთარი ხერხი. აქედან ვასკვნით, რომ ყოველ ენას აქვს სამყაროს განსაკუთრებული ხატი და ენობრივი პიროვნება ვალდებულია გამონათქვამის შინაარსი ამ ხატის შესაბამისად ჩამოაყალიბოს და ამაში ვლინდება ენაში დაფიქსირებული სამყაროს სპეციფიკურად ადამიანური აღქმა.

ენა არის სამყაროს შესახებ ადამიანის ცოდნის ჩამოყალიბებისა და არსებობის უმნიშვნელოვანესი ხერხი, ასახავს რა თავისი საქმიანობის პროცესში ობიექტურ სამყაროს, ადამიანი სიტყვაში აფიქსირებს შემეცნების შედეგებს. ენობრივ ფორმაში აღბეჭდილი ერთობლიობა ამ ცოდნისა წარმოადგენს იმას, რასაც სხვადასხვა კონცეფციებში ხან „ენობრივ შუალედურ სამყაროს", ხან „სამყაროს ენობრივ რეპრეზენტაციას", ხან „სამყაროს ენობრივ მოდელს", ხან კი „სამყაროს ენობრივ ხატს" უწოდებერ.

სამყაროს ხატის (მათ შორის ენობრივისაც) ცნება ემყარება სამუშაოს შესახებ ადამიანის წარმოდგენების შესწავლას. თუკი სამყარო ესაა ადამიანი და გარემო მათ ურთიერთქმედებაში, მაშინ სამყაროს მსოფლხატი არის გარემოსა და ადამიანზე არსებული ინფორმაციის გადამუშავების შედეგი. ამგვარად, კოგნიტიური ლინგვისტიკის წარმომადგენლები სამართლიანად ამტკიცებენ, რომ სამყაროს ენობრივი ხატის სახით ასახული ჩვენი კონცეპტუალური სისტემა ფიზიკურ და კულტურულ გამოცდილებაზეა დამოკიდებული და უშუალოდ არის დაკავშირებული მასთან.

გარე სამყაროს მოვლენები და საგნები ადამიანის ცნობიერებაში წარმოდგენილი არიან შინაგანი ხატის სახით. ა. ლეონტიევის აზრით, არსებობს განსაკუთრებული, „მეხუთე კვაზიგანზომილება" რომელშიც ადამიანს წარმოუდგება მისი გარემომცველი სინამდვილე. ესაა „აზრობრივი ველი",

მნიშვნელობათა სისტემა. მაშინ სამყაროს ხატი – ესაა მსოფლხატთა სისტემა.

მ. ჰაიდეგერი წერდა, რომ სიტყვა „სურათის“ გაგონებისას ჩვენ პირველ ყოვლისა ვფიქრობთ რაიმეს ასახვაზე, „არსობრივად გაგებული „სამყაროს მსოფლხატი აღნიშნავს არა ხატს, რომელიც სამყაროს ასახავს, არამედ სამყაროს, რომელიც აღიქმება როგორც ხატი“. სამყაროს მსოფლხატს როგორც რეალური სამყაროს ასახვასა და სამუშაოს ენობრივ ხატს, როგორც ამ ასახვის ფიქსაციას შორის რთული ურთიერთობები არსებობს. სამყაროს მსოფლხატი შეიძლება წარმოდგენილი იყოს სივრცობრივი (ზედა-ქვედა, მარჯვენა-მარცხენა, აღმოსავლეთი-დასავლეთი, შორეული-ახლობელი), დროითი (დღე-ღამე, ზამთარი-ზაფხული), რაოდენობრივი, ეთიკური და სხვა პარამეტრების დახმარებით. მის ფორმირებაზე გავლენას ახდენენ ენა, ტრადიციები, ბუნება და ლანდშაფტი, აღზრდა, განათლება და სხვა სოციალური ფაქტორები.

სამყაროს ენობრივი ხატი არ დგას ერთ რიგში სამყაროს სპეციალურ (ქიმიურ, ფიზიკურ და სხვ.) ხატებთან, ის წინ უძღვის და აყალიბებს მათ, რადგან ადამიანს აქვს უნარი აღიქვას სამყარო და საკუთარი თავი ენის დახმარებით, რომელშიც ასახულია საზოგადოებრივ-ისტორიული გამოცდილება – როგორც ზოგადადამიანური, ისე ეროვნული, ეს უკანასკნელი განსაზღვრავს სწორედ ენის სპეციფიკურ თვისებებს მის ყველა დონეზე. ენის სპეციფიკის გამო მატარებლების ცნობიერებაში წარმოიქმნება სამყაროს გარკვეული ენობრივი ხატი, რომლის პრიზმაშიც ხედავს ადამიანი სამყაროს[56].

ვ. კასევიჩის აზრით, ენობრივი სემანტიკის საშუალებებით კოდირებული მსოფლხატი დროთა ვითარებაში ამა თუ იმ ხარისხით შეიძლება გადმონაშთური, რელიქტური აღმოჩნდეს და მხოლოდ ტრადიციულად აღადგენდეს ძველ ოპოზიციებს სხვა ენობრივი ინსტრუმენტარიების ბუნებ-

56 В. А. Маслова. Лингвокультурология. М., 2004, с. 64.

რივი მიუწვდომლობის გამო; ამ უკანასკნელის დახმარებით იქმნება ახალი შინაარსები, რომელთათვისაც ძველები ერთგვარ სამშენებლო მასალას წარმოადგენენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, წარმოიქმნება სხვადასხვაობა ენის არქაულ და სემანტიკურ სისტემებსა და იმ აქტუალურ მენტალურ მოდელს შორის, რომელიც მოქმედია მოცემული ენობრივი კოლექტივისათვის და ვლინდება მის ნიაღში წარმოქმნილ ტექსტებში, ასევ მისი ქცევის კანონზომიერებებში.

სამყაროს ენობრივი ხატი აყალიბებს ადამიანის სამყაროსადმი (ბუნებისადმი, ცხოველებისადმი, საკუთარი თავის როგორც სამყაროს ელემენტისადმი) მიმართების ტიპს. იგი განაპირობებს სამყაროში ადამიანის ქცევის ნორმებს, განსაზღვრავს მის დამოკიდებულებას სამყაროსადმი. ყოველი ენა ასახავს სამყაროს აღქმისა და ორგანიზების („კონცეპტუალიზების") გარკვეულ ხერხს. მასში გამოხატული მნიშვნელობები წარმოქმნიან შეხედულებათა ერთგვარ ერთიან სისტემას, თავისებურ კოლექტიურ ფილოსოფიას, რომელიც ენის ყველა მატარებელს მიეწოდება როგორც სავალდებულო.

ამგვარად, ენის როლი მდგომარეობს არა მარტო შეტყობინების გადაცემაში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმის შინაგან ორგანიზებაში, რაც გადაცემას ექვემდებარება. წარმოიქმნება ერთგვარი „მნიშვნელობათა სივრცე" (ა. ლეონტიევის ტერმინოლოგიით), ანუ ენაში დამაგრებული ცოდნა სამყაროს შესახებ, რაშიც უსათუოდ ერთვება კონკრეტული ენობრივი ერთობის ეროვნულ-კულტურული გამოცდილება. ყალიბდება ამ ენაზე მოლაპარაკეთა სამყარო, ანუ სამყაროს ენობრივი ხატი როგორც ერთობლიობა ლექსიკაში, ფრაზეოლოგიაში, გრამატიკაში აღბეჭდილი ცოდნისა სამყაროს შესახებ.

სამყაროს ენობრივი ხატისადმი ინტერესი შეინიშნებოდა ჯერ კიდევ ვ. ჰუმბოლდტის ნაშრომებში, რომელიც წერდა, რომ „განსხვავებული ენები ერებისათვის მათი ორიგინალური აზროვნებისა და აღქმის ორგანოებს წარმოადგენენ". XX

საუკუნის ბოლოსათვის გაჩნდა ამ პრობლემისადმი მიძღვნილი ბევრი ნაშრომი. გაზრდილი ინტერესი ამ პრობლემისადმი უკავშირდება უკანასკნელი წლების კოგნიტიურ ინტერესებს, რომლის ჩარჩოებშიც ადგილი აქვს მცდელობებს ენობრივი გეშტალტების თეორია დაუკავშირონ ფრეიმების, როგორც ცოდნის სტრუქტურების თეორიას.

ენობრივი გეშტალტების თეორია წამოაყენა ჯ. ლაკოფმა, შემდეგ კი იგი სხვა მეცნიერებმაც აღიარეს. გეშტალტები არის ენის სიღრმისეული შინაარსობრივი ერთეულები. ენაში რეალიზების გარდა გეშტალტები წარმოადგენენ ადამიანის მიერ სინამდვილის აღქმის საფუძველს, წარმართავენ შემეცნებით პროცესებს, განსაზღვრავენ მოტორული აქტების სპეციფიკასა და ხასიათს და ა. შ.

გეშტალტების სიღრმისეულობა ენის მიმართ რამდენიმე ასპექტში მჟღავნდება. ასე, მაგალითად, ზედაპირულ-ენობრივ დონეზე ერთი და იგივე გეშტალტი შეიძლება რეალიზებულ იქნეს სხვადასხვა შინაარსების სახით და მხოლოდ სპეციალური კვლევებით იქნება შესაძლებელი მათი ერთიანობის დადგენა. ჯ. ლაკოფმა აჩვენა, რომ კამათისა და ომის აღწერა ერთი და იმავე ტერმინებით ხდება, და მაშასადამე, ისინი ერთნაირად მოიაზრებიან, ანუ ერთსა და იმავე გეშტალტს უკავშირდებიან.

გეშტალტები წარმოადგენენ უნივერსალურ წარმოდგენებს, რომლებიც განეკუთვნებიან ზოგადად ადამიანის ფსიქიკის სიღრმეებს და, როგორც ერთი მთელი, ბუნებრივი ენის კატეგორიულ ჩარჩოებს გარეთ მდებარეობენ, ანუ ესაა ტრანსცენდენტურის შინაარსობრივი სიდიდეები: გეშტალტები უშუალოდ გამონათქვამის ზღვარს იქით მდებარეობენ და ორგანულად არიან დაკავშირებული მასთან. რეალური ენობრივი მონაცემების საფუძველზე რეკონსტრუირებული გეშტალტები უახლოესი ტრანსცენდენტურის რეალურ შინაარსობრივ სიდიდეებად იქცევიან[57].

57 В. А. Маслова. Лингвокультурология. М., 2004, с. 66.

სამყაროს ხატი არ არის უბრალო ნაკრები საგნების, პროცესების, თვისებებისა და ა.შ. „ფოტოგრაფიებისა", ვინაიდან თავის თავში მოიცავს არა მარტო ასახულ ობიექტებს, არამედ ამსახველი სუბიექტის პოზიციასაც, მის დამოკიდებულებას ამ ობიექტებისადმი, ამასთან სუბიექტის პოზიცია ისეთივე რეალობაა, როგორიც თვითონ ობიექტები. უფრო მეტიც, რამდენადაც ადამიანის მიერ სამყაროს აღქმა პასიური კი არა, ქმედითია, ეს ობიექტები არა მარტო განაპირობებენ დამოკიდებულებას ობიექტებისადმი, არამედ შეუძლიათ კიდეც მათი შეცვლა (მოქმედების გზით). აქედან გამომდინარეობს ბუნებრიობა იმისა, რომ სოციალურ-ტიპური პოზიციების, დამოკიდებულებების, შეფასებების სისტემა ნიშნად ასახვას პოულობს ეროვნული ენის სისტემაში და მონაწილეობს სამყაროს ენობრივი ხატის კონსტრუირებაში.

ჩვენი მსოფლგაგება ნაწილობრივ სამყაროს ენობრივი სურათის ტყვეობაში იმყოფება. ყოველი კონკრეტული ენა თავის თავში მოიცავს ეროვნულ, თვითმყოფად სისტემას, რომელიც განსაზღვრავს მოცემული ენის მატარებელთა მსოფლმხედველობას და აყალიბებს სამყაროს მათეულ ხატს.

სამყაროს ხატი მნიშვნელოვანი პრაგმატულობით გამოირჩევა. ეს განსაკუთრებული სახის პრაგმატულობაა. იგი პრეტენზიას აცხადებს აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე და ამ ტიპის ცოდნა შეიძლება ნებისმიერი ოდენობით სცილდებოდეს იმას, რასაც ტრადიციული მეცნიერება ობიექტურ ჭეშმარიტებად ჩათვლიდა. მათ კრიტერიუმად გვევლინება არა ფორმალურ-ლოგიკური წინააღმდეგობრიობა, არამედ თავისთავად მოდელის მთლიანობა და უნივერსალურობა, მისი უნარი წარმოადგენდეს განმარტებით (უფრო ხშირად – კვაზიგანმარტებით) მატრიცას გამოცდილების სტრუქტურირებისათვის.

მეტაფორებში, შედარებებში, სიმბოლოებში აღბეჭდილი მეორადი შეგრძნებების მექანიზმის პრიზმაში ასახული სამყარო არის მთავარი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს

სამყაროს ნებისმიერი კონკრეტული ეროვნული ენის უნივერსალურობასა და სპეციფიკას. ამასთან მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს უნივერსალური ადამიანური ფაქტორისა და ეროვნული სპეციფიკის გამიჯვნა სამყაროს სხვადასხვა ენობრივ ხატში. რამდენადაც სხეულებრივი შეგრძნებების შეფასების გენეტიკური მექანიზმი უნივერსალურია, ადამიანის საქმიანობასთან გადახლართვისას, რომელიც ერთდროულად უნივერსალურიც არის და ეროვნულ-სპეციფიკურიც, ამგვარი ურთიერთქმედების შედეგად ის უცვლელად იწვევს სამყაროს ენობრივი ხატების შექმნას როგორც ტიპოლოგიურად ზოგადი, ისე ინდივიდუალური თავისებურებებით.

ნებისმიერ ადამიანურ სინამდვილეში ერთმანეთს ხვდება რაღაც ფუძემდებლურის და ძირეულის ათვისებისა და გარდაქმნის, მისთვის ფორმისა და სტილის მინიჭების ორი ხდომილება – ენობრივი და კულტურული. არის გარკვეული ანალოგია შემდეგ ორ კონცეპტუალურ (ცნებით) ტრიადას შორის: ენა, როგორც უნივერსალური ფენომენი – ენობრივი ტიპი – კონკრეტული, ცალკეული ენა და კულტურა, როგორც უნივერსალური ფენომენი – კულტურის ტიპი – კონკრეტული, ცალკეული კულტურა. ამ ანალოგიას უფრო „ღრმა ფესვები" აქვს და თავისი მნიშვნელობით იგი სცილდება ენობრივ და კულტურულ სივრცეებს შორის ფორმალური მსგავსების საზღვრებს. როგორც ენა, ასევე კულტურაც, წარმოადგენენ სიმბოლურ სისტემებს, მაგრამ ადამიანური სინამდვილის სტრუქტურაში ენა „წინ უსწრებს" კულტურას და აღიქმება თვით ადამიანურობის ონტოლოგიურ საფუძვლად: ენა გარდაქმნის სინამდვილეს და ფორმას ანიჭებს მას მანამ, სანამ „იმავე როლს შეასრულებს კულტურა. მაგრამ ამ „იმავე" როლის შესრულება ამ ორ შემთხვევაში განსხვავდება ორი ძირითადი ნიშნით:

ა) სინამდვილის ის გარდაქმნა და „გაფორმება", რომელსაც ენა ახდენს, არ არის გაცნობიერებული ადამიანის მიერ –

ცნობიერება თავის შემეცნებით, შემოქმედებით აქტივობაში ეყრდნობა ენას და თავისი ამგვარი ქმედებისათვის ენერგიას ენისავე წიაღიდან იღებს. კულტურა კი განეკუთვნება ცნობიერების სფეროს.

ბ) კულტურა იბადება გარკვეული რელიგიის წიაღში და მუდამ წარმოადგენს შესაბამისი რელიგიური კულტის გაშლისა და დიფერენცირების შედეგს.

თანამედროვე კულტუროლოგიის ერთ-ერთ ცენტრად უნდა ჩაითვალოს ენის განსაზღვრისა და აღწერის იმ თეორიულ-მეთოდოლოგიური პარადიგმის გადატანა კულტურაზე, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე ლინგვისტიკისათვის, რომლის მიხედვითაც ენა არის ნიშანთა სისტემა. ენის აღქმა და აღწერა უნდა მოხდეს სინქრონულად, ე.ი. სტატიკურად, ისტორიული დროის მსვლელობისაგან აბსტრაჰირების გზით. სხვანაირად რომ ვთქვათ, ენა არის არა შემოქმედებითი პროცესი, როგორც ჰუმბოლდტი ფიქრობდა, არამედ სტატიკური სახით მოცემული ინსტრუმენტი, რომელსაც ადამიანები კომუნიკაციური მიზნებისთვის იყენებენ. ჰუმანიტარული ცოდნის მთელი თანამედროვე კომპლექსისათვის და პირველ რიგში კულტუროლოგიისათვის, დამახასიათებელია ლინგვისტური მეთოდოლოგიის გადატანა (ტრანსპოზიცია) ადამიანური სინამდვილის მთელ სფეროზე და შესაბამისად ამ სფეროს სემიოტიკური ხედვა და აღწერა. ამგვარი თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომის თანახმად კულტურაც არის ნიშანთა სისტემა და მასაც, ისე, როგორც ყოველ ნიშანთა სისტემას, აქვს არსებობის ორი განზომილება – პარადიგმატული და სინტაგმატური, ე.ი. კულტურა ერთდროულად არსებობს როგორც ნიშანთა სპეციფიცური სახით ორგანიზებული სისტემა (კულტურული პარადიგმატიკა) და როგორც ამ სისტემის რეალიზაციის გზით მიღებული ტექსტი (კულტურული სინტაგმატიკა).[58]

---

58 გ. ლებანიძე. კულტუროლოგიის საფუძვლები. თბ., 2004, გვ. 120-121.

კულტურის კონტექსტი არის ადამიანის საცხოვრებელი გარემოს ერთ-ერთი სფერო. კულტურა ადამიანის მიერ სამყაროს მოწყობის სულიერ-ზნეობრივი გააზრების პროდუქტია, რომლის ფონზეც ყალიბდება პიროვნების თვითშეგნება. ამიტომ წვდომა კულტურის განწყობებისა, რომლებიც ცხოვრებისეული ფილოსოფიისა და პიროვნების ცხოველმოქმედების ფასეულობითი ორიენტირების საფუძველს წარმოადგენენ, რეფლექსურად ხდება. ისინი კულტურული საზოგადოების მონაპოვრად მათი აღნიშვნის საშუალებით იქცევიან. კულტურის განწყობები, რომლებიც მის „ენას“ ქმნიან არის ნიშნის ფუნქციის მქონე მენტოფაქტები. ამ უკანასკნელის შინაარსი შეესაბამება ცნობიერების ფორმებს – ყოფითს, მეცნიერულს, მხატვრულს, მითოლოგიურს, რელიგიურსა და ა. შ. იგი დაკავშირებულია ამა თუ იმ ერთობის – ეთნოსის, ხალხის, ერის მსოფლშეგრძნებასთან, რომელიც სამყაროს აღქმას მისი კულტურული შემეცნების პრიზმაში ასახავს.

§2. ფრაზეოლოგია კულტურის კონტექსტში

ენათმეცნიერებაში, კულტუროლოგიასა და ენის ფილოსოფიაში საყოველთაოდ აღიარებულ შეხედულებას წარმოადგენს ის აზრი, რომ **ფრაზეოლოგიური მარაგი** ყველაზე უფრო გამჭვირვალეა ენის საშუალებებით ხორცშესხმული კულტურის „ენის“ კონცეპტებისათვის, რამდენადაც ფრაზეოლოგიზმების გამომსახველობით საფუძველში აღიბეჭდება მსოფლაღქმის ქარაქტეროლოგიური ნიშნები, რომლებსაც ენის მატერებლები რეფლექსურად ამ „ენას“ უფარდებენ.

ენის ფრაზეოლოგიური მარაგის შესწავლა კულტურის კონტექტსში წარმოადგენს ნოყიერ ნიადაგს იმ ენობრივი საშუალებებისა და ხერხების გამოვლენისა და აღწერისათვის, რომლებიც ფრაზეოლოგიურ ნიშნებად განასახიერებენ კულტურულად ნიშნად შინაარსებს და ამით მით კულტურის „ენის“ ნიშანთა ფუნქციას ანიჭებენ. ამ

როლის შესრულებისას ფრაზეოლოგიზმები არა მარტო გამოხატავენ და თაობათა შორის ტრანსლირებას ახდენენ, არამედ ამ ორი განსხვავებული სემიოტიკური სისტემის განუწყვეტელ დიალოგში აყალიბებენ კიდეც ენის მატარებელი ხალხის კულტურულ თვითშეგნებას.

კულტურის კონცეპტების ასახვის ენობრივი საშუალებებისა და ხერხების დახმარებით კულტურული თვითშეგნების წვდომის მიზანი აქტუალურია არა მარტო ფრაზეოლოგიზმების, არამედ სხვა ტიპის ენობრივი ნიშნებისთვისაც.

ფრაზეოლოგიზმების კულტურული ნიშნადობის სისრულისათვის აუცილებელია მათ მნიშვნელობაში ყველა იმპლიციტური კულტურული შინაარსის გამოვლენა, რომლებიც ენასა და კულტურას შორის შუამავლის როლს ასრულებენ, რაზეც მეტყველებს ფრაზეოლოგიზმების მიერ სხვადასხვა ტიპების დისკურსებში შეტანილი შეფერილობა.

ამიტომ კულტურის კონტექსტში ფრაზეოლოგიის შესწავლისას აუცილებელია გამომსახველობით საფუძველში ამოვიცნოთ სიმბოლარიუმის ის ელემენტები, რომლებიც ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობის ჩამოყალიბების მეტაფორულ (უფრო ფართო-ტროპულ) პროცესში მონაწილეობენ. მხოლოდ ამ პირობით არის შესაძლებელი ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობის ყველა იმ ელემენტის გამოვლენა, რომლებიც მათ კულტურულ სემანტიკას მიეკუთვნებიან და უზრუნველყოფენ მათ უნარს, კულტურის „ენის" სიმბოლარიუმის პრეზენტაციის საშუალებად გამოიყენებოდნენ.[59]

ლინგვოკულტუროლოგიის ძირითად მიზანს ფრაზეოლოგიის მასალასთან მიმართებით წარმოადგენს იმ მექანიზმების გამოკვლევა და აღწერა, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება ფრაზეოლოგიზმების, როგორც ბუნებრივი ენის ერთეულების ურთიერთქმედება კულტურის „ენის" კულტურულ სემანტიკასთან. სწორედ ამ მექანიზმების მოქმედების

59 В. Н. Телия. О методологических основаниях лингвокультурологии. – М., 1995, с. 23.

შედეგს წარმოადგენს კულტურული სემანტიკის პრეზენტაცია ფრაზეოლოგიზმებით და ამით მათ მიერ კულტურის ენის ვერბალიზებული ნიშნების ფუნქციის შესრულება.

სინამდვილის მოდელირება ენაში, რომელიც ლინგვოკულტუროლოგიის ძირითად საგნად იქცა, მკვლევართა შეხედულებების შესაბამისად რამდენიმე მიმართულებად იყოფა: სინქრონული ანალიზი განსაზღვრული ეთნოსის ენისა და კულტურის მასალის საფუძველზე. გარკვეულ ეპოქაში ლინგვოკულტუროლოგიურ მდგომარეობათა ცვლილებების ისტორიულ-სოციალური ანალიზი, სხვადასხვა კულტურული არეალების შედარებითი ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი (კულტურათა დიალოგი); მხატვრულ ნაწარმოებთა და ხელოვნების სხვა დარგების შედარებითი კულტუროლოგიური ანალიზი; ლინგვოკულტუროლოგიური მასალის დონეთაშორისი ანალიზი (ცნებითი, იდეოლოგიური, სემანტიკური, ეთნიკური, ექსტრალინგვისტური).

ლინგვოკულტუროლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად იქცევა ენათა ფრაზოლოგიის შესწავლა, ამასთან ამ ტერმინების ფართო გაგებით. ასეთ ერთეულთა განსახილველ კორპუსს შეადგენენ როგორც სიტყვებთან შეფარდებული ფრაზეოლოგიზმები, ასევე პრედიკატული შესიტყვებები, ანდაზები, თქმულებები, აფორიზმები და ა.შ. ამ ენობრივ ერთეულებში, რომელთა უმრავლესობა ინარჩუნებს გამომსახველობით-სტრუქტურულ მოტივაციას, ასახულია, ზოგჯერ განსაკუთრებული სისრულითა და სიცხადით, არა მარტო მატერიალური და სულიერი ობიექტები, რომლებსაც ეროვნული სპეციფიკა აქვთ, არამედ ეროვნული სულისა და ეროვნული პიროვნების ცნების შემადგენელი ზნეობრივი, მორალური, ფსიქოლოგიური შეფასებები, მახასიათებლები, მიდრეკილებები. ფრაზეოლოგიის ანალიზი ლინგვოკულტუროლოგიური პოზიციებიდან მსოფლიოს ენობრივი ხატის უტყუარი მონაცემებით შევსების საშუალებასაც იძლევა. ვინაიდან ფრაზეოლოგი-

ური ერთეულები ფართოდ არის წარმოდგენილი ენებში და მრავალფეროვანია ფორმითა და შინაარსით, მათი ნებისმიერი შესწავლა გარდაუვლად იფარგლება რაოდენობრივი და სემანტიკურ-გრამატიკული ჩარჩოებით. ანალიზისთვის ჩვენ შევარჩიეთ რამდენიმე საყოველთაოდ ცნობილი საეკლესიო სიტყვა, რომლებიც მყარ შესიტყვებებში შედიან, ეს არჩევანი შემთხვევითი არ არის. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იდეოგრაფიული ველი „რელიგია" პრაქტიკულად არ ყოფილა შესწავლილი ესპანისტიკაში. და მეორეც, იმიტომ, რომ ამ ველის ანალიზმა, განსაკუთრებით შედარებით ჭრილში, შეიძლება მოგვცეს საინტერესო და ზოგჯერ მოულოდნელი შედეგები რელიგიური კულტურისა, წეს-ჩვეულებებისა, ტრადიციებისა, ეკლესიის მსახურთა მორალისა და ა.შ. „რელიგიის" ლინგვოკულტუროლოგიური ველის გამოკვლევის გარეშე არ შეიძლება დამაჯერებლად იქნეს წარმოდგენილი ის, რასაც ამა თუ იმ ხალხის „გულუბრყვილო მსოფლხატი" ეწოდება.[60]

§ 3. რელიგიის ფრაზეოლოგიური ველი ესპანურ ენაში

ლინგვოკულტურული ფრაზეოლოგიის პრობლემატიკაში ჩვენი მოკლე ექსკურსიისათვის შევარჩიეთ საყოველთაოდ ცნობილი რელიგიურ-საკულტო ცნებების დასახელებები: Cristo, iglesia, cura, misa და მათი ქართული საეკლესიო წეს-ჩვეულებების ან ქმედების ნომინაციისათვის. ასეთ შემთხვევაში მყარი შესიტყვება ასრულებს ტერმინის ან ტერმინოლოგიური სახელწოდების ფუნქციებს და აღნიშნავს წმინდა საეკლესიო ცნებას. მაგალითად, misa de gallo (საშობაო შუაღამის მსახურება), acogerse a la iglesia (სასულიერო წოდების მიღება), iglesia fria (თავშესაფარის უფლების მქონე ეკლესია), misa de cuerpo presente (სულის მოსახსენიებელი, წესის აგების მესა), doblar la campana (მიცვალებულის სულის

60 В. С. Виноградов, лексикология испанского языка, М., 2003, с. 214.

მოსახსენიებელი ზარების რეკვა), campana de queda (მწუხრის ზარების რეკვა) და ა.შ. ამის გარდა, მსგავსი შესიტყვებები შესაძლოა ტერმინოლოგიური სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებების სინონიმები იყოს და შენარჩუნებული ჰქონდეს მეტაფორული შინაარსი. მაგალითად, reconciliarse con la iglesia (ეკლესიის წიაღში დაბრუნება, მწვალებლობისგან განდგომა), casarse por detras de la iglesia (თანაცხოვრება ქორწინების გარეშე), el principe de la iglesia (კარდინალი, ეკლესიის თავადი) და ა.შ.

ამგვარ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში კულტურული კომპონენტი (სემა, ელემენტი) ნეიტრალიზებულია, ანდა საერთოდ არ არის გამოხატული, რადგან ნომინაციის მიზანს წარმოადგენდა ან ტერმინთა შექმნა, ანდა რომელიმე ტერმინის სინონიმური სახელწოდების შერჩევა, რომელიც მეტაფორის დახმარებით „აცოცხლებს" პროფესიულ მეტყველებას. დროთა ვითარებაში ზოგიერთი ასეთი შესიტყვება პროფესიული სფეროდან და მდაბიური მეტყველებიდან შეიძლება ნორმირებულ ლიტერატურულ მეტყველებაში გადავიდეს.

თუმცა ჩვენ გვაინტერესებს საეკლესიო სახელწოდებების შემცველი, ფრაზოლოგიზმები რომლებიც ექსპრესიულ-ემოციურ და შეფასებით ფუნქციებს ასრულებენ. სწორედ ისინი არიან ყველაზე უფრო შედეგიანნი ლინგვოკულტუროლოგიური გამოკვლევისათვის, ვინაიდან მათში აისახება კულტურულ-სემანტიკური ინფორმაცია და საზოგადოების შემფასებლური დამოკიდებულება რელიგიური რეალიზების, დოგმატებისა და მსახურებისადმი.

ფრაზეოლოგიზმები, რომლებშიც შედის სიტყვა iglesia, მათი შინაგანი ფორმით თუ ვიმსჯელებთ, ასახავენ ეკლესიის, როგორც ერთმორწმუნეთა გამაერთიანებელ საწყისს, როგორც ნეს-ჩვეულებათა აღსრულების ადგილისა და ბედისწერის მსხვერპლთა ან ხელისუფალთა მიერ დევნილთა თავშესაფრის შეფასებას. სხვა სემანტიკური მახასიათებლები პრაქტიკულად არ არსებობს, რაშიც მჟღავნდება პა-

ტივისცემა ამ კათოლიკური რელიგიური ინსტიტუტისა და ღვთისმსახურების ადგილისადმი. მაგალითები ადასტურებენ ამ დასკვნას: Comulgar en la misma iglesia (ვინმეს შეხედულებების გაზიარება, თანამოაზრედ ყოფნა): iglesia me llamo (მე არავისი არ მეშინია, თითსაც ვერ დამაკარებენ); tener una iglesia (თავშესაფრის ძებნა ეკლესიაში, ეკლესიისთვის თავის შეფარება დევნისაგან); como trasquilado por la iglesia (როგორც საკუთარ სახლში, თამამად, თავისუფლად) და სხვ.

Iglesia შეიძლება არც წარმოადგენდეს საკვანძო სიტყვას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი ის არ უკავშირდება უარყოფით კონოტაციებს: como la cera de iglesia (სანთელივით); como campana de una iglesia (შეუსვენებლად ლაპარაკი) და ა.შ.

მხოლოდ მექსიკაში ხმარობენ საანდაზო თქმას hemos visto caer iglesias (არაფერია ამქვეყნად მუდმივი), რომელშიც შეიძლება ვივარაუდოთ ერთგვარი დაეჭვება საეკლესიო ცხოვრების წესის ურყევობაში.

ესპანური ფრაზეოლოგიის შესაბამის ქართულ ფრაზეოლოგიასთან შედარებისას ადვილი შესამჩნევია, რომ ეკლესიის, როგორც ღვთისმსახურების ინსტიტუტისადმი ჩვენი დამოკიდებულება არ არის უსიტყვო, უდრტვინველი თაყვანისცემა. ქართული მენტალიტეტი არ უკავშირებს ეკლესიას სამღვდელოების ყველა წარმომადგენლის უპირობოდ უმწიკვლო მსახურებას ღვთისადმი, ვინაიდან თვით ეკლესიის წიაღშიც კი ყველა მისი მსახური როდია წმინდანი.

ამაზე მეტყველებს ქართულ ანდაზებსა და საანდაზო თქმებში გამჟღავნებული ერთგვარად თავისუფალი დამოკიდებულება საეკლესიო პირებისა და ეკლესიისადმი: ერთი ალილუია (სახარება) მღვდელსაც შესცდებაო; ერთხელ ეპისკოპოსიც შეცდაო; ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს მღვდლის ცოლიო; მღვდელმა უღელი გადააგდო და კურდღელი მოკლაო; მღვდელს ჭილობშიაც იცნობენო; მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენო; უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო; შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო.

ესპანურ ლექსიკონებში ფრაზეოლოგიზმები Sacerdote კომპონენტით (მღვდელი) პრაქტიკულად არ გვხვდება, ისეთ ფრაზეოლოგიზმებში კი, სადაც ერთ-ერთი კომპონენტია cura (ხუცესი), არ შეიმჩნევა უარყოფითი ანდა დამცინავი დამოკიდებულება ამ კომპონენტისადმი: esta cura (თქვენი მონამორჩილი? por mi y el cura! – მერე მე რა!), acordarse de una cosa como el cura que le bautizó (რაიმეს სრულიად დავიწყება); cura de misa y olla (სოფლის მღვდელი – ამ უკანასკნელ შესიტყვებაში შეიმჩნევა ერთგვარი უარყოფითი თვალსაზრისის ელემენტი: სიტყვა სოფლის გათანაბრებულია ნაკლებად განათლებადთან);

ქართველი ხალხის ცნობიერებაში დამკვიდრებულია განსაკუთრებული მოწიწება ქრისტე ღმერთის – განკაცებული უფლის თვით სახელის მიმართ. ამ მიმართებით მთავარია არა მისი ადამიანური, არამედ ღვთიური საწყისი. ესპანელებისთვის კი ქრისტე პირველ ყოელისა, ადამიანია, უფლის ძეა, რომელიც ქალწულ მარიამის წიაღში განკაცდა. შემდეგ წინადაიცვითა, მოინათლა და ცხოვრობდა და ეწამა, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი. ამიტომ მისი სახელი ხშირად ჩნდება სხვადასხვა ყოფით და მახასიათებლურ ანდაზებსა და საანდაზო თქმებში: donde Gristo dio las tres voces (ძალიან შორს, ცხრა მთას იქით); hasta ver a Gristo (hasta verte lesus mio (ღვინით გაჭყეპა, უგონობამდე დათრობა); ni por el Gtisto (არავითარ შემთხვევაში, რაც უნდა მოხდეს); (sentarle a uno) como a Gristo un par de pistolas (სრულიად არ შეეფერება (არა შეჯდა მწყერი ხესა...); hecho un santo Gristo – გულცივი, უშფოთველი; como Cristo es mi ladre – ადვილად, იოლად, სწრაფად; como Cristo no fue moro (არაფერიც, სულაც არა); poner a uno como un Cristo (გალანძღვა, შეურაცხყოფის მიყენება, ტალახში ამოსვრა, უმოწყალოდ ცემა); ni Cristo le apea (ვერაფერს გააგებინებ, შეაყარე კედელს ცერცვი); sacar al Cristo (უკანასკნელი საშუალების გამოყენება) და სხვ.

საინტერესოა ასევე, რომ საეკლესიო მსახურების განზოგადებული ნომინაციის ერთ-ერთ სახეს „misa"-ს („წირვა") ესპანელები სასაუბრო მეტყველებაში იყენებენ არა საეკლესიო დოგმატების პოზიციიდან, არამედ ყოფითი საჭიროებისათვის.

Son misas de Salud (ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის);

Por no decir, ni misa (ყრუს ორ წირვას არ უტარებენ);

En que pasaran estas misas? (რით დამთავრდება ეს ყველაფერი?);

Dejales que digan la misa (ენას ძვალი არა აქვს; ხალხს პირს ვერ აუკრავ!);

Allá se lo darán la misa (ძვირად დაგიჯდება!);

Darle a uno con lo que tocan a misa (პირში წყალი ჩაიგუბა) და სხვ.

ცხადია, მყარ შესიტყვებებში ასახული „რელიგიის" ცნებითი ველის რელიგია ზოგიერთი კონცეპტის ესოდენ ფრაგმენტული განხილვა არ იძლევა კატეგორიული დასკვნების გაკეთების საშუალებას, თუმცა შეიძლება ვთქვათ, რომ მართლმადიდებელთა ცნობიერებაში რწმენა ზეციური მადლია, ეკლესია კი – მიწიერი ერთობა. ხალხის მორალში ცენტრალური ადგილი უჭირავს სულიერებას, როგორც სულის თვისებას, რომელიც სულიერი და ზნეობრივი ძალების უპირატესობით გამოიხატება მატერიალურ ინტერესებთან შედარებით, ქრისტე კი, უპირველეს ყოვლისა, აღიქმება, როგორც უფლის ხატი და მხოლოდ შემდეგ – როგორც ძე კაცისა.

ესპანურ მასობრივ ცნობიერებაში ვლინდება უფრო ამაღლებული დამოკიდებულება, მეტი მოწიწება ეკლესიის, როგორც ორგანიზაციისა და სასულიერო პირთა მიმართ, ქრისტეს აღქმაში კი უპირატესობა ეძლევა მის მიწიერ ცხოვრებას, სამყაროს ხსნისა და კაცობრიობის ცოდვათა გამოსასყიდად მის მიწიერ ტანჯვასთან დაკავშირებულ ადამიანურ საწყისს.

ყოველივე ზემოაღნიშნული წარმოადგენს მხოლოდ ერთგვარ ნიმუშს ფრაზეოლოგიზმების ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზისა, რაც წარმოდგენას გვიქმნის ურთიერთქმედებაზე ენის სისტემასა და კულტურას შორის, ეგრეთ წოდებული ეროვნული მენტალიტეტის თავისებურებათა ასახვაზე ენაში.

თავი VII

ენობრივი სიტუაციისა და ენობრივი პოლიტიკის თავისებურებები თანამედროვე ესპანეთში

ტერმინი „ენობრივი სიტუაცია" აღნიშნავს დროის კონკრეტულ მონაკვეთში და კონკრეტულ ენობრივ ერთობაში არსებულ ენის ყოფნისა და რეალიზაციის, მისი ფუნქციურ-სტილური გამოყენების ყველა ფორმის, აგრეთვე ამ ფორმების ურთიერთკავშირისა და ურთიერთქმედების ტიპების და ხერხების ერთობლიობას ერთი ენის შიგნით და სხვა ენებთან კონტაქტისას (კონტაქტის დროს).

ენობრივი სიტუაცია წარმოადგენს ენების სუბსტანციური და რელაციური (სუბსტანციურ-ურთიერთობითი) თვისებების დიალექტიკურ ერთიანობას.

ენობრივი პოლიტიკა კი, როგორც ცნობილია, შემუშავებულია მმართველი კლასის მიერ და გამოხატავს მის დამოკიდებულებას ენობრივი პრობლემების გადაწყვეტისადმი (გადაწყვეტის მიმართ, გადაჭრის მიმართ), რომელიც თანამედროვე ესპანეთში ძირეულად განსხვავდება ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ფრანკისტული პრინციპებისაგან.

ენობრივი სიტუაციის თავისებურება ესპანეთში ბევრად არის განპირობებული კასტილიელი, გალისიელი, კატალანიელი და ბასკელი ერების თანაარსებობის ხასიათით, რომელთაგან თითოეულს თავისი ენა აქვს. შუა საუკუნეებში ამ, მაშინ ჯერ კიდევ ეროვნებებს, გააჩნდათ თავიანთი ადმინისტრაციული, ფინანსური და სამართლებრივი პრივილეგიები (fueros – ფუეროსი), რომლებიც სამართლებრივად განამტკიცებდნენ ეროვნულ ერთობათა განსაკუთრებულ სტატუსს.[61] დროთა ვითარებაში ფუეროსი (fueros) დაიკარგა.

---

61 fueros – ფუეროსი (ესპ. (fueros – მრ. რ.) კანონთა კრებულება) – სამეფო აქტები, რომელთა ძალითაც პროვინციებსა და ქალაქებს (კერძოდ, ბასკების ქვეყანას) ენიჭებოდათ განსაკუთრებული უფლებები, გარანტიები, პრივილეგიები.

კასტილიელმა ერმა ხელმძღვანელი მდგომარეობა მოიპოვა, ხოლო კატალონელები, ბასკები და გალისიელები მთლიანად ცენტრალურ ხელისუფლებაზე აღმოჩნდნენ დამოკიდებული. ფრანკოს დიქტატურის პერიოდში ცენტრალიზმმა განსაკუთრებით მახინჯი ფორმები მიიღო, რომლებიც შეურიგებელ წინააღმდეგობას უწევდნენ ეროვნული თვითგამორკვეის ყოველგვარ გამოხატულებას. ბასკური, კატალანური და გალისიური ენები პრაქტიკულად კანონგარეშე აღმოჩნდნენ.

კატალონიის, ბასკთა ქვეყნისა და გალისიის ავტონომიზაციის პროცესი განუყოფლადაა დაკავშირებული ამ რაიონების ეროვნული ენების პრობლემასთან, სადაც მეტის-მეტად რთული ენობრივი სიტუაცია ჩამოყალიბდა როგორც თვით ეროვნული ენების შიგნით, ასევე მათ ურთიერთკავშირებსა და ურთიერთდამოკიდებულებაში ესპანურ (კასტილიურ) ენასთან.

ენობრივ სიტუაციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ ისტორიული ოლქების დემოგრაფიული შემადგენლობა. საქმე ისაა, რომ ეროვნული უმცირესობით დასახლებული რეგიონები ჩვეულებრივ ეკონომიურად ჩამორჩენილები არიან. ესპანეთში სხვაგვარი მდგომარეობაა. მხოლოდ გალისია შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკურ-აგრარულ მხრივ ჩამორჩენილად, კატალონია და ბასკების ქვეყანა კი ესპანეთის ყველაზე განვითარებული ეკონომიკური რაიონები არიან ერთ სულ მოსახლეზე წლიური ნაციონალური შემოსავლის მაღალი მაჩვენებლით. ამან განაპირობა ის, რომ მაგალითად, 1960-1970 წლებში კატალოინის მოსახლეობა 1,2 მილიონი ადამიანით გაიზარდა. მათგან 720 ათასი გადმოსახლდა არაგონიიდან, ანდალუსიიდან, ესტრემადურიდან. ამჟამად კატალონიის მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 6 მლნ მცხოვრებს, რომელთა 38% მის საზღვრებს გარეთ არის დაბადებული და, როგორც წესი, ლაპარაკობს ესპანურ ენაზე. წარმოშობით ბასკეთში ცხოვრობს 2,2 მლნ-ზე მეტი

ადამიანი. მოსახლეობის 35% ესპანეთის სხვა რაიონებიდან არის და თავის მშობლიურ ენად ესპანურს თვლის. კატალონიისა და ბასკეთის ბევრი ძირძველი მცხოვრები **ბილინგვას** წარმოადგენს.

1978 წლის ესპანეთის კონსტიტუციის მე-3 მუხლით ესპანეთის ლინგვისტურ სახესხვაობათა სიმდიდრე აღიარებულია საერთოეროვნულ კულტურულ საგანძურად, რომელიც განსაკუთრებული პატივისცემითა და სპეციალური დაცვის ობიექტი უნდა გახდეს. კასტილიური (ესპანური) ენა ცხადდება მთელი ესპანური სახელმწიფოს ოფიციალურ ენად და იმავდროულად და აღიარებულია და აღიარებულია ავტონომიურ გაერთიანებათა უფლება ასევე ოფიციალურ ენებად გამოაცხადონ თავიანთი საკუთარი ეროვნული ენები.

კონსტიტუციის აღნიშნული მუხლის საფუძველზე ავტონომიურ გაერთიანებებში, სადაც ესპანურთან ერთად გამოიყენება კატალონიის პარლამენტის მიერ 1983 წლის 18 აპრილის დამტკიცებული „კანონი კატალონიის ლინგვისტური ნორმალიზაციის შესახებ", რომელსაც ჩვეულებრივ უწოდებენ „კანონს კატალანური ენის შესახებ".

კანონში ხაზი აქვს გასმული კატალანური ენის როლს კატალანური მეცნიერებისა და კულტურის ჩამოყალიბებაში, ეროვნული თვითშეგნების გამოხატვაში. მასში წარმოდგენილია „კატალონიის ავტონომიური სტატუსის" 3 მუხლი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ „კატალონიის საკუთარ ენას წარმოადგენს კატალანური" და შემდეგ: „კატალანური წარმოადგენს კატალონიის ოფიციალურ ენას, ისევე, როგორც კასტილიური – მთელი ესპანური სახელმწიფოს ოფიციალურ ენას".

კანონის თანახმად, საქმის წარმოება კატალონიის მთავრობისადმი დაქვემდებარებულ ყველა ტერიტორიულ ორგანოსა და ორგანიზაციაში კატალანურ ენაზე წარმოებს. მიმოწერა ცენტრალურ ხელისუფლებასთან კასტილიურ ენაზე ხორციელდება. კატალონიის პარლამენტის ბრძანებულებები

და დადგენილებები ქვეყნდება „ოფიციალურ გაზეთში" ორ ენაზე: კატალანურზე და ესპანურზე.

კანონი ადგენს, რომ ტოპონიმები კატალონიის ტერიტოირაზე იწერება კატალანურ ენაზე. კანონის სპეციალურ ნაწილში რეგლამენტირებულია კატალანური ენის მდგომარეობა საშუალო და უმაღლეს სკოლაში (სკოლებში). კატალანური ენა დაკანონებულია ყველა სასწავლო დაწესებულებასა და ცენტრში. სავალდებულოდ ცხადდება კატალანური და კასტილიური ენების სწავლება დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ყველა კლასში. სკოლის ყოველი კურსდამთავრებული თავისუფლად უნდა ფლობდეს ორ ენას: კატალანურსა და კასტილიურს. დადგენილია აგრეთვე, რომ მოწმობა არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ არ შეიძლება მიეცეს იმ მოსწავლეებს, რომლებიც სათანადო დონეზე არფ ლობენ კატალანურ და ესპანურ (კასტილიურ) ენებს.

სკოლებში სწავლება შეიძლება წარმოებდეს კატალანურ, ანდა ესპანურ ენებზე. მშობლებს უფლება ეძლევათ შეარჩიონ შვილებისათვის შესაბამისი სკოლა. უმაღლეს სკოლაში მასწავლებლებს უფლება აქვთ წაიკითხონ ლექციები და ჩაატარონ სემონარული მეცადინეობები კატალანურ ან კასტილიურ ენებზე.

კანონის სპეციალური ნაწილი (განყოფილება) ეთმობა მასობრივი ინფორმაციის საწუალებების მიერ ოფიციალური ენების გამოყენების რეგლამენტაციას. კანონი ითვალისწინებს ფინანსური დახმარების აღმოჩენას იმ გაზეთების, ან ჟურნალებისათვის, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ კატალანურ ენებზე გამოდიან, აგრეთვე კატალანური გამომცემლობების განმტკიცებას, ეროვნული თეატრის, კინოს და სხვა სანახაობრივი ღონისძიებების განვითარების სტიმულირებას, ფილმების დუბლირებისა და სუბტიტრების წახალისებას. კონსტიტუციის მიღებისთანავე დაიწყო კატალანური ენის თანდათანობითი შემოღება კატალონიის დან-

ყებით და საშუალო სკოლებში. ეს პროცესი საგრძნობლად დაჩქარდა „ლინგვისტური ნორმალიზაციის შესახებ კანონის" პროექტის გამოქვეყნების შემდეგ (1982). 1984 წლის თებერვლისათვის 100% მთელი კატალონიელი მოსწავლეებისა, რომელთა რაოდენობა 1100000-ს მიაღწია, კატალონიურ ენას სწავლობდა.

კატალონიის სკოლების 15%-ში გაკვეთილები მხოლოდ კატალანურ ენაზე ტარდება. დანარჩენ სკოლებში სამუშაო ენა ესპანურია. არასრულ საშუალო სკოლებში მეცადინეობები ენაში ტარდება საათების შემდეგი ბადის მიხედვით: კატალანური და ესპანური ენები – კვირაში სამ-სამი საათი. კვირის 2 საათი ეთმობა „ზოგადი ლინგვისტური სტრუქტურების" (Estructuras linguisticas comunes) შესწავლას. სხვა სიტყვებით, ესაა კატალანური და ესპანური ენების გრამატიკის გაკვეთილები, რომლებზეც ისწავლება მსგავსი გრამატიკული კატეგორიები, მაგალითად, არტიკლი, დროთა სისტემა, ნაცვალსახელთა ტიპები და ა. შ. ასეთი საგნის შემოღებამ შესაძლებელი გახადა არა მარტო დუბლირების თავიდან აცილება გრამატიკული მასალის ახსნისას, არამედ აამაღლა კიდეც სწავლების ლინგვისტური დონე. სრული საშუალო სკოლის კლასებში კატალანური და ესპანური ენების შესწავლისათვის გამოყოფილია სამ-სამი საათი კვირაში, ხოლო საუნივერსიტეტო მომზადების კურსისათვის – კვირის ორ-ორი საათი. ამასთან სასკოლო სწავლების ამ უკანასკნელ საფეხურზე, აგრეთვე მე-7 და მე-8 კლასებში ორი საგანი უნდა მთლიანად იკითხებოდეს კატალანურ ენაზე ესპანურ სკოლებში და, შესაბამისად, ესპანურზე – კატალონურ სკოლებში.

ამ მოთხოვნათა შესასრულებლად საჭირო იყვნენ მასწავლებლები, რომლებიც კარგად ფლობდნენკ ატალანურ ენას. კატალონიის მთავრობამ ეს პრობლემა გადაჭრა კატალანური ენის სწავლების კურსებისა და ყველა სასკოლო დონის მასწავლებელთა დახელოვნების კურსების დახმარებით. ასეთი უფასო ორწლიანი კურსები მუშაობენ 1980 წლიდან,

როდესაც მასზე ჩაეწერა 9000 მასწავლებელი. შემდეგ წელს კურსებზე შევიდა კიდევ 12000 მასწავლებელი, 1982 წლიდან კი მეცადინეობა დაიწყო კიდევ 20 000-მა მასწავლებელმა.

ლინგვისტური ნორმალიზაციის პროცესი გაცილებით უფრო რთულად მიმდინარეობდა ვალენსიის ავტონომიურ გაერთიანებაში. გი გართულებული იყო იმით, რომ ამ ისტორიული ოლქის ნაციონალისტურმა წრეებმა დაიწყეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენება მოსახლეობის დარწმუნებისათვის იმაში, რომ ვალენსიაში არსებობს კატალონურის ახლომონათესავე მოღვაწე (მოღვაწეები) და კულტურის წარმომადგენელი (წარმომადგენლები) ეყრდნობოდა (ეყრდნობოდნენ) დასაქმებულდა სუბიექტურად ინტერპრეტირებულ ენობრივ ფაქტებს და უმთავრესად მიმართავდნენ ვალენსიელთა ეროვნულ გრძნობებს. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ მაგალითად, რომ ცნობილ ვალენსიელ ფილოლოგს მანუელ სანჩეს გუარნერს, ვალენსიის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანსა და ბილინგვიზმის კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც იცავდა მეცნიერულ სიმართლეს ვალენსიური ენის საკითხში, ნაციონალისტებმა საახალწლო საჩუქრის სახით გაუგზავნეს პლასტიკური ბომბი (1978). პაკეტი არ გახსნეს გუარნერის ოჯახის სიფხიზლის წყალობით. როგორც აღმოჩნდა, პრინციპული ლინგვისტობა არცთუ უსაფრთხო ყოფილა. მოსაზრებას ვალენსიური ენის დამოუკიდებლობის შესახებ მხარს უჭერდა ასევე ზოგიერთი კასტილიელი ლინგვისტიც. მაგალითად, მადრიდის უნივერსიტეტის პროფესორი მანუელ დე ლემა, კონკრეტული მტკიცებულებების მოხმობის გარეშე აცხადებდა: „ვალენსიური და კატალანური – ეს პარალელური ენებია, ვალენიური დამოუკიდებელი ენაა იმიტომაც, რომ მას თავისი პრერომანული, სუბსტრატი გააჩნია (აქვს), იმიტომ, რომ სალაპარაკო ლათინურ ენას ვალენსიასა და კატალოინაში თავისი რეგიონოული თავისებურებები ჰქონდა. და იმიტომაც, რომ ხაიმე I-ის დროს დაწყებულ

კატალონურ კოლონიზაციას არ ჰქონია ისეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა, როგორსაც მას პროკატალონიური თეორია მიაწერს.

დისკუსიაში ჩაერთო ბევრი ფილოლოგი და მათ შორის ისეთი დიდი ფიგურები, როგორებიც არიან ბატია-ი-მარგარიტი, ანტონიო ტოვარი და სხვ.

პრაქტიკულდა საჭირო იყო პასუხის გაცემა ორ ურთიერთდაკავშირებულ კითხვაზე: როგორი განსხვავებები არსებობს იმ ენებს შორის, რომლებზეც კატალონიასა და ვალენსიაში ლაპარაკობდნენ და ატარებენ თუ არა ეს განსხვავებები თვისობრივ-დიფერენციალურ ხასიათს, რომელიც ორი დამოუკიდებელი ენის არსებობას ადასტურებს?

დისკუსიის მასალების შეჯამებისას შეიძლება გამოვყოთ განსხვავებათა ათი ძირითადი სახეობა ვალენსიის ოლქის მცხოვრებთა მეტყველებაში ბარსელონისა და მისი პროვინციის კატალონელთა მეტყველებასთან შედარებით:

- [d]-ს გამოტოვების შემთხვევები ხმოვანთა შორის მდგომარეობისას: (llavraor, cremá – llaurador, cromada);
- <<v>>-ს ლაბიოდენტალური არტიკულაციის ზონები ნებისმიერ მდგომარეობაში;
- ბოლო [r]-ის სრულად წარმოთქმა (fer – fé);
- დაბოლოება „e" თხრობითი კილოს აწმყო დროის ზმნების პირველ პირში (cante – canto);
- [i]-ს მიუღებლობა კავშირებითი კილოს აწმყო დროის ზმნების დაბოლოებებში (cante, diga – canti, digui);
- კავშირებითი კილოს იმპერფექტის დაბოლოება – ara (cantare – cantes);
- ჩვენებითი ნაცვალსახელების სამი ფორმა ორის ნაცვლად (aste, eixe, aquell – aquest, aquell);
- ერთგვარი თავისებურება რიცხვითი სახელებისა (uit, dseet, disnou);
- „en" წინდებულის ხმარება ესპანური „con" წინდებულის მნიშვნელობით (en – amb;

– ზოგიერთი ლექსიკური თავისებურებები, ანუ, შესაბამისად, ვალენსიური სიტყვებისა და მნიშვნელობების არსებობა (aplegor, aixir, arribar, sortir).

დისკუსიის მონაწილეთა უმრავლესობისა და სხვა მკვლევართა აზრით ყველა აღნიშნული თავისებურება არ არღვევს კატალანური ენის ფონეტიკურ და ლექსიკო-გრამატიკულ (ლექსიკურ-გრამატიკულ) ერთიანობას, ისევე, როგორც ამგვარი განსხვავებები ესპანური ენის მრავალრიცხოვან ვარიანტებსა და დიალექტებს შორის ვერაფერს აკლებენ მის მთლიანობას. ყველა გამოვლენილი განსხვავება თვალსაჩინოდ მეტყველებს იმაზე, რომ კატალონიისა და ვალენსიის მეტყველებაში არ არსებობს სტრუქტურული განსხვავებები ძირითად ენობრივ დონეებზე და სხვა დიფერენციული ნიშნები, რომლებიც დაადასტურებდნენ ორი, თუნდაც ახლო მონათესავე ენის არსებობას. მითითებული თავისებურებები მოწმობენ მხოლოდ დიალექტურ დანაწევრებაზე ერთიანი კატალანური ენის შიგნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო პოლიტიკოსებმა ყურად იღეს მეცნიერთა მოთხოვნა და 1983 წელს ვალენსიაში საბოლოოდ მიღებულ იქნა დეკრეტი ბილინგვიზმის შესახებ, რომელიც ადგენდა კატალანური ენის აუცილებელ შესწავლას ვალენსიური დიალექტისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი მოდიფიკაციით. სახელწოდება el valenciano კვლავინდებურად რჩება ხმარებაში ისევე, როგორც el catalán. valenciano.

ასე რომ, ხანგრძლივი და მწვავე დისპუტების შემდეგ ვალენსიაში დაიწყო ენობრივი სიტუაციის ნორმალიზაციისა და ბილინგვიზმის პოლიტიკის გატარების რთული პროცესი. 1982 წლის სექტემბრიდან სკოლებში შემოიღეს ბილინგვისტური განათლების გეგმები და ასევე შეიქმნა (შეიქმნა ასევე) კატალანური ენის კურსების ქსელი იმ მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული მუშაკებისათვის, რომლებიც არ ფლობდნენ მას.

გაცილებით უფრო ნელა მიმდინარეობს ენობრივი ნორმალიზაცია ეკონომიურად ჩამორჩენილ გალისიაში. XIX საუკუნე და XX საუკუნის დასაწყისი გალისიაში კულტურული აღორძინების ეპოქას წარმოადგენდა. ამ პერიოდში გამოიცა მანუელ პინტოსის, როსალია დე კასტროს, ედუარდო პონდალის, მანუელ კუროს ენრიკესის, კაბანილიასის და სხვათა ნაწარმოებები, მაგრამ ეს უკვე წარსულია. 1936-დან 1946 წლამდე გალისიურ ენაზე არ გამოცემულა არც ერთი წიგნი. 1946-დან 1956 წლამდე გაჩნდა მხოლოდ ექვსი-შვიდიოდე ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაშრომი. ამგვარად 2500000-ზე მეტი გალისიელი მოკლებული იყო კულტურულ მემკვიდრეობას და ვერ ავითარებდა თავის ლიტურატურას.

გალისიური ენა გასაოცრად მონოლითურია. მასში პრაქტიკულად არ არის დიალექტები (თუმცა ზოგიერთი მეცნიერი გამოყოფს აღმოსავლურ და დასავლურ კილოკავებს). გალისიური ენის ერთიანობა შენარჩუნებულია სასოფლო ზონებში. გალისიის 7 მსხვილი ქალაქი უკანასკნელ ხანებამდე ძირითადად ესპანურად მოლაპარაკე იყო. გათვალისწინებული უნდა იქნას ერთი გარემოებაც: გალისია ესაზღვრება პორტუგალიას (სასაზღვრო ზოლი 1231 კმ-ზე გრძელდება). მეზობელქვეყანაში სახელმწიფო ენა გალისიის ახლომონათესავე პორტუგალიური ენაა და პრაქტიკულად მთელი სასაზღვრო გალისიური ზონა პორტუგალიურად მოლაპარაკეა. ზოგიერთი ისეთი გალისიური სოფლებისა და დაბების ბავშვები, სადაც არ არის არც ესპანური და არც გალისიური სკოლა, სასწავლებლად პორტუგალიაში დადიან და იქ პორტუგალიის ენას, ისტორიასა და ლიტერატურას სწავლობენ.

ურთულესი ენობრივი სიტუაციაა ბასკების ქვეყანაში. თითქმის 40 წელია ბასკური ენა, რომელზეც ესპანეთში ლაპარაკობს დაახლოებით 600 000, საფრანგეთში კი 100 000 კაცი, პრაქტიკულად აკრძალული იყო. ფრანკოს დიქტატურა უმოწყალოდ ახშობდა ბასკური თვითშეგნების ყოველგვარ გამოვლინებას. ბასკური ენა უნიკალურია, მისი წარმომავ-

ლობა – საიდუმლოებით მოცული. და ეს გასაოცარი ენა თავის ცხოველუნარიანობას პრაქტიკულად მხოლოდ სოფლებში ინარჩუნებდა და ოჯახური ურთიერთობის ენას წარმოადგენდა. მასზე ლაპარაკი ქალაქებში, ქუჩაში, საზოგადოებრივ ადგილებში სახიფათო იყო. თავისი ახალი ცხოვრება მან მხოლოდ ფრანკოს რეჟიმის გაუქმების შემდეგ დაიწყო.

1918 წელს დაარსებულმა ბასკური ენის სამეფო აკადემიამ თავისებური გადაწყვეტილება მიიღო და არ აირჩია წამყვან ენად რომელიტმე დიალექტი. მან გამოაქვეყნა ჩამონათვალი ყველაზე გავრცელებული და მიღებული ფონეტიკური წესებისა და გრამატიკული ფორმებისა და ყველა დიალექტი ერთიანი ბასკური ენის შემადგენელ ნაწილებად გამოაცხადა. ლექსიკური ნორმები ჯერ კიდევ არ არის დადგენილი.

თვით სახელწოდებაში „ბასკური ენა" ასახულია ბასკების ეროვნული ენის ჩამოყალიბების სირთულე. საქმე ისაა, რომ მკვიდრი, ძირძველი ბასკები არ უწოდებენ თავიანთ ენას el vasco, ისინი მოიხსენიებენ მას როგორც Euskara, თავიანთ ქვეყანას კი Euskadi-ს. თუმცა დიალექტური ზონების მიხედვით euskera გამოითქმის როგორც euskara, eskara, escuera, escuara, escoara, euskara, uskara.

ენობრივი სიტუაცია ესპანეთში მოზაიკურ პანოს წააგავს. ეს თავი კომპოზიციის მხოლოდ მცირე ნაწილის შევსების ცდას წარმოადგენს. მისი დასრულებისათვის აუცილებელია თითოეული ეროვნული რეგიონის ენობრივი სიტუაციის უფრო დეტალური განხილვა და თვით კასტილიური ენის სიტუაციის გაანალიზება ესპანეთში. მასში კი საკმაოდ საინტერესო მოვლენები ხდება, რომლებიც უკავშირდებიან მსხვილი ქალაქების მცხოვრებთა კილოკავების თავისებურებებს, საერთოენობრივი, ეგრეთ წოდებული მასობრივი კულტურისა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა გავლენას ენაზე, ასევე ესპანეთის **სხვადასხვაენოვან** ზონებს შორის არსებული კონტაქტების ხასიათით განპირობებულ მოვლენებს.

ბიბლიოგრაფია

1. ახვლედიანი ც. ფრანგული ენის ისტორია, „მედეა", თბ., 2009
2. ახვლედიანი ც., კობეშავიძე მ., ესპანური ენის ისტორია, „მედეა", თბილისი, 2009
3. ახვლედიანი ც. სტაბილურობა და ვარირება რომანულ თანხმოვანთ ჯგუფებში, „მედეა", თბილისი, 2009
4. ახვლედიანი ც., გაბუნია ქ. რომანული ფილოლოგია, „უნივერსალი", თბილისი, 2010
5. ლებანიძე გ. ლექციები ენათმეცნიერების შესავალსა და ზოგად ენათმეცნიერებაში, ენა და კულტურა", თბილისი, 1997
6. ლებანიძე გ. კულტუროლოგიის საფუძვლები, „ენა და კულტურა", თბილისი, 2004
7. ფოჩხუა ბ. ქართული ენის ლექსიკოლოგია, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1974
8. ჯაში ქ. რომანული ისტორიული ენათმეცნიერება, „მწიგნობარი", თბილისი, 2010
9. ხოფერია მ. ფრაზეოლოგია ესპანურენოვან სივრცეში. გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2014
10. Alonso A. Ciencia del lenguaje y arte del estilo. Madrid, 1967
11. Alonso M. Gramática del española contemporáneo. Madrid, 1968
12. Alvar M. Dialectología española. Cuadernos bibliográficos, VII. Madrid, 1962
13. Alvar M. La lengua como libertad. Madrid, 1982
14. Badia i Margarit A. M. Gramàtica històrica catalana. Valéncia, 1987
15. Casares J. Introducción a la lexicografia moderna. Madrid, 1950

16. Casares J. Novedades en el diccionario académico. Madrid, 1963
17. Catalán D. español en Canarias. Precente y futuro de la lengua española. I. Madrid, 1964
18. Coseriu E. La creación metafórica en el lenguaje. Montevideo, 1956
19. Quevedo F. Obras completas. T. 1. Madrid, 1988
20. Quilis A., Fernández C. Curso de la lengua española. Valladolid, 1980
21. Seco M. Arniches y el habla de Madrid. Barcelona, 1970
22. Gran Diccionario Español. Ruso-Madrid, 1997
23. Diccionario fraseológico español. Ruso-Madrid, 1985
24. Виноградов В. С. Лексикология испанского языка, М., 2004
25. Виноградов В. С. Введение в переводоведение, М., 2001
26. В. Г. Гак. Сопоставительная лексикология, М., 1977
27. Маслова В. А. Лингвокультурология, М., 2004
28. Маслова В. А. Введение в когнитивную лингвистику, М., 2006
29. Фирсова Н. М. СОвременный испанский язык Колумбии. Лексика. М., 1980
30. Фирсова Н. М. Языковая вариативность и национально-культурная специфика речевого общения. М., 2000

საძიებელი

თავი I

სიტყვა და მისი მრავალგანზომილებიანი განფენილობა თანამედროვე ესპანურ ენაში

§ 1. ლექსიკოლოგიის საგანი 5
§ 2. სიტყვის დახასიათება და დეფინიცია 5
§ 3. ლექსიკური მნიშვნელობა და ცნება..... 17
§ 4. პოლისემია და ლექსიკურ მნიშვნელობათა ტიპები 23
§ 5. საკუთარ სახელთა ადგილი ონომასტიკურ არეალში 36
§ 6. ლექსიკის იდეოგრაფიული დაყოფა და სისტემატიზაცია . 48

თავი II

ესპანური ლექსიკის ჩამოყალიბება, მისი ტერიტორიული და დროითი დიფერენციაცია

ესპანური ლექსიკის შევსების წყაროები 60
§ 1. ესპანიზმები და კულტიზმები 60
§ 2. ეროვნული ვარიანტები და დიალექტები 68
§ 3. არქაიზმები 74
§ 4. ნეოლოგიზმები 78
§ 5. ინდეხიზმების როლი ესპანური ლექსიკის ჩამოყალიბებაში 82

თავი III

ესპანური ლექსიკის სოციალურ-ფუნქციური დიფერენციაცია

§ 1. სამეცნიერო ტერმინოლოგია. ტერმინები და ნომენკლატურული სახელწოდებები 88
§ 2. ჟარგონი ესპანურ ენაში. ჟარგონის ცნება. პროფესიული ჟარგონები. 95
§ 3. სოციალური ჟარგონების ლექსიკა. ახალგაზრდული ჟარგონი 99
§ 4. საიდუმლო დარგონების ლექსიკა 104
§ 5. ჟარგონული ლექსიკის წყაროები 107

თავი IV

ესპანური ლექსიკის შიდაენობრივი სემანტიკური ურთიერთობები

§ 1. სინონიმია 110
§ 2. ომონიმია 121
§ 3. პარონიმია 132
§ 4. ანტონიმია 136

თავი V

ფრაზეოლოგია ესპანურენოვან სივრცეში

§1. ფრაზეოლოგია, როგორც სამყაროს გამორჩეული ხატი. 156
§2. ფრაზეოლოგიური ერთეულების ზოგადი დახასიათება .. 160
§3. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სისტემური კავშირები 165
§4. ფრაზეოლოგიური ვარიანტულობის პრობლემა 172

§5. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სემანტიკური
კლასიფიკაცია 182
§6. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ფუნქციურ-გრამატიკული
კლასიფიკაცია 194

თავი VI

ფრაზეოლოგია როგორც ლინგვოკულტუროლოგიის
ობიექტი

§1. ენისა და კულტურის ურთიერთკავშირის პრობლემა,
როგორც ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა
ენათმეცნიერებაში 207
§ 2. ფრაზეოლოგია კულტურის კონტექსტში 216
§ 3. რელიგიის ფრაზეოლოგიური ველი ესპანურ ენაში 219

თავი VII

ენობრივი სიტუაციისა და ენობრივი პოლიტიკის
თავისებურებები თანამედროვე ესპანეთში 225

ბიბლიოგრაფია 235